საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

8 - 14 დეკემბერი, 2010

№45 (88)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

**სამშვიდობო ინიციატივა თუ ბედის სიმღერა?!** 2

ვასილ ჭიჭინაძე: **ოპოზიციამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა: მიშა მაგარია!**

სააკაშვილი ბევრად უფრო ადეკვატურად მოერგო არსებულ პოლიტიკურ რეალობას, ვიდრე, ვთქვათ, გუბაზ სანიკიძე, ნინო ბურჯანაძე, ლევან გაჩეჩილაძე და სხვები და სხვები. მოკლედ, ვაღიარებთ თუ არ ვაღიარებთ, დამტკიცდა „ჭეშმარიტება“, რომ მიშა მაგარია და ამაში ლომის წილი სწორედ ოპოზიციას მიუძღვის.


6

იური მეჩითოვი: 7



**ძახილით, რომ ყველაფერი «ძაან მაგარია», უკვე დედა გვეტირა...**

**სააკაშვილის ბიზნესტერორის შედეგი: გაქცეული ინვესტორები და დაქცეული ეკონომიკა** 4


15

სოსო ცისკარიშვილი: **ასე მეტი აღარ შეიძლება**

ქვეყანაში დანერგილი შიში მხოლოდ უკიდეგანო სიძულვილის საწინდარია. როცა საზოგადოებაში სიძულვილის ჯამი მიაღწევს ზღვარს, მონაგონი იქნება ახალგაზრდობის ის პროტესტი, რომლის მოწმენიც გავხდით ინგლისში, საფრანგეთსა თუ საბერძნეთში.

**ტელეკომპანია «თრიალეთის» ხელმძღვანელს მოკვლით ემუქრებიან**


8

„რამდენჯერ უნდა ვცემოთ, ხომ არ მოვკლავთ!.. ბადრი იმდენს იზამს, თავის ძმას მოგვაკვლევინებს“

**№173 საჯარო სკოლიდან დიმიტრი შაშკინი შეძახილებითა და სტვენით გამოაცილეს** 12

**WikiLeaks-ის მასალები, რომლებიც ნაცპროპაგანდამ «ვერ შენიშნა»** 15

# EL PAÍS: საქართველო აშშ-ის ლაქია სახელმწიფოდ გადაიქცა...

**ვაშინგტონი უპირატესობას ანიჭებს რუსეთთან დაახლოებას – თბილისი სასოწარკვეთილი ეძებს აშშ-ის სამხედრო მხარდაჭერას. საქართველოს ძვირად დაუჯდა რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომი. ქვეყანა, რომელიც კავკასიაში ნატოს მოკავშირედ მოიაზრებოდა, სუსტ და აშშ-ის ლაქია სახელმწიფოდ გადაიქცა...**

ჩვენს ხელთ არსებული დიპლომატიური დოკუმენტების თანახმად, 1-2 აგვისტოს რეგიონში ისეთი ინტენსივობის სროლები მიმდინარეობდა, როგორიც „2004 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა“, მაგრამ სროლის დაწყების ინიციატორი არ სახელდება. 7 აგვისტოთი დათარიღებულ ორ ანგარიშში დაფიქსირებულია „ინტენსიური ბრძოლები სამხრეთ-ოსეთში 6 აგვისტოს ღამით“ და „ქართული არტილერიის გადაადგილება“. **შემდეგ თბილისის ოფისიდან გაგზავნილ დოკუმენტებში 138 სიმბოლო გამოტოვებულია. 8 და 9 აგვისტოს დღეში მხოლოდ ორი ტელეგრამა იგზავნება. კრიტიკულ დღეებში ინფორმაციის ეს წყვეტა და ლაკონურობა იმაზე მიუთითებს, რომ საელჩოდან ცნობები სხვა არხებით ვრცელდებოდა, რაც ხელს უშლის მკაფიო სურათის ჩამოყალიბებას იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობდნენ ამერიკელები სააკაშვილის თავდასხმაში...**

ბარაკ ობამას გაპრეზიდენტების შემდეგ, თეთრი სახლი ქართველებს, რომლებიც, მოსკოვის აზრით, მილიტარისტული ქმედებებისკენ უმცროსმა ჯორჯ ბუშმა წააქეზა, „უხეში ძალის ნაცვლად გონიერებისკენ“ და „სტრატეგიული მოთმინებისკენ“ მოუწოდებს.

საქართველო მოითხოვს, რომ აშშ-მა მას თანამედროვე იარაღი მიჰყიდოს და მწვანე შუქი აუნთოს ნატოში გასაწევრებლად. ჩრდილოამერიკელი დიპლომატები უარს ამბობენ ამ მოთხოვნების შეთავსებაზე ბარაკ ობამას მიზანთან – განაახლოს რუსეთთან ურთიერთობები.

**„საქართველო პრობლემას უქმნის ვაშინგტონის იმიჯს რეგიონში, რომელიც უარყოფს პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის თეზას „გავლენის სფეროების“ შესახებ. თუკი ამ რეგიონის ქვეყნები, მაგალითად, ბელარუსი და ყირგიზეთი, ჩათვლიან, რომ თეთრი სახლი კავკასიისა და ცენტრალური აზიის იგნორირებას ახდენს, გადაწყვეტენ, რომ აშშ-თან თანამშრომლობა უფრო სარისკოა, ვიდრე რუსეთთან,“** — წერს საქართველოში ამერიკის ელჩი ჯონ ტეფტი.

**„თუკი ჩვენ განვაგრძობთ საქართველოსთან უფრო მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობისკენ სვლას, საფრთხის ქვეშ დავაყენებთ რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვის მცდელობას,“** – წერს აშშ-ის ელჩი მოსკოვში ჯონ ბერლი.

**საქართველომ აშშ-ისგან უკრაინის დახმარებით შეიძინა იარაღი. 2009 წლის ზაფხულში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა 2007-2008 წლებში ამერიკული ავტომატური და ყუმბარმტყორცნი იარაღის შეძენის ფაქტი უკრაინული შუამავალი კომპანიის — Bel Ukrainian Trading and Consulting-ისგან (რეგისტრირებული სეიშელის კუნძულებზე).**

### 2009 წლის შემოდგომაზე უკრაინამ უარყო თბილისისთვის T-84 ტანკების მიყიდვა, მაგრამ იმავე წლის ოქტომბერში ნატოს ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა განაცხადა, რომ თავად იხილა 12 T-84 ტიპის ტანკები საქართველოს პოლიგონებზე, — ნათქვამია ალიანსის აშშ-ის მისიის საიდუმლო დოკუმენტში.

2009 წლის სექტემბერში ნატოს ინსპექტორთა ხელმძღვანელი საქართველოში წერდა, რომ ის „შეშფოთებულია“ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გამეფებული კორუფციითა და პროტექციონიზმით“, ასევე, ფუნქციებისა და „პარამილიტარისტული“ საკითხების აღრევის გამო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან... 2009 წლის სექტემბერში აშშ შეშფოთებული იყო ბაჩო ახალაიას თავდაცვის სისტემის ხელმძღვანელად დანიშვნით, რომელიც მანამდე ციხეებს ხელმძღვანელობდა, და, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საეჭვო რეპუტაციით სარგებლობდა.

თეირანში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის — ალექსანდრე ნალბანდოვის ვიზიტის დროს, ქართველების აზრით, ირანელებსა და რუსებს შორის ურთიერთობაში გართულება შეინიშნებოდა. მათ ირანელებს უთხრეს, რომ საქართველოსა და შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება თითქოს „საიდუმლო პროტოკოლს“ მოიცავდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გაჟღერებული



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ურთულეს დროს და სირთულე ძირითადად იმაშია, რომ კაცობრიობას, ადამიანს დღეს ცოდვა ცოდვად აღარ მიაჩნია. ეს ადამიანისთვის ყველაზე საშიშია. ადამიანმა თავისი ცხოვრებით უნდა შექმნას ჯვარი. ღმერთმა ინებოს, რომ ამის ნებისყოფა მოგვეცეს და ჩვენი სწრაფვა ცოდვისკენ სიკეთისკენ სწრაფვით შეიცვალოს.

*„პირველი“*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**

არ არის სწორი გავრცელებული მოსაზრება, რომ პუტინი საქართველოს დაუძინებელი მტერია. შეგახსენებთ, ჩვენ არცთუ ცუდი ურთიერთობა გვქონდა, ერთად არაერთი სასარგებლო გადაწყვეტილება მიგვიღია.

არც სააკაშვილი უქნია ღმერთს და არც — ბურჯანაძე. არ ვფიქრობ, რომ ნინო კარგი პრეზიდენტი იქნება. რაც შეეხება სააკაშვილის უმწიფარობას და იმას, რომ ხელისუფლებიდან მალე წავა, ამის წინაპირობას ვერ ვხედავ. ის საკმაოდ მყარად დგას, ჯერჯერობით. არის კიდევ ერთი მომენტი — ახლა სააკაშვილზე უკეთესს ვეძებთ, მაგრამ თუ ფრთხილად არ ვიქნებით, შესაძლოა, ისეთი მოვიდეს, სააკაშვილი სანატრელი გაგვიხდეს!

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:**

სააკაშვილს აწყობს დიალოგი ნათელაშვილთან და ეს იქნება მისი სრული გადარჩენა. როგორც კი დაინახავს მსოფლიო, რომ ჩვენც კი დავსხედით მოლაპარაკების მაგიდასთან, ნახავთ, რომ ამათ ვერ მოვიცილებთ, მინიმუმ, 30 წელი. ეჭვი არ შეგეპაროთ, იტყვიან: აი, დემოკრატიული, მრავალპარტიული მმართველობა — ასეთი შეუდრეკელი და შეურიგებელი ძალაც კი მოიდრიკაო“.

*„ახალი თაობა“*



**ნონა გაფრინდაშვილი,**
**ქართული ჭადრაკის დედოფალი და „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ყველა ის ოპოზიციონერი, ვინც „სახალხო კრებას“ უტევს, ნებით თუ უნებლიეთ, ხელისუფლების თამაშს თამაშობს!

ჩვენ ჩავატარეთ სახალხო კრება და ახლა ვემზადებით დიდი დაუმორჩილებლობისათვის! მალე გამოვაცხადებთ კონკრეტულ თარიღს, როცა ხალხს მოვუწოდებთ, რომ ქუდზე კაცი გამოვიდეს ამ რეჟიმის დასამთავრებლად!

*„ასავალ-დასავალი“*



**ლალი აფციაური,**
**ადვოკატი:**

შეწყალებულთა სიაში რომ მოხვდე, ერთ-ერთ „დამსახურებად“ მიიჩნევა გამგებლების, გუბერნატორების რეკომენდაცია, რომელიც მხოლოდ ერთი სიტყვით შემოიფარგლება — გვჭირდება! მერის არჩევის დროს ქალაქის პროკურორმა, მამუკა გვარამიამ, იმდენი პატიმრის გვარის გასწვრივ მიაწერა: „ოპოზიციააა“, რომ თვით ადეიშვილიც კი აღშფოთდა და თქვა: ამდენი ოპოზიციონერი თუ გვყავს, დავღუპულვართ და ეს არისო...

*„კვირის ქრონიკა“*



**ზაზა პაპუაშვილი,**
**რუსთაველის თეატრის მსახიობი:**

ეს პრეზიდენტი და ხელისუფლება იმიტომ კი არ მძულს, რომ ლისაბონში ვიღაც მეძავეებს დაერივნენ, ქვეყანას რომ ხანჯალი ჩაარტყეს გულში, ამიტომ მეზიზღებიან. საკუთარი ქვეყანა, ენა და მომავალი თაობა რომ სძულთ, ამიტომ არიან ფურთხის ღირსნი. მე ის მაწუხებს, ჩვენი ქვეყნის არსებობა რომ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ... იცით, რატომ? იმიტომ, რომ ამ სულელმა იმდენი აგინა რუსეთს, ვიდრე არ გვლეწა და ყბამონგრეული არ დაგვტოვა.

*„ყველა სიახლე“*

# სამშვიდობო ინიციატივა თუ გედის სიმღერა?!

**მიხეილ სააკაშვილი ბოლო დროს დაჟინებით ცდილობს, მაჰათმა განდის მანტია მოირგოს. მისი ცინცხალი ,,სამშვიდობო ინიციატივები“ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მას მხოლოდ „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ სურს, თუმცა მსოფლიოში, მითუმეტეს საქართველოში, არავის დავიწყებია არც აგვისტოს ომი, არც მისი წინარე პერიოდის მილიტარისტული რიტორიკა. ასე რომ, ნაკლებად სავარაუდოა, სააკაშვილის ეს განცხადებები ვინმემ სრული სერიოზულობით აღიქვას. საინტერესო, ალბათ, სხვა რამ არის: ამ რიტორიკის მიღმა უპირობო და სამარცხვინო კაპიტულაციის კონტურები მოჩანს, რომლებიც სააკაშვილის პოლიტიკიდან ლოგიკურად გამომდინარეობს.**



### მახათმას ახალი მახათი

ასტანაში, ეუთოს სამიტზე, მაჰათმა განდის ან, როგორც მინიმუმი, დალაი-ლამას როლში შეჭრილმა მიხეილ სააკაშვილმა „დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება, არ გამოიყენოს ძალა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად „იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის ფედერაცია უარს იტყვის ჯარის გაყვანაზე, თუ 20%-ზე ნაკლები მოსახლეობა დარჩება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და დანარჩენი 80% არ დაბრუნდება, თუ სეპარატისტები დაარღვევენ ადამიანის უფლებებს, საქართველო მხოლოდ თავდაცვის უფლებას იტოვებს ახალი შემოჭრისა და საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის ოკუპაციის შემთხვევაში. ეს პირობა დავდეთ, რადგან გვჯერა, რომ მშვიდობა ერთადერთი გზაა ჩვენი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ეს დაპირება ოფიციალური წერილის სახით გავუგზავნე ნატოს, ეუთოს, გაეროს, ევროკავშირისა და ევროკომისიის ხელმძღვანელობას, ასევე აშშ-ის მთავრობას“ (ინტერპრესნიუსი).

თუ ამ განცხადებას ყურადღებით გადავიკითხავთ, ვნახავთ, რომ მასში უარია ნათქვამი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებაზე, ომისა და მშვიდობის საკითხები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადაწყვიტოს და სეპარატისტების კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიებზე დარჩენილი საკუთარი მოქალაქეების დაცვაზე ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებით. ამასთანავე, დევნილებთან დაკავშირებით გამოყენებული პასაჟი („თუ 20%-ზე ნაკლები მოსახლეობა დარჩება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და დანარჩენი 80% არ დაბრუნდება“) ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მათი სახლებში დაბრუნების საკითხი მეორე პლანზე გადადის და მთავარ პრიორიტეტს აღარ წარმოადგენს (და როდის წარმოადგენდა, რო?). რასაკვირველია, მშვიდობა მშვენიერი რამ არის და რუსეთის არმიას ხსენებული „ძალის“ გამოყენებით (განსაკუთრებით ამ მთავარსარდლის ხელში) დიდს, სავარაუდოდ, ვერაფერს დავაკლებდით, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ სუვერენული უფლებები რაღაც ნაწილში მაინც უნდა შეიზღუდოს და დააფიქსიროს, რომ საკუთარი მოქალაქეების დაცვაზე ნაწილობრივ მაინც ხელს იღებს.

**საერთოდ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი მშვიდობაზე საუბარს იწყებს, მსმენელების უმრავლესობას, ალბათ, ახსენდება 2008 წლის 7 აგვისტო, როდესაც 19 საათსა და 35 წუთზე მიხეილ სააკაშვილი ტელეეთერში აცხადებდა, რომ „ჩვენ ქართველებსა და ოსებს შორის ომი არ უნდა დავუშვათ“ და საკმაოდ მჭევრმეტყველურად საუბრობდა მშვიდობასა და ცეცხლის შეწყვეტაზე, დაახლოებით 23 საათსა და 50 წუთზე კი, „ტალიავინის კომისიის“ დასკვნის თანახმად, „ქართული მხარის მასიური საარტილერიო შეტევით“ „ღია საომარი მოქმედებები დაიწყო“. თუმცა ამჯერად საუბარია არა მხოლოდ ზეპირ განცხადებებზე, არამედ საერთაშორისო სტრუქტურებში გაგზავნილ რაღაც „ოფიციალურ წერილებზე“; საინტერესოა, რამდენად ჰგავს ეს იდუმალებით მოცული მანუსკრიპტები ცნობილ ხელწერილს ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩადან“, „მე, დუდუ დოგორჯგინიძე...“, რომელიც ახალ რედაქციაში, ალბათ, შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: „მე მიხეილ სააკაშვილი, პიონერულ სიტყვას ვიძლევი, რომ არამცთუ დავიწყებ ომს ჩემს სიცოცხლეში, არც კი გავიხედავ ზარბაზნისკენ, დედას ვფიცავარ, მამას ვფიცავარ და ყველას ვფიცავარ“.**

ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთმა ეს ხელწერილები და ტელეგრამები სერიოზულად განიხილოს, რადგან მისი პოზიცია, დიდი ხანია, ცნობილია: კრემლს სურს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ხელი მოაწეროს დოკუმენტს ძალის გამოუყენებლობის შესახებ ბაგაფშისა და კოკოითის მთავრობებთან და მხოლოდ ასეთ ნაბიჯს (მხოლოდ ამ ფორმით) განიხილავს მომდევნო წარმატებული სამშვიდობო პროცესის წინაპირობად. თუ ახალ ტენდენციებს გავითვალისწინებთ, ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ ხვალ სააკაშვილი მსგავს დოკუმენტს ხელს მართლაც მოაწერს; ზეგ, დემილიტარიზაციის იდეებით შეპყრობილი, არმიის დაშლა-განიარაღებას დაიწყებს; ხოლო მასზეგ გადასცემს რუსეთს ყველა მორჩენილ სტრატეგიულ ობიექტს — მილსადენს, რკინიგზას და გადაულოცავს საჰაერო სივრცეზე კონტროლს (ყველა ეს თემა აქტიურად განიხილება, ზოგიერთი ობიექტის ბედზე კი, დაუზუსტებელი ინფორმაციით, გაცხოველებული საიდუმლო მოლაპარაკებები მიმდინა- ▶

**აბდულაჰ გიული: დასავლეთის წონა ძალთა საერთაშორისო ბალანსში თანდათან მცირდება. აღმავლობის გზაზე მდგარი ქვეყნებს, ისეთებს, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობების სიმძიმის ცენტრი აზიისკენ და აღმოსავლეთისკენ გადააქვთ**

## მოკლედ

### მოჰკიდეთ ხელი პრეზიდენტს!

**„სახელმწიფომ გადამხდელს ყელში ხელი კი არ უნდა წაუჭიროს, არამედ ხელი უნდა ჩასჭიდოს და როგორც პარტნიორი სამშვიდობოზე გაიყვანოს“.** მართალია, ბევრი თვალებს და ყურებს არ უჯერებდა, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი ამას ამბობდა, მაგრამ ყველას მოუწევს დაჯერება — საქართველოს პრეზიდენტმა ეკონომიკის განვითარებაში ახალი კურსი გამოაცხადა. ამ ახალი კურსის მიზანი არსებული ხარვეზების სრულად დაძლევა და გაცილებით უკეთესი ბიზნეს-გარემოს შექმნაა. პრეზიდენტი დაგვპირდა, რომ ამუშავდება ეკონომიკის ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც მეწარმეებზე საგადასახადო ადმინისტრირების წნეხს შეამცირებს.

### ოპოზიციაში საქმეების გარჩევა დაიწყო

**ბოლო დღეების განმავლობაში ქართული ოპოზიცია საქმეების გარჩევითა და შეყრა-გაყრით გახლდათ დაკავებული. მოსკოვიდან დაბრუნებულ ზურაბ ნოღაიდელს პარტიის რიგები შეთხელებული დახვდება.** ჯერ კახელი თანაპარტიელები აუმხედრდნენ, შემდეგ კი ამბობენ, რომ ზურაბ ნოღაიდელის პარტიიდან საბაჟოს ყოფილი უფროსი ზურაბ ანთელიძე და ნოღაიდელის მარჯვენა ხელი კობა აბულაძე აპირებენ წასვლას. ანალოგიური მდგომარეობაა „სახალხო კრებაში“, რომელიც უკვე დატოვა ლელიკო ჯაფარიძემ. გასარკვევია, გააგრძელებს თუ არა „კრებასთან“ ურთიერთობას მსახიობი სოსო ჯაჭვლიანი. „ეროვნული ფორუმი“ დატოვა ირაკლი მელაშვილმა.

### საზღვაო ადმინისტრაცია დათხოვილია

**პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, საზღვაო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი თანამდებობიდან გათავისუფლებულია — ისინი საზღვაო სფეროს წლების განმავლობაში ანგრევდნენ.** „ჩემს ხელთ არის 29 იანვარს ევროკავშირში ჩვენი ელჩის გამოგზავნილი წერილი, რომელიც გვაფრთხილებდა, რომ, შესაძლოა, საქართველოს საზღვაო სექტორი შავ სიაში შეიყვანონ. მომდევნო წერილი 1 აპრილს მივიღეთ. დღეისათვის ათასობით ადამიანი შეიძლება ლუკმაპურისა და სამსახურის გარეშე დარჩეს. ეს არის ძალიან დიდი დარტყმა შავი ზღვისპირეთის ეკონომიკაზე“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ საზღვაო სექტორში შექმნილი მძიმე ვითარება თანამდებობის პირთა დანაშაულებრივი ქმედების შედეგია.

## საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ რეობს). ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველომ ამის სანაცვლოდ კონფლიქტის რეგიონებთან დაკავშირებული რაიმე რეალური შედეგი მიიღოს (მაგალითად, დევნილების, თუნდაც ერთი ნაწილის, დაბრუნება), რადგან სააკაშვილისთვის პრიორიტეტს როგორც ჩანს, ხელისუფლების შენარჩუნება წარმოადგენს, ეს კი „გადატვირთვის“ პირობებში რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას მოითხოვს, რაც, სავარაუდოდ, სააკაშვილს ლისაბონში ბარაკ ობამამ დაწვრილებით აუხსნა.

თუმცა ნაკლებად მოსალოდნელია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომელმაც ომის წარმოებას თავი ვერ მოაბა, სამშვიდობო პროცესი წარმატებულად წარმართოს, დიდი ალბათობით, გონივრული დიპლომატიური თამაშის ნაცვლად, ჩვენ ვიხილავთ თავქუდმოგლეჯილ უკანდახევას, სრულ კაპიტულაციას, რომლის ერთადერთი მიზანი კონკრეტული ჯგუფისთვის ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივება იქნება.

ისე, როდესაც 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მამორუ სიგემიცუ ლინკორ „მისურის“ ბორტზე მიუახლოვდა მაგიდას, რათა კაპიტულაციის აქტისთვის ხელი მოეწერა, მან ეს პირველ ცდაზე ვერ მოახერხა, რადგან მის კალამში მელანი დაშრა, გეგონება კალამშიც ბობოქრობდა სამურაის სული, რომელიც დანებებას მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა; გრიგოლ ვაშაძის კალამში მელანი ნამდვილად არ დაშრება.

### ყველა მინუს ვაშინგტონი

დღეს თეთრ სახლს არ სჭირდება სააკაშვილი, რომელიც კრემლთან მწვავე კონფრონტაციის რეჟიმში იმყოფება, თუმცა ამასთანავე, არ სჭირდება სააკაშვილი, რომელიც ხელის ერთი მოსმით ჩააბარებს ყველა იმ პოზიციას საქართველოში, რომელთა გაკონტროლებისთვის ვაშინგტონმა ამხელა შრომა გასწია.

„ბეწვის ხიდზე“ ბალანსირების ეს მომენტი, როგორც ჩანს, მოსკოვში იგრძნეს; რუსულ მედიაში რამდენიმე უაღრესად საინტერესო მესიჯი გაჟღერდა. **„ბოლო ორი თვის განმავლობაში ურთიერთობა მქონდა რიგ ამერიკელ დიპლომატებთან, რომლებიც ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის გარიგების შესაძლებლობაზე საუბრობდნენ. — განუცხადა ინტერნეტ-გამოცემა „GZT.RU“-ს პოლიტოლოგმა ვლადიმირ ზახაროვმა, — ამ მონაცემების თანახმად, გარიგება იმაში მდგომარეობდა, რომ აშშ დახმარებას აღმოაჩენდა საქართველოში ხელისუფლებიდან მიხეილ სააკაშვილის ჩამოშორების საქმეში, ხოლო რუსეთს ამაზე დამოუკიდებელ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე უარის თქმით უნდა ეპასუხა“.** ამავე პუბლიკაციაში მოყვანილია ფრაზა „ექსპერტები თვლიან, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მზად არის სააკაშვილის ჩამოშორებაზე ისაუბროს“, რომლის წყაროდ მითითებულია სახელმწიფო რადიო „Голос России“ (ასეთი რამ შემთხვევით ძალზე იშვიათად ხდება).

შემდეგ ზახაროვი საუბრობს, რომ გარიგება ჩაიშალა იმის გამო, რომ აფხაზეთის ხელისუფლება დღევანდელ სტატუსზე უარს არ იტყოდა, ხოლო მოსკოვი მის დაყოლიებას თითქოსდა ვერ შეძლებდა. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ კრემლის შესაძლებლობები, სოხუმზე გავლენა მოახდინოს, ესოდენ მოკრძალებულია; როდესაც ვლადიმერ პუტინი (ევგენი პრიმაკოვის დაბადების დღეზე, აგრეთვე, სადისკუსიო კლუბ „ვალდაის“ წევრებთან შეხვედრაზე) მიანიშნებდა, რომ ქართველებმა, აფახაზებმა და ოსებმა მომავალში შეიძლება შეთანხმებას მიაღწიონ და კვლავ ერთ სახელმწიფოში იცხოვრონ, ის, ალბათ, ამ შესაძლო დაბრკოლებასაც ითვალისწინებდა.

**თუ გარიგების შემოთავაზებას ადგილი მართლაც ჰქონდა, მისი ჩაშლის (მიხეილ სააკაშვილს შეუძლია დაჯდეს და ნერვულად იმკითხაოს თემაზე „ჩაიშალა-არ ჩაიშალა“) მიზეზი, სავარაუდოდ, სხვაგვარია. მოსკოვი არ აპირებს პოსტსაბჭოთა სივრცეში ვაშინგტონის მიერ შემოთავაზებული სცენარების მიხედვით იმოქმედოს და მას არბიტრის სტატუსი მიანიჭოს (აქ საუბარი მიდგომის პრინციპზეა), მითუმეტეს, რომ აშშ დღეს ნამდვილად აღარ იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ ევრაზიის შუაგულში თამაშის წესები განსაზღვროს.**

„დრო, როდესაც აშშ-ს შეეძლო უდავო სამხედრო და ეკონომიკური ძლიერების მქონე ზესახელმწიფოს სტატუსზე პრეტენზია ჰქონოდა, დასრულდა“, — ეს განცხადება გასულ კვირას არა რომელიმე ნაგიჟარმა რევოლუციონერმა, არამედ ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილმა ხელმძღვანელმა პოლ ვოლკერმა გააკეთა, ადამიანებმა ხსენებული სტრუქტურიდან კი ძალიან კარგად იციან, რა არის ძალაუფლება და როგორია მისი ფასი.

ზოგადი მდგომარეობა მსოფლიოში კი გასულ კვირას ყველაზე ადეკვატურად, ალბათ, ლონდონში „ჩეთემ ჰაუსში“ გამოსვლის დროს თურქეთის პრეზიდენტმა აბდულაჰ გიულმა აღწერა: **„დასავლეთის წონა ძალთა საერთაშორისო ბალანსში თანდათან მცირდება. აღმავლობის გზაზე მდგარი ქვეყნებს, ისეთებს, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობების სიმძიმის ცენტრი აზიისკენ და აღმოსავლეთისკენ გადააქვთ“.**

ამ ვითარებაში რუსეთი პოსტსაბჭოთა სივრცეში დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს, რომელიც ვაშინგტონთან თანასწორუფლებიან პარტნიორობას ან მისთვის არბიტრის როლის მინიჭებას არ ითვალისწინებს. მოსკოვის გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში იზრდება, ხოლო ინტეგრაციული პროცესები მასში სულ უფრო დინამიური ხდება, მხოლოდ გასული კვირის განმავლობაში რუსეთის, ყაზახეთისა და ბელარუსის დელეგაციებმა განიხილეს ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნაზე (საბაჟო კავშირის ფორმირების მომდევნო ნაბიჯია) ორიენტირებული შეთანხმებების პაკეტი, ხოლო ამ ქვეყნების გენერალური შტაბების უფროსებმა აზერბაიჯანელ, სომეხ, ყირგიზ, ტაჯიკ, თურქმენ და, რაც მთავარია, უკრაინელ კოლეგებთან ერთად ხელი მოაწერეს შეთანხმებების პაკეტს, რომელიც დსთ-ს ქვეყნების შეიარაღებული ძალების კავშირისა და ავტომატიზაციის ერთიანი სისტემის შექმნასა და მათ შორის ინტეგრაციის გაღრმავებას ითვალისწინებს. საერთოდ, რუსეთისა და უკრაინის შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებს შორის ზედმეტი ხმაურის გარეშე სწრაფი დაახლოება მიმდინარეობს. ცხადია, მათი პოტენციალის გაერთიანება მნიშვნელოვნად გაზრდის „აღმოსავლეთის ბლოკის“ სამხედრო ძლიერებას (ეს ბლოკი დღეს არ არსებობს, თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, მალე შეიქმნება კიდეც). მოლდოვაში კი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი ნარიშკინი არჩევნებში გამარჯვებულ კომუნისტებსა და დემოკრატებს შორის მმართველი კოალიციის გაფორმების ცერემონიალს დაესწრო, რომლის ჩამოყალიბებაში, დაუდასტურებელი ინფორმაციით, განმსაზღვრელი როლი შეასრულა. ყოველივე ეს მხოლოდ გასულ კვირაში მოხდა.

### მებიუსის ლენტი გაღვდილ ხელში

**პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ ტენდენციებს თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსკოვი ვაშინგტონთან მხოლოდ კონკრეტულ ტაქტიკურ საკითხებში (მაგ.; მასშტაბური, ყველასთვის საზიანო დესტაბილიზაციის არდაშვება) ითანამშრომლებს, ხოლო თბილისთან ურთიერთობის გრძელვადიან დარეგულირებას მისი მონაწილეობის გარეშე, საკუთარი ხედვიდან გამომდინარე მოახდენს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვაშინგტონმა ამაში ხელი აქტიურად შეუშალოს, შესაბამისად, სულ მალე კრემლთან პირისპირ საუბარი მოგვიწევს.**

„მინდა, მეგობრობის ხელი გავუწოდო რუსეთს და დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს მეგობრობა განვითარდეს. წინ დიდი სირთულეები გველის, მაგრამ ჩვენ ერთად უნდა დავდგეთ, გავერთიანდეთ და დავძლიოთ არსებული პრობლემები“, — ეს სიტყვები მიხეილ სააკაშვილმა 2004 წლის 25 იანვარს ინაუგურაციის დღეს თქვა. „მიხეილ სააკაშვილი მოსკოვს ხელს უწვდის“, — მიხეილ სააკაშვილთან ინტერვიუ ამ სათაურით „Le Figaro-მ 2010 წლის 23 ნოემბერს გამოაქვეყნა. ხელის გაწოდების სურვილის დაფიქსირებიდან მისი გაწოდების მცდელობამდე 7 წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში ასობით ადამიანი დაიღუპა, ათასობით სახლი დაიწვა, ათი ათასობით დევნილმა მშობლიური კერა დატოვა, მიხეილ სააკაშვილი კი ისევ იმ საწყის წერტილს დაუბრუნდა, საიდანაც მთელი ამ უბედურების ათვლა დაიწყო და ახლა ისევ რუსეთისთვის ხელის გაწოდებას აპირებს; საინტერესოა, რა არის ეს — მებიუსის ლენტი თუ ჩაკეტილი წრე?

თუ ამ პერიოდში მიღებულ გამოცდილებას შევაჯამებთ, ალბათ, შემდეგი რამ გამოგვივა: **ა) საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების უზრუნველყოფა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია; ბ) ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან გამორიცხულია, თუ საქართველო მისი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის მოკავშირე გახდება. სავარაუდოდ, სწორედ ეს პრონციპები უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მომავალმა ხელისუფლებამ იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ მებიუსის ლენტზე გავლილი გზა არ გაიმეოროს.**

**დიმიტრი მონიავა**

## გაჟღერებული



**სოსო შატბერაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი:**

ნულოვანი ტოლერანტობა უნდა გამოვუცხადოთ სააკაშვილს და მის ბანდას, რომელთაც უნდათ, საქართველო ძირძველი მოსახლეობისაგან დაცალონ. საყოველთაო დაუმორჩილებლობა გამოცხადებული იქნება იმ წუთასვე, როდესაც ერთიანი ქვითარი ამოქმედდება. თუ ლეიბორისტული პარტია ხალხს გამოიყვანს, საქმეს ბოლომდე მიიყვანს! ჩვენი აქციები ყოველთვის წარმატებით სრულდებოდა და არც ამჯერად ვუღალატებთ ტრადიციას!

*„ასავალ-დასავალი“*



**ზაზა ხატიაშვილი,**
**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე:**

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელსაც ყველაზე ანტიდემოკრატიული ხელისუფლება ჰყავს; ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომლის სახალხო დამცველი რეალურად სახალხო დამსჯელის ფუნქციას ასრულებს; ჩვენ ვცხოვრობთ დამნაშავე, კრიმინალური ხელისუფლების მიერ უზურპირებულ ქვეყანაში, და ამ ქვეყანაში ადრე თუ გვიან თავად ხელისუფლება დაჯდება დამნაშავის სკამზე!

*„ასავალ-დასავალი“*



**გია ხუხაშვილი,**
**ექსპერტი:**

დაიწყო პროცესი სკოლებში არა პედაგოგების, არამედ კომისრების დანიშვნისა. თავად შაშკინიც გამონათქვამებით, საქციელითა და პრიორიტეტებით უფრო განათლების სახალხო კომისარს გვაგონებს, ვიდრე XXI საუკუნის განათლების მინისტრს, რომლის ძალისხმევა სწორედ რომ განათლების სისტემის რეფორმისკენ უნდა იყოს მიმართული და არა დისციპლინარული საკითხების განხილვისკენ.

*„კვირის პალიტრა“*



**კობა დავითაშვილი,**
**„სახალხო პარტიის“ ლიდერი:**

საგადასახადოში ამბობენ, რომ მცირე მეწარმეებს დედა უნდა ვუტიროთო და ამიტომაც არის განახევრებული ბაზრობები. მიდის მცირე მეწარმეების ლიკვიდაცია, როგორც კი დამთავრდება ბაზრობების ეპოქა, რაც ზოგიერთისთვის არაცივილიზებულობასთან არის დაკავშირებული, აი, მერე ნახავთ, საკუთარ ბიუჯეტზე ეს ყველაფერი როგორ აისახება. ფასები კიდევ კატასტროფულად გაიზრდება!

*„კვირის ქრონიკა“*



**ირინა სარიშვილი,**
**პარტია „იმედის“ თავმჯდომარე:**

რამდენიმე თვეში, რამდენიმე წელიწადში და ასი წლის მერე სააკაშვილის ხელისუფლება უჩვენოდაც აღარ იქნება ხელისუფლებაში.

*„ახალი თაობა“*



**კახა შარტავა,**
**„ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ხელისუფლება ნამდვილად ცდილობს, საზოგადოება გამოიწვიოს და მისი მოთმინება გამოსცადოს. ამით სურს, საბოლოოდ გატეხოს წელში სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ჩანასახში არსებობს. ხელისუფლება შეეცდება, კიდევ უფრო გაამკაცროს რეჟიმი და დააწესოს კონტროლი ყველაფერზე. არ გამოვრიცხავ, კვლავაც მოაწყოს ტერაქტები, რაც ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, კიდევ უფრო შეზღუდოს ადამიანის უფლებები და გააძლიეროს პოლიციური რეჟიმი.

*„ყველა სიახლე“*



**ირაკლი მენაღარიშვილი,**
**ექსპერტი:**

რუსეთში ვითარების შესწავლისა და ანალიზის თვალსაზრისით, ჩვენი საქმიანობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ რაც კეთდება, არასაკმარისია საიმისოდ, რომ პოლიტიკურმა კლასმა შეძლოს რუსეთში არსებული ობიექტური სურათის დანახვა და აქედან გამომდინარე ჩვენი ქვეყნისთვის ეფექტური სტრატეგიის შემუშავება. მოსკოვში გამართულმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ კრიტიკული შეფასება არასაკმარისია და ჭეშმარიტებისგან შორსაა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მოკლედ

### დავალიანება სხვას გადაეწერება

**საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერასთან ერთად, შესაძლოა, კანონში მისი სხვისთვის გადაწერის ნორმებიც დაწესდეს.** საგადასახადო დავალიანებებისა და სესხების რესტრუქტურიზაციის პრინციპი „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტით იცვლება. ჩნდება ცნება ვალის სხვისთვის გადაწერის შესახებ. პრინციპთან დაკავშირებით ცვლილება კანონის პრეამბულაში შედის და დავალიანებების და სესხების პატიებას ემატება „უიმედო აღიარებისა და ჩამოწერის, მესამე პირისთვის გადაკისრების, დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისთვის გარკვეული დისკონტით დათმობა“.

### ჯონ ტეფტი სააკაშვილის შიშებზე წერდა

**გაზეთი „მონდი“ „ვიკილიკსის“ მასალებზე დაყრდნობით პრეზიდენტ სააკაშვილის შიშებისადმი საქართველოში ამერიკის ყოფილი ელჩის ჯონ ტეფტის დამოკიდებულების შესახებ იუწყება.** ტეფტის შეფასებით, ძლიერი ოპოზიციის არარსებობის პირობებში, პრეზიდენტი სააკაშვილი პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერი გახდა, მაგრამ — უფრო მოწყალეც, რაც მისი შიშებით აიხსნება. „მას თრგუნავს იმის შიში, რომ ოკუპირებული ტერიტორიების სამუდამოდ დაკარგვის გამო მას ისტორია გაასამართლებს. გარდა ამისა, ის საუბრობს თავის ეჭვებზე, ხომ არ არის ჩვენი პარტნიორობა მოსკოვთან აშშ-ის ინტერესების კიდევ უფრო ღრმა ცვლილების ნიშანი“.

### ბაგა-ბაღებიც ფასიანი ხდება

**ლეიბორისტული პარტია თბილისის ბაგა-ბაღებში გადასახადების შესაძლო შემოღებას აპროტესტებს. როგორც პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და თბილისის მერ გიგი უგულავას ინიციატივით, ბაგა-ბაღები ფასიანი ხდება.** ჯიბლაძის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ერთ ბავშვზე გადასახადი, სავარაუდოდ, 50-დან 80-მდე ლარის ფარგლებში დაწესდება. მისივე განცხადებით, ეს ინიციატივა მიზნად ბაღებში ბავშვების რაოდენობის შემცირებას ისახავს, რათა შემდეგ ბაგა-ბაღების გარკვეული რაოდენობა გაუქმდეს და სახელმწიფო ჩინოვნიკებს მათი პრივატიზების შესაძლებლობა მიეცეთ. ლეიბორისტები მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს პროტესტის გამოხატვისკენ მოუწოდებენ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# სააკაშვილის ბიზნესტერორის შედეგი: გაქცეული ინვესტორები და დაქცეული ეკონომიკა

**ყველა სერიოზული ანალიტიკოსისთვის დღესავით ნათელია, რომ სააკაშვილის საგარეო პოლიტიკამ, ანუ იმან, რასაც ის ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღიდან აწარმოებს, სრული და აბსოლუტური კრახი განიცადა — არავითარი გაწევრება ნატოსა და ევროკავშირში, არანაირი ამერიკული ფართო მხარდაჭერა (მიუხედავად იმისა, თუ რას ამბობენ მისი ე.წ. პოლიტიკოსები და მათი ჯიბის ექსპერტები) და, რაც მთავარია, არავითარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არც თუ ისე ახლო მომავალში, ყოველ შემთხვევაში მანამდე, ვიდრე სააკაშვილი ხელისუფლებაშია.**



ეს საკმაოდ კარგად გამოჩნდა ლისაბონის და, განსაკუთრებით, ასტანის სამიტზე, სადაც სააკაშვილმა ბოლოჯერ გაიბრძოლა თავისი საგარეო პოლიტიკის გადასარჩენად. საბოლოო დეკლარაციაში კი, ლისაბონისგან განსხვავებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ დაფიქსირებულა. მაგრამ, **რაც მთავარია, ობამა „ვიკილიკსის“ სკანდალის გამო აღარ ჩავიდა ასტანაში, ხოლო მედვედევი ჩავიდა და ცოტა ხანში დატოვა იქაურობა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა უმაღლესი დონის სამიტი მიმდინარეობდა ამ ორგანიზაციის ორი პირველი პირის გარეშე,** ბოლოს კი რუსეთის დელეგაციამ საკმაოდ ბუნდოვან საბოლოო დეკლარაციას ხელი არ მოაწერა, ისევე, როგორც უზბეკეთმა. არადა, ეუთოში ყველაფერი კონსენსუსით წყდება და ამიტომ ამ დეკლარაციას, რომელიც ჰელსინკის საბოლოო აქტის ძირითად პრინციპებს ითვალისწინებს, იურიდიული ძალა არ შეიძლება ჰქონდეს. და **ეს პირველი სამიტია ამ 7 უმაღლესი დონის უმნიშვნელოვანესი სამიტების ისტორიაში, სადაც არ მიიღეს რამე ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი.** ჰელსინკის დეკლარაცია კი 21-ე საუკუნის ახალი გამოწვევების ფონზე ზოგიერთ ნაწილში მოძველებული ჩანს, თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს და მსოფლიოში დღეს სრულიად ახალი რეალობაა.

**ამ საიუბილეო უმაღლესი დონის სამიტის ჩავარდნაში, რომლისგანაც ასე ბევრს მოელოდნენ, გარკვეული როლი ითამაშა მიხეილ სააკაშვილმაც. მან თავისდა საუბედუროდ მოინდომა ცხონებული ლეხ კაჩინსკის კოსტუმი მოერგო – როგორც ცნობილია, კაჩინსკი ევროკავშირის ყველა მშვიდობიან ინიციატივას ტორპედირებას უკეთებდა, მტკიცედ იცავდა ყოფილი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშისა და ნეოკონსერვატორების ზედმიწევნით აგრესიულ კურსს და აღიზიანებდა ევროპელ ლიდერებს. მაგრამ ამავე დროს ყველა ისინი დიდ პატივს სცემდნენ და სცემენ ისეთ სერიოზულ სახელმწიფოს, როგორც პოლონეთია. ხოლო საქართველო არშემდგარი სახელმწიფოების რიცხვშია და სააკაშვილიც მთელი მსოფლიოს თვალში გაუწონასწორებელი ადამიანია** (ამას რბილად ვამბობ). **ასე რომ, სააკაშვილის უახლოესი მომავალი არავის არ შეშურდება.**

განსაკუთრებით საშიშ მდგომარეობაში ვართ ჩვენ, ვინაიდან რუსეთი სააკაშვილის აგვისტოს ავანტიურის შემდეგ ამჯერად ასტანაში იზოლაციაში მოექცა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სტამბულში ბოლო სამიტზე ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტის, ბილ კლინტონის ძალისხმევით მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე, რაც შესრულდა კიდეც. ხოლო **სააკაშვილის ავანტიურის შედეგი აღმოჩნდა რუსეთის მიერ წინა სამიტის გადაწყვეტილების დარღვევა და საქართველოს ტერიტორიაზე ახალი, გაცილებით დიდი და თანამედროვე რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობა.**

ამიტომაც ის ფორმალურად მაინც კრიტიკის ობიექტი აღმოჩნდა, რათა ეუთოს თავისი სახე შეენარჩუნებია. არადა, მედვედევი ამას, ცხადია, ვერ მოითმენდა იმ ფონზე, რომ ათი დღით ადრე ლისაბონში ნატოს სამიტზე იმავე ლიდერებმა ის ლამის ხელის გულზე ატარეს.

აი ეს არის მთავარი – თუ ევროპასა და ამერიკასთან დაახლოებული რუსეთი თამაშის წესებს ასე თუ ისე იცავდა, იზოლაციაში მყოფი რუსეთი ყველაფერზეა წამსვლელი! განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სააკაშვილი სისტემატურად ქილიკობს, რომ რუსეთმა მაშინ, აგვისტოში, თავისას ვერ მიაღწია და მისი ხელისუფლება ვერ შეცვალა. **სინამდვილეში რუსეთს არც სჭირდებოდა სააკაშვილის შეცვლა, ვინაიდან სწორედ ის აკეთებდა ყველაფერს რუსეთისთვის და მთელი ეკონომიკა მას გადასცა. მაგრამ ასტანაში გამოჩნდა, რომ რუსეთმა დაწყებული საქმე ან ბოლომდე უნდა მიიყვანოს, ან ოკუპირებული ტერიტორიები დატოვოს.** ცხადია, ამ უკანასკნელს ვერ გააკეთებს, ვინაიდან დიდი ფული ჩადო ბაზების მშენებლობაში შავი ზღვის ჩრდილოეთის გასაკონტროლებლად. თანაც ამ შემთხვევაში მისი პრესტიჟი მსოფლიო არენაზე საგრძნობლად დაეცემა, რუსი ხალხის თვალში კი ეს პუტინ-მედვედევის ხელისუფლება იმპოტენტად გამოჩნდება და ამას შეიძლება გადატრიალება ან რევოლუციაც კი მოჰყვეს. ამიტომ **დღევანდელი საქართველოს შემყურე რუსეთს მხოლოდ ერთი გზა აქვს დარჩენილი – 2008 წელს დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს და ჩვენ ახალი ტრაგედია დაგვიტრიალოს სრულმასშტაბიანი ომის სახით.**

## ასტანაში გამოჩნდა, რომ რუსეთმა დაწყებული საქმე ან ბოლომდე უნდა მიიყვანოს, ან ოკუპირებული ტერიტორიები დატოვოს

ამაში კი, უპირველეს ყოვლისა, სააკაშვილის გრძელი ენა და ავანტიურიზმი იქნება დამნაშავე!

ასტანაში შედგა ხანმოკლე შეხვედრა ჰილარი კლინტონსა და სააკაშვილს შორის, მაგრამ დეტალები უცნობია. ვინაიდან სააკაშვილისგან სულ გვესმის ფრაზა, რომ მას რეფორმებს უწონებენ. გავაანალიზოთ ეს ფრაზა — ყველამ იცის, რომ ქვეყანაში არავითარი პოლიტიკურ რეფორმა არ ტარდება, პირიქით — პროცესი სულ უკან-უკან მიდის. მიუხედავად იმისა, თითქოს უკან წასასვლელი აღარ დარჩა. **განათლებაში, სოციალურ სფეროსა და ჯანდაცვაში რეფორმები კონტრპროდუქტიულია და ქვეყანა სრულ კატასტროფამდე მიჰყავს, ვინაიდან ისინი მიმართულია მოსახლეობის უკიდურესი გაღატაკებისკენ და მომავალი თაობის გაუნათლებელ მონებად აღზრდისკენ.** რჩება ერთადერთი სფერო, სადაც სააკაშვილი ამ ბოლო ხანებში თავს იწონებს, ესაა ბიზნესის დაწყების გამარტივება. როგორც ჩანს, ეს იმათ ურჩიეს, ვისაც მოვალეა, რომ მოუსმინოს სააკაშვილმა, რათა სხვა სფეროებში არარსებულ წარმატებებზე ტრაბახისთვის თავი დაენებებინა და მიეხედა სწორედ ბიზნეს გარემოსთვის, მის მიერ მიწასთან გასწორებული ქართული ეკონომიკა რამენაირად ცოტათი მაინც ფეხზე რომ წამოეყენებინა.

**ვინაიდან ბიზნესის დაწყება საქართველოში, როგორც ამას მსოფლიო ბანკი გვიმტკიცებს, ძალიან ადვილია, მთავარი მაინც ისაა, რომ მისი შენარჩუნება დამწყები ბიზნესმენებისთვის, უმეტეს შემთხვევაში, პრაქტიკულად, შეუძლებელია, საგადასახადო სამსახურების მხრიდან ტერორის გამო. არადა, ეს ტერორი პარლამენტმა სწორედ სააკაშვილის მითითებით დააკანონა. განსაკუთრებით კი ეს მცირე ბიზნესს ეხება, თუმცა ბიზნესის არც ერთი სფერო ამ ტერორისგან დაცული არ არის.**

ამ დღეებში საბაჟო ტერმინალზე თავისი ახალი პროექტის წარდგენისას სააკაშვილმა თქვა, რომ საგადასახადო ინსპექტორები ძველ გაიშნიკებს, ანუ ავტოინსპექტორებს არ უნდა ჰგავდნენ, რომლებიც ბუჩქებში დამალული მსხვერპლს ელოდნენ. ეს მხოლოდ ნახევარსიმართლეა – **საგადასახადო ინსპექტორები, ავტოინსპექტორებისგან განსხვავებით, უფროსების დავალებით არა მარტო ჩასაფრებულები არიან, არამედ სისტემატურად უწყობენ პროვოკაციებს მცირე მეწარმეებს.** მართალია, მათგან ბევრს ვერაფერს ამოიღებ, მაგრამ საქმე ისაა, რომ მსხვილი და საშუალო ბიზნესი, დიდი ხანია, გატყავებულია. თანაც მსხვილი ბიზნესმენები მმართველი გუნდის „კრიშის“ გარეშე უმალვე გაკოტრდებოდნენ. ამიტომ დაშინებულები არიან, იმათ გარდა, ვინც საქართველოდან გაიქცა. ამიტომ სააკაშვილმა საბაჟო ტერმინალზე შვიდი წლის დაგვიანებით გამოაცხადა ამ სიტუაციის შესაძლო შეცვლის შესახებ. მე კი აქ ერთ კონკრეტულ და მნიშვნელოვან პროცესზე მოვყვები, **სწორედ ამ სფეროში თუ როგორ ჩააგდო მან თავისი ამერიკელი ბატონების მიერ დაფინანსებული და ქვეყ-** ▶

## მოკლედ

### პრეზიდენტის აღსარება

**პრეზიდენტმა სააკაშვილმა ორიოდე დღის წინათ აღმოაჩინა, რომ „სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის ურთიერთობებში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ხარვეზია“.** მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის ტერორზე ლაპარაკითაც კი ყველა დაიღალა, სააკაშვილმა განაცხადა, რომ „ჯერ კიდევ ძალიან ბევრ მეწარმეს აქვს განცდა, რომ მას სახელმწიფო სათანადოდ არ უსმენს და უსამართლოდ ექცევა. ასევე ხშირია შემთხვევა, როდესაც სასჯელი გაცილებით დიდია, ვიდრე ამას არსებული დარღვევა გულისხმობს... ამის გამო უამრავ საქმიან ადამიანს სტაბილურობის შეგრძნება აქვს დაკარგული და ბიზნესის რისკებს თავს არიდებს. შესაბამისად, ბიზნესის გაფართოებაში ახალი კაპიტალის ინვესტირებას არ ახდენს და ახალ სამუშაო ადგილებს არ ქმნის“.

### მეწარმეები გადაგვარჩენენ

**საქართველოს მომავალი მეწარმეების, მცირე და საშუალო ბიზნესმენების, ასევე საქმიანი ადამიანების მხრებზე დგას. იმისათვის, რომ ხალხი უკეთესად ცხოვრობდეს და გაჭირვებაც ნაკლები იყოს, მეწარმის სულისკვეთება უნდა ამაღლდეს და ბევრი სამუშაო ადგილი შეიქმნას.** ამ გულისამაჩუყებელი განცხადებების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ლამის მთელი ტვირთი ისედაც სულთმობრძავ მეწარმეებს გადაულოცა და განაცხადა: „ჩვენი ხალხისთვის მნიშვნელოვანია, რომ მეწარმე თავს კომფორტულად გრძნობდეს და მის ირგვლივ სამართლიანი გარემო იყოს შექმნილი. მხოლოდ ასეთი მეწარმე შეძლებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, გაჭირვებულების დახმარებასა და მსოფლიოში საქართველოს დამკვიდრებას“.

### ალასანია 15 მილიონს მოითხოვს

**„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისთვის დახმარების მიზნით 15 მილიონი ლარის გამოყოფას მოითხოვს.** „მიხეილ სააკაშვილის უპასუხისმგებლო პოლიტიკის შედეგად, ათეულობით ქართული სოფელი დაცლის პირასაა. ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებული სოფლების მცხოვრებლებზე პასუხისმგებლობა მოიხსნა და ისინი ომისდროინდელ ვითარებაში ჩატოვა“, — განაცხადა ალასანიამ. 2011 წლის ბიუჯეტში კონფლიქტის ზონის სოფლების მცხოვრებთა დახმარება კონკრეტულად გაწერილი არ არის. „თავისუფალი დემოკრატები“ ითხოვენ, საქართველოს პრეზიდენტმა და მთავრობამ 15 მილიონი ლარი სარეზერვო ფონდიდან გამოყონ.

### ვინ ატყავებს მეწარმეებს?

**ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის — გიორგი გუგავას განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს.** ამჯერად საუბარია სააკაშვილის იმ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც დროა, მეწარმესა და სახელმწიფოს შორის პარტნიორული ურთიერთობა დამყარდეს. „სააკაშვილი ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. თუ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ვიმჯელებთ, ნათელია, რომ საქართველოში მეწარმეებზე ცოცხალი ნადირობაა გამოცხადებული. მიუხედავად პრეზიდენტის მშვიდი საუბრისა, იმის შესახებ, რომ სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის პარტნიორული ურთიერთობა დამყარდეს, პირიქით ხდება — მთავრობა მეწარმეებს ატყავებს“, — განაცხადა გუგავამ.

## საქართველო

**გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net**

◀ **ნისთვის სრულიად აუცილებელი დიდი და მნიშვნელოვანი პროექტი და რომ (არა მარტო) ამის გამო ეკონომიკის განადგურება სწორედ პერსონალურად მისი ბრალია მის ამფსონებთან ერთად.**

სააკაშვილის მიერ საბაჟო ტერმინალზე გახმიანებულ პროექტს ერთი ყველაზე მთავარი კომპონენტი აკლია: ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ბიზნესს სახელმწიფოს ძალადობისგან იცავს დამოუკიდებელი კომერციული არბიტრაჟი. ხოლო **სააკაშვილის მიერ ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტის დაფუძნებაზე ლაპარაკი ამ პირობებში მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის თვალში ნაცრის შეყრაა,** ვინაიდან ომბუდსმენის ინსტიტუტს იურიდიული ძალა არ გააჩნია და ის ბიზნესმენების მხოლოდ ადვოკატი შეიძლება იყოს, სისტემა კი იგივე რჩება.

სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყანაში ისეთი დამოუკიდებელი არბიტრაჟის შექმნას, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოო იქნებოდა და მას ვერავინ გაასაჩივრებდა, მთელი ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი USAID-მა. აღსანიშნავია, რომ საქართველო მიერთებულია არბიტრაჟის შესახებ საერთაშორისო კონვეციას და მის მიხედვით საქართველო ვალდებულია, აღასრულოს დამოუკიდებელი არბიტრაჟის ყველა ვერდიქტი და ისინი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ჩვენ, საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან (რომლის პირველი ვიცე-პრეზიდენტიც ვიყავი) შევქმენით დამოუკიდებელი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი და ის პარიზში, მსოფლიო ბიზნეს ორგანიზაციაში (ICCG) დავარეგისტრირეთ. ამის შემდეგ ვიყავი სააკაშვილთან და მხარდაჭერა ვთხოვე, ვინაიდან 1997 წლის კანონი არბიტრაჟის შესახებ სწორედ მისი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობის დროს იყო მიღებული, თუმცა ის არავითარ თანამედროვე ნორმებს არ პასუხობდა.

**სააკაშვილმა ჟვანიასთან გადამამისამართა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ იურისტი არ იყო, ადვილად გაერკვა ქვეყნისთვის ამის მნიშვნელობაში. ხოლო შემდეგ, დეკემბერში, თავის მკვლელობამდე ერთი თვით ადრე, ჟვანიამ „შერატონში" შეკრებილ ბიზნეს ელიტას მიმართა თხოვნით, მხარი დაეჭირათ ახალი საგადასახადო კოდექსისთვის, რომელიც სასტიკ და სამართლიან წინააღმდეგობას იწვევდა. სამაგიეროდ, მათ შეჰპირდა, რომ ისინი სრულიად დაცულნი იქნებოდნენ, ვინაიდან მათ ახალი ინსტიტუტი – დამოუკიდებელი კომერციული არბიტრაჟი დაიცავდა. სააკაშვილიც, სხვათა შორის, იქ იჯდა და სიტყვის გატეხა სწორედ მის კისერზეა, და არა ცხონებული ჟვანიასი, რომელიც, მე მგონი, სრულიად გულწრფელი იყო.**

შემდეგ USAID-ს მივაკითხე, ვინაიდან მათ ძალიან დიდი პროექტი ჰქონდათ მზად ამ სფეროს რეფორმისთვის. მათაც, პირველ ყოვლისა, ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე, ცნობილი იურისტი და მე ვაშინგტონში გაგვაგზავნეს ტრეინინგისთვის, რომელიც პირველად მოაწყო ამერიკის არბიტრთა ასოციაციამ. შემდეგ იმავე USAID-მა ტრეინინგების სერია დაიწყო მთელს საქართველოში, რომელთაც ამერიკიდან ჩამოყვანილი წამყვანი იურისტები ატარებდნენ.



# სააკაშვილი მოლა ნასრედინივით ცდილობს ინვესტორებისა და ხალხის მოტყუებას...

იმისათვის, რომ მუშაობა დაგვეწყო, მხოლოდ პირველ წელს ოფისი და ორგტექნიკა გვჭირდებოდა; ამიტომ **USAID-მა დაგვაკვალიანა, რომ ამერიკულ ევრაზიის ფონდს ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში სწორედ ამ სფეროს განვითარებისთვის ჰქონდა გამოყოფილი გარკვეული თანხა. ამ ამერიკულ ფონდს იმ დროისთვის, სხვა ქვეყნების გარდა, თუნდაც რუსეთის 30 ქალაქში, ჰქონდა დაფუძნებული დამოუკიდებელი კომერციული არბიტრაჟი ბიზნესმენების დასაცავად. რუსეთში ბიზნესგარემოს დაცვა რომ ცოტა არ იყოს უიმედო საქმეა, ყველასთვის გასაგებია. მაგრამ იქ საერთაშორისო ბიზნეს სტანდარტების ფორმალურ მხარეზე მაინც არ უთქვამთ უარი. საქართველოში კი ცივილიზირებულობის ფორმალურ მხარეზეც კი უარი ითქვა!**

ჩვენ ევრაზიის ფონდს ყველა ფორმალობის დაცვით იურისტ-ექსპერტების მიერ დადებითად შეფასებული გამართული პროექტი წარვუდგინეთ. მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ ამ ფონდს ცნობილი სანტექნიკოსი ლომაია ხელმძღვანელობდა?! ის, ცხადია, პროექტს არც წაიკითხავდა და ვერც ვერაფერს გაიგებდა, მხოლოდ უფროსებისგან ინსტრუქციებს დაელოდებოდა. და მან პროექტი ჩააგდო კიდეც, თუმცა თავისი ამერიკელი ბატონებისთვის ახსნა ვერ იპოვა. საბედნიეროდ, შეგვიფარა და გამართული ოფისი მოგვცა გოგი თოფაძემ.

მალე დიდი სკანდალი აგორდა — მეორე, ადგილობრივმა არბიტრაჟმა განიხილა თელასის საქმე, თუ სულ ტყუილად როგორ სძალავდა მას საგადასახადო ათ მილიონს, და თელასის სარჩელი დააკმაყოფილა. ამაზე **პარლამენტში ისტერიკები ატყდა და გიგა ბოკერიამ, თავისი საბჭოთა მენტალიტეტიდან გამომდინარე, პარლამენტის ტრიბუნიდან გამაოგნებელი განცხადება გააკეთა: არც მეტი, არც ნაკლები, თურმე ბიზნესმენები სახელმწიფოს მტრები ყოფილან, ხოლო დამოუკიდებელი არბიტრაჟის წევრები – ოპოზიციონერები და მოითხოვა დამოუკიდებელი კომერციული არბიტრაჟის გაუქმება!** საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ბიზნესმენებს აღარ აქვთ უფლება, საგადასახადოს წინააღმდეგ შეიტანონ სარჩელი (თუნდაც ელემენტალურ ძარცვას ჰქონდეს ადგილი სახელმწიფოს მხრიდან!) და ასე დააკნინეს არბიტრაჟი და მხოლოდ სამეზობლო თუ საბინაო დავების განმხილველად აქციეს. ამით კი დიდი საერთაშორისო კომპანიები საქართველოში სრულიად დაუცველი დატოვეს და, ბუნებრივია, დღეს ასეთები ფეხს ითრევენ საქართველოში ინვესტირებისგან.

**თუ როგორ უყურებს სააკაშვილის რეჟიმი მსოფლიოში ბიზნესმენთა პირველ და მთავარ დამცველს – ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟს, ამის მაგალითად თუნდაც ის გამოდგება, რომ ახლახან საქართველომ საქმე წააგო ისრაელ ბიზნესმენებთან, ხელისუფლებამ კი მათ პროვოკაცია მოუწყო და ბათუმის სასტუმროში დააპატიმრა! და ამის შემდეგ ფიქრობს სააკაშვილი, რომ ქობულეთსა თუ ანაკლიაში ვინმე სერიოზული უცხოელი ბიზნესმენი წამოეგება მის ანკესზე და ფულს დააბანდებს, რათა ამ განწირული ხელისუფლების ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან დიდი მადის მქონე ჩინოვნიკებმა მათი თანხები მიითვისონ?!**

იმ დროისთვის მაგიდაზე ოთხი სქელტანიანი საქმე მედო, რაც გვიჩვენებდა, თუ **როგორ ატერორებენ საგადასახადო ინსპექციები არა მარტო ადგილობრივ, არამედ უცხოურ კომპანიებსაც და თან დიდ ფულს სძალავენ მათ.** მაგრამ რას იზამ! დავემორჩილეთ პარლამეტს, სადაც ბოკერიასნაირი ნეობოლშევიკები ქმნიან ამინდს. მაგრამ, ვინაიდან პარლამენტში ამერიკელების დასამშვიდებლად ითქვა, რომ უნდა მომზადდეს ახალი კანონი დამოუკიდებელი არბიტრაჟის შესახებ, USAID-მა შემოგვთავაზა, ამაზე დაგვეწყო მუშაობა.

მართლაცა, მათ კვლავ ჩამოიყვანეს ამერიკელი პროფესორები და სულ მალე ჩვენ დავდეთ ახალი, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ სინქრონიზაციაში არსებული კანონპროექტი. მასში ბოკერიას ყოველგვარი პროკურორული ბრალდების გარეშე შევიტანეთ ისედაც გასაგები მუხლი, რომ დამოუკიდებელი არბიტრაჟის წევრები არ შეიძლება ყოფილიყვნენ პოლიტიკური პარტიების წევრები. ეს ისედაც ნათელი იყო და ჩვენ არც კი გვეხებოდა — ის, ალბათ, სულ სხვა არბიტრაჟის წევრებს გულისხმობდა, მე კი იმ დროს, ისევე, როგორც ახლა, არც ერთი ოპოზიციური პარტიის წევრი არ ვიყავი. ამ კანონპროექტმა იუსტიციის სამინისტროში გაიარა ექსპერტიზა და ვიზა მიიღო. ასევე, აუცილებელი ვიზები მისცეს ყველა სხვა სამინისტროებმაც და სრულიად გამართული და კარგი დოკუმენტი პარლამენტში შევიდა, სადაც ის კომიტეტებში ჩაიკარგა, ალბათ, კვლავ ბოკერიას მითითებით. **ამერიკელებმა კი ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაში ჩადებული სოლიდური თანხა, გამოდის, სულ ტყუილად გადაყარეს და წარმომიდგენია, რას ფიქრობენ ჩვენზე, განსაკუთრებით კი, სააკაშვილის სისტემატიური ბაქი-ბუქისა და ტრაბახის ფონზე.**

ყველაფერი ეს ასე დეტალურად იმიტომ მოვყევი, რომ გამოჩნდეს, **სააკაშვილი კვლავ რომ ტყუის და სინამდვილეში ყველა ეტაპზე შეგნებულად ხელს უშლის საქართველოში ნორმალური ბიზნეს გარემოს დამკვიდრებას, თუნდაც ის ამერიკელებისგან ყოფილიყო ნაკარნახევი,** რადგან ეს ხელს შეუშლიდა მისი გუნდის კორუფციულ მიზნებს. ხოლო სავლეს პავლედ გარდაქმნის არც მე მჯერა და არც არავის.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავიჯეროთ, რომ, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში ხელმოცარული სააკაშვილის პირობებში საქართველოში შეიძლება ბიზნესის განვითარება? სააკაშვილი, შესაძლოა, უცხოელ (აბა, დღეს რომელი ჭკუათმყოფელი ქართველი წამოეგება ამ პრიმიტიულ ანკესზე) ინვესტორებს ჰპირდება, რომ 15 წლით გაათავისუფლებს მათ საშემოსავლო გადასახადისაგან, თუ ქობულეთში ან ანაკლიაში დააბანდებენ ფულს.

**როგორც ჩანს, ცნობილი სპარსელი მოლა ნასრედინის ანეგდოტი გაუგია: მოლა თავის ცოლს უხსნის, თუ როგორ დასტყუა მან ფადიშაჰს სახედარი, შეჰპირდა რა, ათ წელიწადში მას ლაპარაკს ასწავლიდა. — ათ წელიწადში ან ვირი მოკვდება, ან ფადიშაჰი, ან სულაც მეო! სააკაშვილიც სწორედ იმ მოლასავით ცდილობს ინვესტორებისა და ხალხის მოტყუებას...**

**რამაზ კლიმიაშვილი**



საავტორო სვეტი

# «თბილისის სინდრომი»

**ჩვენი შიდაპოლიტიკური სიტუაციის გადამკიდე, სულ უფრო ხშირად მახსენდება სიუჟეტი, რომელიც არაერთ ჰოლივუდურ ფილმშია გამოყენებული: უზარმაზარი მეგაპოლისის გარეუბანში, ბნელ სარდაფში, მანიაკს თავისი მსხვერპლი ჰყავს გამოკეტილი. მათ სიახლოვეს უამრავი ადამიანი დადის, თუმცა ვერც ერთ მათგანს ვერ წარმოუდგენია, რომ რამდენიმე ათეულ მეტრში არსებობს ტკივილით სავსე მიკრო-სამყარო, სადაც ცხოვრების წესს არაადამიანობა განსაზღვრავს. მსხვერპლი ყველა ხერხის გამოყენებით ცდილობს, მათ ხმა მიაწვდინოს, მაგრამ უშედეგოდ.**

ფილმებში ყოველივე, როგორც წესი, კარგად სრულდება, რადგან მამაცი გმირი ამარცხებს მანიაკს და მის მსხვერპლს ათავისუფლებს, თუმცა რეალურ ცხოვრებაში საქმე ცოტა სხვაგვარადაა. **ქართული საზოგადოება, მრავალი მცდელობის მიუხედავად, მიხვდა, რომ ხმას ვერავის მიაწვდენს და მის საშველად არავინ მოვა. მისთვის, როგორც მსხვერპლისთვის, ხსენებული ფილმებიდან სამყარო ჩაბნელებული სარდაფის ოთხი ნესტიანი კედლით შემოიფარგლა და სასოწარკვეთილი უყურებს, თუ როგორ იქნევს მის ცხვირწინ მანიაკი სამართებელს და იდიოტური ღიმილით სრულ მორჩილებას მოითხოვს.**

ამ შემთხვევაში მსხვერპლს ორად ორი გამოსავალი აქვს — სასიკვდილო საფრთხის მიუხედავად, ეცეს მანიაკს და შეეცადოს, სამართებელი წაართვას ან მის მოთხოვნებს დაემორჩილოს. ჩვენ, როგორც ჩანს, მეორე გზით მივდივართ; მეტიც, საზოგადოებაში საკმაოდ ფართოდ გავრცელდა განწყობები, რომელთაც „სტოკჰოლმის სინდრომის" ფენომენთან მივყავართ. მსხვერპლი იმედოვნებს, რომ ყველა მოთხოვნის უპირობო შესრულება მანიაკის (ტერორისტის, ბოროტმოქმედის თუ ვინც იქნება) აგრესიულობას შეამცირებს და შესაბამისად, მისი უსაფრთხოების ხარისხს გაზრდის. **მეტიც, ის მიიჩნევს, რომ მოძალადის კეთილგანწყობა მისი უსაფრთხოების ერთადერთი გარანტიაა და მტრულად ეკიდება მისი გათავისუფლების მცდელობებს (იქნება ეს პოლიციელების მიერ შენობის შტურმი თუ სხვა მძევლების მცდელობა, ამბოხი მოაწყონ).**

ასეთი მიდგომა გარდაუვალს ხდის შემდეგ ნაბიჯს: მსხვერპლი იწყებს მოძალადის ქცევის გამართლებას და მისი ერთუჯრედიანი იდეოლოგიისა და სადისტური მოტივების მიღმა რაღაც მაღალ იდეალებსა და ადამიანურ ლოგიკას ეძებს. შემდეგ მათ შორის უცნაური კავშირი მყარდება. გათავისუფლების შემდეგ მსხვერპლი ხშირად ყველა ღონეს ხმარობს, რათა მოძალადის ხვედრი შეამსუბუქოს, მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ ფსიქოლოგები დროულ დახმარებას არ აღმოუჩენენ, დარჩენილ ცხოვრებას სხვა მოძალადის ძებნაში გაატარებს და არ დამშვიდდება მანამ, სანამ მას არ იპოვის, რათა კვლავ მორჩილების რეჟიმს დაუბრუნდეს. ჩვენში დარჩეს და, ამ გზას ხომ არ მივუყვებით?

მნიშვნელოვანია, დავაფიქსიროთ სხვაობა აღქმაში, რომელიც მძევლისთვის და გარეთ მყოფი დამკვირვებლისთვის აბსოლუტურად განსხვავებულია. გარედან ჩანს, რომ პოლიციამ შენობას ალყა შემოარტყა და მთელი ეს ისტორია რამდენიმე წუთში დასრულდება, თუმცა მძევალს ეს წუთები საუკუნეებად ეჩვენება, ხოლო მოძალადის ძალაუფლება მასზე აბსოლუტურად მიაჩნია.

**არ ვიცი, რა საჭირო იყო ამდენი ფსიქოლოგია იმ მარტივი ფაქტის კონსტატაციისთვის, რომ შიში ოხერია და საზოგადოების ნაწილი სწორედ ამ შიშის ტყვეობაში მოექცა, თუმცა სხვანაირად ძნელია, ახსნა ის პასიურობა და კომფორმიზმი, რომლებიც ბოლო დროს თვალშისაცემი გახდა. პარადოქსულია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება საკმარისზე მეტ საბაბს იძლევა იმისთვის, რომ საზოგადოებამ აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს, პროტესტი სულ უფრო ჩუმი ხდება და, მაქსიმუმ, სამზარეულოში ან საბნის ქვეშ უკმაყოფილო ბურტყუნის სახეს იძენს, რაც, ცხადია, ვერაფერს შეცვლის.**

**თითოეული ადამიანისთვის ეს პროცესი, რასაკვირველია, ინდივიდუალურია, თუმცა, ზოგადად, ჩვენ სწორედ ახლა ვაკეთებთ საბოლოო არჩევანს ბრძოლასა და „სტოკჰოლმის სინდრომის" მორევში ჩაძირვას შორის, რომლის ადგილობრივი ვარიანტი მომავლის სამეცნიერო კვლევებში, ალბათ, ასევე განსაკუთრებული ფენომენის — „თბილისის სინდრომის" სახელით შევა. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ კვლევების ავტორებს, სავარაუდოდ, ძლიერ გაუჭირდებათ იმის ახსნა, თუ რატომ ვითმენდით ამდენს, რას ველოდებოდით, რის გამო ვდუმდით, როდესაც გვატყავებდნენ, ისე, როგორც ჭკუიდან წამხდარი მანიაკი თავის მსხვერლს ატყავებს.**

**დიმიტრი მონიავა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვასილ ჭიჭინაძე: ოპოზიციამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ყბადაღებული ლოზუნგის ჭეშმარიტებაში – მიშა მაგარია!

**„წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ მიერ 25 ნოემბერს გამართული ორსაათიანი მიტინგისა და ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიპლომატი, საქართველოს ყოფილი დესპანი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ვასილ ჭიჭინაძე.**



**ალექსანდრე ჭაჭიას წიგნში «რამ დაგვღუპა, რა გადაგვარჩენს» მართლაც მათემატიკური და, გნებავთ, სეისმოგრაფიული სიზუსტითაა გაანალიზებული ის მდგომარეობა, რომელშიც დღეს ვიმყოფებით... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს იგი არის ერთადერთი ადამიანი, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს არსებული მდგომარეობის ზუსტ ანალიზს, და რომელმაც, ამ ანალიზიდან გამომდინარე, ყოველთვის იცის, რა მოჰყვება ხელისუფლების ამა თუ იმ ნაბიჯს**

**— ბატონო ვასილ, 25 ნოემბრის აქციამ, კრებამ თუ მიტინგმა, რომელზეც საზოგადოების გარკვეული ნაწილი დიდ იმედებს ამყარებდა, უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა. თქვენი აზრით, რა იყო და რას ნიშნავდა ეს უცნაური თავყრილობა?**

— კითხვას შეგიბრუნებთ, პირადად თქვენ რას ელოდით? გეგონათ, რამე საოცრება მოხდებოდა? მე, მაგალითად, ზუსტად ვიცოდი, რომ ეს ე.წ. კრება თუ ყრილობა ისე დამთავრდებოდა, როგორც დამთავრდა. ახლა ვიღაც-ვიღაცები იტყვიან, საიდან იცოდიო. იქიდან ვიცოდი, რომ ესენი არაფრის გამკეთებლები არ არიან, არაფრის თავი არ აქვთ და თვითონაც არ იციან, რა უნდათ. საერთოდ მრჩება შთაბეჭდილება, რომ **ეს ოპოზიცია თამაშობს, ოღონდ არა სერიოზულ თამაშს, არამედ რაღაც უაზრო პოლიტიკოსობანას, ოპოზიციონერობანას და სახლობანას.**

ჯერ ერთი, ნახეთ, რა განცხადებებს აკეთებენ: გამოვიდა გუბაზ სანიკიძე და თქვა — მე ვიქნები ოპოზიციური მოძრაობის მედროშეო; მერე გამოვიდა ბურჯანაძე, — არა მეო; მერე კიდევ ვიღაც-ვიღაცები აყვირდნენ... მოკლედ ლამის ერთმანეთი დაჭამეს და დახოცეს, იმდენად დახარბებულები არიან ძალაუფლებასა და ლიდერობას. იმას კი არც ერთი არ ამბობს, ოღონდ ეს ხელისუფლება წავიდეს, ოღონდ ესენი მოვიშოროთ და მეტი არაფერი გვინდაო. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, ჩემი მიზანი არ არის ხელისუფლებაში მოსვლაო... არის ირაკლი ოქრუაშვილი. სხვა საკითხია ის, რომ მას არც აქვს ხელისუფლებაში მოსვლის დიდი შანსი, თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოებას კარგად ახსოვს მისი „საგმირო“ საქმეები, როცა მინისტრი იყო, მაგრამ, მაინც ხომ თქვა? ესენი კიდევ როგორ იქცევიან, რა განცხადებებს აკეთებენ?..

ყველა იძახის, „ჩვენ რომ მოვალთ...“ **ჯერ ერთი, რატომ ჰგონიათ, რომ „მოვლენ“ ან ვინმე მხარს დაუჭერთ; და მერე კიდევ, რომც მოვიდნენ, როგორ აპირებენ იმ გეგმების, დაპირებების შესრულებას, რომლითაც დღეს თავს აწონებენ მოსახლეობას? თუ აქვთ ეს ყველაფერი გათვლილი, გაწერილი, პროგრამულად ჩამოყალიბებული?** მე, მაგალითად, არც ერთი პარტიის პროგრამას არ ვიცნობ და, შესაბამისად, არ ვიცი, რომელს რა ხედვა აქვს, რა პრიორიტეტებს ისახავს და ა.შ. ასევე არც ერთი არ ამბობს კონკრეტულად, თუ როგორ და რა გზით გადაჭრიან დღესდღეობით ყველაზე დიდ პრობლემას — უმუშევრობას. პირიქით, გამოვიდა ლევან გაჩეჩილაძე და თქვა, ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, პირველი, რაც გაკეთდება, სოდისა და კუდის გაუქმება იქნებაო. შე კაი დედმამის შვილო, ჯერ ერთი, ვინ მოგცა იმის უფლება, რომ გააუქმო და მერე კიდევ, რომ გააუქმებ, იქ დასაქმებულ ადამიანებს რას უშვრები? ისინი ხომ უმუშევრად დარჩებიან? რა, პენსიას დაუნიშნავს იმხელას, რომ არაფერი მოაკლდებათ, თუ დახოცავს ადამიანებს?!

**მოკლედ, ასეთი დაუფიქრებელი, სულელური განცხადებები კეთდება და ამიტომაცაა, რომ ოპოზიცია სამარცხვინოდ მარცხდება, ხელისუფლება კი გალაღებულია და ქვეყანაში ყველაფერი ხდება ისე, როგორც ეს ერთ ადამიანს — მიხეილ სააკაშვილს სურს...**

**— ანუ, თქვენც იმ აზრზე ხართ, რომ ოპოზიცია საბოლოოდ დამარცხდა ხელისუფლებასთან?**

— რა თქმა უნდა. მე „მიშისტობას“ ვერავინ დამწამებს, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ცხადია: ამ ხელისუფლებას, პირადად მიხეილ სააკაშვილს, გაცილებით მეტი გამბედაობა, პრინციპულობა და წინდახედულობა აღმოაჩნდა, ვიდრე მთლიანად ოპოზიციას; ანუ **სააკაშვილი ბევრად უფრო ადეკვატურად მოერგო არსებულ პოლიტიკურ რეალობას, ვიდრე, ვთქვათ, გუბაზ სანიკიძე, ნინო ბურჯანაძე, ლევან გაჩეჩილაძე** და სხვები და სხვები. მოკლედ, **ვაღიარებთ თუ არ ვაღიარებთ, დამტკიცდა „ჭეშმარიტება“, რომ მიშა მაგარია და ამაში ლომის წილი სწორედ ოპოზიციას მიუძღვის.**

**— ეს, ალბათ, იმ ოპოზიციურ პარტიებსაც ეხება, რომლებიც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის კონსულტაციებს გადიან ხელისუფლებასთან.**

— ყოველთვის, როცა ოპოზიციაზე ვსაუბრობ, ჩემს თავს ვეკითხები, საერთოდ არსებობს კი ამ ქვეყანაში ოპოზიცია? რაღა დაგიმალოთ და, მე ვერ ვხედავ. ასე რომ, ცოტა არ იყოს, უხერხულიცაა, ვისაუბროთ იმაზე, რაც არ არსებობს...

**— მოდი დავუბრუნდეთ „სახალხო კრებას“. თქვენ თქვით, რომ ის, რაც მოხდა, თქვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. როგორ ფიქრობთ, თვითონ კრების ორგანიზატორებს რა ჰქონდათ ჩაფიქრებული?**

— არც არაფერი. უბრალოდ, შეიკრიბნენ, შეახსენეს ხელისუფლებას, რომ არსებობენ და დაიშალნენ. ბოლოს კიდევ, მე მგონი, ყველაზე გაკვირვებულები თვითონ იყვნენ — რას ელოდა, ნეტავ, ეს ხალხი ჩვენგანო, და, მე თუ მკითხავთ, მართლაც გასაკვირია, რომ ბევრი ამ კრებისგან რაღაც საოცრებებს ელოდა.

**— ეს მოლოდინი იმიტომ გაჩნდა, რომ ერთი თვით ადრე კეთდებოდა განცხადებები, კრება ხელისუფლებას დიდ სიურპრიზს უმზადებსო, კრება გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებაო და ა.შ.**

— არა მარტო ასეთი განცხადებები კეთდებოდა, არამედ თვითონ **ნინო ბურჯანაძე ყველა თავის გამოსვლაში ხაზგასმით ამბობდა და დღესაც ამბობს, რომ ეს კრება არის ლეგიტიმური. მინდა, მას ვკითხო, თუ მართლა ლეგიტიმურია, ახორციელებენ თავიანთ ძალაუფლებას? რა ბერკეტები აქვთ ამისთვის?.. თუ იმას ატყუებს, ვისაც ორი წიგნი არ აქვს წაკითხული, სხვა საკითხია, თუ არა და რანაირად არის ეს კრება ლეგიტიმური, როცა დღეს ისინი, ფაქტობრივად, მოწყვეტილნი არიან პოლიტიკურ პროცესებს?** ეს ერთი და კიდევ, ამასწინათ იმავე კრების ორგანიზატორებმა ჩამოაყალიბეს დაუმორჩილებლობის კომიტეტი და აყვირდნენ, აი, ახლა ვიწყებთ, რასაც ვიწყებთო. მე მაინტერესებს, ვის არ ემორჩილებიან ესენი? ან როგორ და რა ფორმით აპირებენ ამის ორგანიზებას? გზებს გადაკეტავენ? აქციებს დაიწყებენ? კი, ბატონო, გააკეთონ, მაგრამ ეს უკვე დაუმორჩილებლობა კი არა, წინააღმდეგობაა, ომია; ხოლო **თუ ომი უნდათ, მაშინ პირდაპირ გამოუცხადონ ხელისუფლებას, რაღას ელოდებიან...**

**— რომ გამოუცხადონ, როგორ ფიქრობთ, გაჰყვება ხალხი?**

— საქმეც ისაა, რომ არ გაჰყვება და ეს თვითონაც კარგად იციან. მე, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, ნამდვილად ვერ დავდგები იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც გუშინ ხელისუფლებას აქებდნენ და მერე, როცა თანამდებობა დატოვეს, უცებ რადიკალ ოპოზიციონერებად იქცნენ. არ არის ეს ხალხი სანდო; მათ ნებისმიერ დროს შეიძლება გიღალატონ, იმიტომ, რომ ღალატი და ორპირობა მათ ბუნებაში დევს. საერთოდ **ეს ოპოზიცია ძალიან სუსტია და, მით უმეტეს, იმ მეთოდებით, რომლითაც დღეს ისინი ვითომ იბრძვიან, ვერაფერს მიაღწევენ. ამიტომ მათ ვურჩევ, შეეშვან ხელისუფლებასთან უაზრო კინკლაობას, დაანებონ თავი საერთოდ პოლიტიკას და გავიდნენ პენსიაზე.** რაც შეეხება ოპოზიციონერობანას თამაშს, ეს უკვე შეუძლიათ გააგრძელონ სახლში...

**— „ქართულ პარტიაზე“ რა აზრის ხართ, რომელიც ახლახან დაფუძნდა?**

— მოკლედ გეტყვით, გადახედეთ იმ ადამიანების პოლიტიკურ ბიოგრაფიებს, რომლებმაც დააფუძნეს ეს პარტია და მიხვდებით, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

**— იქნებ, უფრო დააკონკრეტოთ.**

— კი ბატონო, დავიწყოთ კიწმარიშვილით. ვინ არის ეს ადამიანი? ის არის „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი იდეოლოგი, ბურჯი და სააკაშვილის მარჯვენა ხელი; კაცი, რომელიც არ მალავს, რომ იყო „ვარდების რევოლუციის“ მთავარი მოქმედი პირი; სოზარ სუბარი — „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, წინამძღოლი და იდეოლოგი. სახალხო დამცველის პოსტზე ყოფნის დროს კი იგი, გახსოვთ, საკმაოდ დიდხანს თვალს ხუჭავდა ხელისუფლების უკანონო ქმედებებზე.

**ირაკლი ოქრუაშვილზე, მე მგონი, საუბარიც არ ღირს, იმიტომ, რომ, რაც არ უნდა თავგანწირვით ებრძოლდეს იგი დღეს ხელისუფლებას და რაც არ უნდა მწვავე განცხადებებს აკეთებდეს, ის შევარდნები და ბანდიტური თავდასხმები ადამიანებზე, ოჯახებზე, რაც მისი მინისტრობის დროს ხდებოდა, ხალხს არასოდეს დაავიწყდება.** რაც შეეხება ლევან გაჩეჩილაძეს, ის, უბრალოდ, ცდილობს, როგორმე დარჩეს და მუდმივად იტივტივოს პოლიტიკაში; ამიტომ მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ვის შეეკვრება და ვისთან გაერთიანდება პარტიაში. მოკლედ, აი, ასეთი ადამიანებისგან შედგება ეს „ქართული პარტია“ და თქვენ თვითონ განსაჯეთ, რამდენად სანდო ძალაა ის...

**— ბატონო ვასილ, თქვენი აზრით, ოპოზიციის წარუმატებლობა თუ გაზრდის ხელისუფლების რეიტინგს?**

— რეიტინგის გაზრდისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საზოგადოებაში რომ ნიჰილიზმია გამეფებული, ეს ცხადზე ცხადია. მეტიც, ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, არის დიდი დეპრესია, ანალოგი იმისა, რაც შეერთებულ შტატებში იყო ოციან წლებში და ყველაფერი ჯერ კიდევ წინ გვაქვს; **კაცმა არ იცის, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, იმდენად ქაოსური ვითარება გვაქვს დღესდღეობით.** ამდენად, ის მოსაზრება, რომ ოპოზიციის წარუმატებლობა ხელისუფლების მდგომარეობას გაამყარებს, მე, რა თქმა უნდა, არ მიმაჩნია მართებულად.

**— სხვათა შორის, ის, რასაც თქვენ ამბობთ და რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ერთგვარი მათემატიკური სიზუსტითაა აღწერილი ალექსანდრე ჭაჭიას წიგნში, რომელიც 1997 წელს გამოიცა.**

— წაკითხული მაქვს ეს წიგნი და, სიმართლე გითხრათ, წინასწარმეტყველობის არ მჯერა, მაგრამ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მისი ავტორი ნამდვილი წინასწარმეტყველია. ამას ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, იმიტომ, რომ, თქვენი თქმისა არ იყოს, **ალექსანდრე ჭაჭიას წიგნში მართლაც მათემატიკური და, გნებავთ, სეისმოგრაფიული სიზუსტითაა გაანალიზებული ის მდგომარეობა, რომელშიც დღეს ვიმყოფებით; ამ დროს ნუ დაგავიწყდებათ, ეს წიგნი დაწერილია ცამეტი წლის წინათ. მე ალექსანდრე ჭაჭიას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცნობ მის ნაშრომებს, ტელეფონითაც მისაუბრია მასთან და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს იგი არის ერთადერთი ადამიანი, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს არსებული მდგომარეობის ზუსტ ანალიზს; და რომელმაც, ამ ანალიზიდან გამომდინარე, ყოველთვის იცის, რა მოჰყვება ხელისუფლების ამა თუ იმ ნაბიჯს.** სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ასეთი ადამიანები დღეს არ არიან არა მხოლოდ ხელისუფლებაში, არამედ, საერთოდ, პოლიტიკაში; მაგრამ, ალბათ, მოვა დრო და მათაც ვიხილავთ იქ, სადაც საჭიროა...

**— დასასრულს ისევ ოპოზიციაზე გკითხავთ, თქვენი აზრით, კვლავ თუ იქნება მოწოდება, გამოდით ქუჩაშიო, უნდა გაჰყვეს თუ არა ხალხი რომელიმე პარტიას ან ლიდერს?**

— მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ დღეს არც ერთი პარტია, არც ერთი ლიდერი ხალხის მხარდაჭერას არ იმსახურებს, არა მხოლოდ იმის გამო, რომ მათ არაერთხელ გაუცრუეს საზოგადოებას იმედები, არამედ იმიტომ, რომ რეალურად არც ერთ მათგანს ხალხის გასაჭირი და პრობლემები არ ადარდებს. ეს ნათლად ჩანს მათ ნაბიჯებში, ქცევებსა და განცხადებებში. გარდა ამისა, **ეს ოპოზიცია არაფრით ჯობია ხელისუფლებას, პირიქით, ბევრად უარესია... სააკაშვილი რასაც აკეთებს, გულწრფელად მაინც აკეთებს და მართლა სჯერა, რომ ასეა საჭირო, ბრიყვია და რა ქნას; ესენი კიდევ „ჟულიკები“ არიან, სხვა არაფერი არ უნდათ და არ აინტერესებთ, გარდა ხელისუფლებაში მოსვლისა.** ამისთვის იბრძვიან და ამას აყოლებენ ყველაფერს, მაგრამ ახლა ესეც არ იკმარეს, კიდევ „სასწაულებს“ სჩადიან... მოკლედ, ბევრი რაღა გავაგრძელო და ამ ოპოზიციამ მოახერხა ის, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა ყბადაღებული ლოზუნგის ჭეშმარიტებაში, — მიშა მაგარია! აი, ეს არის მთელი ამათი მონაპოვარი და ამის იქით, ასი წელიც რომ ილვაწონ პოლიტიკაში, ვერასდროს წავლენ...

**ესაუბრა**
**ჯაბა ჟვანია**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

იური მეჩითოვი:

# ძახილით, რომ ყველაფერი «ძაან მაგარია», უკვე დედა გვეტირა...

**არიან ადამიანები, რომლებიც, დიდი ხანია, ქართულ პოლიტიკაში მოღვაწეობენ. მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი პოლიტიკური კონიუქტურის სხვადასხვა საფეხურზე ახალ სახეებადაც გვევლინებიან. ბოლო ოცი წელია, ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი მეტ-ნაკლებად უცვლელი რჩება. სამაგიეროდ იცვლება მათი თანამდებობების დასახელება, სამსახურის მისამართები და პოლიტიკური შეხედულებებიც კი. საზოგადოების ინტერესები კი, სამწუხაროდ, უცვლელი რჩება. თუმცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი ხშირად იცვლის აზრსა და პოზიციას, რადგან მზის ქვეშ ადგილის დასაკავებლად ზოგჯერ კომპრომისზე წასვლაც საჭიროდ მიაჩნია. ამას კი „ხელმწიფის ნავში" ჩაჯდომის გარეშე საქართველოში რომ ვერავინ მიაღწევს, უკვე ბავშვისთვისაც ცნობილია. მაგრამ არიან ისეთებიც, საკუთარ პრინციპებს რომ არ ღალატობენ და პოზიციებსაც ხმამაღლა გამოხატავენ. ერთ-ერთი მათგანი, ცნობილი ფოტოხელოვანი იური მეჩითოვი „საქართველო და მსოფლიოს" სტუმარია.**



**საქართველოს მუდმივი ინტერესი უნდა იყოს, რომ მშვიდად და კარგად იცხოვროს. „ელიტის" ინტერესი კი არის, რომ მუდმივად დარჩეს მართვის სათავეში. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ ქვეყნისა და ელიტის ინტერესები განსხვავებულია ერთმანეთისგან**

**— ბატონო იური, რუსულენოვან გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ, მიუხედავად არაქართული გვარისა, სულით ხორცამდე ქართველად გრძნობთ თავს და ძალიან გაწუხებთ ქართული ენისადმი დამოკიდებულების პრობლემა საქართველოში.**

— მე წარმოშობა ქართული მაქვს. სხვადასხვა ვარიაციები აქვს ამ გვარს. მაგრამ ქართულ ლექსიკონში ყველაზე სწორი ფორმა არის მეჩითიშვილი. ჩვენი ძირი მოდის გორისა და ჩრდილოეთ ოსეთის მოსაზღვრე სოფლიდან, რომელსაც ეწოდება ზერტი. სამწუხაროდ, აქამდე ვერ ჩავედი იქ.

ამდენად, ჩემი გულისტკივილი არ არის გასაკვირი. მე ბევრი რამ არ მომწონს და, მგონი, ამის უფლებაც მაქვს. თუმცა იმ გაზეთში ყველაფერი არ დაბეჭდილა.

**— თქვენ იქ ამბობთ, რომ დიდ მსგავსებას ხედავთ რუსეთსა და საქართველოში არსებულ ვითარებას შორის. ჩვენი ხელისუფლება ხშირად გვახსენებს, რომ რუსეთი ჩვენი მტერია...**

— მე საერთოდ არ მგონია, რომელიმე ქვეყანა შეიძლება იყოს მტერი. ეს ჩემთვის აფსურდია. არსებობს ელიტების დაჯახება, პოლიტიკური კურსების განსხვავება, ხოლო ხალხი ერთმანეთს არ ემტერება. სულაც არ ვარ „ვარდისფერი წარმოდგენის" იმაზე, რაც იყო და არც იმაზე, რაც შეიძლება იქნეს ამათ შემდეგ. ეს მაინც დროებითი მოვლენაა. ჩვენ ასეთი ბედი გვაქვს. საქართველო კი სულ სხვა განზომილებაა. მაგალითად, საქართველო ჩემთვის არის სიმღერა, მუსიკა, ცეკვა, ის, რაც დაიწერა ადრე, ასევე, ბავშვის ღიმილი თუ ბებრის წუხილი... აი ეს არის საქართველო და არა დღევანდელი ან გუშინდელი პოლიტიკური ელიტა.

გალაღებული ცხოვრება, რაც იყო თბილისში, შევწირეთ რაღაც გარდაქმნებს. მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი ცუდია ან ტურიზმით არ უნდა იცხოვროს ქვეყანამ. ერთ-ერთი სერიოზული საქმე ტურიზმიც იქნება. მაგრამ მე არ მგონია, აქ ტურისტი მაკდონალდსში ჰამბურგერის საჭმელად ჩამოვიდეს.

**— არც შუშის ხიდის სანახავად?**

— არც ხიდის სანახავად არ ჩამოვა. თუმცა, რომ შევხედე, ეს ხიდიც არ არის დიდი კატასტროფა. მაგრამ კატასტროფა ისაა, რომ ამ ხიდის აშენებაში იმაზე მეტი ფული დაიხარჯა, ვიდრე სოფლის მეურნეობისთვის არის გამოყოფილი მთელი წლის განმავლობაში. მიდგომებია კატასტროფა, სიღნაღია კატასტროფა, გალამაზებული ევროპაა, სადაც ხალხი არ ცხოვრობს, დაიცალა თითქმის. ეს ძალიან უცნაური შერწყმაა. მე რომ ვიყო ტურისტი, არ ჩამოვალ საქართველოში იმისთვის, რომ აქაც ევროპა ვნახო. იმან აქ უნდა ნახოს თბილისი. მაგრამ რუსთაველზე რომ გაივლის, რა უნდა ნახოს? ამასწინათ ებრაელები შემხვდნენ რუსთაველზე და ინგლისურად მკითხეს, სად წავიდეთო. მანქანების ხმაურია, აქეთ ხუთი ბანკია და იქეთ სარეცხის მანქანები იყიდება, ეს არის რუსთაველის პროსპექტი. გამაგებინეთ, რა უნდა ნახოს აქ ტურისტმა?! მე ვურჩიე შარდენზე წასვლა. შარდენზე უკვე ვიყავითო. ესეც სულ 200 მეტრი ტერიტორიაა. რაღაც ხომ უნდა იყოს სანახავი ისეთი, რაც ქართულია და სხვაგან არაა. სასტუმროები — „რადისონი" და „მარიოტი" კარგია, მაგრამ ის სჭირდება კომფორტულად ღამის გასათევად. ტურისტისთვის ჩვენ უნდა გქონდეს ის, რაც სხვას არ აქვს და ამით უნდა ვიყოთ ძლიერი.

დღეს კი ჩვენ ვართ ტოტალური უპასუხისმგებლობის სიტუაციაშია. ეს მარტო ხელისუფლებას არ ეხება. ოპოზიცია როცა ამბობს, მე აქედან გამარჯვებამდე არ წავალ და მერე მიდის, ამაზე პასუხი უნდა აგოს ვინმემ. ვიღაც ამბობს, რომ ჩვენ გავამთლიანებთ საქართველოს, თუ არ ამთლიანებს, პასუხი უნდა აგოს. ოპოზიციას 100 ათასი ადამიანი მოჰყავს და მერე უკან უშვებს. არც ის არის სატრაბახო, რომ ფოთოლი არ ჩამოვარდნილა ხიდან. მე კი არ ვამბობ, რომ ვინმეს შევუვარდეთ, მაგრამ ეს რა, გეების პარადია?! ასეთ დროს უფრო მეტი რამ ხდება... ეს რა სატრაბახოა? მსოფლიოში არის ორი აქსიომა, რომელიც განსაზღვრავს ყველაფერს: ყველა ხალხს აქვს ის თავისუფლება, რომელსაც იმსახურებს, და ეს ზუსტად არის ნათქვამი საქართველოზე; მეორე: ყველა ხელისუფლება აკეთებს იმდენ კარგს, რამდენსაც აიძულებენ. მართალია, ხალხი მართლაც ბლომად გამოვიდა საპროტესტოდ, მაგრამ ლომები რომ შეიკრიბონ და კურდღელი მეთაურობდნენ, ამით არაფერი გამოვა, მგონია.

**— ბატონო იური, ჩვენთვის ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენს ხელისუფლებას ყველა სფეროში ჰყავს ფავორიტები. ხშირად გვითქვამს, თუ „ხელმწიფის ნავში" არ ზიხარ, ისე ამ ქვეყანაში ვერაფერს მიაღწევ. თქვენს თავზე თუ გამოსცადეთ ეს ვითარება?**

— მე არც მთავაზობენ ნავში ჩაჯდომას. ეტყობა, უკვე არც ვჭირდები. მე მიმაჩნია, რომ ადამიანი თუ ხელოვანია, ის მუდმივად ოპოზიციაში უნდა იყოს, რამდენადაც შეძლებს, თუმცა ეს ძალიან რთულია. ინტელიგენცია ნიშნავს პასუხისმგებლობას და ტვინს ერთად. რომელიმეს ნაკლებობა თუ არის, ან ორივესი ერთად, მაშინ შენ ინტელიგენციასთან საქმე არ გაქვს. ვერავის გაამტყუნებ... თუმცა, როგორ არ გაამტყუნებ, როცა შეეძლო იმ ადამიანს მიეთითებინა ხელისუფლებისთვის და არ გააკეთა?! ვგულისხმობ საურთიერთობო წრეს და არა ხალხს, იმათთან ხელისუფლებას შეხება არ აქვს.

**— ეტყობა, იმედი არ აქვთ, რომ შენიშვნებით რაიმე შედეგს მიიღებენ და თავიანთ თბილ ადგილებს არ დაკარგავენ. ამიტომაც, კრიტიკის ნაცვლად, ხოტბას ასხამენ...**

— აქ ინტელექტის დაბალი დონეც არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ერთი დღის ხალხი ვართ და ხვალ რა იქნება, არ ვფიქრობთ. სახლების აშენებაზე, მიშენება-მოშენებაზე ვზრუნავთ და უამრავ ფულს ვხარჯავთ შვილებზე თუ შვილიშვილებზე, მაგრამ მათ მომავალზე ამ ქვეყანაში ნაკლებად ვფიქრობთ. არც იმაზე ზრახავს ვინმე ხელისუფლებას, რომ „ტვინებს" ყიდულობს და თავის ჭკუაზე ატარებს.

**— შეიძლება აქ უფრო შიშის ფაქტორი იყოს, შვილების, ოჯახების გამო?..**

— მე მგონია, რომ ჩვენ ვბერავთ ამ შიშის ფაქტორს. მეც ბევრი მაშინებს, ამას ნუ ამბობ, ამდენს ნუ ლაპარაკობ... მე არ შემიძლია მეტი! ეს, იცით, რას ნიშნავს? თუ დაიჯერებ ამ შიშს, მერე ყველაფრის შეგეშინდება. ყველას თუ შეგვეშინდება, ეს არის კოლექტიური სიგიჟე, ამიტომ ვიღაცამ უნდა თქვას, რომ მე არ მეშინია... დიდი ბოდიში, მაგრამ „ფეხებზე მკიდია!" ყველამ ერთხმად უნდა თქვას, რომ მეფე შიშველია და ამის თქმის არ ეშინია!.. მაგრამ ზოგჯერ ხელისუფლებას ვეთანხმები რაღაცებში. მაშინდელი ოპოზიცია რომ მოსულიყო სათავეში, ამ აზროვნებით და გაგებით შეიძლება კარგი არაფერი მომხდარიყო.

**— მაშინ სად ხედავთ გამოსავალს?**

— სამწუხაროდ, მსოფლიოში ცუდი ვითარებაა და ტოტალიტარიზმისკენ მიდრეკლება იგრძნობა. ის დემოკრატიული ფასეულობები, რაც ადრე იყო, ნელ-ნელა იკუმშება. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა ამერიკის მაგალითზე. დიდი ხანია, ამერიკა აღარ არის დემოკრატიის ფლაგმანი. ეს არის უმთავრესი მომენტი. იმიტომაც ვართ ჩვენ ამ მდგომარეობაში. თუ შენი ქვეყანა გიყვარს და შენს ხალხზე ზრუნავ, გემი ისე უნდა ატარო ამ მღვრიე ზღვაში, რომ ითვალისწინებდეს ქარების მიმართულებასაც და საბოლოოდ გემი სამშვიდობოს გაიყვანო. წარმოიდგინეთ, 20 წელი ევროპა თითქოს გაჩუმებული იყო და უცებ სტუდენტურმა მღელვარებამ იფეთქა საფრანგეთში. ამ დიდი სიჩუმისა და გამოჩერჩეტების შემდეგ, რაც ბოლო დროს სოციალური ქსელის — „ფეისბუქის" მეშვეობით ხდება, ახალი ტალღა მაინც გამოჩნდა და ახალგაზრდობიდან დაიწყება მოძრაობა ჩვენთანაც. ახალგაზრდობა მიხვდება, რომ არ არის ის ხიზილალა და ფოჩიანი კამფეტები რეალური. მოდის თაობა, რომელიც ნაღდს მოითხოვს და არ მოტყუვდება. მსჯელობა უნდა იყოს და განსხვავებული მოსაზრებები. თორემ იმის ძახილით, რომ ყველაფერი „ძაან მაგარია", უკვე დედა გვეტირა...

**— თქვენ რა, არ მოგწონთ საახალწლოდ განათებული თბილისი და ბათუმი?**

— მილიონ-ნახევარი რომ იხარჯება, არ მომწონს, მაგრამ ჩაბნელებული რომ არ არის, ეს კი მომწონს. ნახევარ მილიონში მაინც რომ ჩატეულიყო, ალბათ, უფრო მომეწონებოდა. სამაგიეროდ, ცუდია, რომ პირველი ტალღის ლტოლვილები ჯერაც უსახლკაროდ არიან და ლუკმაპური არ აქვთ. თუ ორივე პრობლემა მოგვარებულია, რა თქმა უნდა, ორივე ხელით მივესალმები. ვინ იტყვის ამაზე, ცუდიაო, რომ გორში ორმხრივი გზა კეთდება და ამ გზამ შეიძლება სოხუმამდე მიგვიყვანოს და, თუ ჩავეხუტებით ჩვენს აფხაზ ძმებს, მაშინ მართლაც გიჟი უნდა იყო, რომ საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა. „პლეხანოვზე" გავიარე და მომეწონა, რომ გზა გაგანიერდა, მაგრამ ბევრი რამ რომ არ მომწონს, არ ვთქვა?

**— ხშირად მსჯელობენ იმაზე, რომელ ქვეყანასთან უნდა ვიყოთ უფრო დაახლოებული, რომელზე ვიყოთ ორიენტირებული — ამერიკაზე თუ რუსეთზე? ზოგს არც ერთი არ უნდა, ზოგს ორივე ერთად ურჩევნია. ზოგს მიაჩნია, რომ — ან ერთი, ან მეორე...**

— ესეც სიგიჟეა. ჩერჩილი უჭკვიანესი კაცი იყო. ის ამბობდა, რომ არ არსებობენ მუდმივი მეგობრები, არის მუდმივი ინტერესები. ჩერჩილი, სტალინი, რუზველტი იყვნენ დიდი პოლიტიკოსები. მერე მოვიდა სულ სხვა „კოჰორტა"...

ამერიკასთან და რუსეთთანაც რომ გვქონდეს კარგი ურთიერთობა, ცუდია? ისინი ერთმანეთთან უკეთესად არიან. მაგრამ მეზობელ სახელმწიფოსთან, რომელსაც 21 ქვეყანა ესაზღვრება, მარტო ჩვენ რომ გვაქვს ცუდი ურთიერთობა, ჩვენ ვებრძვით, თუ ის გვებრძვის, ესეც გასარკვევია. საქართველოს მუდმივი ინტერესი უნდა იყოს, რომ მშვიდად და კარგად იცხოვროს. „ელიტის" ინტერესი კი არის, რომ მუდმივად დარჩეს მართვის სათავეში. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ ქვეყნისა და ელიტის ინტერესები განსხვავებულია ერთმანეთისგან. თუ ოდესმე ეს ინტერესები შეეწყმება ერთმანეთს, მაშინ ქვეყანა გაიხარებს. სამწუხაროდ, დღეს ეს არ ხდება და არც იმაში ვარ დარწმუნებული, ახალ პარტიას ვინც ქმნის, ის ხალხი რომ მოვიდეს ხვალ ხელისუფლებაში, მაშინ მაინც გამოსწორდება რამე. ამიტომ ადამიანი მუდმივად მეთვალყურის როლში უნდა იყოს, რომ ხელისუფლებამ არ მოახერხოს კურსიდან გადახვევა. თორემ, თუ ვიფიქრეთ, რომ მოვიდნენ ჯიგრები, ჩავაბარებთ ამათ ქვეყანას და ჩვენ დავუბრუნდებით ხინკლის ჭამას, აი, მაშინ ხდება ყველაფერი უბედურება.

უნდა ვაღიარო, რომ მათ შორის მეც ვიყავი, რომლებმაც 2003 წელს ამ „ჯიგრებს" მიაბარეს ქვეყანა და სურათებიც გადავუღე. ვიფიქრე, ახალგაზრდა ძალა უნდა მოვიდეს...

**— როდის შეგეცვალათ დამოკიდებულება?**

— ... როგორც კი დაიწყო დაჭერები. მახსოვს, მაშინ ერთ-ერთ გაზეთში ვმუშაობდი და რედაქტორი მიწიოდა: „ბორკილებით მომიტანე სურათები, ბორკილებით!", საჯარო დაჭერები რომ ხდებოდა 2004 წლის დასაწყისში. ეს პერიოდი უკვე მათი ტოტალური უკანონობით ხასიათდებოდა. მერე აგვისტოში შევვარდით ცხინვალში... ყველაფრის ნუსხა რომ ეარმოვადგინო, შორს წავალთ.

**—ალბათ, ამიტომაც არ სჭირდებით ხელისუფლებას...**

— ხომ შეიძლება მე, ერთ პიროვნებას, იური მეჩითოვს, მქონდეს ასეთი აზრი, თუნდაც მცდარი? ღმერთმა იცის, ვინ არის მტყუანი და ვინ — მართალი. მე ასე ვფიქრობ, ასე მწამს და ახლა, ვისაც უნდა, ფაშისტი დამიძახოს და, ვისაც უნდა, — კომუნისტი. კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა. თუ ვინმეს ცუდად მოხვდება გულზე ჩემი აზრები, უნდა მოხვდეს, დროა, უხეშობაც გამოვიჩინოთ.

ესაუბრა
**ნინო ცხოიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ტელეკომპანია «თრიალეთის» ხელმძღვანელს მოკვლით ემუქრებიან



შიდა ქართლის ტელეკომპანია „თრიალეთის“ თანამშრომლები შემთხვევით შეესწრნენ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების საუბარს ბარის კუპეში, სადაც ისინი საკმაოდ შეზარხოშებულნი ტელეკომპანიის ხელმძღვანელის — ჯონი ნანეტაშვილის მოკვლით იმუქრებოდნენ: **„რამდენჯერ უნდა ვცემოთ, ხომ არ მოვკლავთ!.. ბადრი იმდენს იზამს, თავის ძმას მოგვაკვლევინებს“** და ა.შ. ეს განცხადებები მოისმინეს ტელევიზიის ჟურნალისტებმა ცოტა ხნის წინათ.

## ბადრი ნანეტაშვილი: მიმდინარეობს სერიოზული ზეწოლა, რომ ტელევიზიის გაყიდვა ან მაუწყებლობის შეჩერება გვაიძულონ

ტელეკომპანიის ხელმძღვანელებისა თუ ჟურნალისტების მიმართ ბოლო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა გახშირდა. ცოტა ხნის წინათ **პატრულის თანამშრომლებმა, ვითომდა დაუმორჩილებლობის საბაბით, სასტიკად სცემეს ჯონი ნანეტაშვილი, რომელიც ავტომანქანის მართვის დროს ტელეფონზე საუბრის მოტივით გააჩერეს, შემდეგ კი ხელბორკილდადებული გადმოიყვანეს ავტომანქანიდან და ფიზიკურად გაუსწორდნენ.** ამ ფაქტს წინ უსწრებდა **ჟურნალისტისა და ოპერატორის ცემა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან.**

ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა ტელევიზიაზე ზეწოლის სხვა ფაქტებზეც ამახვილებს ყურადღებას, რაზეც „საქართველო და მსოფლიოს“ „თრიალეთის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ბადრი ნანეტაშვილი ესაუბრა.**

**— ცოტა ხნის წინათ ფიზიკურად გაუსწორდნენ თქვენს ძმას; მოისმინეთ, როგორ იმუქრებოდნენ მისი მოკვლით... რა კამპანია მიმდინარეობს თქვენს წინააღმდეგ?**

— ჩემი ძმის ცემის ფაქტზე ვითომ მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ არანაირი წინსვლა არ არის. პირიქით, ზეწოლა გრძელდება. ქარელში ჩვენი თანამშრომლები შეესწრნენ ხელისუფლების წარმომადგენლების საუბარს, როცა ისინი ნასვამი იყვნენ და ამბობდნენ: ბადრი თვითონ კაბინეტში ზის და იმდენს იზამს, თავის ძმას მოგვაკვლევინებსო. ჩემი ძმა ქარელში ცხოვრობს, იქიდან დადის ტელევიზიაში და ამას გულისხმობდნენ. ასევე სტალინის ძეგლის აღების დროს ჩვენი ტელევიზიის ჟურნალისტი და ოპერატორი სცემეს სამართალდამცავებმა. იყო სხვა შემთხვევებიც.

**აგვისტოში შემომთავაზეს ტელევიზიის გაყიდვა, ამაზე საუბარი ოქტომბრის ბოლომდე გრძელდებოდა, ჩემი ძმის ცემის ფაქტამდე ერთი კვირით ადრე. მე ისინი უარით გავისტუმრე. ჩვენი ჟურნალისტებისთვის ჩაკეტილია გუბერნატორ არსოშვილის კარი. არ აკეთებენ არანაირ კომენტარს, არ მოდიან ეთერში.** მხოლოდ პიარის შემთხვევაში ხვდებიან ჩვენს ჟურნალისტებს, მაგრამ ამ დროს დასმულ სხვა შეკითხვას არ პასუხობენ. ჩვენ გვინდა, ვიყოთ ობიექტურები, გვინდა, გვქონდეს ორივე მხარის პოზიცია, ვეუბნებით ამას, ვთავაზობთ თანამშრომლობას, მაგრამ არ გვთანხმდებიან. ხელისუფლებას სურს, რომ მხოლოდ პიარი გავაშუქოთ.

**— თქვენ „ნაციონალურ მოძრაობაში“ იყავით, როგორც მახსოვს, სწორედ ტელევიზიის გამო გაგიფუჭდათ ურთიერთობა მმართველ პარტიასთან.**

— დიახ, ტელევიზიის გამო გამიფუჭდა მათთან ურთიერთობა. როდესაც დავინიშნე გუბერნატორ ვარძელაშვილის მოადგილედ, შევთანხმდით, რომ ტელევიზიის მუშაობაში არ ჩავერეოდით და ტელევიზიას ექნებოდა ყველაფრის ობიექტურად გაშუქების საშუალება. მაგრამ ისე მოხდა, რომ ყოველ გასულ სიუჟეტზე ჩემს სახლში საქმის გარჩევები, ზეწოლა იყო, რათა ესა თუ ის სიუჟეტი არ გასულიყო და ა.შ. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, დამეწერა განცხადება და წამოვსულიყავი სამსახურიდან.

**— თქვენს ძმასა და პოლიციას შორის მომხდარი ინციდენტი ჩაწერილია სათვალთვალო კამერების მიერ, მოგეცათ მისი ნახვისა და გამოქვეყნების საშუალება?**

— ოთხი კამერა არის იმ ადგილას, სადაც ეს მოხდა. ერთი-ერთი შს სამინისტროს კამერაა, ორი ტოტალიზატორის და „TBC ბანკის“. ამ უკანასკნელს ვთხოვეთ, მოეცა ეს ჩანაწერი, მაგრამ გვითხრეს, რომ შს სამინისტროს თანხმობის გარეშე ამ კადრებს ვერ მოგცემთო.

**— როგორც ვიცით, ექიმი, რომელმაც გასცა ცნობა თქვენი ძმის სხეულზე აღნიშნული დაზიანებების შესახებ, გათავისუფლებულია სამსახურიდან.**

— დიახ, მას მოსდეს შარი იმის გამო, რომ დასკვნის შესაბამის გრაფაში ჩაწერა: როგორც თვითონ აცხადებს, ნაცემია პატრულის თანამშრომლების მიეროი. ამაზე ედავებოდნენ, ეს გრაფა ცარიელი უნდა დაგეტოვებინა და ჩვენ რამეს მოვახერხებდითო. როგორც ვიცი, ამ მიზეზით გაათავისუფლეს სამსახურიდან.

International Research & Exchanges Board
Georgia office
IREX education | independent media | civil society development

**ცნობილია, რომ ამერიკიდან მოვიდა გრანტი მედიის დასახმარებლად, აქამდე ასეთი დახმარება არ ყოფილა. შესაძლოა, ამ გრანტებმა გადაგვარჩინოს; იქნებ «აირექსმა» დაუჭიროს მხარი თავისუფალ მედიას და მისი ფინანსური და ტექნიკური თანადგომით გადარჩეს ტელევიზია.**

**— ასევე რამდენიმე დღით გაითიშა ტელემაუწყებლობაც...**

— წარმოიდგინეთ, რომ 50-100 გადამცემია და მხოლოდ ჩვენი გადამცემები ფუჭდება, ერთი და იმავე დროს, რადიოსიც და ტელევიზიისაც. გვითხრეს თითქოს მეხი დაეცა გადამცემს. ჩვენ გვინდოდა, შეგვეძინა ტერიტორია, რომ გვქონოდა დამოუკიდებელი ანძა და აღარ ვყოფილიყავით დამოკიდებული მათზე, **ორი წლის მანძილზე სისტემატიურად მივმართავდით გამგეობას, გუბერნატორის აპარატს და მოვითხოვდით ამ ტერიტორიის მიყიდვას, მაგრამ ის ტერიტორია ერთ დღეში მიჰყიდეს „კავკასუს ონლაინს“. 11 თებერვლით თარიღდება „კავკასუს ონლაინის“ განცხადება. იმავე დღეს განხილეს და იმავე დღეს შედგა მიღება-ჩაბარების აქტიც. ყველაფერი ერთ დღეში მოხდა „კავკასუს ონლაინისთვის“, როცა ჩვენ ორი წელი ვითხოვდით ამას. თვე-ნახევრის წინათ კიდევ მოვითხოვეთ, მოეყიდათ ჩვენთვის მიწა მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ კვლავ წელავენ დროს.**

ჩემს ძმას ქარელში შესყიდული ჰქონდა კინოს შენობა და მიმდებარე ტერიტორია, რომელიც საჯარო რეესტრში იყო გატარებული. ქარელის გამგებლის მოადგილის — მამუკა აბაშიშვილის ძალისხმევით, მას ჩამოართვეს ეს ტერიტორია. ჯონი ნანეტაშვილის საკუთრებაში არსებული, საჯარო რეესტრში არჩილ ნადირაშვილის ხელმოწერით რეგისტრაციაში გატარებული ტერიტორია ჯონის ჩამოაწერეს, დაუტოვეს მხოლოდ კინოს შენობა, მიმდებარე ტერიტორია კი გადასცეს ქარელის გამგეობას. გაკეთდა ახალი ნახაზი, რომელსაც ასევე საჯარო რეესტრის ხელმძღვანელი აწერს ხელს. ფაქტობრივად, მან ორჯერ დაარეგისტრირა ეს ადგილი.

ქარელის გამგებლის მოადგილე მამუკა აბაშიშვილი გახლავთ გუბერნატორ არსოშვილის კადრი. იგი არსოშვილის ფინანსური პოლიციის უფროსობის დროს გახლდათ მისი მოადგილე. ფინანსური პოლიციიდან არსოშვილის წასვლის შემდეგ ის გაათავისუფლეს. როგორც ცნობილი იყო საზოგადოებისთვის, აბაშიშვილმა ვილაცისგან ფული აიღო. ამის გამო დაჭერას კი გადაურჩა, მაგრამ სამსახურიდან გაათავისუფლეს. ახლა, არსოშვილის გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ, ის დანიშნეს ქარელის გამგებლის მოადგილედ და იქიდან დაიწყო ტელეკომპანია „თრიალეთთან“ ბრძოლა. **მიწის აზომვის სპეციალისტს, ყაფლან ფალავანდიშვილს მისცეს ამ ნახაზის გაკეთების შეკვეთა, რაც მან გააპროტესტა, ვინაიდან ეს იყო კერძო საკუთრება, რომლის წართმევის უფლებაც არ ჰქონდათ.**

ქარელის საჯარო რეესტრის უფროსმა აჩიკო ნადირაშვილმა ფალავანდიშვილს უთხრა: გააკეთე, შენი რა მიდისო. **ფალავანდიშვილი უარზე იყო, ამის გამო მამუკა აბაშიშვილმა მას გამგეობის წინ სახალხოდ აგინა.**

ფალავანდიშვილმა ეს დავალება მაინც არ შეასრულა და შემდეგ სხვას გააკეთებინეს იგი. ჩვენ ვასაჩივრებთ ამას. ისეთი უკანონობაა ჩადენილი, ამ ტერიტორიას ჩემი ძმა აუცილებლად დაიბრუნებს, მაგრამ საქმე ის არის, თუ დაისჯებიან ის პიროვნებები, ვინც კანონი დაარღვია.

**— რა შეფასებას მისცემთ ხელისუფლების ქმედებებს, რომლებიც მიმდინარეობს თქვენი თუ ტელევიზიის მისამართით?**

— ეს ხდება იმის გამო, რომ ჩვენი ტელევიზია ცდილობს, ობიექტურად გააშუქოს მოვლენები და სიმართლე თქვას. ეს არ მოსწონს ხელისუფლებას და ამიტომ ახორციელებს ზეწოლას, სურს, დაგვაშინოს. მართალია, ამას ვერ ახერხებენ, მაგრამ იმას მაინც მიაღწიეს, რომ სხვა რეგიონული ტელევიზიები დააშინეს. **ჩვენზე სერიოზული ზეწოლა დაიწყო „მაესტროს“ ეთერში გაშვების შემდეგ. რამდენიმე რეგიონული ტელევიზიაც თანახმა იყო „მაესტრო“ ეთერში გაეშვათ, მაგრამ დღესდღეობით ისინი უარს ამბობენ, რადგან ხედავენ, თუ როგორ ექცევა ხელისუფლება „თრიალეთს“.** ჯერჯერობით ეს შედეგი მიიღეს.

ჩვენზე მიმდინარეობს სერიოზული ზეწოლა, რომ ტელევიზიის გაყიდვა ან მაუწყებლობის შეჩერება გვაიძულონ. ზეწოლას ახორციელებენ ბიზნესმენებზე, რომლებსაც ჩვენთან რეკლამა მოაქვთ. საგადასახადოს თანამშრომლები მიდიან მათთან, „თრიალეთს“ არ ახსენებენ, მაგრამ ეუბნებიან, რადგან რეკლამას აკეთებ, ე.ი. ბევრი ფული გაქვს და უნდა გაგაკონტროლოთო. სჯიან, ფულს ართმევენ და ა.შ. **ბიზნესმენები ამბობენ, „თრიალეთში“ რომ რეკლამა მივიტანოთ, საგადასახადო დაგვესხმება თავსო და, ფაქტობრივად, ფინანსურ პრობლემებს გვიქმნიან ამით.**

**— რამდენად არის მზად ტელევიზია იმისთვის, რომ ინფორმაციული ჩაკეტილობის თუ ფინანსური წნეხის პირობებში გააგრძელოს მუშაობა?**

— ჩვენ ვცდილობთ, თავი გავიტანოთ. მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა, იმ ორგანიზაციებმა, ვინც სიტყვის თავისუფლებისთვის იბრძვის, ასევე **საელჩოებმა, რომლებსაც ვაპირებთ მივმართოთ, თუ სიტყვიერი მხარდაჭერა მაინც არ გამოხატეს ჩვენ მიმართ, ძალიან გაგვიჭირდება. გარკვეული დროით შეიძლება გაუძლოს ჩვენმა კომპანიამ ამას, მერე რა იქნება, არ ვიცი.** ცნობილია, რომ ამერიკიდან მოვიდა გრანტი მედიის დასახმარებლად, აქამდე ასეთი დახმარება არ ყოფილა. შესაძლოა, ამ გრანტებმა გადაგვარჩინოს; იქნებ „აირექსმა“ დაუჭიროს მხარი თავისუფალ მედიას და მისი (ან სხვა ორგანიზაციების) ფინანსური და ტექნიკური თანადგომით გადარჩეს ტელევიზია.



**«თრიალეთის» ჟურნალისტებისთვის გუბერნატორ არსოშვილის კარი ჩაკეტილია; ჩინოვნიკები ტელევიზიას კომენტარსაც კი არ აძლევენ**

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

# რკინიგზის მშენებლობას, შესაძლოა, ასობით ადამიანის ქონება შეეწიროს

**პრეზიდენტის სურვილი, საგზაო თუ სარკინიგზო მაგისტრალების გაყვანისა და გზების კეთილმოწყობის თაობაზე, საქართველოს მოსახლეობას ძვირად უჯდება, მითუმეტეს თუ ეს გზა მათ სახლებსა და მიწის ნაკვეთებს კვეთს. კანონი, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ ბოლო დროს საქართველოში ხშირად გამოიყენება და იმ პირებს, რომლებიც ქონების დათმობაზე შეთავაზებულ წინადადებას არ თანხმდებიან, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე უფლებამოსილების მქონე ორგანო ქონებას იძულებით ართმევს (ექსპროპრიაციას ახორციელებს).**



## ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, პატარა ლილოს მოსახლეობას, ხელისუფლების დაკვეთით დადგენილი ფასი, კვადრატულ მეტრზე 6 ლარი შესთავაზა

ამჟერად პრობლემები ექმნება პატარა ლილოს მოსახლეობას, რომელსაც კუთვნილი მიწების დათმობის სანაცვლოდ სასაცილო ფასს — 6 ლარს სთავაზობენ. უახლოეს მომავალში ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა იწყება, რომელიც თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიას და, შესაბამისად, ასობით მესაკუთრის კუთვნილ მიწის ნაკვეთსა თუ საცხოვრებელ სახლს გაივლის.

**პროექტის დამფინანსებელმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, პატარა ლილოს მოსახლეობას, ხელისუფლების დაკვეთით დადგენილი ფასი, კვადრატულ მეტრზე 6 ლარი შესთავაზა,** რაც მეტისმეტად სასაცილოდ ჟღერს. ამ თანხაში შეთავაზებულ დოკუმენტს ქონების დათმობის შესახებ მოსახლეობა ხელს არ აწერს და მოითხოვს, ექსპერტიზის ბიურომ ამ ტერიტორიაზე არსებული მიწის რეალური ფასი დაადგინოს.

პატარა ლილოს ტერიტორიაზე არის შემთხვევები, როდესაც მიწის ნაკვეთებს რკინიგზა შუაზე ჰყოფს, ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა კიდევ უფრო ზარალდება. ისინი დათმობას არ აპირებენ, მაგრამ ქვეყანაში კარგად მუშაობს ქონების ექსპროპრიაციის წესი, რომლის საშუალებითაც, **აუცილებელი საჭიროებისთვის სახელმწიფოს უფლება ენიჭება, წინააღმდეგობის შემთხვევაშიც მეპატრონეს მიწა ჩამოართვას და მას ის საფასური გადაუხადოს, რომელიც თავად დაადგინა. ამ მეთოდით საქართველოში არაერთ მესაკუთრეს ჩამოერთვა ქონება, მათ შორის — ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე მცხოვრებ 13 ოჯახს.**

ბათუმის მერიას, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა. ბრძანებულებაში ჩაიწერა: **„სამუშაოების ჩასატარებლად, აღნიშნული საავტომობილო გზის მშენებლობისთვის საჭირო ზოლში მდებარე უძრავი ქონების შესაძენად ვერ ხერხდება მესაკუთრეებისგან თანხმობის მიღება. ამდენად, გარდაუვალია აღნიშნულ ზოლში მოხვედრილი უძრავი ქონების ექსპროპრიაცია“** და მოსახლეობას კუთვნილი ქონება ჩამოერთვა.

ასეთივე მეთოდით ჩამოართვეს ქონება ხიმშიაშვილის ქუჩაზე მცხოვრებთ, რომელთა სახლებიც საავტომობილო გზის აეროპორტის გზატკეცილთან მიერთებას უშლიდა ხელს. იგივე განმეორდა სოფელ კოდაში, როცა სამცხე-ჯავახეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტით, ავტომაგისტრალის სამშენებლო ღონისძიებების გატარებისას, ვერ ხერხდებოდა განსაზღვრული სამუშაოების ზოლში მოხვედრილი კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შესაძენად მესაკუთრეთა თანხმობის მიღება. ეს გარემოება ხელს უშლიდა კოდის შემოსასვლელი გზის მიერთებას სამცხე-ჯავახეთთან დამაკავშირებელ ძირითად მაგისტრალთან. ამდენად, ხელისუფლებამ ჩათვალა: **„გარდაუვალია აღნიშნულ მონაკვეთზე მიწის ნაკვეთების ექსპროპრიაციაო“.**

როგორც აღვნიშნეთ, **საქართველოში უკვე ათეულობით ადამიანია, რომელთაც ქონება პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, იძულებით ჩამოართვეს, და, ალბათ, გრანდიოზულ პროექტს, რომელიც შემოვლითი რკინიგზის მშენებლობას ითვალისწინებს, კვლავ ბევრი ადამიანის ქონება შეეწირება.** ხელისუფლებისთვის ხომ ქალაქების რეკონსტრუქცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ ქალაქში მცხოვრებთა ბედი.

იმისთვის, რომ დაგეგმილი პროექტები განხორციელდეს, ხელისუფლება მარტო ქონების ჩამორთმევას არ სჯერდება. მაგალითად, **15 ოქტომბერს ბათუმში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ცნობილი ბიზნესმენის, აწ გარდაცვლილი ოლეგ გალოგრეს ძმის, რუსლან გალოგრეს დაკავებასაც, რომელიც ოპერაცია „ენვერის“ ფარგლებში განხორციელდა, ბათუმელები მისი ქონებით ხელისუფლების დაინტერესებას უკავშირებენ.** ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ გამოძიება დაკავებულის დაკითხვით მთელი თვის განმავლობაში არ დაინტერესებულა, ისე გამოამწყვდია იგი საპატიმროში.

რუსლან გალოგრე ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ოლეგ გალოგრეში“ ტექნიკურ მენეჯერად მუშაობდა. სასტუმრო ერთი წლის წინათ გაიხსნა და მის პრეზენტაციას საქართველოს პრეზიდენტიც ესწრებოდა. სწორედ იქ გასჩენია სააკაშვილს მესამე სკოლის დანგრევისა და ამ ადგილზე „პიაცას“ მშენებლობის სურვილი. ამის შემდეგ უბანში, სადაც სასტუმრო „გალოგრე“ მდებარეობს, დამტკიცდა „თვითმმართველი ქალაქის — ბათუმის „ისტორიული და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ 2010 წლის მუნიციპალური პროგრამა (2010 წლის 9 ივლისი), რომლის ბიუჯეტიც 53 მილიონ 728 ათასი ლარია. როგორც ამბობენ, **გალოგრეს ძვირადღირებული სასტუმრო ამ პროექტს უშლიდა ხელს და ხელისუფლება მის ჩამორთმევას გეგმავდა, ამიტომაც განხორციელდა 62 წლის რუსლან გალოგრეზე ანგარიშსწორება.**

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ

### გამფლანგველი „ვია-ვიტა“

**მთავარმა პროკურატურამ დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ფაქტზე შპს „ვია-ვიტას“ დამფუძნებლები — კონსტანტინე ჩივჩიური, იოსებ მაისურაძე, მერაბ ანთაძე და დავით ხაბეიშვილი დააკავა.** საქმის მასალების მიხედვით, მათ შრომის, ჯანმრთელობისა და საციალური დაცვის სამინისტროს თანამდებობის პირების ხელშეწყობით გერმანულ კომპანია „Resenius Medical Care“-სთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა მომსახურეობისას 14 მილიონი ლარი მიითვისეს და გაფლანგეს. ჩივჩიური წინასწარ პატიმრობაშია, სხვები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

### მალაშხიამ დაგვიბარა

**სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო კომპანიების მიერ გამოცემულ საინფორმაციო ბუკლეტებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების თემატიკის ასახვა სავალდებულო იქნება.** ამის შესახებ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ განაცხადა. მისი თქმით, ყველა სახის ნაბეჭდ პროდუქციაზე განთავსდება წარწერა: „საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. ამ ტერიტორიებზე განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად გამოდევნილია დაახლოებით 400 000 და დაღუპულია დაახლოებით 30 000 ადამიანი“.

### სოციალური დახმარებები მცირდება

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაფინანსება დაახლოებით 58,4 მილიონი ლარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში ეს თანხა 116,4 მილიონით განისაზღვრა.** აქედან 90,8 მილიონი ლარი საბიუჯეტო სახსრებია, 25,6 მილიონი კი — დონორების. სამაგიეროდ, მცირდება მოსახლეობის სოციალური დახმარებები. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით, სოციალური დახმარებისთვის 213,1 მილიონი ლარია გათვალისწინებული, წელს კი ეს მაჩვენებელი 225,4 მილიონს შეადგენდა. იმის გაგებას, თუ ვის შეუმცირდება დახმარება, დეპუტატები ბიუჯეტის განხილვის დროს ფინანსთა მინისტრისგან შეეცდებიან.

## გაბრაზებულნი



**თეიმურაზ შაშიაშვილი, „თეთრი მოძრაობის“ ლიდერი:**

ხალხი დაამშიეს და დააუძლურეს იმ ზომამდე, რომ ხალხისთვის მთავარი ლუკმაპურის შოვნა გახდა, მათ მეტი არაფერი აინტერესებთ. მთელი საქართველო რომ გაყიდო, ახლა ქუჩაში ხალხი ამისთვის აღარ გამოვა. სააკაშვილმა ყველაფერი გაყიდა და კაციშვილი ხმას აღარ იღებს. იმ უცხოელებს მინდა ვუთხრა, რომ, როდესაც ქვეყანაში ლუკმაპურის შოვნა ღირსების დაკარგვით შეუძლია ადამიანს და მილიონერიც კი ღირსებადაკარგული ხდება, ამ ქვეყანაში სამოქალაქო გამოღვიძება არ მოხდება. მხოლოდ თავგანწირულ ადამიანებს შეუძლიათ ხალხის გამოფხიზლება.

*„ალია“*



**ბაკურ ბაკურაძე, „თავისუფალი აზრის სახლის“ დირექტორი:**

იცით, ერთ-ერთ სკოლაში მცირეწლოვან მოსწავლეს რა შეემთხვა? ჩემი ახლობლის შვილიშვილია და არ მინდა, უხერხულ სიტუაციაში ჩავაყენო. მოკლედ, ბავშვი, რომელიც დერეფნებში მთელი დღე სათვალთვალო კამერებს ხედავს, იმდენად ყოფილა დაკომპლექსებული, რომ შესულა ტუალეტში და იმის შიშით, კამერა არ იყოსო, ისეთი ადგილი შეარჩია და მოისაქმა, სადაც არ იყო მოსასაქმებელი. ეს ხომ არის ბავშვებზე ფსიქოლოგიური ტერორი?

*„ალია“*



**გია ცაგარეიშვილი, პარლამენტის წევრი:**

ვინმემ იცის, რაში იხარჯება თბილისის 650-მილიონიანი ბიუჯეტი? ამას წინათ თითქოს გამოკითხვა ჩაატარეს და თბილისელებს ჰკითხეს, როგორი ბიუჯეტი გინდათო. იცით, ვინ ჰყავდათ ამ გამოკითხვაზე მიყვანილი? — ქალბატონები, რომლებიც არჩევნების დროს დავთრებით დარბოდნენ და ლაწვებს იხოკავდნენ მიხეილ სააკაშვილისა და გიგი უგულავასთვის.

*„ყველა სიახლე“*



**გიგა ბათიაშვილი, არქიტექტორი:**

მოვა დრო, ადამიანები მოინდომებენ რიყეზე ძველი ღირებულებების რეანიმაციას, მაგრამ შესაძლოა, ვეღარ განახორციელონ, რადგან დღეს უაზრო და თანაც დიდი სამუშაოებია ჩატარებული, რაც შლის ძველი თბილისის კვალს.

*„ყველა სიახლე“*



**გიორგი უძილაური, ჟურნალისტი:**

25 ნოემბერი იყო ქართული ოპოზიციის მიერვე საკუთარი თავისთვის გადახდილი ქელეხი. დღევანდელი ოპოზიცია არის ზომბი, რომელიც არ ეგუება საკუთარ სიკვდილს და პერმანენტულად ცდილობს საფლავიდან წამოდგომას, რაც იმით სრულდება, რომ რუსთაველზე ან სხვა მასობრივი თავშეყრის ადგილას დგება კურდღლობის, ღალატის, ცრუპენტელობისა და უსიცოცხლო დევიზების აქოთებული სუნი. ეს შმორი სჭირდება სააკაშვილს, რათა იმ ადგილებზე, სადაც ოპოზიციის გვამი მიდის, არ მივიდეს ჩვეულებრივი ხალხი და მართლაც არ მოინდომოს ხელისუფლების შეცვლა. ეს გვამი საფლავში ღრმად უნდა ჩაიმარხოს, თანაც მანამდე, სანამ დადგება ხელისუფლების გასვენების მომენტი. სანამ არსებობს ასეთი ოპოზიცია, იარსებებს ასეთი ხელისუფლებაც.

*„ახალი თაობა“*



**ჟიული სიყმაშვილი, შრომისა და კომპარტიის ვეტერანი:**

ხომ დასრულდა შადრევნების ეპოქა და წყალს გავატანეთ მილიონობით დოლარი? ახლა „ჭიაყელა ხიდების“, „დაყირავებული ბოთლებისა“ და სხვადასხვა საეჭვო გამძლეობის გზებისა და შენობების მშენებლობაში იყრება საბიუჯეტო თანხები, იმ დროს, როდესაც უბრალო ადამიანებისთვის სასურსათო პროდუქტების სიძვირესთან ერთად მედიკამენტების ფასები და ექიმთან კონსულტაციებიც კი ხელმიუწვდომელია! ყველგან სიცრუეა! სად არის პენსიონერებისთვის შეპირებული ის 100 დოლარი? უმუშევართა რიცხვიც იზრდება! რა ვქნათ?!

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გაჟღერებული



**თემო გოცაძე,**
**სახალხო მხატვარი:**

თავს იწონებენ, ობამა შეხვდა, მხარზე ხელი დაარტყაო. რა გასაკვირია, სააკაშვილზე დასავლეთმა ისეთი დიდი ფული დახარჯა, მისი წასვლა არ აწყობს. ხელსაც ჩამოართმევენ, მხარზეც მოუთათუნებენ, დემოკრატი ხარო, ეტყვიან. ამერიკა ჰონდურასის დიქტატორსაც ილებდა, კუბის დიქტატორ ბატისტასაც, ყველა იმ ქვეყნის დიქტატორს, რომელიც ამერიკის სატელიტი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერსად გაატარებდა თავის პოლიტიკას.

*„ასავალ-დასავალი“*



**სოსო ცისკარიშვილი,**
**ექსპერტი:**

ხელგაშლილობა, რომლითაც ეს ხელისუფლება ექცევა ნასესხებ თანხას, მაფიქრებინებს, რომ მას ბოლომდე არა აქვს გადაწყვეტილი, დარჩება თუ არა ხელისუფლებაში. პოლიტიკური ძალა, რომელიც უსუსურია საკუთარი ლიდერის მფლანგველობისკენ მისწრაფება მოთოკოს, განწირულია პოლიტიკური სცენიდან გაძევებისთვის. მგონი, თვითონაც ეყოფათ გონიერება, რომ ხელისუფლებაში აღარ გაჩერდნენ, რადგან რაც უნდა ამტკიცონ, გასაკეთებელი კიდევ ბევრიაო, ხალხის ჯიბიდან ამოსაღები აღარაფერი ექნება და ისინიც წავლენ.

*„ყველა სიახლე“*



**გელა ნიკოლაიშვილი,**
**ადვოკატი:**

პატიმართა რიცხვი, ოფიციალურად, დაახლოებით 25 ათასის ფარგლებშია, მაგრამ ეს არის მხოლოდ მათი რიცხვი, ვინც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იხდის სასჯელს, მძევლებიანად კი, ანუ მათი ჩათვლით, ვისაც პირობითი სასჯელი აქვს, დაახლოებით 150 ათასი შეიძლება იყოს. მათ მძევლებად იმიტომ ვიხსენიებ, რომ ასეთებს იბარებენ, აშინებენ — აქციებზე თუ დაგინახავთ, ციხეში შეგაბრუნებთო. ეს არის ზემოქმედების ბერკეტი. იმავე მეთოდს იყენებენ არჩევნების პერიოდში, ხმის მიცემის დროს. წარმოიდგინეთ, იმ 150 ათასი პატიმარს ოჯახში 3-4 წევრი ხომ ჰყავს და მათაც ეშინიათ. ეს უკვე ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანია. მარტო ამ გზით მძევლად ნახევარი მილიონი ადამიანი აქციეს.

*„ყველა სიახლე“*



**ნუკრი ქანთარია,**
**„ქართული აკადემიის“ წარმომადგენელი:**

ერთხელ და ორჯერ ცარიელი თოფით შეიძლება პოლკიც კი შეაყენო და აფიქრებინო, იარაღში ტყვია დევს და გაისვრისო, მაგრამ მესამედ და მეოთხედ ვეღარავის მოატყუებ. კრების ლიდერებიც ასე არიან: ჩვენ ისეთი რამ ვიცით, მაგრამ ჯერ არ გეტყვით და მერე გაგიმხელთ, როცა ბევრნი გამოხვალთო, — გამუდმებით ამ მეთოდის გამოყენება არ შეიძლება, ამ ყველაფერმა უკვე არაპროფესიონალური ხასიათი მიიღო.

*„ვერსია“*



**თემურ შაშიაშვილი,**
**„თეთრი მოძრაობის“ ლიდერი:**

შეიხებს შეშურდებათ ის სიმდიდრე და ფუფუნება, როგორითაც ცხოვრობს სააკაშვილი. იგივე შეიძლება ითქვას მის გარემოცვაზე. ესენი შეიხებზე უკეთ ცხოვრობენ, ხალხი კი შიმშილით იხოცება. ეს მოვითმინოთ? — გამორიცხულია! ხელისუფლება დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას არასდროს დათანხმდება. ამათ ისეთი ქმედებები აქვთ ჩადენილი, საკუთარი ნებით არ წავლენ.

*„ახალი თაობა“*



**ლევან პირველი,**
**ყოფილი პარლამენტარი:**

თუ ნინო ბურჯანაძეს სურდა ხალხთან ერთად ყოფნა, შეეძლო პარლამენტის შენობიდან ერთი სართულით ქვევით ჩამოსულიყო 2007 წლის ნოემბერში და ხალხის გვერდით დამდგარიყო. დღეს კი ნინო ბურჯანაძეს არ უნდა ჰქონოდა იმედი, რომ ხალხი გაჰყვებოდა. ეს არც უნდა ეცადა. ამით მან კიდევ ერთხელ მოახდინა სახალხო კრების დისკრედიტაცია.

*„ყველა სიახლე“*

# ზუგდიდის №4 საჯარო სკოლაში შვიდი მასწავლებელი მოხსნეს, ფლეთჩერი კი ადგილზეა

**ზუგდიდის №4 საჯარო სკოლა ისევ ყურადღების ცენტრშია. ჯერ იყო და ინგლისიდან მოწვეულმა ე.წ. ინგლისურის მასწავლებელმა თომას ფლეთჩერმა „საყოველთაოდ გაუთქვა სახელი“ მართლაც დიდებული ისტორიისა და ტრადიციის მქონე სკოლას, ახლა კი „ადგილობრივი მასშტაბის“ რეპრესიებიც დაიწყო.**



სკოლის დირექტორმა ხათუნა დარასელიამ, ისე, რომ **ხმის ამოღების უფლება არ მისცა არც პედაგოგებს და არც მოსწავლეებს, სრულიად უსაფუძვლოდ თანამდებობა დაატოვებინა სკოლის შვიდ მასწავლებელს** (მათ შორის სასწავლო ნაწილის გამგესაც). როდესაც მას მოსთხოვეს, განემარტა, თუ რატომ მოხსნა უმიზეზოდ დამსახურებული პედაგოგები, ვერაფერი უპასუხა. **„მე ასე გადავწყვიტე, მორჩა და გათავდა, მეტი არ შემეკითხოთ!“** — ასეთი იყო დარასელიას განმარტება. უფლებადარღვეულმა მასწავლებლებმა, რა თქმა უნდა, სარჩელი შეიტანეს სასამართლოში.

**სკოლის დირექტორის ასეთი ქმედებით აღშფოთებულმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან კონჯარიამ კატეგორიულად მოსთხოვა ხათუნა დარასელიას, თვითონ დაეწერა განცხადება თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე** (რამდენად ჰქონდა ამის უფლება საკრებულოს თავმჯდომარეს, საკითხავია). ხათუნა დარასელიამ დააკმაყოფილა კონჯარიას მოთხოვნა და მართლაც დაწერა განცხადება დირექტორობიდან გადადგომის შესახებ, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, არც რესურსცენტრის ხელმძღვანელმა აზა ჯოჯუამ და არც განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს.

**ხათუნა დარასელია შაშკინის კადრად ითვლება და ის მფარველობს, თუმცა ერთ-ერთი გასაიდუმლოებული შეხვედრის ამსახველი სურათების „ქართული პარტიის“ ზუგდიდელი ლიდერის კახა მიქაიას ხელში მოხვედრა ხათუნა დარასელიას ბრალდება. ამ სურათებზე აღბეჭდილნი არიან თვითონ ხათუნა დარასელია, რესურსცენტრის ხელმძღვანელი აზა ჯოჯუა, განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და „ლეგენდარული“ თომას ფლეთჩერი.**

**№4 საჯარო სკოლაში ამჟამად შიში და ძრწოლაა დასადგურებული. მასწავლებლებს ხმა აქვთ გაკმენდილი, დირექტორისაც ეშინიათ და ერთმანეთისაც, სამაგიეროდ არხეინად გრძნობს თავს**



**თომას ფლეთჩერი — ის ხელშეუხებელია.**

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ, განიზრახა, შაშკინის გვერდის ავლით ზუგდიდის სკოლებში საკადრო ცვლილებები განეხორციელებინა. გოროზიას სურდა №10 საჯარო სკოლის დირექტორი, ზუგდიდში ყველაზე ავტორიტეტული პედაგოგი ზურაბ კუპრეიშვილი №4 საჯარო სკოლის დირექტორად გადაეყვანა, ხოლო №4 საჯარო სკოლის დირექტორი ხათუნა დარასელია — №10 სკოლაში.

ზურაბ კუპრეიშვილისთვის, რომელმაც №10 საჯარო სკოლა ყველაზე პრესტიჟულ სკოლად აქცია ზუგდიდში, №4 საჯარო სკოლაში გადასვლა ერთგვარად დაწინაურებაც კი იყო, რადგან თავის სკოლაში მას 400-ლარიანი ხელფასი ჰქონდა, ახალში კი 1200 ლარი ექნებოდა. მიუხედავად ამისა, **კუპრეიშვილს თავისი აწყობილი სკოლის დატოვება ენანებოდა. გარდა ამისა, №10 საჯარო სკოლის პედაგოგებმა, მოსწავლეებმა, მშობლებმა და მათმა ახლობლებმა საპროტესტო აქციები მოაწყვეს და საყვარელი დირექტორი გუბერნატორს სკოლაში დაატოვებინეს.**

გავრცელებული ვერსიით, საკადრო გადაადგილებები ემსახურებოდა №10 საჯარო სკოლის სპორტულ სკოლად გადაკეთებას, რადგან ეს სკოლა მდებარეობს საფეხბურთო კლუბ „ბაიას“ მიმდებარე ტერიტორიაზე (ზაზა გოროზია „ბაიას“ საპატიო პრეზიდენტია). **ზურაბ კუპრეიშვილის ამ სკოლიდან მოშორებით და მის ადგილზე ხათუნა დარასელიას დანიშვნით ამ ჩანაფიქრის განხორციელება უფრო იოლი იქნებოდა, მაგრამ კუპრეიშვილის მხარდამჭერების საპროტესტო აქციებმა ეს პროცესი დროებით შეაჩერა.**

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

**P.S. ამ სამიოდე წლის წინათ ზურაბ კუპრეიშვილს მის მიერ დაარსებული ეროვნული სკოლა გაუუქმეს.**

## მოკლედ

### კუკავა პარლამენტის წინააღმდეგ

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ კახა კუკავას კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვა დაიწყო.** „კონსერვატორთა“ ინფორმაციით, დავის საგანს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რამდენიმე მუხლი წარმოადგენს. საუბარია სახელმწიფო და რიგ დაწესებულებებთან, ასევე მათი შესასვლელიდან ოცი მეტრის რადიუსში, შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების, ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის აკრძალვაზე. მოსარჩელეები აღნიშნული მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვენ.

### ცაგარეიშვილი მშიერ ბუნტს გვპირდება

**საქართველოს საგარეო ვალი კატასტროფულად იზრდება და ამჯერად 3 მილიარდ 584 მილიონს შეადგენს. მონაცემი „თავისუფალი დემოკრატების“ წევრმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა დაასახელა.** მისი თქმით, განსაკუთრებით სწრაფი ტემპით გაიზარდა საგარეო ვალი ბოლო ორი წლის განმავლობაში. 2011 წელს მისი მომსახურებისთვის 191 მილიონი დოლარი დაგვჭირდება. დეპუტატი საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემცირებაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ 2010 წელს ოფიციალური წყაროები მხოლოდ 76 მილიონი დოლარის ინვესტიციას ადასტურებენ. რაც შეეხება უმუშევრობას, ის 30%-ს აჭარბებს.

### თვითმკვლელობა გამორიცხულია

**ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების შემსწავლელი კომისია 2010 წლის ბოლომდე საბოლოო დასკვნას გამოაქვეყნებს. ამის შესახებ კომისიის თავმჯდომარემ კონსტანტინე გამსახურდიამ ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე განაცხადა.** წინასწარ გახდა ცნობილი, რომ პირველი პრეზიდენტის თვითმკვლელობის ვერსია გამორიცხულია. ამ დრომდე ვერ მოხერხდა ბესარიონ გუგუშვილისა და ედუარდ შევარდნაძის დაკითხვა. კომისია მოსკოვში შეხვდა ყოფილ მაღალჩინოსნებს და მოიპოვა როსტოვის სასამართლო-სამედიცინო ინსტიტუტის ერთადერთი დასკვნა, რომელიც 2007 წლის თებერვალ-მარტში არის შედგენილი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «ქუჩის ბიჭი» სარკო!



## ლისაბონის სკანდალის ახალი დეტალები

**ქართული პროსამთავრობო ტელეარხების — „რუსთავი 2-ის“, „იმედის“, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ ფართოდ რეკლამირებული მორიგი ვიკილიქს-სენსაციის „გადახარშვა“ ჯერაც ვერ მოვასწარით (2008 წლის აგვისტოში თუ როგორ სწვდა განრისხებული სარკოზი ლავროვს პიჯაკის სამკერდულში და ცრუპენტელა უწოდა), რომ თბილისში უკვე ახალი ჭორი გავრცელდა. ჯერჯერობით ძალიან ვიწრო წრეებში, დახურულ კარს მიღმა, და ისიც ჩურჩულით ბაასობენ ლისაბონში ნატოს ამასწინანდელ სამიტზე ატეხილი სკანდალის ახალ სენსაციურ დეტალებზე, რომლებიც ქართული დელეგაციის მიერ ოტელში მიწვეულ და მეუღლეებად გასაღებულ 80 მეძავთან გამართული ორგიის გამო უეჭველად შევა ისტორიაში.**

უწინ საქინფორმი უცხოეთის მედიაზე დაყრდნობით მკითხველს აუწყებდა, რომ სიყვარულის ქურუმების ხმაურმა და აურზაურმა სიმშვიდე დაურღვია იმავე სასტუმროში მცხოვრებ საფრანგეთის დელეგაციას პრეზიდენტ სარკოზის მეთაურობით. „Cest scandaleux! (რა უმსგავსობაა) — აღშფოთებას გამოთქვამდა საფრანგეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, გასაგები მიზეზებით აღელვებული, აკანკალებული ხელით „022“-ს კრეფდა.

ადგილზე გამოცხადებულმა პოლიციის პატრულმა უძველესი პროფესიის რამდენიმე წარმომადგენელი პარმაღიდანვე იცნო და სხვა ლამაზმანების ტესტირება, ამ პროფესიისადმი კუთვნილების თვალსაზრისით, აღარც უცდია, ისე აღკვეთა ინციდენტი, შურიანი ფრანგების გულის გასახარად და ტემპერამენტიანი ქართველების სამწუხაროდ, რომლებმაც ჭეშმარიტად რუსული სულისთვის დამახასიათებელი ხელგაშლილობით „ჯგუფური სექსი“ მოაწყვეს.

**როგორც გუშინ საქინფორმისთვის საკმაოდ კომპეტენტური წყაროებიდან გახდა ცნობილი, მეძავებთან დაკავშირებულ იმ აურზაურში ერთი კი არა, ორი პრეზიდენტი ფიგურირებდა: სარკოზი, რომელშიც ყოფილმა პოლიციელმა გაიღვიძა და... სააკაშვილი! თურმე, ჩვენი უზომოდ ტემპერამენტიანი მიხეილ ნიკოლოზის ძე ამ მხიარული პიკნიკის ნამდვილი მოთავე ყოფილა: როგორც ამბობენ, „ოინბაზი“ სააკაშვილი თავად დაქროდა ხუთვარსკვლავიანი ოტელის დერეფნებსა და კიბის ბაქნებზე მთელი ამ საქმის მოსაკვარახჭინებლად. სწორედ ამ დროს შენიშნა იგი სარკოზიმ და ხუთ პირად მცველს უბრძანა — საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც არაფერი უეჭვია, მასთან ნომერში მიეყვანათ.**



**საპრეზიდენტო ნომერში კი... ჰოი, სირცხვილო! ავმა სარკომ თავდაპირველად მკაცრად დატუქსა „ბახუსის ქვეშ“ მყოფი მხიარული მიშა, ხოლო შემდეგ ცალი ხელით პიჯაკის სამკერდულში სწვდა (ზუსტად ისე, როგორც ორი წლის წინათ ლავროვს — მოსკოვში!) და... სამი მსუბუქი სილა უთავაზა!!!**

საქინფორმმა ჯერ ვერ დააზუსტა — ეს ასაკით უფროსი კაცის „მამობრივი მზრუნველობით“ გამოსაფხიზლებლად გაწნული სილა იყო თუ შეურაცხმყოფელი ალიყური, რომელსაც, ღირსების წესებით, დუელი უნდა მოჰყვეს; ამურულ საქმეებში გამოცდილი ფრანგი კოლეგის უწყინარი ფრანგული ხუმრობა თუ, უბრალოდ, ყოფილი მთავარი პოლიციელისგან, ამჟამად კი საფრანგეთის პრეზიდენტისგან გატყეპვა.

ჩვენ ვცდილობთ, გადავამოწმოთ ეს ინფორმაცია, თუმცა დღეს სრული პასუხისმგებლობით მხოლოდ ერთი რამის მტკიცება შეგვიძლია: **რუს მინისტრ ლავროვსაც და არანაკლებ მაღალ სააკაშვილსაც „ქუჩის ბიჭი“ სარკო სამკერდულში იმისთვის სწვდა, რომ... მისწვდომოდა!**

და საერთოდაც, როგორ უნდა მისწვდნენ ეს ჩია ევროპელები ჩვენს დიდ — რუსულ და ქართულ — სულს?!

**საქინფორმი**

# ტანგა — დემოკრატიული ღირებულების ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი

**„ვარდების რევოლუციამ“ ერთგვარი საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სექსუალური, უფრო ზუსტად, პორნოგრაფიული გამოხატვის თავისუფალ შესაძლებლობებს. ბოლო პერიოდში ამის უამრავი მაგალითი დაგროვდა, რამაც საზოგადოების ჯეროვანი აღშფოთება (რიგ შემთხვევებში, დაინტერესება) გამოიწვია. შესაბამისად, ზოგმა ეს ყოველივე დაგმო, ზოგმაც მხოლოდ თავშესაქცევ, გასართობ შოუდ მიიჩნია და დღეს ეს კატეგორია სულმოუთქმელად ელის მთავრობის „სექსუალური რევოლუციის“ ახალ სერიებს.**





წინა, უკვე კარგად ნაცნობი, სერიებისგან განსხვავებით, ეს „მხატვრული სურათი“ უფრო შთამბეჭდავ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გულისამრევ მასალას გვთავაზობს. **მთავარი სამიზნე პაატა დავითაიას დაცვის წევრია, რომელიც ტანგა ტრუსის ამარა, პლაჟზე წამოწოლილ სხვა დაცვის წევრებთან ერთად იცავს ბატონი დავითაიას უსაფრთხოებას.** ისე გამომწვევად პოზირებს ეს „ტანგიანი კაცი“ ფარული კამერის წინ, რომ ფეშენ-თივის ტელევიზიასაც კი შეშურდებოდა ასეთი „ეფექტური ფიგურის“ დანაკლისი. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ჩვენებური „ტანგიანი კაცი“ ზემოხსენებული ტელევიზიის ვიდეო რგოლებში ვიხილოთ, ოღონდ უფრო მეტი სითამამითა და სიამაყით წარმდგარი მაყურებლის წინაშე (წინხედით).

ამ ვიდეოს ყურების შემდეგ, **ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ბატონი პაატა ტრეფიკინგის მსხვერპლი გამხდარიყოს და ტელეფონზე გამალებული მოსაუბრე, გამოსასყიდის მიღების სურვილით შეპყრობილ, თავს წამდგარ „ტანგიან კაცს“ ეხვეწებოდეს, მაცალეთ, ცოტას კიდევ ვილაპარაკებო.** წარმოიდგინეთ, განცხადება სათაურით **„პაატა დავითაია ტანგიანმა კაცმა მოიტაცა“**. რა დიდი აურზაური მოჰყვება ამ ამბავს. პარლამენტში შეიქმნება საგამოძიებო კომისია, რომელიც დაწერს „პაატასეულ დასკვნას“ მის გატაცებასთან დაკავშირებით. პოლიტიკური პარტია „ჩვენ თვითონ“ კი ყველასგან „დამოუკიდებლად“ ჩამოაყალიბებს კომისიას, იქიდან გამომდინარე, რომ მათი ლიდერი გატაცებულია, ხელისუფლებას დაიხმარენ საქმის ნაყოფიერად წარმართვისთვის. **ბოლოსდაბოლოს, არ უნდა დავკარგოთ ისეთი ლიდერი, „ის თვითონ“ რომ აპირებს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, მაშასადამე, ქვეყნის გაერთიანებას.**

**დღევანდელი ხელისუფალის ლისაბონში ვოიაჟისა და „გულაობის“ შემდეგ, ასეთი წვრილ-წვრილი, მაგრამ ეფექტური კადრები აღარ უნდა გვაკვირვებდეს. მაგრამ თითოეული ასეთი „მხატვრული სურათი“ კიდევ უფრო მძაფრად და ღიად ადასტურებს, რომ „სამთავრობო პორნოგრაფია“ ქვეყნის მაშტაბით მოწოდების სიმაღლეზეა. ბოლოსდაბოლოს მეფე გატიტვლდა და...**

**ოთარ დალაქიშვილი**

## მოკლედ

### მობილურით საუბარი გაძვირდება

**მობილური ოპერატორები გაზრდილი აქციზის საცალო ტარიფში ასახვას მოითხოვენ. კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორების თხოვნის საფუძველზე ტარიფის შესახებ კვლევა დაიწყო.** გადაწყვეტილება მობილური მომსახურების აქციზით დაბეგვრის შესახებ ძალაში პირველი აგვისტოდან შევიდა, რაც „მაგთიმ“ და „ჯეოსელმა“ მაშინვე გააპროტესტეს და განაცხადეს, რომ დაბეგვრის ეს წესი მობილურით მომსახურებას გააძვირებდა. კომისიის ინფორმაციით, მარეგულირებელი ეცდება, ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც არც კომპანიებს დააზარალებს და არც — მომხმარებელს.

### ვიკილიკსის პირველი მსხვერპლი

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, „თავისუფალი დემოკრატიული პარტიის“ ლიდერის გვიდო ვესტერველეს აპარატის უფროსმა ვიკილიკსის მიერ გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე თანამდებობა დატოვა.**

გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ცნობილი გახდა, რომ ჰელმუნგ მეცნერი ამერიკელებს გერმანიის პოლიტიკის კულუარებზე ინფორმაციას აწვდიდა. კერძოდ, აშშ-ის საელჩოს ბერლინში 2009 წლის ოქტომბერში, ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მმართველი კოალიციის ფორმირებაზე მოლაპარაკებების შესახებ საქმის კურსში აყენებდა.

### მედიცინის ცენტრი აშენებამდე დაინგრა

**სიღნაღში ახლადაშენებული საოჯახო მედიცინის ცენტრი ექსპლუატაციაში შესვლამდე დაზიანდა. შენობას, რომელიც სიღნაღის არარეაბილიტირებულ ნაწილში მდებარეობს, კედლები დაებზარა და საძირკველი მოერყა.** როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, ტერიტორია მეწყერსაშიშ ზონაში მდებარეობს და იქ სამედიცინო ობიექტის ფუნქციონირება გაუმართლებელია. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვერ აკონკრეტებენ, ვის ბალანსზეა აღნიშნული შენობა. სიყვარულის ქალაქის გამგებელმა ნოდარ კოჭლამაზაშვილმა კი მომხდართან დაკავშირებით ერთკვირიანი ვადა ითხოვა და პირობა დადო, რომ გაარკვევს, რა ბედი ელის შენობას.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# შაშკინს დაუსტვინეს!



**წინა კვირას განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა №173 საჯარო სკოლა შეძახილებისა და სტვენის ფონზე დატოვა. მოსწავლეების თქმით, სკოლის დირექტორი მას შემდეგ გაათავისუფლეს სამსახურიდან, რაც ამ სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მე-12 კლასელების საპროტესტო აქციაში. შაშკინი სკოლის შენობიდან გამოსვლისას რამდენიმეჯერ შეჩერდა და სცადა, აეხსნა მოსწავლეებისთვის, თუ რატომ მიიღეს გადაწყვეტილება მზია გიორგობიანის მოხსნის შესახებ. მინისტრის განცხადებით, №173 საჯარო სკოლა სიდიდით მეორეა საქართველოში. სკოლაში ამ დრომდე არ იყო გადაჭრილი გათბობისა და კვების ბლოკის პრობლემები.**









**7 წელია, სკოლაში ტუალეტი არაა, ბუფეტში ვირთხები დარბიან, დირექტორები მილიონებს ჭამენ, შაშკინმა კი ყველა პრობლემა ერთი ხელის მოსმით გადაჭრა. ვაშა, დიმიტრი!**

ინციდენტიდან მეორე დღესვე №173 სკოლაში მინისტრის ბრძანებით განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექცია შევიდა. დიმიტრი შაშკინმა ისიც განაცხადა, რომ, შესაძლოა, №173 საჯარო სკოლის დირექტორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. **„გენინსპექცია უკვე შესულია სკოლაში, სწავლობს სიტუაციას; მათ დასჭირდებათ დაახლოებით 2-3 კვირა იმისთვის, რომ ბოლომდე მიიყვანონ საქმე და გამოაქვეყნონ დასკვნა. ამის შემდეგ ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, ვისაუბროთ კონკრეტულ დარღვევებზე, შეიცავს თუ არა ეს დარღვევები სისხლის სამართლის დანაშაულს. რაც შეეხება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, ეს დარღვევები საკმარისი იყო იმისთვის, რომ ადმინისტრაციის წევრები თანამდებობიდან გათავისუფლებულიყვნენ. ახლა კი ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ გამოვავლინოთ სისხლისსამართლებრივი დარღვევები“,** — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

მინისტრის ამ განცხადებას წინ აღნიშნული სკოლის მოსწავლეების საპროტესტო აქცია უძღოდა. მათ 2 დეკემბერს სასწავლო პროცესი ჩაშალეს და ამ ფორმით სკოლის დირექტორის — მზია გიორგობიანისა და ექვსი პედაგოგის თანამდებობიდან გათავისუფლება გააპროტესტეს.

**რადგან მოსწავლეებმა გააპროტესტეს და განაცხადეს, გამოცდები არ გვინდაო, მინისტრმა მოხსნა სკოლის დირექტორი და პარალელურად სკოლაში შევიდა გენინსპექცია და დაიწყო მოკვლევა. დირექტორის გათავისუფლების მიზეზად კი დასახელდა ფინანსური დარღვევები.** საინტერესოა, რატომ მოხდა ასეთი უცნაური დამთხვევა. იგივე დარღვევები იქნებოდა, ალბათ, 1 თვის წინათაც და, გნებავთ, 2 თვის წინათაც. ამხელა თანხა რამდენიმე დღეში ერთბაშად ვერ გაიფლანგება. დასკვნა ისაა, რომ **ადამიანმა ქვეყანაც რომ დააქციოს, მანამ არ გასცემენ ხმას, სანამ უშუალოდ მათ წინააღმდეგ არ წავა. ისიც საკითხავია, რამდენადაა უშუალოდ ამ დირექტორის ბრალი ამხელა გაფლანგვა. სიუჟეტში მილიონზე იყო საუბარი. 1 მილიონი არამიზნობრივად რომ დახარჯულიყო, დირექტორს კი არ მოხსნიდნენ, ციხეში ამოაყოფინებდნენ თავს!** ამდენი ჭამა იმ დირექტორმა და თავისუფალია, როცა ხალხს 100 ლარის მითვისებისთვის ციხეში სვამენ? ამის შემდეგ მოვიდა დირექტორად მანდატური, რომელმაც მაშინვე გაათავისუფლა 4 სასწავლო ნაწილის გამგე; ამას მოჰყვა ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, სამეურნეო ნაწილის გამგის, საქმეთა მმართველისა და 1 დამრიგებლის გათავისუფლება. ისე, მანდატურზე უკეთესი კადრი თუ არ ჰყავს სკოლას, მაშინ საერთოდ უნდა დახურონ, ალბათ.

რაც შეეხება მილიონიან დაფინანსებას, ეს კიდევ გასარკვევია. მზია გიორგონიანს შეუჭამია თურმე 1 მილიონი ლარი და თავისუფლად დადის. უბრალოდ, სასაცილოა ეს ყველაფერი იმის ფონზე, როცა სასამართლოებში ფინანსთა სამინისტრო 10 ათას ლარზე ჩივის.

**7 წელი თუ განათლების სისტემაში ქაოსი იყო და პრეზიდენტმა 3 მინისტრი დანიშნა ზედიზედ, რომლებმაც წესრიგი ვერ დაამყარეს, მაშინ ლოგიკურია, მიზეზი მინისტრების „ზევით“ ვეძებოთ.** დირექტორის დასჯა ადვილი საქმეა, მინისტრის — რთული. მინისტრის დასჯა იმის აღიარებას ნიშნავს, რომ სერიოზული საკადრო პრობლემები არსებობს. მსოფლიოში პირველ რეფორმატორ ქვეყანას კი, უბრალოდ, არ შეიძლება სერიოზული საკადრო ცვლილებები ჰქონდეს.

**ხომ ჩატარდა დირექტორების არჩევნები? ჰოდა, როგორ მოხდა, რომ ეს დირექტორები ფულს ჭამდნენ, რემონტს არ აკეთებდნენ და ახლა ირკვევა ყველაფერი? და თუ ახლა ირკვევა, რატომ არ ისჯება ლომაია, ნოდია, გვარამია?** რატომ არ ისჯება ყველა ის ადამიანი, ვინც 7 წელი საქმის კეთების ნაცვლად არაკომპეტენტურ ადამიანებს ნიშნავდა დირექტორებად და მერე არ აკონტროლებდა მათ მუშაობას?

**გლეხი არ ვარგა, მასწავლებელი არ ვარგა, მოსწავლე არ ვარგა, ჯარისკაცი არ ვარგა, მშენებელი არ ვარგა, მუშა არ ვარგა, ფეხბურთის მეკარე არ ვარგა... ჩამოვიყვანოთ უცხოელები ქართველების ადგილას, დავტოვოთ მხოლოდ პრეზიდენტი, მინისტრები და „ნაციონალი“ დეპუტატები. ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა!**

ღმერთმა ხელი მოუმართოს შაშკინს და ის დირექტორიც თუ დასასჯელია დასაჯონ, მაგრამ ეს ხომ ერთ დღის პიარზეა გათვლილი? გრძელვადიან პერსპექტივაში რას ვშვებით, ისევ ყურებს ვიცობთ, თვალებზე ხელს ვიფარებთ და პირში წყალს ვიგუბებთ... შაშკინით და მაგ დირექტორით იწყება და მთავრდება ყველაფერი?

**7 წელია, სკოლაში ტუალეტი არაა და ბუფეტში ვირთხები დარბიან, დირექტორები მილიონებს ჭამენ და აი, ახლა შაშკინმა ყველა პრობლემა ერთი ხელის მოსმით გადაჭრა. ვაშა, დიმიტრი!**

**საქელეხო დარბაზად მართლაც აქცია სააკაშვილმა საქართველო და, ვისაც ცოტა გული შესტკივა ამ ქვეყანაზე, კიდეც გვისამძიმრებს დაკარგული ტერიტორიებისა და ავტორიტარული რეჟიმის გამო. რაც შეეხება სკოლებში პოლიციის შეყვანას, მსგავსი რამ — რომ პოლიციელი მასწავლებლებს აკონტროლებდეს, მათ შესახებ პატაკებს წერდეს, სკოლის დერეფნებში აღმა-დაღმა დადიოდეს და ამით განათლების სფეროში იჭრებოდეს, არსად არ არის.**

ამერიკაში მანდატურებს კოლეჯის ეზოში უდგათ სათვალთვალო ვიდეოკამერები და მხოლოდ კრიმინალური ქმედების აღკვეთა ევალებათ.

რაც შეეხება კონკრეტულად №173 სკოლის ინციდენტს, გადავწყვიტეთ, მივსულიყავით და სკანდალის დეტალები ადგილზე გაგვერკვია. იქ მისულებს არც თუ სასიამოვნო სურათი დაგვხვდა. მისვლისთანავე ეზოში რამდენიმე უფროსკლასელს გავესაუბრეთ, თუმცა აღმოჩნდა, რომ იმ დღეს სკოლაში არ ყოფილან და არც არაფერი იციან! ფაქტობრივად, თავიდან მოგვიშორეს. **შეიძლება ეს ბავშვები მართლაც არ იყვნენ იმათ შორის, ვინც მინისტრ შაშკინს პირდაპირი პროტესტი გაუბედა, მაგრამ რაღაც არაბუნებრივი და ცოტა შიშნარევი ჩანდა მათი პასუხები და რეაქცია.**

სკოლის შესასვლელთან კიდევ ერთი ბარიერი დაგვხვდა — სკოლის დაცვა, რომელმაც პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე შეგვაჩერა და გვკითხა, თუ სად მივდიოდით. ჩვენი ვინაობა არ გაგვიმხელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ღრმად ვიყავით დარწმუნებული, სიტყვა „ჟურნალისტის“ ხსენებაზეც კი ჩვენთვის სამუდამოდ დაიკეტებოდა ამ სკოლის კარი.

**გადავწყვიტეთ, პირდაპირ ახლადდანიშნული დირექტორი, ყოფილი მანდატური თინათინ ნასიძე მოგვენახულებინა. ქალბატონს, რომელმაც გამოგვხედა, ჟურნალისტების ხსენებაზე სახე შეეცვალა და განგვიცხადა, რომ დირექტორს არ ეცალა!** კარსაც სიამოვნებით მოგვიჯახუნებდა ცხვირწინ, მაგრამ თავაზიანად ვუთხარით, რომ არ არის პრობლემა დაველოდებით-თქო. 5 წუთის განმავლობაში 6-7 ადამიანი შევიდა და გამოვიდა დირექტორის კაბინეტიდან. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ჩვენთვის იყო ეს კარი დაკეტილი. დაახლოებით 3-4 წუთში ქალბატონი, რომელმაც განგვიცხადა დირექტორს არ სცალიაო, დაბლა ჩავიდა (დირექტორის კაბინეტი მესამე სართულზე მდებარეობს), **რამდენიმე წამში კი თავზე დაგვადგა კოპებშეკრული სკოლის დაცვა და გვიბრძანა, დაბლა ჩადითო. ავუხსენით, რომ დირექტორს ველოდებოდით. მე თვითონ ჩამოგიყვანთ დირექტორს პირველ სართულზეო!**

არ ვაპირებდით დაბლა ჩასვლას, მაგრამ კონფლიქტურ სიტუაციას თავი ავარიდეთ. დავემორჩილეთ მის ბრძანებას და დავბრუნდით პირველ სართულზე, სადაც კიდევ ერთი რაინდული სულისკვეთების, დირექტორის დასაცავად გამზადებული მამაკაცი დაგვხვდა, რომელმაც ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ სამეურნეო საქმეებს ხელმძღვანელობს. სახელი და გვარი არ გაგვიმხილა. გვითხრა, რომ 3 დღის მოსულია სკოლაში და არ იცის, დირექტორი მართლაც იყო თუ არა მანდატური. ქალბატონი თინათინის გვარიც კი კარგად არ ახსოვდა. ამ ადამიანმა ვითომ თავაზიანი ფორმით სცადა ჩვენი თავიდან მოშორება და განგვიცხადა, რომ სკოლაში შემოსულია გენერალური ინსპექცია და დირექტორიც მოუცლელიაო.

**„დასამალი არაფერია, იციით, რაც მოხდა. გუშინ აქ იმყოფებოდა მინისტრი შაშკინი, გამგებელი. გაირკვა ის, რაც გასარკვევი იყო და გაიგეს მათ, ვისაც უნდა გაეგო,“** — განაცხადა მან.

სამწუხაროდ, ჩვენ არ აღმოვჩნდით, „რუსთავი 2“-ის მსგავსად, ისეთი პატივსაცემები და დასაფასებლები, ამიტომაც ვერ მოვხვდით სიაში — „ვისაც უნდა გაეგო“. ყველა დანარჩენ შეკითხვაზე კი „ზავხოზმა“ გვიპასუხა, რომ მივბრძანებულიყავით განათლების სამინისტროში და ყველაზე კარგად პასუხებს მინისტრი შაშკინი გაგვცემდა! **„გვაცალეთ, თქვენთვის არ გვცალია, არც დირექტორს სცალია. იდექით მაშინ აქ. ზევით ველარ ახვალთო“,** — გადაგვიწურა იმედი.

დაახლოებით 2 საათი მაინც ვიდექით და ველოდებოდით მანდატურებით, დაცვის თანამშრომლებითა და დამცველებით ალყაშემორტყმული დირექტორის ჩამობრძანებას. თუმცა ამაოდ. **ტყუილად არ ამბობენ მინისტრ შაშკინზე, — სკოლას და ციხეს შორის განსხვავებას ვერ ამჩნევსო!**

**ლილი მიროტაძე**
**თეო ტაბატაძე**

# მინისტრმა ურჩ დირექტორებს გენერალური ინსპექცია მიუსია

**დიმიტრი შაშკინი ხელისუფლებაში არასამთავრობო სექტორიდან მოვიდა. მისი დანიშვნით პენიტენციალური სისტემის ხელმძღვანელად ხელისუფლებამ თითქოს რკინის ხელები ჩამოაცილა ამ უწყებას, მაგრამ არასამთავრობო სექტორიდან მოსულმა, ადამიანის უფლებების დამცველმა დიდმა ჰუმანისტმა იმაზე სწრაფად აითვისა მისი წინამორბედის უნარ-ჩვევები, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა. როცა მან ციხეში სრული დიქტატურა დაამყარა, როცა პატიმრები საჩივრების წერასაც კი ველარ ბედავდნენ და მდუმარედ ხვდებოდნენ ციხის თანამშრომლების მხრიდან არაადამიანური მოპყრობასა და წამებას, ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ახლა შაშკინის ხელი სკოლის აღსაზრდელებს სჭირდებოდა და მას ქვეყნისა და საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სისტემა ჩააბარა.**



## ვალერიან გიორგაძე: მეუბნებოდნენ, რომ, თუ ჩემი მეუღლე არ დატოვებდა თანამდებობას, მეც და ჩემს მეუღლესაც პრობლემებს შეგვიქმნიდნენ

**მანდატურიზაციით სკოლა შაშკინმა პოლიციურ დაწესებულებად აქცია, სადაც არამარტო თითოეულ მოსწავლეს, არამედ მასწავლებელსაც და დირექტორსაც კი პოლიციის აკადემიაში გაწვრთნილი მანდატური აკონტროლებს.** სწორედ შაშკინის მანდატურებმა უპატაკეს მას იმის შესახებ, თუ რომელი სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ საატესტატო გამოცდების საწინააღმდეგო აქციებზე. უფრო ზუსტად კი მათ მიაწოდეს ინფორმაცია, თუ რომელი მოსწავლე აცდენდა იმ დღეს გაკვეთილებს. **შაშკინმა კი ჩათვალა, რომ ყველა გამცდენი მოსწავლე აქციაში მონაწილეობდა და სკოლის დირექტორების დასჯა გადაწყვიტა. ამის გამო შაშკინმა ეს დირექტორები დაიბარა და სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვა.** რამდენიმე მათგანმა მინისტრის მოთხოვნა შეასრულა. მათ შორის, ვინც ავტომატურად არ დაექვემდებარა მინისტრის ბრძანებას, იყო №149 სკოლის დირექტორი მაია გიორგაძე. მან განცხადების დაწერაზე უარი თქვა და წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ ის ათი ბავშვი, რომლებიც იმ დღეს სკოლაში არ იყვნენ, არც აქციაზე იმყოფებოდნენ.

თუმცა შაშკინი ამის გარკვევით არ შეწუხებულა. მისი დავალებით, გენერალური ინსპექციის უფროსი მაია გიორგაძის მეუღლეს, №148 სკოლის დირექტორს — ვალერიან გიორგაძეს დაუკავშირდა და უთხრა, რომ, **თუ მაია გიორგაძე არ დაწერდა განცხადებას სამსახურიდან წასვლის შესახებ, მათ სკოლებში გენერალური ინსპექცია შევიდოდა და ასეც მოხდა, შაშკინმა მუქარა შეასრულა. გენერალური ინსპექცია ორივე სკოლას შეუსია. საკმაოდ ხანმოკლე შემოწმების შედეგად დასკვნები უკვე მომზადდა და მათ მინისტრის რეკომენდაცია ერთვის, რომელშიც ნათქვამია, რომ სამეურვეო საბჭომ დირექტორის გათავისუფლების საკითხი უნდა განიხილოს.**

**„საქართველო და მსოფლიო" №148 სკოლის დირექტორს — ვალერიან გიორგაძეს ესაუბრა:**

— გენერალურმა ინსპექციამ სკოლაში გასული კვირის პარასკევს დაასრულა მუშაობა. მოგვივიდა დასკვნა მინისტრის ბრძანებით, სადაც მითითებულია, რომ სკოლას გამოეცხადა საყვედური, გაფრთხილება და სამეურვეო საბჭოს მიეცა ერთთვიანი ვადა სიტუაციის გამოსასწორებლად; ასევე, მას მიეცა რეკომენდაცია დირექტორის გათავისუფლების შესახებ.

**— საკმაოდ სწრაფად „შემოწმდა" ყველაფერი, როგორ მოახერხეს ასე მოკლე დროში ერთი წლის მასალების შესწავლა?**

— ორი წლის მასალებს იკვლევდნენ და ასევე 2008 წლის მასალების ნაწილსაც. ვერ გეტყვით, როგორ მოახერხეს. მოახერხეს, ალბათ.

**— ეთანხმებით ამ დასკვნას?**

— აბსოლუტურად არ ვეთანხმები.

**— დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია ამასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროსთან?**

— ჯერ არა, სამეურვეო საბჭოსთან უნდა დავაფიქსირო, როგორც სკოლის დირექტორმა.

**— კონკრეტულად რა დარღვევებზეა საუბარი ამ დასკვნაში?**

— ძალიან ბევრი რამ დაიწერა ისე, რომ ზოგიერთი დოკუმენტი არც უნახავთ, არც შეუსწავლიათ. სამეურვეო საბჭოს სხდომების ოქმის გაფორმებას გვედავებიან ადმინისტრაციული კანონმდებლობის წესით, პედსაბჭოსთან, ბუღალტერთან მიმართებაში აქვთ პრეტენზია და ასევე — ჩემთან.

**— როგორ ფიქრობთ, სამეურვეო საბჭო რა გადაწყვეტილებას მიიღებს, მითუმეტეს, როცა განათლების სამინისტროს უნდა თქვენი გათავისუფლება?**

— ვერ გეტყვით, ეს სამეურვეო საბჭოს გადასაწყვეტია, მათი პრეროგატივაა და მე მათ საქმეებში, კანონმდებლობიდან გამომდინარე, ჩარევის უფლება არ მაქვს.

**— თქვენს სკოლაში გენერალური ინსპექციის შემოსვლა უკავშირდებოდა იმას, რომ თქვენმა მეუღლემ უარი განაცხადა განცხადების დაწერაზე; გენერალურმა ინსპექციამ მასთან რა დარღვევები აღმოაჩინა?**

— ძირითადად დასკვნები ერთი და იმავე ხასიათისაა ჩემთანაც და ჩემს მეუღლესთანაც. ერთი და იგივე საკითხები აქვთ შესწავლილი, ერთი და იმავე სახის დარღვევებზეა საუბარი დასკვნებში.

**— რამდენადაც ვიცი, თავიდან გენერალური ინსპექცია თქვენგან არ ითხოვდა თანამდებობის დატოვებას.**

— არა, ჩემგან არ ითხოვდნენ, მეუბნებოდნენ, რომ, თუ ჩემი მეუღლე არ დატოვებდა თანამდებობას, მეც და ჩემს მეუღლესაც პრობლემებს შეგვიქმნიდნენ.

**— რაც განახორციელეს კიდეც...**

— დიახ.

**— თუ იცით, სხვა სკოლების დირექტორების მდგომარეობა, რამდენადაც ცნობილია, კიდევ ორი დირექტორი არ წერდა განცხადებას.**

— კი, მაგრამ მაინც დააწერინეს. დაშინების რა ზომებსაც იყენებდნენ ჩვენ მიმართ, ალბათ, მათთანაც იგივე გამოიყენეს და დღესდღეობით ისინი უკვე დირექტორები აღარ არიან.

**— ხომ არ შეხვედრიხართ განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს, გარდა იმისა, რომ ესაუბრეთ გენერალური ინსპექციის უფროსს, რომელიც გემუქრებოდათ გენერალური ინსპექციის შემოსვლით იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მეუღლე განცხადებას არ დაწერდა?**

— არა, არ მქონია. ერთადერთი შეხვედრა იყო სკოლის დირექტორების განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან დიდ დარბაზში. ასეთ შეხვედრებზე მსგავსი საკითხები არ დგება; ეგ საკითხები, როგორც ჩანს, ისმება ინდივიდუალური შეხვედრების დროს.

**— განათლების მინისტრის საქმიანობას როგორ შეაფასებთ, შაშკინი იმუქრება: თქვენს სისხლს დავლევ, გახსოვდეთ, საიდან მოვდივარ და ა.შ**

— ჩემს შეფასებას, მგონი, აზრი არ აქვს, საზოგადოება აფასებს და საზოგადოება შეაფასებს მის საქმიანობას. ჩემი შეფასება სუბიექტური იქნება, რა თქმა უნდა. საზოგადოება შეაფასებს მის საქმიანობას ობიექტურად.

**— რამდენი ხანია, რაც თქვენ და თქვენი მეუღლე განათლების სისტემაში ხართ?**

— განათლების სისტემაში ვმუშაობ 1989 წლიდან. საჯარო სკოლაში — მეოთხე წელია. ასევეა ჩემი მეუღლეც; მანამდეც იგი გარკვეული პერიოდი მუშაობდა სკოლაში, კვლევით ინსტიტუტში; არის ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ასე რომ, განათლების სისტემასთან გვაქვს შეხება მთელ ოჯახს.

**— თუკი სამეურვეო საბჭო მიიღებს თქვენი გათავისუფლების გადაწყვეტილებას, თქვენთვის, ალბათ, განათლების სისტემა ჩაიკეტება. სად შეიძლება გააგრძელოთ მოღვაწეობა თქვენ და თქვენმა მეუღლემ?**

— ჯერჯერობით ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ, ალბათ, მალე უნდა ვიფიქრო.

**— მანამდე პრობლემები გქონიათ განათლების სამინისტროსთან?**

— ჩემს მეუღლეს ჰქონდა, ნოდიას მინისტრობის დროს. მას პრობლემები შეუქმნა როგორც სამინისტრომ, ასევე, მეცნიერთა და პედაგოგთა პროფესიულმა კავშირმა. ეს იყო 2008 წელს. ორი წელი მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი. ჩემმა მეუღლემ კანონიერად გაათავისუფლა სამსახურიდან შვიდი პედაგოგი 2008 წლის სასწავლო წლის ბოლოს, რადგან ისინი არღვევდნენ როგორც სასკოლო, ისე შრომის დისციპლინას.

**— გაქვთ არგუმენტები, რომლითაც შეძლებთ გენერალური ინსპექციის დასკვნების გაბათილებას?**

— არგუმენტებიც მაქვს და დოკუმენტაციაც. ამ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით მე გავაბათილებ ყველაფერს.

**— ვინაიდან გენერალური ინსპექციის შემოსვლას წინ უსწრებდა მუქარა განათლების სამინისტროს მხრიდან, ალბათ, საზოგადოებისთვის წინასწარვე ნათელი იყო, რა დასკვნას დადებდა ის.**

— არამარტო საზოგადოებისთვის, არამედ ჩვენთვისაც ცნობილი იყო, თუ რისთვის შემოვიდა გენერალური ინსპექცია.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ

### ჩააგდეთ ბიუჯეტი!

**„ქრისტიან-დემოკრატები" საპარლამენტო უმრავლესობას 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის ჩაგდებისკენ მოუწოდებენ.** ეს საინტერესო იდეა საგანგებო ბრიფინგზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ახვლედიანმა წამოაყენა და ბიუჯეტის პროექტი იქვე გაატარა კრიტიკის ქარცეცხლში. „ათი ათასობით ხელმოკლე მოქალაქე ვერ იმკურნალებს და ვეღარ გაიკეთებს სასიცოცხლოდ აუცილებელ ოპერაციას. 73 მილიონითაა შემცირებული სოციალური დახმარების დაფინანსება და ბიუჯეტის წინა ვარიანტთან შედარებით 79 მილიონით მცირდება სახელმწიფო დაზღვევისთვის გათვალისწინებული თანხებიც. როგორც ჩანს, მთავრობა საბოლოოდ უარს ამბობს პრეზიდენტის მიერ დიდი ზარზეიმით გამოცხადებული იაფი დაზღვევის პროგრამაზე", — განაცხადა ახვლედიანმა.

### სააკაშვილის დემოკრატია

**ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობის" დასკვნით, საქართველოში არსებული ყველა უწყება, რომელიც დემოკრატიის პირდაპირი განმსაზღვრელი უნდა იყოს, სააკაშვილის რეჟიმის გაძლიერებაზეა ორიენტირებული.** „ყველა ინსტანციის სასამართლო, მათ შორის უზენაესიც, სააკაშვილის რეჟიმის ინტერესებს სახელმწიფო ინტერესებსა და კანონზე მაღლა აყენებს", — აცხადებენ პარტიის წარმომადგენლები და თვლიან, რომ ქართულმა და საერთაშორისო საზოგადოებამ ნათლად უნდა დაინახოს, „ყალბი დემოკრატიულობით შენიღბული სააკაშვილი და მისი ხელისუფლება რომ მზად არის საკუთარი რეჟიმის შენარჩუნებას ანაცვალოს ქვეყნის ტერიტორიები, სტრატეგიული ობიექტები და მთლიანად სახელმწიფო ინტერესები".

### დავაწეროთ ქართულადაც

**„ქრისტიან-დემოკრატები" აბრებსა თუ ფირნიშებზე არაქართულ წარწერასთან ერთად სახელმწიფო ენაზე შესატყვისი წარწერის დატანას მოითხოვენ. რეკლამის შესახებ მათი საკანონმდებლო ინიციატივა ქართული ენის სტანდარტების დაცვას ითვალისწინებს.** „5 წელზე მეტია, საქართველოში ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე — სახელმწიფო ენა აბსოლუტურად დაუცველია. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელისუფლება ქართული ენის შეურაცხყოფის ფაქტებს იგნორირებას უკეთებს", — აცხადებენ ქრისტიან-დემოკრატები და პრობლემის სათავედ აცხადებენ რეკლამის შესახებ კანონს, რომელშიც აღნიშნულია, რომ, თუ წარწერა სახელმწიფო ენიდან 1,5 მეტრით არის დაშორებული, ის რეკლამად არ ითვლება და შესაბამისად, მასზე ქართულენოვანი წარწერა აუცილებელი არ არის.

### არავითარი სამოქმედო გეგმა

ასტანაში ეუთოს სამიტი მთავარი პოლიტიკური დოკუმენტის — **კონფლიქტების მოგვარების შესახებ სამოქმედო გეგმის მიღების გარეშე დასრულდა.** დოკუმენტის მიღება რუსეთის პოზიციის გამო ვერ მოხერხდა. რუსული მხარე უკმაყოფილოა, რადგან სამიტმა არ განიხილა მისი გეგმა უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შესახებ. საქართველოს წინადადება რუსეთთან დიალოგის განახლების თაობაზე ეუთოს ყველა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა, თუმცა, როგორც სამიტამდეც არაერთხელ, თავად რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა პოლიტიკურ დიალოგზე აშკარადაც უარი განაცხადეს, სამშვიდობო ინიციატივებს კი უნდობლობა გამოუცხადეს. სამიტის მთავარ შედეგად ასტანის დეკლარაცია გამოცხადდა, მაგრამ ამ დეკლარაციაში ახალი არაფერია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მონობა ნაყროვანებით

## საკუთარ სამზარეულოებში პროტესტის გამოხატვით არ ბრუნდება ღირსეული მოქალაქეობის განცდა

**თავისუფლება, ღირსება, თანადგომა, მოყვასის სიყვარული, ერთმანეთის უფლებების დაცვა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა როგორც ერისთვის, ასევე – თითოეული ჩვენთაგანისთვის. ამიტომ ჩვენ, ამ ქვეყნის რიგითი ადამიანები, ვალდებულნი ვართ, ერთმანეთის თანადგომით დავიცვათ ერისა და თითოეული ჩვენთაგანის ღირსება და თავისუფლება.**

ხელისუფლება აყალბებს არჩევნებს, აშინებს ადამიანებს დაჭერით, არჩევნების დროს ფულს ხარჯავს მათ მოსყიდვაში, მთავარი მედიასაშუალებები მას აკონტროლებს, შიშისა და უსამართლობის განცდა იგრძნობა ადამიანების სახეზე. ისინი დათრგუნული და დამონებულნი არიან. ამავე დროს, **ამ შეურაცხმყოფელ გარემოში გაჩნდა ადამიანთა ახალი ჯგუფი სახელწოდებით „შეძლებული (დანაყრებული) მონები“. ეს ადამიანები ხელისუფლებისგან გასამრჯელოს ღირსების სანაცვლოდ იღებენ. ამგვარი ანაზღაურებისა და კეთილდღეობის სანაცვლოდ, მზად არიან, ხელისუფლების ნებისმიერ გადაწყვეტილებას დაეთანხმონ, თვალი დახუჭონ მათ დანაშაულზე.** ეს ადამიანები ცდილობენ, საზოგადოებაში გაამართლონ თავიანთი ქმედებები, ასე ვთქვათ — დანაყრებული მონობის პოზიცია და, რაც ყველაზე საგანგაშოა, **ამით ამკვიდრებენ ცხოვრების ახალ სტანდარტს, რაც უკვე გამოიარა წინა თაობებმა საბჭოთა პერიოდში და რასაც ფორმალურად უპირისპირდება დღევანდელი ხელისუფლება.** ისინი დღევანდელ რეალობაში საკუთარ პოზიციას — პრივილეგირებულ სტატუსს — წარმოაჩენენ როგორც ერთადერთ საარსებო წყაროს და ამკვიდრებენ ამგვარი ცხოვრების წესს, რომ თითქოს მხოლოდ ასე შეიძლება ცხოვრება და პროფესიული ინტერესების რეალიზება.

**მათ აქვთ საკუთარი დაუწერელი წესდება და, თუ გადაწყვეტთ ამ სტატუსის მიღებას — მონობას ნაყროვანებით — სიამოვნებით გაგიწევენ კონსულტაციებს (საგულდაგულოდ დაგასწავლიან, როგორ უნდა მოიქცე): რომ არ უნდა აკრიტიკო ხელისუფლება; რომ უნდა ეცადო და ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებებს გამართლება მოუძებნო; და როცა გამართლება შეუძლებელია, როგორ უნდა მიიღო სირაქლემას პოზა; რომ არსებობს საუკეთესო გამოსავალი — არაფერი გსმენია, არაფერი დაგინახავს და, საერთოდ, პოლიტიკა არ გაინტერესებს.**

ასევე, უნდა იგრძნობოდეს თქვენი მხრიდან ხელისუფლების მხარდაჭერა რაიმე სახით. ხელისუფლებასთან ან მათთან დაახლოებულ პირებთან უნდა მოერიდო საჯარო გამოსვლებს, თავისუფალ მსჯელობას, პროფესიულ ანალიზს და, **თუ გადაწყვეტთ წარმატებულ მოღვაწეობას თქვენ მიერ არჩეულ სფეროში, სულაც არაა საჭირო მაღალი პროფესიული განათლება – აქ უფრო სხვა მეთოდებია გასათვალისწინებელი. პირველ რიგში, უნდა აქოთ ხელისუფლება და დაანახოთ, რომ ერთგული ხართ მისი, ანუ ეპირფეროთ, ქება-დიდება შეასხათ, მადლიერება გამოხატოთ ხელისუფლების პირველი პირების მიმართ და კიდევ, სხვა მრავალი მათი მოსაწონი მეთოდი გამოიყენოთ. ამ ყოველივეს შემდეგ თითქმის გარანტირებული გაქვთ დაწინაურება, ანუ შეძლებული მონობა.**

ასე რომ, ეს „შეძლებული მონები“ არ არიან უცხოტომელები. სამწუხაროდ, ისინი ჩვენი ახლობლები, ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი თანამოქალაქეები არიან და, **თუ ეს რეალობა შენარჩუნდა და ეს ტენდენცია გაგრძელდა და გამყარდა, ძალიან ცუდად აისახება ჩვენს მომავალ თაობაზე.** ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათ მაინც შეძლონ თავისუფალ და ღირსეულ გარემოში ცხოვრება.

**დღეს ჩვენი ხელისუფლება არის გამარჯვებული ხელისუფლება, გამარჯვებული – საკუთარ ხალხზე! დიახ, მან დაამონა და დააშინა, ღირსება შეულახა და პატივი აჰყარა საკუთარ მოქალაქეებს. ეს სიმართლეა და ეს ეხება ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელიც თითქოს უარყოფს, რომ ეს მათი ხელისუფლება არაა.**

ახლა მათი აგრესია ოპოზიციაზე გადავიდა. შესაძლოა, ვინმე ამაში ობიექტურ მიზეზებს ხედავს, მაგრამ ოპოზიცია, ისევე, როგორც ხელისუფლება, ჩვენი საზოგადოების წიაღში გაჩნდა. უნდა ვაღიაროთ, რომ მათი ქმედებები ჩვენი უსუსურობის, სისუსტისა და უპასუხისმგებლობის შედეგია. დღეს საზოგადოებაში ხშირად ბჭობენ ხელისუფლების პირველი პირისა და მისი მთავრობის შესახებ. საზოგადოების ერთი ნაწილი მათ ამერიკულ პროექტად მოიხსენიებს; მეორე — ასე ვთქვათ, რუსულ პროექტად; ზოგიერთი კი მათ ეთნიკურ წარმომავლობას აყენებს ეჭვქვეშ, რათა სხვას დაბრალდეს ის, რაც პრობლემაა და ამით ახსნა-განმარტება მოეძებნოს ჩიხურ მდგომარეობას, რაც სრული მარაზმია. **დღევანდელი ხელისუფლება ქართული პროექტია და ამის არაღიარებაც ქართული საზოგადოების უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს.**



**მიხეილ ყაველაშვილი:**

## დღეს ჩვენი ხელისუფლება არის გამარჯვებული ხელისუფლება, გამარჯვებული – საკუთარ ხალხზე!

დღეს საქართველოში თავისუფალი და დამოუკიდებელი ადამიანი, რომელსაც სურს შემოქმედებითი საქმიანობა, ეჯახება ერთ მთავარ პრობლემას — ამ სფეროს ხელისუფლება აკონტროლებს, ხელისუფლების წნეხქვეშაა და დამოუკიდებელი არსებობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამიტომ **საქართველოში აღარაფერი იქმნება ახალი, ხარისხიანი, არაპარტიული და არასახელისუფლო. საქართველოში არის უძრაობის ხანა. კერძო საუბრებში ამას „არგანაწყენებულებიც“ ადასტურებენ. აღიარებენ იმასაც, რომ ყველა სფეროში ქაოსია.** თუმცა რა გასაკვირია – იმ გარემოში, სადაც ერთი ადამიანის გემოვნების დაკმაყოფილებაზე მუშაობს თითქმის ყველა სფერო, **სადაც ადამიანებს აწინაურებენ და ნიშნავენ არა პროფესიონალიზმის, არამედ ერთგულების ნიშნით, ღირებული და ხარისხიანი არაფერი შეიქმნება.** ქვეყანას, სადაც მსგავსი რამ ხდება, საერთო არაფერი აქვს თავისუფლებასთან და ღირსებასთან.

ის ადამიანები, ვინც ინდიფერენტულები არიან და ამას აპოლიტიკურობით ხსნიან, არ არიან გულწრფელნი, რადგან პოლიტიკური გემოვნების საკითხი არ არის ადამიანის უფლებების დარღვევა.

ასევე, მინდა მივმართო ხელისუფლების მომხრე საზოგადოებას: **თუ თქვენ ფიქრობთ, რომ უმრავლესობა ხართ, დააკვირდით: დასავლეთის ქვეყნებთან საუბარში ხელისუფლება თავისუფლების ხარისხის შეზღუდვას თქვენი მდაბიოობით ხსნის, ანუ არქიფო სეთურის ხალხს გამსგავსებენ. გამოფხიზლდით და დაინახავთ, რა დგას გზებისა და ხიდების მშენებლობის უკან, ვინ მდიდრდება და როგორ გიყენებენ.**

ახლა კი, მთავარი სათქმელი:

ვცდებით, როცა გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ პოლიტიკოსებს. მათი ნაწილი დღეს საარჩევნო გარემოს შეცვლას ითხოვს, მეორე ნაწილი რადიკალური ნაბიჯების მომხრეა, მესამე — კონსტრუქციულ ოპონირებას ამჯობინებს. ვიღაც საკონსტიტუციო ცვლილებებს აპროტესტებს. **ისინი ეძებენ პოლიტიკურ გზებს ხელისუფლების შესაცვლელად და ხელისუფლებაც ეთამაშება ამ ეგრეთ წოდებულ პარტიებს, რაზეც უნდათ, თანამშრომლობენ, რაზეც უნდათ — არა. ასე ვთქვათ, ხელისუფლება დემოკრატიულობანას ეთამაშება მათ დასავლეთის დასანახად.** მაგრამ მე სხვა რამის თქმა მინდა — პოლიტიკოსები თავიანთ გადაწყვეტილებებში აპელირებენ ხალხით. ისინი აღნიშნავენ ქართველი ხალხის ნებას. მაგალითად, კონსტრუქციულები არჩევნების დადგენილ ვადაში ჩატარებას ემხრობიან. მაგრამ, თუ საზოგადოების დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა სხვა ვადებში ჩატარება, მაშინ ისინი ხალხის გვერდით დადგებიან და **ვინ არის დღეს ქართველი ხალხი? იგრძნობა კი დღეს ძალა ქართველი ხალხისა?**

**მომიტევეთ და, როცა დღეს ქართველი ხალხის ნებაზე საუბრობენ, ასე მგონია, რომ ვირტუალურ სამყაროს გულისხმობენ და არა რეალურს. მხოლოდ გულწრფელი და უანგარო ძალისხმევით შეიძლება ღირსების აღდგენა.**

საარჩევნო გარემო, კონსტიტუციური უფლებები, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების რეკომენდაციები, აშშ-ის, ევროკავშირის ინტერესების გათვალისწინება, რუსეთის ფაქტორი, ქვეყნის გაერთიანება, განათლების რეფორმა, ახალი გზებისა და ხიდების მშენებლობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები არის მეორეხარისხოვანი, თუ მთავარი — ადამიანური ღირსება — არის შელახული და ადამიანს წართმეული აქვს ღვთისგან ბოძებული თავისუფლება.

რაში მდგომარეობს ხალხის ძალა? ეს ძალა თანადგომაშია, მოყვასის სიყვარულსა და მისი სიმართლისა და ღირსების დაცვაში. ჩვენ უნდა გავუჩინოთ ეს განცდა ერთმანეთს.

**დასავლური ენით ამას ჰქვია სოლიდარობა, რაზეც დგას მთელი ცივილიზებული სამყარო. შეიძლება ევროპის ქვეყნებში კარის მეზობლები ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ, თუ ხელისუფლებამ გაბედა და უსამართლოდ მოექცა, ღირსება შეულახა ერთ-ერთ მათგანს, არა მხოლოდ კარის მეზობელი, მთელი ქალაქი და მთელი ქვეყანა დადგება მის გვერდით.** ამას არ სჭირდება განსაკუთრებული გმირობა, არც მაღალფარდოვანი ტექსტები და რაიმე განსაკუთრებული კონცეფციები.

ამას მხოლოდ თავისუფალი პიროვნებები სჭირდება.

მიუხედავად დღევანდელი მდგომარეობის სიმძიმისა, ამ ეტაპზე უნდა შეიცვალოს მიდგომა. როცა ასეთ მძიმე რეალობაში ვხვდებით, საზოგადოება არ უნდა იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. პირიქით, პოლიტიკოსების გასაგონად უნდა ითქვას, რომ ყველამ უნდა გაიძროს პოლიტიკური სამოსელი და დადგეს რიგით ადამიანებთან ერთად.

როცა პოლიტიკური ბრძოლა იქცა ფარსად, როცა მთლიანად საზოგადოების ღირსებაა შელახული და როცა პოლიტიკურ იარაღს აღარ შეუძლია სიკეთის მოტანა საზოგადოებისთვის, კიდევ ერთხელ გთხოვთ: **გაიძრეთ პოლიტიკური მანტია და დავდგეთ, პოლიტიკური განსხვავებების მიუხედავად, ერთად, ერთად ვიბრძოლოთ ღირსებისა და თავისუფლებისათვის; ყოველგვარი პოლიტიკური მოლოდინების გარეშე, ვინმეს კარიერისტული მოლოდინების და ფანატიკური ანგარიშსწორების სურვილის გარეშე და ბელადების შექმნის გარეშე, ვისაც შემდეგ გადავაბარებთ ჩვენს პასუხისმგებლობას. უშუალოდ ყველა მოქალაქემ უნდა ზიდოს ღირსების აღდგენის ტვირთი. ასეთი განცდა დასაბამს დაუდებს ღირსების დღეს.**

**თუ ერი უარს იტყვის ულირსი ცხოვრების წესზე, თავისუფლება განუხორციელებელი იდეა არ არის.**

ადამიანები, რომლებსაც მონობაში ფულს უხდის ხელისუფლება, უნდა გათავისუფლდნენ, რადგან მათი ადგილი არის საზოგადოებაში, მათი მხარდაჭერა ესაჭიროება საზოგადოებას. **სახელისუფლო ნადიმებზე ყოველი მათი სიმღერა არის ლექციანობა საზოგადოების ინტერესებზე.**

სწორედ ღირსების აღდგენაზე გადის ქვეყნის განვითარების, სტაბილურობისა და უსაფრთხოების გზა. უნდა გავემიჯნოთ იმ საშინელ სიყალბეს, რომელიც თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზეა და წამლავს ქართულ საზოგადოებას, რომელიც უსირცხვილოდ იფრქვევა უკვე არა მხოლოდ ქართული მედიიდან და თანაც მთელი ცივილიზებული სამყაროს თვალწინ.

**საკუთარ სამზარეულოებში პროტესტით არ ბრუნდება ღირსეული მოქალაქეობის განცდა.**

რთული წარმოსადგენია, რომ საჯარო სამსახურში მყოფი ადამიანები ხვალვე ჩაალაგებენ ბარგს და უარს იტყვიან იმ სტატუსზე, რომელიც მათთვის ერთდროულად დამანაყრებელი სტატუსიცაა და მონობის ბორკილიც. მაგრამ საზოგადოებამ მათაც უნდა გაუჩინოს განცდა, რომ მათი ღირსებაც საერთო საზრუნავია და მათაც უნდა ჰქონდეთ იმის მოლოდინი, რომ ღირსეული ცხოვრება მათთვისაც გარანტირებული იქნება.

ეს უნდა იყოს პროცესი პოლიტიკური დროშების გარეშე, სადაც დათვლიან და რეიტინგებით დააქუცმაცებენ, დააპატიმრებენ და პროკურატურის საშუალებით ამა თუ იმ ჯგუფის დისკრედიტაციას მოახდენენ.

**თუ ქართულმა საზოგადოებამ მოინდომა ღირსების აღდგენა, საქართველოს მოქალაქეები ჩაჰკიდებენ ხელს არა მხოლოდ კოლეგებს, მეზობლებს, თანამოქალაქეებს, არამედ – კონსტიტუციურ ბალანსსაც და სამართლიანობასაც.**

ღირსების გარეშე არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იქნება შესაძლებელი და არც კონსტიტუციის მიღება.

**მიხეილ ყაველაშვილი,**
ვეტერანი ფეხბურთელი,
ჟენევა

presa.ge

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ისე გავიხარეთ 25 ნოემბრის კრების ფიასკოთი, თითქოს სრული ბედნიერებისთვის ესღა გვაკლდა: წინასაახალწლო ნობათივით იყო — მინუსი ნიშნით: სააკაშვილის გამოგზავნილი ინდაურივით. ურიის ვალივით რომ დაგედება და გაგპუტავს მუხრანის ფაბრიკის ყვითლად შეღებილი დედალივით.**
**კათოლიკური დასავლეთის ტრადიციისამებრ, საშობაო სამზადისს ნოემბერში შევუდექით: გადასახადების გაზრდით მოგვილოცა სოციალურად მომართულმა ხელისუფლებამ დამდეგი დღესასწაულები და მოლა ნასრედინის ფლავივით ჩამოგვირიგა დაპირებები.**



სოსო ცისკარიშვილი:

# ასე მეტი აღარ შეიძლება



ნოდარ ჯავახიშვილი:

# დიქტატურის პირობებში თავისუფალი ვერაფერი იქნება

**გასული კვირის ერთ მშვენიერ დღეს ახალი წლის მეკვლედ გამოგვეცხადა იგი რომელიღაც საბაჟო ტერმინალის ახლადგახსნილ შენობაში.**

**— რა მოგაქვს?**

**რაც იმან იქ ჩამოთვალა, ედემის ბაღის კარის გახსნას ჰგავდა და სახელად ერქვა თავისუფალი ეკონომიკური ზონის სიკეთენი დემოკრატიული საქართველოს საბაზრო პირობებში. შეიძლება, არც ერქვა.**

**მაინც მივყვეთ, და დასავლეთისკენ აღებული გეზი პერსპექტივის ბრწყინვალებაში რომ არ აგვერიოს, ექსპერტთა მოსაზრებანი გავიყოლიოთ გზამკვლევად და კომპასად.**

— რაც მიხეილ სააკაშვილმა თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე ილაპარაკა, სისულელეა სულ, — **ამბობს ბატონი ნოდარ ჯავახიშვილი, ჩვენი გაზეთის სასურველი სტუმარი**, — „აღორძინების“ ფრაქციის წევრი ვიყავი საქართველოს პარლამენტში, მაგრამ კოლეგებს შორის — ერთადერთი, ვინც ვეწინააღმდეგებოდი ასლან აბაშიძის სურვილს და ძალისხმევას აჭარაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხში. თავისთავად ეკონომიკური ზონა კი არ არის უბედურება, არამედ ის, რომ ასლან აბაშიძეს სჭირდებოდა საქართველოსგან თავისუფალი ეკონომიკური ზონა. სააკაშვილსაც იგივე უნდა — კანონისგან თავისუფალი ადგილის შექმნა სურს. თუმცა ისეც ვინ უშლის ხელს: მისი ჩარევის გარეშე კაპიკი არ გადაადგილდება საქართველოში.

რას ნიშნავს სააკაშვილის დიქტატორული მმართველობის პირობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონა?

ვინმეს ჰგონია, რომ თავისუფალი ბიზნესი არსებობს საქართველოში?! რომელშიც ცხვირს არ ჰყოფს ან მერაბიშვილი, ან ადეიშვილი, ან სააკაშვილი? ცხვირს მარტო?

დიქტატურის პირობებში თავისუფალი ვერაფერი იქნება, ცხადია, — ვერც ეკონომიკური ზონა.

**— ტელევიზორებთან მსხდომ მაყურებლებს ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ იმ დეკორატიულ გარემოში, სადაც მიბრძანდა ფაშა, რეალური საქმე ფეხს ვერ მოიკიდებს — სცენა ცარიელი დარჩება.**

— პირიქით, ნებისმიერი შენობა გაივსება ყველანაირი ანტიქართული ელემენტით. ჩვენთვის სასარგებლო არაფერი იქნება.

**— მაშ, არავითარი იმედი არ უნდა გვქონდეს 2011 წლის მეკვლის დალოცვის, ხვავსა და ბარაქას რომ გვისურვებს?**

— (პაუზა). ძალიან უსიამოვნო პასუხი უნდა გაგცეთ.

**— ბრძანეთ.**

**— მომავალი წელი საიმედო იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში,**

**ამ ხელისუფლების გარეშე რომ შევხვედროდით... მაგრამ, როგორც ვხედავ, ეს საკითხი უკვე განხილვის საგნადაც არ რჩება. რაც ნიშნავს, რომ მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული რუკიდან საქართველოს გაქრობის პროცესი ინტენსიურად გაგრძელდება.**

— ღმერთმა არ ქნას, მაგრამ პროცესი დაწყებულია და განვითარების ტენდენციით ხასიათდება.

## ბრავურული განცხადებები და დამთრგუნველი სინამდვილე

**„არსაიდან ხმა, არსით ძახილი“? მაგრამ, რომც გვესმოდეს, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტის — სოსო ცისკარიშვილის აზრით, მხოლოდ განცხადებები, ანუ „ხმა არანაირი“ არ შეიძლება იყოს წინაპირობა რაიმე სასიკეთო ცვლილებებისა, თანაც ისეთი „ლოგიკური“, რომლითაც 2004 წლის დასაწყისიდან დღემდე წაიღეს ყურთასმენა.**

ყველაფერ უბედურებასთან ერთად, ბურების ჩამოყვანას აპირებენ. ბაყაყებზე ხელი თითქოს ავიღეთ. მაგრამ ან ჭიაყელებზე გადავალთ, ან ხოჭოებსა და ტარაკანებზე. რაღაცას მოვიგონებთ ამგვარს...

სიკეთე არ იქნება, რადგან **ეს ხელისუფლება იმიტომ არის მოვლენილი, რომ საქართველო ქართველების გარეშე დატოვოს.**

თუ დავაცადეთ, ამის საფუძველს კი ვქმნით, ჩამოასახლებენ ბურებს საქართველოში, შეუქმნიან უნიკალურ პირობებს და „დაგვიმტკიცებენ“, რომ მიწაზე მუშაობა იციან ბურებმა, ჩვენ — არა.

მე კი გეტყვით, რომ ბურებმა ჰოლანდიაშიც არ იცოდნენ ქართველებზე უკეთ სოფლის მეურნეობის გაძღოლა, სამხრეთ აფრიკაში რა უნდა ესწავლათ ისეთი, ჩვენ შეგირდებად რომ დავუდგეთ?..

ერთმა კახელმა გლეხმა მითხრა ამასწინათ: — რასაც იმათ გაუკეთებენ, იმის ნახევარი გაიმეტონ ჩვენთვის და განახებთ, ვინ იცის სოფლის მეურნეობა კარგადო.

**— ერთი გლეხის წინადადება კი არა, 20 ათასი კაცი მივიდა სახალხო კრებაზე და — ეგ არაფერიაო, ქირქილებენ სახელისუფლო დერეფნებში.**

— ის გლეხი მარტო არ არის. სახალხო უკმაყოფილება კი იზრდება.

**— მაშ, 2011 წელს აპოკალიფსს უნდა ველოდოთ?**

**ასეთივე კატეგორიული იყო მისი პასუხი შეკითხვაზე, უნდა ველოდოთ თუ არა სასიკეთო ძვრებს ახალ, 2011 წელს?**

**ბატონი სოსო ასაბუთებს თავის პოზიციას:**

— საუბარი იმაზე, რომ ბიზნესი ხელისუფლების პარტნიორი უნდა იყოს და ეს თითქოს არის „ნოუ ჰაუ“ სამომავლო ეკონომიკური აღმასვლისათვის, არა მგონია, გვაძლევდეს სერიოზულ საფუძველს განხილვისთვის, რადგან სიტყვისა და საქმის ერთიანობა სულ უფრო დეფიციტური ხდება ხელისუფლების იმ პოლიტიკიდან გამომდინარე, რომელსაც იგი სრულიად უტიფრად განახორციელებს.

**როცა სამომავლო პრიორიტეტებად მეცნიერებას, განათლებასა და სოფლის მეურნეობას აცხადებენ, ხოლო მათი დაფინანსების წილი მთლიან შიდა პროდუქტში მცირდება, ძნელი დასაჯერებელია, რომ ვინმეს მართლა სურს, პრიორიტეტულად წარმოგვიდგინოს ეს დარგები.** როცა, ვთქვათ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება მხოლოდ სამი მეათედი პროცენტია ნავარაუდევი, ეს დაეჭვების უფრო მეტ საფუძველს გვაძლევს, ვიდრე ოპტიმიზმისას.

ამასთან ერთად, **ინფლაციის მაჩვენებელი ჩვენი მოკრძალებული, თავმდაბალი და მაამებლური სტატისტიკის ცნობითაც კი, ორნიშნა ზღვარს გადასცდა და მიმდინარე წლის ბოლოსთვის უკვე 10,5 პროცენტი შეადგინა.**

ასეთ პირობებში თქვენს მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ, გვეუბნებოდნენ, რომ აუცილებლად დააყენებდნენ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს. მაგრამ დღეს ისეთი სიამტკბილობაა ბანკსა და მთავრობას შორის, რომ ასეთი აზრი თავში აღარავის მოსდის.

სამაგიეროდ ძალაშია უზარმაზარი ხარჯების გაწევა გასართობი და გასამხიარულებელი ღონისძიებების მოსაწყობად — „სხვადასხვა ხარჯების“ თემა ბიუჯეტში გაზრდილია.

**— ესე იგი, რეალურად ტაშფანდურია ამათი პრიორიტეტი?**

— დიახ. და ისიც ნიშანდობლივია, რომ ამ „სხვადასხვაში“ არ მოიაზრება გაჭირვებული ადამიანების დახმარება ან რაიმე საგნობრივი პროგრამა დევნილების ხელშესაწყობად.

გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკურმა პროცესმა, ფინანსურის მსგავსად, გრაფიკული გამოსახულებით სინუსოიდის — უსასრულო ტალღისებური მრუდის ფორმა მიიღო, რაც საქანელას პრინციპს იმეორებს, ვერ ვირწმუნებთ ეკონომიკური პროცესების სტაბილიზაციის პერსპექტივას; მით უფრო, თუ განსახორციელებლად თავქარიან მიზნებს დავისახავთ.

**— საბაჟო ტერმინალში სააკაშვილის ერთგვარად წინასაახალწლო და იმედისმომცემი გამოსვლა არაფერს ნიშნავს?**

— იცით, **ტერმინალებში პოლიტიკა არ იქმნება. საჭიროა ხელისუფლების ნება, რათა ბიზნესი თავს მშვიდად გრძნობდეს და არ იყოს დატერორების მუდმივ მოლოდინში. მაგრამ ელიტარული კორუფციის დონე არ მცირდება.** უმადობა არავის ემართება...

**— რადგან მადა ჭამაში მოდის...**

— დიახ, და, შესაბამისად, **სახელისუფლო რეკეტიც, რომელმაც შთანთქა ქურდული სამყაროს ინსტრუმენტები, თავად წარმოჩნდა როგორც უსაზღვრო მადის მქონე სუბიექტი.**

ამიტომ, რაც უნდა ვეცადოთ, რომ ახალი შენობების ბრჭყვიალებით თვალში ნაცარი შევაყაროთ ვინმეს, **ვერ გავაიგივებთ გარემონტებულ ფასადებს გარემონტებულ ცნობიერებასთან.**

ფული ისეთი მზაკვარი რამაა, რაც მეტი გაქვს, უფრო მეტი გინდა. იკითხოს გაჭირვებულმა ხალხმა და იმათ, ვის წინააღმდეგ შეიძლება სახელმწიფო ბიზნესტერორი განხორციელდეს...

**— გადასახადების ზრდაც ხომ ამ ტერორის გამოვლენაა. და, თუ შეიძლება, მითხარით, რომელი ეკონომიკური პროგრამითაა ნაკარნახევი საკუთარი მოქალაქეების დათრგუნვის ასეთი პრაქტიკა?**

— ეს არის ხელისუფლების უკიდეგანო მადის მაჩვენებელი. არანაირ ეკონომიკურ გათვლებს არ ემყარება ეკონომიკური პროცესი, რომლის საწყის დოკუმენტს უმალავენ საზოგადოებას. არის ხელშეკრულებები, რომლებიც ცნობილია სააკაშვილისთვის და სხვა სახელმწიფოს მეთაურისთვის, მაგრამ უცნობია ქვეყნის მოსახლეობისთვის, რადგან სახელმწიფო საიდუმლოებად, დიდ საიდუმლოდ აქციეს. ისე სხვისდება ქართული სახელმწიფოს ქონება, რომ პირობებიც კი გასაიდუმლოებულია. აღარაფერს ვამბობ თანხაზე, რომელიც ქაღალდზე დაწერილის არაადეკვატურია, ანუ, ფაქტობრივად, გადახდილის ოდენობა მრავალჯერ სჭარბობს ოფიციალურად დაფიქსირებულს.

ეკონომიკურ ზრდას სჭირდება საღი პოლიტიკური ნება, რომელიც ყველაზე დეფიციტური საქონელია ჩვენს ქვეყანაში.

**— ბატონო სოსო, რით შეგიძლიათ ახსნათ, რომ ომის კანონი, რომელიც ელემენტარულია ფიზიკაში და ყველა მოსწავლემ ზეპირად იცის — ქმედება უკუქმედების ტოლია, საქართველოში არ მოქმედებს? გაუთავებლად გვიზრდიან გადასახადებს, ხალხი კი დუმს.**

— უხილავი ხელით ქართველთა ცნობიერებიდან რატომღაც ამოიკვეთა ერთი ხალხური სიბრძნე — „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ფიზიკის კანონებიდან კი მაინც და მაინც ინერციის კანონი ავითვისეთ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცდილობს ძალის მოკრებას, რათა შემდეგ საგრძნობი გახდეს მისი რეალური სიძლიერე. **ქვეყანაში დამკვიდრებული შიში, რომელიც გაისადაც გაგყვება, არ არის რუსთაველის კატეგორიის, ანუ ისეთი, რომელიც „შეიძმს სიყვარულსა“.**

**ქვეყანაში დანერგილი შიში მხოლოდ უკიდეგანო სიძულვილის საწინდარია. როცა საზოგადოებაში სიძულვილის ჯამი მიაღწევს ზღვარს, მონაგონი იქნება ახალგაზრდობის ის პროტესტი, რომლის მოწმენიც გავხდით ინგლისში, საფრანგეთსა თუ საბერძნეთში.**

ხელისუფლების მიერ თავის გადარჩენის მცდელობაა ლოზუნგი „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“ (ეს აქსიომაა!), ხალხი სხვას ფიქრობს: — **„ასე მეტი აღარ შეიძლება!“**

დღეს ჩვენ იმაზე უნდა დავფიქრდეთ — გვემატება თუ გვაკლდება ყოველი ახალი წელიწადი?

2011 წელი დღევანდელი გადასახედიდან ეკონომიკური სირთულეების მომტან წლად მეგულება. თუმცა, თუ გაასხივოსნა რაიმე სიკეთემ ჩვენი ხელისუფლების გონება, იქნებ, სასიკეთოც მოხდეს რამე. მაგრამ ამის წინაპირობას, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ. თუნდაც მუდმივად გვესმოდეს სიტყვები, რომლებიც შემდგომ საქმედ ვერ იქცევა.

**— ესე იგი, 2011 წელი — კიდევ ერთი დაკარგული წელიწადი?**

— ასე გამოდის.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გამოხმაურებები



**ვალერი გელბახიანი,**
*პოლიტდევნილი:*

სამოქალაქო კი არა, ყველანაირი ომი უნდა გამოუცხადო დამნაშავე ხელისუფლებას, რომელიც საკუთარ ხალხს ებრძვის. ქართველი ერის სულიერი ღირებულებების ოკუპაცია ხდება. რა ფასეულ სისტემაზეც დგას ჩვენი ერი, ამ სისტემის შეცვლა ხდება, მთელი ინტელექტუალური რესურსის ოკუპაცია ხდება, ეს არის გაცილებით საშიში პროცესი, ვიდრე ის, რომ ვიღაცას უჭირს, ვიღაცას აპატიმრებენ უსამართლოდ, ვიღაცას უფლებას ართმევენ, ეს გამოსწორებადია, მაგრამ, როდესაც ცნობიერებაში ხდება ოკუპაცია, სულიერებაში ამის გამოსწორება შეუძლებელია. დამიჯერეთ, ხალხო, ეს არის ძალიან სახიფათო პროცესი.

*„ალია“*



**ზურაბ გომელაური,**
*მხატვარი:*

როგორ შეიძლება, მხატვარს, ფოტოგრაფს, მომღერალს პოლიტიკურ საკითხებზე რჩევა ჰკითხო?! ეს დიდი გოიმობაა. დიდ სოფელში ვცხოვრობთ!

*„ყველა სიახლე“*



**ნინო ქადაგიძე,**
*ზურაბ ჟვანიას მეუღლე:*

გავჩერდი, გავჩერდი იმიტომ, რომ მივხდი, ძალიან დიდ ძალას უნდა დავპირისპირებოდი, რომელთანაც ან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამემართა და გირგვლიანის დედასავით შევკვდომოდი, ან კიდევ შვილებისთვის მიმეხედა და მათ მომავალზე მეზრუნა... ბოლო ვარჩიე. ვფიქრობ, ზურაც მოიწონებდა ჩემს არჩევანს...

*„ყველა სიახლე“*



**მერაბ თავაძე,**
*რეჟისორი:*

ძალიან მაღიზიანებს, რომ ყველგან პოლიტიკოსებზე საუბრობენ. მათი ხილვა უკვე ამაზრზენია. ღირსი არ არიან, მათზე ვილაპარაკო. ისე, კარგი იქნება, თუ პოლიტიკოსები თავიანთ გამოსვლებს უყურებენ, ბევრ რამეს სხვაგვარად გააკეთებენ...

*„ყველა სიახლე“*

# «ვიკილიქსმა» ამერიკის სახე აჩვენა!



**„ვიკილიქსის“ მხილებით გამოწვეული იდეოლოგიური კრიზისი, რომლის უტყუარობაზეც დღეს აღარავინ დავობს, აშშ-ისთვის უფრო მძიმე დარტყმა აღმოჩნდა, ვიდრე ეკონომიკური კრიზისი.**

თუ ეკონომიკურმა კრიზისმა ფინანსურ პირამიდებსა და ფინანსურ ვოლუნტარიზმზე — **„იმდენ დოლარს დავბეჭდავთ, რამდენიც გვჭირდება!“** — დაფუძნებული ამერიკული ეკონომიკის ურყევობის მითი გააქარწყლა, იდეოლოგიურმა კრიზისმა დემოკრატიის ქვეყანა – ეტალონსა და თანაბარი შესაძლებლობების ქვეყანაზე არსებული მითი ამოძირკვა, რითაც თვალნათლივ აჩვენა, რომ სინამდვილეში, თავისუფლებისა და თანასწორობის დეკლარირებული პრინციპებისგან განსხვავებით, ამერიკული ოცნება მსოფლიო ბატონობაში მდგომარეობს და თეთრი სახლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს გულცივი მკვლელის პრინციპით **„მიზანი ამართლებს საშუალებას!“**.

პორტალმა „ვიკილიქსმა“ მთელ მსოფლიოს აშშ-ის ჭეშმარიტი სახე აჩვენა, რაც რუსეთის პასუხი იყო ამერიკაში რუსი ჯაშუშების დაკავებაზე, საქართველოში ოპერაცია „ენვერის“ განხორციელებასა და ევროპასა და მედიაში საქართველოს პრეზიდენტის ყველა საჯარო გამოსვლაზე, რომლებიც რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მისამართით კრიტიკასა და შეურაცხმყოფელ ეპითეტებს შეიცავდა. კრემლი არ „დახურდავდა“ ცალკეულ შემთხვევაზე საკამათოდ — „ქოლგის ჩხვლეტებზე“ მოსკოვმა ერთი, მაგრამ გამანადგურებელი დარტყმით უპასუხა: **„აი, ვინაა მსოფლიოში ნამდვილი აგრესორი, დიქტატორი და ჯაშუში!“**

უშუალო შემსრულებელი კი არა, ვიღაც მითიური ჰაკერი, მოძალადე ჯულიან ასანჟი, არამედ მსოფლიოს კომპიუტერულ დედაქალაქში, მათი რასისთვის დამახასიათებელი თვალის ვიწრო ჭრილიანი, მოკრძალებული და ყველასთვის უცნობი ბიჭების კოლექტივი გახლდათ, რომლებიც დღეს ჩუმად ხითხითებენ და მადიანად მიირთმევდნენ თავიანთ საყვარელ ბრინჯს. ჩინეთს, რომელმაც ამერიკული აქტივების ლომის წილი შეიძინა, ყოველ წუთს შეუძლია ისინი ბირჟაზე გაიტანოს და ამერიკა ბანკროტად გამოაცხადოს, თუმცა ამჯერად იეროგლიფების სამშობლოში „მცირედით“ დაკმაყოფილდნენ და იანკების ყველაზე სანუკვარი საიდუმლოებები თამაშ-თამაშით გახსნეს. ბლეფით დაკავებულმა აშშ-მა იმდენად დაიჯერა თავისი განსაკუთრებულობა და დაუსჯელობა, ვაშინგტონის ადმინისტრაცია იმდენად პრიმიტიული და უდარდელი აღმოჩნდა, რომ თავი არც კი შეიწუხა, სათანადოდ დაეცვა თავისი წმინდათაწმინდა — სახელმწიფო დეპარტამენტის კომპიუტერული ბაზა! ამით საკმაოდ მომძლავრებულ რესპუბლიკელებს „შავი დამღა“ დაესვა და, თუ დემოკრატები, ბარაკ ჰუსეინის ძით სათავეში, „არ გაცუდდებიან“, მაშინ საქმე, ქალბატონ ჰილარის მეთაურობით, მთელი კაბინეტის გადადგომითა და არა მარტო მისი მრავალრიცხოვანი „pardon“, „sorry“, „exsuce me“-თ დასრულდება!

**და მხოლოდ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დამსახურებაა, რომ დღეს ჩინეთი რუსეთის მოკავშირეა და არა მტერი!** რუსეთის ხელმძღვანელობაში ეს იციან და აფასებენ, რითაც, კერძოდ, აიხსნება კიდეც მათი ლოიალობა საქართველოსა და ქართველებისადმი, მიუხედავად ქართველ ხელისუფალთა ყველა „აკრობატული სალტოებისა“. **სტალინის ფაქტორი რომ არა, საქართველო დიადი ჩრდილოელი მეზობლისგან დიდი ხნის წინათ მიიღებდა ადექვატურ პასუხს — გაცილებით მკაცრს, ვიდრე ჩეჩნეთი!**

**მაგრამ პუტინმა იცის — რუსებს მთელი ისტორიის მანძილზე არ ჰყოლიათ ქართველებზე უფრო ახლობელი ხალხი, რომელმაც რუსეთს სტალინი აჩუქა, ვინც რუსეთის იმპერიის სიდიადე აღადგინა და გააძლიერა.**

სიბრიყვეა, თითქოს კრემლს სსრკ-ის აღდგენა სურდეს – პუტინს რუსეთის იმპერიის აღდგენა სურს და ამას განახორციელებს კიდეც!

**და კიდევ, აღდგება რუსეთისა და საქართველოს კავშირიც – მძლავრი ტანდემი, რომლისაც ბევრს ეშინია პოსტსაბჭოურ სივრცეში, განსაკუთრებით კი – კავკასიელ მეზობლებს: სომხეთს და, შედარებით ნაკლებად, აზერბაიჯანს.**

**არნო ხიდირბეგიშვილი**

# «ჯადოსნური ჯოხით» განათებულ ქალაქზე ჯადოსნური თანხები იხარჯება

**დედაქალაქის მერიამ საახალწლო მზადება ერთი თვით ადრე დაიწყო. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დამონტაჟებული პომპეზური ჭაღების, დეკორაციული ფიფქების, ფოთლების, მტრედების განათება თბილისის ბიუჯეტს მილიონ-ნახევარი ლარი დაუჯდება.**
**ეს ინფორმაცია მერიის საიტზე არის განთავსებული და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს.**

დედაქალაქის მერიამ 2010 წლის 28 ივნისს გამოაცხადა ტენდერი 2011 წლის შობა-ახალი წლისთვის სადღესასწაულო ილუმინაციებისა და პავილიონების მხატვრული მინათების ქსელების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. როგორც ტენდერის პირობებიდანაა ცნობილი, მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა: **მონტაჟი – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 15 დეკემბრამდე; ექსპლუატაცია – 2010 წლის 15 დეკემბრიდან 2011 წლის 1 თებერვლამდე; დემონტაჟი – 2011 წლის 1 თებერვლიდან 2011 წლის 1 მარტამდე.**

თუმცა სახეზეა დარღვეული ხელშეკრულება. თუ თვალს გადავავლებთ კალენდარს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ჯერ 15 დეკემბერი არ არის, შესაბამისად, ძალზე ადრეა დამონტაჟებული საახალწლო ილუმინაციები და განათებები. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ დედაქალაქის საახალწლო განათებაზე დღე-ღამეში 10 ათასი ლარი იხარჯება, მარტივი არითმეტიკული გამოთვლებით ადვილად დავრწმუნდებით, რომ **1 დეკემბრიდან 1 თებერვლამდე ჩართული საახალწლო განათება 610 ათასი ლარი დაჯდება. ამას დავუმატოთ ანძის, პრეზიდენტის სასახლისა და სხვა შენობების გასანათებლად მერიის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა რაოდენობაც ძალზე მასშტაბური და საგანგაშოა** (ცნობისთვის, მხოლოდ ანძის განათება ერთი თვის განმავლობაში 90 ათასი ლარი ჯდება).

**დედაქალაქის მთავრობა არ ერიდება საკმაოდ სოლიდური თანხების უმიზნოდ ხარჯვას. თუმცა მერი ყოველ გამოსვლაში გაუთავებლად საუბრობს „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკაზე.**

მაგრამ, ერთის მხრივ, ვინ არის ამ გადაწყვეტილების მთავარი სამიზნე – ხალხი თუ მთავრობა — უაზროდ გაფლანგული მილიონებიდან ადვილად ჩანს. დედაქალაქის მთავრობა ჭირვეული და მოუსვენარი ბავშვივით იქცევა, რომლის კაპრიზების შესრულებაც მშობლებს, ამ შემთხვევაში თბილისის მოსახლეობას, უწევს. აბა, რა დროს ახალი წელი და ნაძვის ხეა, ჯერ ხომ დეკემბრის დასაწყისია.




ახალი წელი ჯერ არ დამდგარა, ბატონო გიგი! მოსახლეობაზე „მზრუნველი ხელისუფალი“ ყველანაირად ცდილობს, მშიერ, მძიმე ყოფაში ჩავარდნილ ქართველს შესთავაზოს სანახაობა პურის გარეშე და ამ ლამაზი ილუზიების ტყვეობაში ამყოფოს მანამ, სანამ გაუვა. მაგრამ ერთი არ დაივიწყოთ, რომ სიღატაკე და უფულობა ყველა ბოროტების საფუძველი და სათავეა.

**ოთარ დალაქიშვილი**

**P.S.** **საინტერესოა, რა საჭირო იყო მტკვრის გასწვრივ ჩამწკრივებული ჩინური ლამპიონების დამონტაჟება 2007 წელს, თუ 2010 წლისთვის მათი უმეტესი ნაწილი თავმოგლეჯილი, ანდა სრულიად უსახური, უფუნქციო იქნებოდა. თუ სანაპიროზე მოხვდებით, დააკვირდით, რომელი ლამპიონი არის მთელი და ადვილად დარწმუნდებით, რა უაზროდ იფლანგება მილიონები დედაქალაქის ბიუჯეტიდან.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# WikiLeaks-ის მასალები, რომლებიც ნაცპროპაგანდამ «ვერ შენიშნა»

საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს დროდადრო ისეთი სკანდალები შეძრავს, რომლებიც (აუჰ, მერამდენედ!) დაადასტურებს აღიარებულ მაქსიმას — „პოლიტიკა ბინძური საქმეა“.

გააჩნია, ვინ აკეთებს ამ საქმეს.

**ვებგვერდის WIKILEAKS-ის მიერ გამოქვეყნებული მასალებით ცხადდება, რომ მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე მოთამაშე ყველა მძიმე ფიგურა, ასე თუ ისე, გასვრილია, მათ შორის, ისეთი ნახევრადპაიკიც, როგორიც ჩვენი ხელისუფლებაა.**

WikiLeaks-მა ხელის გულზე დაგვიდო ამის დამადასტურებელი მწვავე ფაქტები და ნაცპროპაგანდა, საზოგადოებრივ აზრს ცეცხლი რომ არ მოჰკიდებოდა, სასწრაფოდ შეუდგა ყურადღების გლობალურ სივრცეში გადატანას, რომლის განფენილობაში ჩვენი ხინჯი ისე აითქვიფება და გაქრება, თითქოს არც ყოფილა.

ნაცტელეარხები დაჟინებით ჩაგვჩიჩინებენ „ცხრა, ყველაზე შოკისმომგვრელ საიდუმლოზე“, რომლებიც გაამჟღავნა WikiLeaks-მა როგორც „ღვთის მძვინვარების შვიდი თასი“ (გამოცხადება იოანესი).

ახალ აღთქმაში შვიდია.

ამათ ცხრა დაგვამხეს თავზე: ალ ქაიდასთან ბრძოლის საქმეში აშშ-ს იემენი აფარებდა ხელს; კომპიუტერულ ქსელ „გუგლზე“ განხორციელებული თავდასხმის უკან ჩინეთის ხელისუფლება იდგა, პეკინი ჰაკერულ თავდასხმას ახორციელებდა, აგრეთვე, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების კომპიუტერული ქსელებისა, აგრეთვე, დალაილამას კომპიუტერის წინააღმდეგ; აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ცდილობდა, გაერკვია გაეროს უშიშროების საბჭოს ჩინოვნიკთა საკრედიტო ბარათების ნომრები, იმ თანამშრომლების მივლინების დეტალები, რომლებიც ხშირად მოგზაურობენ და სხვა მსგავსი საკითხები, მათი დეენემის მონაცემების ჩათვლით. გაეროს გენერალურ მდივან პან გი მუნზეც აგროვებდნენ ცნობებს; იტალიის პრემიერ-მინისტრ ბერლუსკონის აშშ-ის ელჩი იტალიაში დაუდევარ, პატივმოყვარე და უეფექტო ლიდერად მიიჩნევს; საუდის არაბეთმა არაერთხელ მოუწოდა აშშ-ს, დაერტყა ირანისთვის; ახმად ზია მასუდმა, რომელიც არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში ავღანეთიდან ჩავიდა, თან ჩაიტანა 52 მილიონი აშშ დოლარი ნაღდი ფული. ეს თანხა მას დაუტოვეს ისე, რომ არც უკითხავთ, რისთვის აპირებდა მის გამოყენებას; აშშ მზადაა ნებისმიერი გარიგებისთვის იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც გუანტანამოდან პატიმრების გაყვანის სურვილს გამოთქვამს; აშშ და სამხრეთ კორეის წარმომადგენლებმა ორი კორეის გაერთიანების გეგმა განიხილეს; ჟურნალმა „შპიგელმა“ ხაზი გაუსვა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელისადმი აშშ-ის დეპარტამენტის ცივ დამოკიდებულებას.

რამდენად დაგზაფრათ ამ ცხრა, „ყველაზე უფრო შოკისმომგვრელმა საიდუმლომ“, თქვენ იცით. მაგრამ ამ ჩამონათვალში სააკაშვილის ხელისუფლების ხსენებაც რომ არ არის, დაგვეთანხმებით. სამაგიეროდ, **სწორედ ჩვენს სიგლახეზეა ლაპარაკი „ნიუ იორკ ტაიმსის“ (აშშ), „ლე მონდის“ (საფრანგეთი), „შპიგელის“ (გერმანია) პუბლიკაციებში**, რომლებსაც დღეს უკომენტაროდ გთავაზობთ.

თუმცა, დარწმუნებული ვართ, რომ ამ წერილების წაკითხვის შემდეგ თქვენც, ძვირფასო მკითხველო, დავით კლდიაშვილის სოლომან მორბელაძის წუხილი მოგეძალებათ და დაგთრგუნავთ: „ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა!.. მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს“...

116 წელიწადი გავიდა მორბელაძის ამ მონოლოგის დაწერიდან დღემდე და კვლავ აქტუალურია შეკითხვა: „საშველი თუ მაინც მოგვეცა როდისმე“?

**არმაზ სანებლიძე**

# აშშ არასწორად კითხულობს განხეთქილების ნიშნებს



**ცივი ომისა და მის შემდგომ წლებშიც დასავლელი დიპლომატები, რომლებიც კრემლთან მუშაობდნენ, როგორც წესი, ხშირად ირიბ, მეორად და ხანდახან მესამედ წყაროებს ეყრდნობოდნენ. ეს შეტყობინებები უმეტესად დამძიმებული იყო სკეპტიციზმით, რადგან ავტორებს ესმოდათ, რომ მათი ცოდნა შეზღუდულია, ხოლო რუსეთის ოფიციალური განცხადებები — საეჭვო.**

2008 წელს ამერიკული დიპლომატიური დოკუმენტები, რომლებიც კიდევ ერთი, წარსულში ცივი ომის კლანჭებში მყოფი ქვეყნიდან, საქართველოდან იგზავნებოდა, განსხვავებული ხარისხის მიდგომას ამჟღავნებდა. თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, ამერიკელი ოფიციალური პირებისთვის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან და მის სამხედრო საქმეში გამოუცდელ მრჩევლებთან, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ შეერთებული შტატები მათ საბჭოთა წარსულის მოცილებასა და რუსეთის რეგიონალური გავლენისადმი დაპირისპირებაში დაეხმარებოდა, კარი თითქმის ყოველთვის ღია იყო და მუდმივი კომუნიკაციის საშუალებაც ჰქონდათ. **თბილისურმა დიპლომატიურმა მიმოწერამ, ნაწილმა იმ მეოთხედი მილიონი დოკუმენტისა, რომელიც საინფორმაციო ორგანიზაციის „WIKILEAKS“-ისთვის გახდა ცნობილი, ახლო ურთიერთობების ზოგიერთი ხიფათი ამხილა.**

ამ ინფორმაციამ აჩვენა, რომ **რამდენიმე წლის განმავლობაში, იმ დროს, როდესაც საქართველო მისი კონტროლიდან გასული ორი სეპარატისტული ანკლავის — აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის გამო, რომლებიც რუსეთის მხარდაჭერით სარგებლობდნენ, სულ უფრო ძაბავდა ურთიერთობას კრემლთან; ვაშინგტონი ზედმეტად ეყრდნობოდა თავად სააკაშვილის მთავრობის მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს მისი მოქმედებების შესახებ.** მეზობელ ქვეყნებში ამერიკელი დიპლომატები ხშირად ინარჩუნებდნენ პროფესიულ დისტანციას და კონფიდენციალურად აზუსტებდნენ საკუთარ შეშფოთებას მასპინძელი ხელისუფლების გამო. როგორც ჩანს, საქართველოში დიპლომატებმა სკეპტიციზმი გვერდზე გადადეს და მნიშვნელოვანი სადავო მოვლენების შესახებ ქართულ ინფორმაციას დაეყრდნენ.

2008 წლისთვის, იმ დროს, როდესაც რეგიონი ომისკენ მიექანებოდა, საქართველოს მთავრობის მიღმა არსებულ წყაროებს მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, დიპლომატიურ დოკუმენტებში არც კი ახსენებდნენ და ვაშინგტონს ხშირად მოვლენების ოფიციალურ ქართულ ვერსიას გადამოწმების გარეშე აწვდიდნენ. **რუსულ-ქართული ომის დაწყების წინ გადაცემულმა ბოლო შეტყობინებებმა დაადასტურა, რომ საელჩო ისეთ ინფორმაციას ეყრდნობოდა, რომელიც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, მცდარი იყო.**

„თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ 7 აგვისტოს, ნაშუადღევს, ელჩს განუცხადა, რომ ქართული ჯარი მზადყოფნაშია, მაგრამ არ არის საბრძოლო მდგომარეობაში,“ — აღნიშნულია ერთ-ერთ ცნობაში, იმ დროს, როდესაც საქართველოს მძიმე სამხედრო აღჭურვილობა უკვე მიემართებოდა კონფლიქტური ზონისკენ.

ქუთელიას განცხადებები რეალურ დროსაც კი ვერ უძლებს. მხოლოდ ერთ დოკუმენტში იმ რამდენიმედან, რაც საელჩოს წარმომადგენლების საბრძოლო ველზე ყოფნაზე მიანიშნებს, აღნიშნულია, რომ **„საელჩოს დამკვირვებლებმა გზატკეცილზე“ შენიშნეს 30-მდე სამთავრობო ავტობუსი, „რომელთაც ფორმიანი მამაკაცები ჩრდილოეთის მიმართულებით გადაჰყავდა“.**

მაგრამ საელჩომ არასწორად წაიკითხა ეს ნიშნები და ვაშინგტონს განუცხადა, რომ მიუხედავად **„ბევრი ცნობისა, რომელთა თანახმად ქართველებმა დაძრეს სამხედრო აღჭურვილობა და ძალები“**, საელჩოს **„თავდაპირველი შთაბეჭდილებით“, ქართველებმა მხოლოდ „გაამკაცრეს საბრძოლო მზადყოფნა, რათა აჩვენონ საკუთარი სიმტკიცე“.**

**ფაქტობრივად, 7 აგვისტოს ღამის 11:35 საათზე საქართველო იწყებდა მძიმე საარტილერიო და სარაკეტო შეტევას ცხინვალზე, სამხრეთ-ოსეთის დედაქალაქზე და ამით წყვეტდა ზავს, რომელიც თავადვე სულ რაღაც 5 საათით ადრე გამოაცხადა.**

დაბომბვამ საქართველო ომში ჩაითრია, იმ პატარა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულმა სამხედრო ქმედებებმა, რომელსაც ამერიკა შეიარაღებასა და წვრთნებში დაეხმარა, დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ განაწყო.

მომდევნო დილის კონფიდენციალურ დოკუმენტში ნათქვამია, რომ **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაუგზავნა ინფორმაცია დიპლომატიურ კორპუსს და განაცხადა, რომ „საქართველო ახლა აკონტროლებს სამხრეთ-ოსეთის უდიდეს ნაწილს, მათ შორის, მის დედაქალაქსაც“.**

დოკუმენტში შემდეგ ნათქვამია, რომ **„სააკაშვილის თქმით, საქართველოს არ სურდა ამ ბრძოლაში ჩაბმა, მაგრამ ოსების მიერ იქნა პროვოცირებული და უნდა ეპასუხა, რათა დაეცვა საქართველოს მოქალაქეები და ტერიტორია“.**

იმის ნაცვლად, რომ ხაზი გაესვა ეჭვისთვის, დოკუმენტი დასძენს: **„ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულება განამტკიცებს სააკაშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ომი ქართველებს განზრახული არ ჰქონდათ“.** შემდეგ მასში ნათქვამია, რომ შეტევა დაიწყო **„მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოსებმა ქართულ სოფლებს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს“.**

ამ უპრეცედენტოდ კადნიერ განცხადებას საჯაროდ გაიმეორებენ ბუშის ადმინისტრაციაში, რომელიც საქართველოს მსოფლიო სცენაზე მხარს უჭერდა, მაგრამ ამ ცნობების დასადასტურებლად, როგორც ჩანს, ამერიკის საელჩოს 8 აგვისტოს „შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეთაურო პოსტის“ გარდა, ველზე არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყავდა. დოკუმენტი არ იშველიებს საქართველოს მთავრობის გარეთ არსებული წყაროების ინფორმაციას. ამის ნაცვლად, წინა ღამის ქართული შეტევის გასამართლებლად მოყვანილია ქართული სამთავრობო წყაროს, თემურ იაკობაშვილის სიტყვები. მან ამერიკის ელჩს უთხრა, **რომ „ოსები, მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადებისა, განაგრძობდნენ სროლას ქართული სოფლების მიმართულებით“.**

**დოკუმენტი არ შეიცავდა მტკიცებულებებს ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ოსების თავდასხმის შესახებ და უგულებელყოფდა ერთადერთ დამოუკიდებელ ინფორმაციას, რომელიც ცხინვალში ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებლებისგან მოდიოდა.**

დამკვირვებლები, რომლებიც კონფლიქტური ზონის ეპიცენტრში იმყოფებოდნენ, არ იტყობინებოდნენ იმის შესახებ, რომ გაიგეს ან შენიშნეს ოსების საარტილერიო შეტევა ცხინვალზე ქართველების მიერ განხორციელებულ შეტევამდე რამდენიმე საათით ადრე. პირიქით, მათ ამერიკელ ოფიცერს შეატყობინეს, რომ **„ცხინვალზე ქართველების შეტევა, მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტისა, დაიწყო 7 აგვისტოს 22 საათსა და 35 წუთზე“.**

მაგრამ ამერიკული დიპლომატიური დოკუმენტი, ქართულ სამთავრობო წყაროებზე დაყრდნობით, **„ერთადერთ შესაძლებელ განმარტებად ყველა ამ მოვლენისა“**, აცხადებს სამხრეთ-ოსეთის ლიდერის — ედუარდ კოკოითის **„გადაწყვეტილებას, ისროლოს კამათელი, საქართველოსთან კონფლიქტის სტიმულირება მოახდინოს და რუსეთის დახმარების იმედით საკუთარი თავი გადაირჩინოს“.**

მაგრამ კოკოითს გადარჩენა როდი სჭირდებოდა. 9 აგვისტოს, როდესაც საქართველოში რუსული ჯარი შეიჭრა, დიპლომატიურ შეტყობინებაში ნათქვამია: **„პრეზიდენტმა სააკაშვილმა დილის სატელეფონო საუბარში ელჩს განუცხადა, რომ რუსები ცდილობენ საქართველოს ხელში ჩაგდებას და ახალი რეჟიმის დამყარებას“.**

ცალმხრივ ინფორმაციაზე დაყრდნობა გრძელდებოდა; მათ შორის იყო მსხვერპლის გაზვიადებაც და რუსების სამხედრო ქმედებების სააკაშვილისეული დახასიათებაც.

სააკაშვილის მთავრობა საჯაროდ აცხადებდა, რომ ცხინვალის დაბომბვები გამართლებული და ზუსტი იყო, მაგრამ ამერიკულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ, როდესაც რუსული საარტილერიო ცეცხლი ქართულ ქალაქ გორს დაუშინეს, სააკაშვილმა სამოქალაქო სივრცეებზე მძიმე შეიარაღებით თავდასხმასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი გამოთქვა. მან რუსების შეტევას **„წმინდა წყლის ტერორი უწოდა“.**

ამ მომენტისთვის დასავლეთი და რუსეთი ვერაფერზე შეთანხმდნენ, ხოლო ამერიკელების მიერ გაწვრთნილმა ქართულმა არმიამ დამცირება გადაიტანა და ბრძოლის ველიდან გაიქცა.

რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც უფრო სტაბილურ დაზავებაზე შეთანხმდნენ, ამერიკული ეკონომიკა კი რეცესიაში გადაეშვა, პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ საქართველოს აღმშენებლობაში მხარდასაჭერად 1 მილიარდი დოლარის დახმარებას გადასცემს.

**სი.ჯეი. ჩივერსი**

The New York Times

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# WikiLeaks-ის მასალები, რომლებიც

# WikiLeaks: ამერიკის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ გაცივდა

**საჯაროდ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არც ერთ შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან, რომ როგორმე უარყოს ის, რაც აშკარაა: 2008 წლის აგვისტოს ომისა და თეთრ სახლში ბარაკ ობამას მოსვლის შემდეგ, ამერიკის დამოკიდებულება მისი ქვეყნის მიმართ საგრძნობლად გაცივდა. მოსკოვსა და თბილისში გაგზავნილი უამრავი შეტყობინება, რომლებიც „WikiLeaks“-მა მოიპოვა და „Le Monde“-ს გადასცა, საგარეო პოლიტიკაში ამ ცვლილების არსებობას ადასტურებს.**



### გაფრთხილებები

**2008 წლის აგვისტოს ომამდე საქართველო არაერთხელ გააფრთხილეს იმ საფრთხეზე, რაც მის ძლევამოსილ მეზობელთან დაძაბულობის ესკალაციას შეიძლება მოჰყოლოდა.** მოსკოვსა და თბილისს შორის დაპირისპირება „ვარდების რევოლუციამდე“, ანუ ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლამდე დიდი ხნით ადრეც არსებობდა. თუმცა ამ დიპლომატიურმა ძვრამ კრემლის ცნობიერებაზე სერიოზული კვალი დატოვა და რუსულ ელიტებს იმის განცდა განუმტკიცა, რომ დასავლეთი მათ პოლიტიკურ და სამხედრო ალყაში აქცევს.

2007 წლის 12 ივნისს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამს ბერნსი პარიზში მაღალი რანგის ფრანგი დიპლომატების ვახშამს ესწრებოდა. მეორე დღეს ნიკოლა სარკოზი მიხეილ სააკაშვილს უნდა შეხვედროდა. ელისეს სასახლის დიპლომატიურმა მრჩეველმა დამიენ ლორამ განაცხადა, რომ საფრანგეთი საქართველოს მიმართ „სრულ მხარდაჭერას“ გამოხატავს. **„თუმცა კერძო საუბარში ფრანგებს სურთ, სთხოვონ სააკაშვილს, თავი აარიდოს რუსების პროვოცირებას და სიტუაციის გამწვავებას“,** — წერს საკუთარ ანგარიშში ამერიკის საელჩოს თანამშრომელი.

ორი კვირის შემდეგ ბერნსი მიხეილ სააკაშვილს შეხვდა, რათა დაედასტურებინა მისთვის აშშ-ის გადაწყვეტილება, რომ ვაშინგტონი კოსოვოს დამოუკიდებლობას მხარს დაუჭერს. პრეზიდენტი ამ სიტუაციის გამო წუხდა, რადგან შიშობდა, რომ ეს პრეცედენტს შექმნიდა, რომელიც რუსეთს შეიძლება საქართველოს სეპარატისტული რესპუბლიკის — აფხაზეთის მიმართ გამოეყენებინა.

სააკაშვილის აზრით, პუტინის გეგმა შემდეგში მდგომარეობდა: მას „საქართველოს დასანგრევად აფხაზეთის გამოყენება“ სურს. როგორც თბილისში ამერიკის საელჩოში წერენ, **„სააკაშვილმა თქვა, რომ აფხაზეთისგან განსხვავებით, რუსეთს არ სურს საქართველოს წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთის კარტის გათამაშება. პუტინმა მას უთხრა, რომ ფეხზე ჰკიდია სამხრეთ ოსეთი, ვიდრე საქართველო იქ სისხლის გუბეებს არ აყენებს და მშვიდად წყვეტს [სეპარატიზმის] პრობლემას“.** თუმცა 14 თვის შემდეგ სწორედ სამხრეთ ოსეთის გამო გაჩაღდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი.

კონფლიქტი, რომლის დაჯერებაც დასავლეთს, უბრალოდ, არ სურდა. **„[საქართველოს] მთავრობა საკმარისად ერთგულია ნატოში გაწევრების იდეის მიმართ იმისთვის, რომ სამხედრო ქმედებებით მას საფრთხე შეუქმნას“,** — ნათქვამია ამერიკის საელჩოს 2008 წლის 8 თებერვლით დათარიღებულ წერილში.

### ომი

**რუსეთ-საქართველოს ომმა თბილისის მოკავშირეებს შერეული გრძნობები გაუჩინა. ისინი ერთდროულად იყვნენ როგორც გაკვირვებულები, ასევე გაღიზიანებულებიც. ასე რომ, ბუშის ადმინისტრაცია დამკვირვებლის როლს დასჯერდა, თუმცა საბოლოო ჯამში ის საქართველოსა და პოლონეთის საკითხების გამო მაინც კრიტიკის ობიექტი გახდა.**

12 აგვისტოს პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და ბალტიის სახელმწიფოთა ლიდერები თბილისში გაემგზავრნენ, რათა სააკაშვილისთვის მათი ურყევი მხარდაჭერა დაედასტურებინათ. 13 აგვისტოს ამერიკის საელჩო ვარშავაში პოლონეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ფრანტიშეკ გონგორას (დაიღუპა სმოლენსკთან ავიაკატასტროფაში 2010 წლის თებერვალში) ანალიზის შესახებ წერს.

გენერალი შიშობს, რომ მოსკოვში შეიძლება გაძლიერდეს ხისტი პოლიტიკის ტენდენცია, და ასკვნის, რომ **სააკაშვილმა „სამხრეთ ოსეთზე შეტევის დაწყებით მიიღო უკიდურესად არასწორი გადაწყვეტილება, რამაც მხოლოდ რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი“.**

„პოლონეთს მიაჩნია, რომ სააკაშვილით რუსი აგენტები მანიპულირებდნენ (შესაძლოა, მის გარემოცვაშიც) იმისთვის, რომ საქართველოში სამხედრო მოქმედებები დაწყებულიყო მთავრობის დესტაბილიზაციის მიზნით“, – ნათქვამია საელჩოს შეტყობინებაში.

გარდა ამისა, გონგორას ანალიზში კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაციაა: **თბილისმა ვარშავას სარაკეტო კომპლექსების GROM-ისა და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების FAGOT-ის მიწოდების თხოვნით მიმართა. 2007 წლის აგვისტოში პოლონეთმა GROM-ის რაკეტების პარტია საქართველოს უკვე გაუგზავნა.**

**აშშ-ს არ გააჩნდა „სწრაფი გადაწყვეტილება აგვისტოს ომით წარმოქმნილი კონფლიქტისთვის ან მისი ნეიტრალიზების შესაძლებლობა, რადგან ამის უპირატესობა გააჩნია რუსეთს, როგორც გეოგრაფიის, ასევე მოცულობისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით“**

### „გადატვირთვა“ და გადაიარაღება

**ომის შემდეგ დიპლომატიურ კულისებში აქტიურად განიხილავდნენ საქართველოს ხელახალი შეიარაღების საკითხს.** 11 აგვისტოს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ციპი ლივნიმ სერგეი ლავროვს დაურეკა, რათა დაერწმუნებინა, რომ მისმა ქვეყანამ **„შეწყვიტა საქართველოში სამხედრო ტექნიკის ყველანაირი მიწოდება სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე“,** — ნათქვამია მოსკოვში ამერიკის საელჩოს 2008 წლის 16 სექტემბრის შეტყობინებაში. ეს ნაბიჯი დაემთხვა ისრაელის ოფიციალურ თხოვნას რუსეთის მიმართ, შეეწყვიტა მოსკოვს იარაღის მიყიდვა სირიისა და ირანისთვის.

2009 წლის 17 ივნისის წერილში ამერიკის საელჩო თბილისში უბრუნდება „რუსეთ-ამერიკის გადატვირთვისთვის საქართველოს გადაიარაღების შედეგების“ თემას.

მისი აზრით, ერთადერთი „სიცოცხლისუნარიანი“ სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ **ვაშინგტონი უნდა შემოიფარგლოს ჯარისკაცების მომზადებით და სამხედრო დახმარებით ტექნიკისა და შეიარაღების მიწოდების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში უკიდურესად სერიოზული შედეგებია მოსალოდნელი, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, — რუსეთის მხრიდან ირანისთვის იარაღის მიწოდების საკითხში.**

საელჩო აღიარებს, რომ ეს ახალი მიდგომა სააკაშვილს არ მოეწონებოდა, თუმცა **აშშ-ს არ გააჩნდა „სწრაფი გადაწყვეტილება აგვისტოს ომით წარმოქმნილი კონფლიქტისთვის ან მისი ნეიტრალიზების შესაძლებლობა, რადგან ამის უპირატესობა გააჩნია რუსეთს, როგორც გეოგრაფიის, ასევე მოცულობისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით“.**

პრობლემა ის არის, რომ **საქართველოს „ზედმეტად აქვს აკვიატებული იარაღის შეძენის იდეა, რაც მისთვის შიშის ერთგვარი ანტიდოტია“,** – ნათქვამია საელჩოს 2010 წლის 18 თებერვლის შეტყობინებაში.

**ძლიერი ოპოზიციის არარსებობის პირობებში, პრეზიდენტი სააკაშვილი „პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერი, მაგრამ, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, უფრო მოწყვლადიც გახდა“, რადგან მას თრგუნავს იმის შიში, რომ „ისტორია გაასამართლებს მას ოკუპირებული ტერიტორიების სამუდამოდ დაკარგვის გამო“.** გარდა ამისა, ის საკუთარ თავს ეკითხება **„ხომ არ არის ჩვენი ზომიერი მიდგომა თავდაცვითი თანამშრომლობის მიმართ და ჩვენი პარტნიორობა მოსკოვთან აშშ-ის ინტერესების კიდევ უფრო ღრმა ცვლილების ნიშანი“.**

**პეტრე სმოლიარი**

Le Monde

# WikiLeaks: აშშ უკმაყოფილოა საქართველოს ომში სარკოზის შუამავლობით

**მიუხედავად იმისა, რომ ელისეის სასახლის შუამავლობას 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში ნიკოლა სარკოზის დიპლომატიის „გმირობად“ წარმოაჩენენ, მასზე აშშ-ისა და მისი მოკავშირეების რეაქცია თავშეკავებული იყო. ვაშინგტონს თავისი კრიტიკული დამოკიდებულება საჯაროდ იმიტომ არ გამოუთქვამს, რომ მოსკოვის თვალში დასავლეთის ერთობისთვის ჩრდილი არ მიეყენებინა, თუმცა ამერიკელების პოზიციამ მაინც გაჟონა იმ დიპლომატიურ მიმოწერაში, რომელიც ვებგვერდმა „WikiLeaks“-მა „Le Monde“-ს მიაწოდა.**

**წერილიდან, რომელიც 2008 წლის 23 აგვისტოს ამერიკის საელჩოებში კონდოლიზა რაისმა** (აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 2005-2009 წლებში) **დააგზავნა, ჩანს, თუ რატომ გადასცა აშშ-მა საფრანგეთს** (იმ დროს ის ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა იყო) **დიპლომატიური ინიციატივა. ვაშინგტონს სჭირდებოდა, რომ ამ საკითხში პირველხარისხოვანი როლი ევროკავშირს ეთამაშა და მოსკოვს არ ჰქონოდა შესაძლებლობა კრიზისი პოსტ-საბჭოთა სივრცეში რუსულ-ამერიკულ კონფრონტაციად წარმოეჩინა.**

ამგვარად, ამერიკულმა დიპლომატიამ გადაწყვიტა, მეორე პლანზე გადასულიყო, ყურადღებით ედევნებინა თვალი საფრანგეთის ყველა ქმედებისთვის და მათზე გავლენა იმ დროს მოეხდინა, როდესაც ეს აუცილებელი გახდებოდა. იმისგან განსხვავებით, რაც ნიკოლა სარკოზიმ 2008 წლის 13 ნოემბერს განაცხადა, ჯორჯ ბუში არასდროს ყოფილა წინააღმდეგი, სარკოზი 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გაფორმების მოლაპარაკებებზე მოსკოვში გამგზავრებულიყო.

თუმცა შედეგებმა ამერიკელებში ერთგვარი ეჭვი გააჩინა. **ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაში ძალიან ბევრი „უზუსტობა“ აღმოჩნდა, რაც მოსკოვს დოკუმენტის „არასწორი ინტერპრეტაციისა“ და საქართველოს ტერიტორიაზე ჯარების დატოვების შესაძლებლობას აძლევს.** ამ მიზეზის გამო, რაისი ელისეს სასახლეს დამატებით დოკუმენტზე მოელაპარაკა. ეს არის 14 აგვისტოთი დათარიღებული საფრანგეთის პრეზიდენტის წერილი, სადაც რუსი ჯარისკაცების შეკავების მიზნით დამატებითი განმარტებებია მოცემული, თუმცა მოსკოვმა ეს წერილი თავდაპირველი შეთანხმების ნაწილად მაინც არ აღიარა.

### ერთობის სიმულაცია

**ვაშინგტონს სჭირდებოდა პარიზთან შეხედულებების ერთობის დემონსტრირება. როგორიც არ უნდა ყოფილიყო ამ საკითხისადმი აშშ-ის რეალური დამოკიდებულება, დიპლომატებს „თავი უნდა შეეკავებინათ საფრანგეთისა და პრეზიდენტ სარკოზის პოზიციის“ შეფასებისგან,** — წერდნენ სახელწიფო დეპარტამენტში.

გამოდის, რომ კრემლმა საფრანგეთი გააბრიყვა? ამერიკული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ რუსულმა მხარემ ხაფანგი მოამზადა, შექმნა რა ცეცხლის შეწყვეტის მეორე დოკუმენტი, რომელიც სარკოზის ვარიანტისგან ერთგვარად განსხვავდებოდა და სწორედ მას მოაწერა ხელი პრეზიდენტმა მედვედევმა. შედეგად, შეთანხმების ორი ვერსია გამოქვეყნდა, რომლებიც შეიცავდა ისეთ ნიუან- ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნაცპროპაგანდამ «ვერ შენიშნა»

## ამერიკელი დიპლომატების ძალისხმევა რუსულ-ქართული კონფლიქტის პრევენციის საქმეში

**ამერიკელი დიპლომატების მიმოწერა ცხადყოფს, თუ როგორი იყო აშშ-ის უკანასკნელი დიპლომატიური ძალისხმევა (მას შემდეგ, რაც წლების განმავლობაში საქართველოს სამხედრო პოტენციალის განმტკიცებას უწყობდა ხელს) რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის პრევენციის საქმეში 2008 წლის აგვისტოში.**



**ამერიკელებმა ზედმიწევნით იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე. აშშ-ის საელჩოს ერთ-ერთ წერილში ნათქვამია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი საქართველოს მთავრობაში „აფხაზეთის საკითხებში ყველაზე რეაქციულია“.** ამიტომაც კავკასიაში აშშ-ის წარმომადგენელი მეთიუ ბრაიზა მერაბიშვილს 2008 წლის 12 მაისს საქართველოს დედაქალაქ თბილისში შეხვდა. **„ბრაიზამ გააფრთხილა მერაბიშვილი, რომ ომი საქართველოსთვის ცუდი გადაწყვეტილებაა,** — ნათქვამია ერთ-ერთ ამერიკულ წერილში, — **ომი ქვეყანას მოუსპობს როგორც ნატოში გაწევრების ნებისმიერ შანსს, ასევე ის მას ვაშინგტონისა და ევროპის დედაქალაქების მხარდაჭერის დაკარგვის ფასად დაუჯდება“.**

იმ მომენტისთვის კავკასიაში სიტუაცია ფეთქებადსაშიში იყო: საქართველო პრეტენზიას აცხადებდა აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის რეგიონებზე, რომლებიც ქვეყანას 1990-იანი წლების დასაწყისის ომების დროს გამოეყო. ორივე რეგიონში რუსი მშვიდობისმყოფელები იყვნენ დისლოცირებული და დე ფაქტო რესპუბლიკები სულ უფრო მეტად იხრებოდნენ რუსეთისკენ.

ქართველები აშშ-ის ახლო მოკავშირეები იყვნენ, მაშინ, როდესაც აფხაზებს და სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობას რუსეთი უჭერდა მხარს. **არც რუსებსა და არც ამერიკელებს რეგიონში სიტუაციის ესკალაცია არ სურდათ, თუმცა არც დაძაბულ ურთიერთობებზე ამბობდნენ უარს.**

ეს ძალიან სახიფათო მიდგომა იყო, რასაც საბოლოო ჯამში უსიამოვნო შედეგები მოჰყვა. 2006 წლის 11 თებერვალს მოსკოვში ამერიკის საელჩო ვაშინგტონს აფრთხილებს და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სიტყვები მოჰყავს: **სერბეთისგან კოსოვოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერა — ნაბიჯი, რასაც აშშ მიესალმება — „პრეცედენტს შექმნის“.**

ცხადი იყო, რომ ეს კავკასიის ორ გამოყოფილ რეგიონზე მიანიშნებდა. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, მოსკოვში ამერიკის საელჩო პირდაპირ წერს რუსეთ-საქართველოს ომის საფრთხეზე. წერილში ნათქვამია, რომ საჭიროა ზეწოლა არამხოლოდ მოსკოვზე, არამედ თბილისზეც: **„ჩვენ ამავე დროს თბილისიც უნდა ვაიძულოთ, კონცენტრაცია მოახდინოს იმაზე, რომ ძალის ნებისმიერი გამოყენება არამხოლოდ მიუღებელია, არამედ სახიფათოც“.**

### აშშ-ის საჯარო მხარდაჭერამ სააკაშვილი გაამხნევა

**ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და მისი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი საქართველოს უპირობო მხარდაჭერას განაგრძობდნენ. ეს პოლიტიკური კურსი ამხნევებდა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. იგი ვარაუდობდა, რომ, სიტუაციის გართულების შემთხვევაში, აშშ პროცესში ჩაერთვებოდა. აშშ-ის დახმარებით შთაგონებულმა მასშტაბური სამხედრო მომზადება დაიწყო. ის იმუქრებოდა და, პირობას დებდა, რომ სეპარატისტულ რესპუბლიკებს მორჩილებას აიძულებდა, მაგრამ მისი ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდა.**

სწორედ ამ სიტუაციაში შეხვდა აშშ-ის წარმომადგენელი კავკასიაში ბრაიზა 2008 წლის მაისში შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს და მას აფხაზეთის მთავრობასთან მოლაპარაკებებში შუამავლის როლი შესთავაზა. ცოტა ხნით ადრე ბრაიზამ აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად შავი ზღვის სანაპიროზე ისადილა. ამერიკელებს სჯეროდათ, რომ ის შუამავლის როლს შეასრულებდა.

მაგრამ მერაბიშვილს აშშ-ის დიპლომატის წინადადებები არ მოეწონა. მან განაცხადა, რომ მომდევნო მოლაპარაკებებში საქართველო სამუდამოდ დაკარგავს აფხაზეთს. **შეხვედრის ამერიკული ოქმის თანახმად, მერაბიშვილი ომზე არ საუბრობს, თუმცა დოკუმენტის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ქართველები სამხედრო კონფლიქტის დაწყების ზღვარზე დგანან.**

დაახლოებით ორი თვის შემდეგ, ომის დაწყებამდე სულ რაღაც რამდენიმე დღით ადრე, სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსკოვში აშშ-ის საელჩოდან კონფიდენციალური გზავნილი მიიღო. მასში ნათქვამია, რომ რუსები ინფორმირებულები არიან სააკაშვილის ომისადმი მიდრეკილებაზე. **„რუსეთის სადაზვერვო ინფორმაციით, საქართველო „მნიშვნელოვანი სამხედრო მოქმედებების“ დაწყებას გეგმავს“.**

### „შეინარჩუნეთ სიმშვიდე“

**მომდევნო დღეებში, ცენტრალურ საქართველოსა და სამხრეთ-ოსეთს შორის საზღვართან ადგილი ჰქონდა სროლებს, თუმცა ეს მხოლოდ ფრაგმენტული სროლები იყო. აშშ-ის ელჩი თბილისში ჯონ ტეფტი, შეეცადა პრეზიდენტის დარწმუნებას, რომ მას თავი უნდა შეეკავებინა: „ელჩი არწმუნებდა საგარეო საქმეთა მინისტრსა და თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, ზედმეტად მწვავე რეაქცია არ ჰქონოდათ და მოეხდინათ სიტუაციის დეესკალაცია“, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო.**

**7 აგვისტოს ღამით სააკაშვილმა გადაწყვიტა, ყველა ეს გაფრთხილება არად ჩაეგდო. პრეზიდენტმა სამხრეთ-ოსეთის დედაქალაქზე შეტევის განხორციელების ბრძანება გასცა. ქართულმა რაკეტებმა ცხინვალი დაბომბა. სააკაშვილის არტილერიამ უშუალოდ რუსეთის სამხედრო ბაზაზეც მიიტანა შეტევა და ჯარისკაცები მოკლა.**

8 აგვისტოს, 10:05 საათზე, ტეფტი ვაშინგტონში ჩინოვნიკებს წერს, რომ სააკაშვილმა ის დაარწმუნა, რომ **„საქართველო აკონტროლებს სამხრეთ-ოსეთის თითქმის მთელ ტერიტორიას, მათ შორის ცხინვალს“.** ტეფტი მოტყუვდა — **„ყველა მტკიცებულება, რაც ქვეყნის გუნდს გააჩნია, ადასტურებს სააკაშვილის განცხადებას, რომ ეს ბრძოლა საქართველოს განზრახული არ ჰქონდა“.** ელჩი შემდეგს აცხადებს — **„მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო ცხინვალის აღების ოპერაცია, რაც სამხრეთ-ოსეთიდან ქართულ სოფლებს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს“.**

მაგრამ ეს ტყუილი იყო და ოდნავ მოგვიანებით ის თავად სააკაშვილმაც უარყო.

**8 აგვისტოს, დილით, რუსებმა სამხრეთ-ოსეთის მხარე დაიჭირეს და კონფლიქტში ჩაერთნენ.** ერთი დღის შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტი თავის საიდუმლო ანგარიშში აღნიშნავს, რომ რუსეთის სამხედრო ავიაცია ქართველების პოზიციებს ანადგურებს. **„საელჩო თბილისში იუწყება, რომ საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო რესურსი ამოიწურა, რაც მათ არმიას რუსეთის საავიაციო შეტევებისთვის მოწყვლადს ხდის“.**

### „ისინი თბილისს აიღებენ“

**მანამდე სააკაშვილმა აშშ-ის ელჩი ისევ მოატყუა — როგორც ჩანს, აშშ-ის მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით. ელჩი ტეფტი საკუთარ თავზე წერს — „პრეზიდენტმა სააკაშვილმა დილით სატელეფონო საუბარში ელჩს უთხრა, რომ რუსები საქართველოს დაპყრობასა და ახალი რეჟიმის დამყარებას აპირებენ. ისინი სამხრეთ-ოსეთის დაკავებით არ დაკმაყოფილდებიან და თბილისსაც აიღებენ“.**

სინამდვილეში, რუსეთის გენერალური შტაბი საქართველოს დედაქალაქის აღებას არ გეგმავდა.

ორ დღის შემდეგ რუსეთის არმიამ დაიკავა სამხრეთ-ოსეთი, კონტროლი დაამყარა საქართველოს საჰაერო სივრცეზე და 12 აგვისტოს მათი ქვეითი ჯარები თბილისიდან 50 კილომეტრის (31 მილი) მოშორებით განთავსდნენ.

ტეფტმა 10 აგვისტოს ვაშინგტონს მისწერა – **„ქართველებმა ღამის განმავლობაში საშინელი დანაკარგი (შეფასებებით ეს რიცხვი ათასებს აღწევს) განიცადეს“.** აშშ-ის ელჩის თქმით, სააკაშვილის გენერლებმა ფიასკო უკვე ამერიკელებს დააბრალეს — **„საქართველოს სამხედრო ჩინოვნიკები პირად საუბრებში ღრმა იმედგაცრუებას გამოთქვამენ შეერთებული შტატებისა და დასავლეთის მიმართ, რომლებმაც მეტი მხარდაჭერა არ აღმოუჩინეს მათ რუსული შეტევის წინააღმდეგ“.**

მსხვერპლის რაოდენობას ათასებისთვის არ მიუღწევია, თუმცა სერიოზულ სროლებში 800-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ქართველებმა კი მომდევნო თვეები იმას მოანდომეს, რომ ომზე პასუხისმგებლობისთვის თავი აერიდებინათ. 2009 წლის მარტში, სააკაშვილის ახლო მრჩეველმა მერაბიშვილმა ელჩ ტეფტთან ევროკავშირის მიერ დაწყებულ საგამოძიებო კომისიაზე დაიჩივლა. გამოძიებას, რომელსაც შვეიცარელი დიპლომატი ჰეიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა, ხუთდღიანი ომის დაწყების მიზეზები უნდა გაერკვია.

### ქართული შფოთი ევროკავშირის გამოძიებაზე

**საქართველოს მთავრობა პირველ რიგში შეშფოთებული იყო კომისიის ორი ექსპერტით — ბრიტანეთის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკით კრისტოფერ ლანგტონითა და ჰამბურგის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორით ოტო ლუჰტერჰანდტით. 2009 წლის 10 მარტის შეტყობინებაში ტეფტი წერს, რომ, მერაბიშვილის აზრით, ისინი არიან „პრო-რუსები და ანტი-ქართველები“.**

მერაბიშვილის თანახმად, თავად გამოძიება **„გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა (ფრანკ-ვალტერ) შტაინმაიერმა დაგეგმა“.** საქართველოს ლიდერების აზრით, შტაინმაიერიც ასევე **„პრო-რუსი და ანტი-ქართველი“** იყო. მერაბიშვილი შიშობდა, რომ გამოძიება **„საქართველოს დისკრედიტაციის საშუალება“** იყო.

ამავე დროს **საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ამტკიცებდა იმას, რომ მას უღალატეს.**

ამას ტეფტის შეტყობინება მოწმობს, სადაც მოყვანილია ელჩის საუბარი თბილისის მერ გიგი უგულავასთან, რომელიც ასევე სააკაშვილის ახლო მოკავშირეა. უგულავამ ელჩს განუცხადა, რომ **„მთავრობაში არსებობდა მოსაზრება, რომ ცხინვალის შენარჩუნება შესაძლებელი იყო, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საერთაშორისო თანამეგობრობა უმალ დაიცავდა საქართველოს ქმედებებს“.**

ამერიკელები სულ უფრო გაღიზიანებულები ჩანდნენ თვითსიბრალულით შეპყრობილი კავკასიელი მოკავშირეებით. ტალიავინის კომისიამ საკუთარი დასკვნა სექტემბრის ბოლოს გამოაქვეყნა. **სააკაშვილი ჩიოდა, რომ „დასკვნა ძალიან ანტი-ამერიკული“ იყო.** ამერიკის საელჩოს ხელმძღვანელმა ამაზე ცივად უპასუხა, რომ ვაშინგტონი **„წინ იყურება და არა უკან“.**

მაშინ საქართველოს პრეზიდენტმა ამერიკელებს სთხოვა, იმაში მაინც დამეხმარეთ, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებმა აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი არ აღიარონო, რაზეც აშშ-ის თავდაცვის მინისტრის თანაშემწემ ალექსანდრე ვერშბოუმ მას უპასუხა, რომ შეერთებული შტატები ყოვლისშემძლე არ არის. **2009 წლის 2 ნოემბერს თბილისში ამერიკის საელჩოს მიერ დაწერილ წერილში ჩანს, თუ რა სწრაფად შეიცვალა ამერიკელების დამოკიდებულება სააკაშვილისადმი და აგდებული გახდა.** აშშ-ის ჩინოვნიკებმა პრეზიდენტს უთხრეს, რომ **„ბევრ ისეთ ქვეყანაში, რომელიც აღიარების საკითხს განიხილავს, შეერთებულ შტატებს მათ პოლიტიკაზე გავლენის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს“.**

**ივ კლუსმანი**

SPIEGEL

---

◀ სებს, რაც რუსეთისთვის მოქმედების ერთგვარ თავისუფლებას იძლეოდა.

მართალია, დროდადრო ფრანგებს შეშფოთება ეტყობოდათ, თუმცა მათ დაადასტურეს ის, რომ მოსკოვმა რთული ამოცანა დაუსახათ, მაგრამ რუსეთთან კონფრონტაციისგან თავის შეკავების აუცილებლობაც აღიარეს. მათი აზრით, **ოკუპირებული საქართველოს ბედი არ იყო ერთადერთი ფაქტორი, რისი გათვალისწინებაც რუსეთთან ურთიერთობებში იყო საჭირო. „დასავლეთს რუსეთი ირანის ბირთვულ საფრთხესთან დაპირისპირებისთვის სჭირდება“,** — განაცხადა 2008 წლის 5 სექტემბერს ელისეს სასახლის მრჩეველმა სტრატეგიულ საკითხებში ფრანსუა რიშიემ ნატოში აშშ-ის წარმომადგენელთან — კურტ ვოლკერთან შეხვედრისას. ამერიკელი დიპლომატი იძულებული იყო, ამ მოსაზრებას დათანხმებოდა, მაგრამ ამავე დროს აღნიშნა, რომ, ვიდრე რუსული არმია საქართველოს ტერიტორიაზე რჩება, მოსკოვთან ჩვეულებრივი თანამშრომლობა გართულდება.

### „მძიმე ატმოსფერო“

**2008 წლის 8 სექტემბერს რუსეთმა არმია არ გაიყვანა და ნიკოლა სარკოზიმ მოსკოვთან და თბილისთან მოლაპარაკებების განახლების აუცილებლობა იგრძნო.** მეორე დღეს დიპლომატმა ფილიპ ლეფორმა მოსკოვში მის ამერიკელ კოლეგას უამბო მოლაპარაკებებზე არსებული „საკმაოდ მძიმე ატმოსფეროს“ შესახებ. **„რაღაც მომენტში სარკოზიმ ხელი წაავლო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს პიჯაკის საყელოზე და ის ძალიან მკაცრ ტერმინებში მატყუარად მოიხსენია“,** — წერდნენ ამერიკის საელჩოში. **„როგორც ჩანს, სარკოზიმ გააფრთხილა რუსეთი, რომ მისი, როგორც „სერიოზული ზესახელმწიფოს“, იმიჯი მნიშვნელოვნად დააზარალა იმით, რომ აღებული ვალდებულებები არ შეასრულა“,** — ნათქვამია წერილში.

**შედეგად რუსეთის არმიამ მხოლოდ ზოგიერთი რეგიონი დატოვა და 2009 წელს აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში საბოლოოდ გამაგრდა. ამერიკულ მიმოწერაში ეს შედეგი შეფასებულია როგორც „კვიპროსის“ სცენარი, ანუ სამხედრო ოკუპაცია, რომელიც, როგორც ჩანს, კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გაგრძელდება.**

**ნატალი ნუგაირედი**

Le Monde

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სათადარიგო აეროდრომი სააკაშვილისთვის,

## საქართველოს «თბილისის იმპერია» უკვე დასავლეთმაც უწოდა

**ზღვის მიმოქცევასავითაა საქართველოში პოლიტიკური ვნებათაღელვანი: ავფეთქდებით, ავბობოქრდებით. ხელისუფლება კვლავ „გაიმარჯვებს“ და დამშვიდდება ოპოზიციაც და საზოგადოებრივი აზრიც — „ქარი არა ქრის“ და თუ მაინც „მწვერვალებს ედება ქარი“ (გალაკტიონი), საზღვარგარეთაა, უცხოელი ანალიტიკოსების პუბლიკაციებში, თუმცა, არც თუ იშვიათად, უკანმიდევნებული ლამპარის სახით. „საქართველო და მსოფლიო“ დღეს გთავაზობთ მაიკლ ჩეჩირეს წერილს „ქართული ფედერალიზმის საკითხისათვის“, რომელიც 11 ნოემბერს „Eurasia Review“-მ გამოაქვეყნა. ფედერალიზმის პრობლემა, რომელსაც ერთ დროს აქტიურად განიხილავდა ჩვენი საზოგადოებრივი აზრი, ამ სქემაში ექცევა.**



ავტორი ყურადღებას ამახვილებს ფუნდამენტურ საკითხზე — **ცენტრსა და პერიფერიებს შორის ძალაუფლების განაწილების პრობლემაზე, რომლის მოგვარების გასაღებს საქართველოს ფედერალურ მოწყობაში ხედავს.** თუმცა ისიც სათქმელია, რომ ფედერალიზაციის სიღრმისეული საკითხები, ისტორიული ფონი, განსხვავებული პოზიციების შეჯერება და ა.შ. პუბლიკაციაში იგნორირებულია და ავტორი უახლესი ისტორიის მეორეხარისხოვანი ფაქტების მოხმობით გადის ფონს.

თავად განსაჯეთ: ისეთი რა მოვლენა იყო ორიოდ წლის წინათ „აჭარის ლიდერის“ ლევან ვარშალომიძის განცხადება, — კერძოდ, ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობაში ადგილობრივი კადრებისთვის ადგილი არ რჩებაო, რადგან თბილისიდან მოვლინებულებს აქვთ დაკავებული, ან „აჭარის სამინისტროები უნდა დაელოდონ იმას, თუ როდის მოაწერს თბილისელი ბიუროკრატი ხელს დოკუმენტს“, რაც მიუღებელია, რომ შეაფასო ეს მორიდებული მინიშნებები (ვარშალომიძე ამ ზოგადობას არ გასცდენია) როგორც „სასტიკი კრიტიკა“.

ასეთი „გალაშქრების“ შედეგი კი აშკარად კურიოზულია — ავტორიტარიზმის ეტალონური ნიმუში უფროა, ვიდრე მმართველობის დემოკრატიულობის დამკვიდრების მაგალითი. **დღეს არავის ეპარება ეჭვი, რომ ცენტრალიზებული ბიუროკრატია კი არ აბრკოლებს თვითმმართველობის განვითარებას აჭარაში, არამედ — პირადად სააკაშვილი, რომელიც აჭარის მმართველის როლში ყოფნას უფრო კომფორტულად ითავისებს, ვიდრე თავის უშუალო მოვალეობებს.**

ვარშალომიძე კი ხან მოწმედ დაჰყვება, ხან — თვითმფრინავის „პასაჟირად“. არც არავის უკვირს, ვარშალომიძეც ხმას არ იღებს, ანუ ყველაფერი ისეა აწყობილი, როგორც უნდა იყოს ავტოკრატულ სახელმწიფოში ერთპიროვნული მმართველობის დროს.

დემოკრატიული პრინციპების, ანუ დეცენტრალიზაციის დამკვიდრების პერსპექტივა აჭარაში, ისევე, როგორც მთელს ქვეყანაში, არ ჩანს და ამას კარგად ხედავს მაიკლ ჩეჩირე: **„2009 წლის სექტემბერში,** — წერს იგი, — **სააკაშვილმა გაეროში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ ქვეყანა დაიწყებს დეცენტრალიზაციის დიდ პროგრამას და „რამდენიმე თვეში ჩაატარებს ყველა მერის პირდაპირ არჩევნებს“. არ არის საჭირო იმის თქმა, რომ ეს დაპირება მალე უარყოფილ იქნა, მას შემდეგ, რაც სააკაშვილის მოკავშირეებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ცხადი გახადეს, რომ არ ეთანხმებიან ასეთ გაბედულ ნაბიჯს. თბილისის გარდა მერის არჩევნები რამდენიმე თვეში უკუაგდეს“.**

ეს **„მას შემდეგ“** რომ არა, ყველაფერი სწორია, რადგან მითიურმა მოკავშირეებმა კი არა, თვით სააკაშვილმა უარყო მერების არჩევითობაც და დეცენტრალიზაციის პრინციპიც. ამიტომ **მაიკლ ჩეჩირეს ვარაუდი, თითქოს სააკაშვილი აცნობიერებს იმ სიკეთეს, რომელიც ქვეყნის დემოკრატიული სისტემისთვის მოაქვს ადგილობრივი სახელისუფლო სტრუქტურებისთვის დამატებითი ძალაუფლების დელეგირებას, უფრო სურვილია, ვიდრე ფაქტი.** თავადვე შენიშნავს ავტორი, რომ „საინტერესო გადაწყვეტილება“ პარლამენტის ნაწილობრივ ქუთაისში გადატანის შესახებ სიმბოლური ხასიათისაა, არაარსებითია და „მსგავსი იდეები ან ჩუმად ჩაკვდა, ან შეცდომებით იქნა გარემოცული“, რაც მათი პერსპექტიულობისადმი დაეჭვებას ადასტურებს.

პუბლიკაციაში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი **ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზეა** გაკეთებული, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთზე, სადაც სეპარატისტული პრობლემა არსებობს, მაგრამ მინავლებული ხასიათისაა, და აქ მხოლოდ იმიტომ არ გამეორდა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და აჭარის (?!) ვარიანტი, რომ „გეოგრაფიულად და სტრატეგიულად“ არ არის დაახლოებული რუსეთთან, რამაც „სხვებს რუსეთის ფართო მხარდაჭერა არგუნა“.

## «აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება დღეს და თვალსაწიერ მომავალშიც თბილისისთვის მთლიანად მიუღწეველია»

ჩვეულებრივი დილეტანტიზმია — დიაგნოზის ნაჩქარევად, სახელდახელოდ დასმის შედეგი, რომლის მთავარი არგუმენტია **„იმასაც კი ამბობენ“.** თუ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რუსეთთან სტრატეგიულად დაახლოებულ რეგიონად შეიძლება ჩაითვალოს, ახალციხის რაიონი, სადაც რუსეთის უმძლავრესი სამხედრო ბაზა იყო განლაგებული, რატომ არ არის სტრატეგიული ინტერესის საგანი?!

ან რუსეთთან აჭარის რა გეოგრაფიულ სიახლოვეზე შეიძლება ლაპარაკი?!

ამბობენო.

სხვების ნათქვამის ქოლგას თავშეფარებული ავტორი დღევანდელ საქართველოს წარუდგენს მკითხველებს რაღაც მექანიკურ გაერთიანებად — არ არის მთლიანი ქვეყანა და არც შეიძლება იყოს იმ პირობებში, რომლებშიც აღმოჩნდა, თანაც ყოყლოჩინურად დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე **„თბილისის ამ იმპერიას“: „საქართველო დაახლოებით აშშ-ის შტატის — სამხრეთ კალიფორნიის ტოლია... ის ქვეყნის რელიეფური ლანდშაფტის, სხვადასხვა კლიმატური ზონების, სუსტად განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ისეთი ეთნიკური და სუბეთნიკური ჯგუფების განსხვავებულობის გამო, რომლებიც ქვეყანას თავის სამშობლოდ მიიჩნევენ, საკუთარ თავს ბევრად უფრო დიდად აღიქვამს(!)“. ძალიან ბევრ უცხოელს „ისეთი განცდა უჩნდება, რომ ეს „თბილისის იმპერიაა“ და არა ერთი მთლიანი ქვეყანა“.**

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ დანაწევრებული ქვეყნიდან ცალკე იყოს გამოყოფილი აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“?!

ამიტომ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ **„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება დღეს და თვალსაწიერ მომავალშიც თბილისისთვის მთლიანად მიუღწეველია“.**

ძალიან, ძალიან რომ შეგეხვეწოთ, იქნებ, მოგვიგვაროთ ეს საქმე?

გვიგვარებენ, მართალია, — ვარაუდის ჭრილში: **„თუ მხედველობაში მივიღებთ, მდუღარე (!) უთანხმოებას ნაციონალისტ აფხაზებსა და მათ რუს ბატონებს შორის, შეუძლებელი არ უნდა იყოს ის, რომ ფსბ-ს ძალოვანი კადრების არადემოკრატიულმა და ხანდახან სასტიკი მართვის სტილმა უფრო მალე ამოწუროს თავი, ვიდრე ეს შეიძლება დღეს კავკასიის ექსპერტების უმეტესობამ ივარაუდოს“.**

ელოდე ზურგის ქარსო, — გვეუბნებიან, თან დასძენენ, რომ „პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში პროგნოზირებადი არ არის“.

კარგად რომ ჩაუკვირდე ჩეჩირეს ნაწერის მსგავს პუბლიკაციებს, მიხვდები, რომ **ჩვენი ამერიკელი პარტნიორები მიხეილ სააკაშვილს ნამუსს სწმენდენ, სათადარიგო** აეროდრომს უმზადებენ იმით, რომ გარკვეულწილად ამართლებენ კიდეც დაკარგული, კონფლიქტური რეგიონების მიმართ საქართველოს ხელისუფლების უშედეგო და უეფექტო პოლიტიკას: **„აფხაზებისთვის აბსოლუტურად ნულოვანია ნიშანი იმისა, რომ თბილისთან ხელახალი გაერთიანება მათ 90-იანი წლების ქართული ავტოკრატიის გარდა სხვა რამეს მოუტანს. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია სოხუმისა და რუსეთის ტერორისა და ეთნიკური წმენდის კამპანიის გამართლება (ქართველების ეთნიკური წმენდა იგულისხმება, — ა.ს.), ცხადია, რომ აფხაზები ძალიან ბევრს გაიღებენ, რათა გარკვეული ხარისხით დამოუკიდებლობა შეინარჩუნონ“.**

ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავენ: **პირველი** მიშას გამართლებისაა — რას ერჩით, არაფერი გამოსდის იმიტომ, რომ აფხაზებისთვის აბსოლუტურად ნულოვანია საქართველოში დაბრუნების პერსპექტივა. **მეორე** — ნუ გექნებათ, საქართველოს გაერთიანების იმედი, რადგან აფხაზები „ძალიან ბევრს გაიღებენ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად“. ყველა მცდელობა იქნება ამაო.

მაშ, რა? არც არაფერი, და — საეჭვო ვარაუდების კრიალოსანი: „თუ მოვა ისეთი დრო, როცა აფხაზეთი აქტიურად შეუდგება დემოკრატიის რუსული ვერსიის ალტერნატივის ძიებას, საქართველოს ამ მომენტისთვის მზად უნდა ჰქონდეს შეთავაზების არნახული პაკეტი“.

თუ ვინმემ იცის, როგორი უნდა იყოს ეს „არნახული პაკეტი“, მამა გიცხონდებათ, შეგვატყობინეთ!

ეს მაიკლ ჩეჩირე კი თავის გზას გვთავაზობს: **„თუ თბილისმა დაიწყო სვლა ხანგრძლივი, მაგრამ მართლაც ფედერალური საქართველოს შექმნის მნიშვნელოვანი პროცესისკენ“, თუ სოხუმი უპირატესობას მიანიჭებს „საქართველოს ფარგლებს შიგნით ყოფნას“, თუ უარს იტყვის „ვლადიმერ პუტინისა და მისი ახლო გარემოცვის, — ყოფილი სუკის წევრების პირადი მამულის სტატუსით“ არსებობაზე...“**

ყურით მოთრეული „თუები“, რომლებიც დედაბრის მიერ ზამთარში მარწყვის მონატრებას ჰგავს, როცა მომტანი არავინაა.

მოკლედ, ერთადერთი რეალობა ამ სავარაუდო მონასმებით დახატულ ჩვენს სამომავლო სურათში ასეთია: **საქართველო დანაწევრებულია და გაერთიანების პერსპექტივა არ ჩანს! ამიტომ ხელები შორს მიხეილ სააკაშვილისგან!**

**ტერიტორიული პრობლემების მოგვარება საქართველოშიც და, აქედან გამომდინარე, კავკასიაშიც მათ მოუგვარებლობაშია.** რეცეპტი მიხეილ სააკაშვილისთვის: თქვენ ბათუმს მოუარეთ, დაითვალეთ ზუსტად, რამდენი ხიმინჯი უნდა ჩაესოს ყოფილი ჭაობების ტერიტორიაზე ახალი სასტუმროების საძირკვლების გასამაგრებლად, გაჭერით წითელი ლენტი ქობულეთის „რივიერას“ მშენებლობის დაწყების აღსანიშნავად, უსმინეთ ბათუმის „პიაცაზე“ პლასიდო დომინგოს და სხვა პიარვარსკვლავებს, ამასობაში დაინტერესებული სუბიექტები საქართველოს ხარჯზე თავ-თავიანთ მიზნებს მიაღწევენ.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ამასწინდელი გამოკითხვით დადგინდა, რომ ყველაზე პოპულარული რომანი, რომელსაც დღევანდელი მკითხველი ეტანება, ონორე დე ბალზაკის „შაგრენის ტყავია“. „ამ ნაწარმოების მთავარი იდეა ძველისძველი, მაგრამ ყოველთვის ახალი დაპირისპირებაა სურვილსა და შესაძლებლობას შორის“ (იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე).**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჰარი პოტერი და პრეზიდენტის საჩუქარი

**დასაწყისისთვის — ანეკდოტი:**

**რესტორანში შედის 2 კაცი. მაგიდასთან სხდებიან და მიმტანს ეუბნება ერთ-ერთი: საუკეთესო არაყი გვინდა 2 სირჩა („რუმკა“-ს რომ ვეძახით მოფერებით) და ერთიც სათითე, დანარჩენს მერე შეგიკვეთავთო. მოუტანენ ყველაფერს. შემკვეთი დაასხამს არაყს სირჩებში და სათითეში, ჯიბიდან ამოიყვანს და მაგიდაზე დასვამს ძალიან პატარა კაცს, სათითეს მიაწვდის და ეუბნება:**
**— გურამ, ერთი ეს დაგვილიე და თან სტუმარს მოუყევი, ეთიოპიაში ჯადოქარს დედა რომ შეაგინე, როგორ იყო ეგ, რა! ამიტომაც მინდა, თავი დავიზღვიო და პირდაპირ თხოვნით დავიწყო:**




ბატონო პრეზიდენტო! არა მგონია, ეს წერილი თქვენ წაიკითხოთ, მაგრამ, თუ მოხდა სასწაული (რაც უკვე სავარაუდოა, თქვენი ახალი სტატუსიდან გამომდინარე) და ჩემი ნაცოდვილარის კითხვად და განხილვად დაჯექით, ძალიან გთხოვთ, ნურც ნურაფრად გადამაქცევთ, ნურც გამაქრობთ და ნურც ნურაფერს დამიპატარავებთ — ოჯახი მყავს, რაც არ უნდა იყოს, ახალგაზრდა ვარ...

გასულ კვირას, ვაშინგტონის „კარნეგის ფონდის“ კავკასიის საკითხების მკვლევარმა, ტომას დე ვაალმა გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „ჯადოქარი მიშა“ („Misha The Magician“), სადაც მოკლედ, კონკრეტულად და შეძლებისდაგვარად, ობიექტურად აღწერა პრეზიდენტ სააკაშვილის მოღვაწეობა.

**„ყველა სხვა პოლიტიკოსზე მეტად სააკაშვილს ვუწოდებდი ჯადოქარს, ისეთს, რომელსაც შეუძლია ყველასთვის იყოს ყველაფერი. ის ხან ათათურქია (სახელმწიფოს აღმშენებელი), ხან — ჯორჯ ბუში (ნეოკონი), ხან — ზვიად გამსახურდია (ნაციონალისტი) და ხან — ვლადიმერ პუტინი (უმოწყალო ცენტრალიზატორი). ის მე ბილ კლინტონსაც მაგონებს, ბუნებრივ კომუნიკატორს, და ბორის ელცინსაც, რომელიც ისე აწესრიგებდა პოლიტიკურ წრეებს, როგორც ამას სხვა ვერასდროს ახერხებდა.**

**აბა, იფიქრეთ, როგორ ახერხებს მიშა (სააკაშვილს ყველა ასე ეძახის), იყოს სენატორ ჯონ მაკეინისა და ბელარუსი ლიდერის — ალექსანდრე ლუკაშენკოს მეგობარი. ის დღემდე აღაფრთოვანებს რესპუბლიკურ აუდიტორიას ვაშინგტონში და ირანთან უვიზო რეჟიმს აწესებს. ეს ის კაცია, ვინც ამაყობს „მსოფლიო ბანკის“ რეიტინგში („ბიზნესის იოლად წარმართვა“) მისი ვარსკვლავური შედეგის გამო, მაგრამ ამავე დროს ხელმძღვანელობს ეკონომიკას, რომელშიც მონოპოლიებს მტკიცედ აქვთ გადგმული ფესვები“**

**(http://www.polity.ge/oppinion/analise/2457-misha-jadoqari.html).**

ეგრე რა, შე დალოცვილო, შენა!

აქამდე სად იყო ეს თომას დე ვაალი? ან აქამდე რაზე გვამტვრევინა ერთმანეთისთვის თავები და ცხვირპირი? აქამდე რატომ არ აჰხადა ფარდა საქართველოს მისტიკურ-ოკულტისტურ სინამდვილეს? ან ჩვენ თვალები მიხატული გვაქვს? „კარნეგი ფონდის“ მკვლევარი რატომ უნდა მეუბნებოდეს, რომ პრეზიდენტად ჯადოქარი გვყავს?

**რეფორმებიო, კაცო, რეფორმებმა აღაფრთოვანა ჩვენი დასავლელი მეგობრებიო! ჯერ სადა ხართ!**

**მაგათ რეფორმების მეტი რა იციან, ეტყობა, არაფერი, თორემ აღფრთოვანება მერე გენახათ!**

აბა, ჯადოქრის მეტი ვინ მოახერხებდა, რომ ჯერ 98%-იანი მხარდაჭერით მოეგო არჩევნები, შემდეგ ასეთივე წარმატებით გაეფუჭებინა საქმე და იგივე 98%-ს მისი გადადგომა მოეთხოვა, შემდეგ კი ისევ გამოესწორებინა და ისევ მოეგო არჩევნები, მართალია, ნაკლები პროცენტით, მაგრამ მაინც?

არჩევნების გაყალბებაზეც ტყუილად ლაპარაკობენ ჩვენი ძვირფასი ოპოზიციონერები — არჩევნების გაყალბება სჭირდებოდა შევარდნაძეს! მიშას რად უნდა გაყალბება და კარუსელები? **ერთს შეულოცავს და ეგაა — არჩევნებიც მოგებულია, კორუფციაც დამარცხებული და ეკონომიკაც მდგრადი და განვითარებული, თუ როგორც არის, რა მნიშვნელობა აქვს...**

ისიც ტყუილია, რომ ამბობენ: აბა, ეკონომიკის აყვავება სადაა, ჩვენ ისევ გვიჭირსო. არა, ჩემო ძვირფასებო, ჩვენ, უბრალოდ, გვეჩვენება, რომ გვიჭირს! ეს მოჩვენებები და ჰალუცინაციებიც ჩვენს სასიკეთოდაა — **თავში რომ არ აგვივარდეს და სიხარულით გულები არ დაგვისკდეს, მზრუნველმა ჯადოქარმა ჩვენს წარმოსახვაზე იმოქმედა და ისეთი ილუზია შეგვიქმნა, თითქოს არაფერი შეცვლილა, ისევ ისე ვართ, როგორც ვიყავით.**

ისე, ერთი კია — **იმ ევროპელ პრეზიდენტებს სულ ტყუილად ვუხდიდით თურმე მადლობას 2008-ში. ჩვენი მიშას შელოცვას შეუჩერებია თბილისზე მომავალი, გასაწყვეტი და ამოსაგდები რუსის ჯარი.**

ან ის რუსული ხანძარი თქვენ გლობალური დათბობის შედეგი გგონიათ? ჯადოსნური ჯოხი დაიქნია და ცეცხლი და წუმწუმა დააწვიმა ჩვენმა პრეზიდენტმა რუსებს — არმია არ გვყავს, მაგრამ ჯადოქარი გვყავს სამაგიეროდ ისეთი, არმიასაც რომ უდრის და კოსმონავტიკასაც.

ან ის რა საქციელი იყო (ჩვენი მხრიდან), რომ ავუტყდით: **არიქა, რამდენს დაფრინავო. კაცი ჯადოქარია და თვითმფრინავის ნაცვლად ცოცხზე გადამჯდარი რომ არ დაფრინავს, მადლობელი არ უნდა ვიყოთ? უმადურები ვართ, რა!**

ცოცხზე გამახსენდა: ჩემთვის რომ ეკითხათ, მიშას როლი კინოში ენდი გარსიას კი არა, დენიელ რედკლიფს უნდა შეესრულებინა. მერე რა, რომ არ ჰგავს? სამაგიეროდ, ჰარი პოტერი ითამაშა მანამდე და არ გაუჭირდებოდა ამ როლის მორგება.

დღეს, ახლა, ამ წუთში, როცა ამას ვწერ, რუსთაველზე ისევ მიტინგია. ისევ იკრიბებიან იგივე სახეები, იგივე მოწოდებები ისმის, საკონსტიტუციო ცვლილებებს აპროტესტებენ.

ჯერ პრეზიდენტის გადადგომას ითხოვდნენ, მერე გაბრაზებული ჯადოქრის რისხვა იგემეს და მერე ცესკოს თავმჯდომარეს მიადგნენ, მერე — საზმაუს დირექტორს; ახლა პიროვნებებს თავი დაანებეს და კონსტიტუციას აპროტესტებენ. მართლაც უდიდესი ძალა ჰქონია პრეზიდენტის ჯადოს — მგონი, ნელ-ნელა აზრზე მოვდივართ.

ძველმოდურობას დამაბრალებენ, მაგრამ მაინც უნდა მოვყვე: ამბობენ, ერთხელ ერთი ასაკოვანი რუსი იურისტი სტალინთან მისულა და შეხვედრა უთხოვია — კონსტიტუციაში საშინელი შეცდომები აქვსო.

სტალინს უარი უთქვამს შეხვედრაზე: თუ მაგას ჰგონია, რომ კონსტიტუციით ვაპირებ ქვეყნის მართვას, სულელი ყოფილა და სულელთან ლაპარაკს რა აზრი აქვსო, და თუ იცის, რომ კონსტიტუციით არ ვაპირებ ქვეყნის მართვას, მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, რა წერია კონსტიტუციაშიო?

სტალინიც კაი ჯადოქარი იყო, ისე...

ალბათ, 21 დეკემბერს რაღაც ენერგიების გამოთავისუფლება ხდება, რა ვიცი...

ბოლოს კი, როგორც დავიწყე, მინდა, პირადი თხოვნით დავასრულო: **ბატონო პრეზიდენტო, თუ ეს წერილი წაიკითხეთ, ესე იგი, იცით, რომ მჯერა თქვენი როგორც ფიზიკური, ისე ასტრალური ძალების, ამიტომ გთხოვთ: მე ვარ 28 წლის, ვცხოვრობ XXI საუკუნეში, საბურთალოზე, ნაქირავებ ბინაში და წყალი მაქვს გრაფიკით. რამე შელოცვა ხომ არ იცით ამასთან დაკავშირებით?**

ნახვამდის!

**ლექსო ლეკიაშვილი**
**kalmasoba.com**

## გაკრიზებულნი



**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**

ევროპარლამენტმა ამ მკვლელის იქ მიწვევით და ტაშისკვრით საქართველო შეურაცხყო. ასეთი მოქმედებით მიეცემა ხოლმე სააკაშვილს გული და მერე გვაფეთქებს და გვხოცავს. იმაზე, რაც აქ ხდება, ევროპარლამენტიც აგებს პასუხს ამერიკელებთან ერთად.

*„ყველა სიახლე“*



**ნინო ბურჯანაძე, პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:**

ეს არის ხელისუფლება, სადაც არიან ისინი, ვინც გუშინ არაფერს წარმოადგენდნენ, არც განათლება, არც ფინანსები, არც ღირსება ჰქონდათ, დღეს კი იქცნენ ფიგურებად. ესენი მართლა ცალ-ცალი კალოშით მოვიდნენ ხელისუფლებაში და ის განუსაზღვრელი ძალაუფლება და ფული, რაც ახლა აქვთ, აგიჟებთ. ამიტომ არიან ასეთი უკონტროლოები.

*„ყველა სიახლე“*



**დავით დარჩიაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

„ქართული პარტიის“ უკანონო ფინანსებთან დაკავშირებით არანაირი სამხილი არ გამაჩნია, თუმცა საფუძვლიანად და დადასტურებულად შემიძლია გითხრათ, რომ კიწმარიშვილი კანონიერებისა და უკანონობის ზღვარზე გადის.

*„პირველი“*



**ალექსანდრე ხეთაგური, ენერგეტიკის მინისტრი:**

ქართული ენერგეტიკისადმი ინვესტორების ინტერესი არ შენელებულა, პირიქით შეიძლება ითქვას — გაიზარდა. უკვე რეალურად არის საშუალება, თურქეთის მზარდ ეკონომიკას და ელექტროენერგიის მზარდ მოთხოვნას ჩვენი მხრიდან მიწოდება დაეწიოს.

*„ინტერპრესნიუსი“*



**ლევან კალანდაძე, ექსპერტი:**

თავისუფალი ტურისტული ზონების შექმნა შეიძლება საქართველოსთვის საინტერესო მოდელად ჩაითვალოს, რომელსაც პერსპექტივა გააჩნია, მაგრამ ყველაზე მთავარ კომპონენტს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარება წარმოადგენს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტურიზმის დიდი პოტენციალი აქვს, ვფიქრობ, მხოლოდ ტურიზმის განვითარებით, ისევე როგორც წარსულში ბორჯომით და ჩაით, საქართველო თავს ვერ შეინახავს.

*„პირველი“*



**ბიძინა გიორგობიანი, პოლიტემიგრანტი:**

მე რომ საქართველოში ჩამოვედი, გაჩაღებული ომი იყო ჟვანიას გუნდსა და „ნაციონალებს“ შორის, მაგრამ მერე ზოგიერთები ნაცისტებთან მივიდნენ და „შეძვრნენ“ რაღაცნაირად, თავი რომ გადაერჩინათ....მაგალითად, კახა ბაინდურაშვილი — ფინანსთა მინისტრი, ჟვანიას ოთახში საფერფლის შემსწორებელი ბიჭი იყო.

*რადიო „პალიტრა“*



**დავით უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე:**

სააკაშვილის ბეცი პოლიტიკური ნაბიჯების გამო დასავლეთმა ერთადერთი, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ აღიარა, სხვა საკითხებში კი რუსეთთან აქტიურად თანამშრომლობს. დღეს სააკაშვილი იძულებულია განაცხადოს ის, რაც ევროპარლამენტის ტრიბუნიდან თქვა. რაც შეეხება ქვეყნის ინტერესებს, ეს გარდაუვალი, მაგრამ დაგვიანებული ნაბიჯია. მისი შედეგი უფრო დიდი საფრთხის თავიდან აცილება იქნება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემას კი ვერ გადაჭრის.

*„ყველა სიახლე“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## რუსეთი ავიაციას აძლიერებს



**რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები, სარდლის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ იგორ სადოფიევის თქმით, 2020 წლამდე 1500-ზე მეტ ახალ თვითმფრინავსა და ვერტმფრენს შეიძენს და 400-მდე საფრენი აპარატის მოდერნიზაციას მოახდენს.** მისი თქმით, ექვსჯერ გაიზრდება უპილოტო საფრენი აპარატების რაოდენობა და მისი ხვედრითი წილი ავიაციის მთელ შემადგენლობაში 30% გახდება. ამასთანავე, 18-ჯერ გაიზრდება მაღალი სიზუსტის იარაღის რაოდენობა, ხოლო საავიაციო ბაზებს ახალი, ერთიანი სადაზვერვო-საინფორმაციო სისტემის ფარგლებში მოაქცევენ.

## ძველი ტანკების ახალი სიცოცხლე



**უკრაინის არმია 2016 წლამდე 24 ტანკს — „T-64БМ Булат“-ს მიიღებს. ამჯერად, ჩერნიგოვის ცალკეულ სატანკო ბრიგადაში 61 ასეთი ტანკია, მათი რიცხვი 81-მდე გაიზრდება.** ყველა ეს ტანკი უკრაინის არმიის შეიარაღებაზე არსებული „T-64“-ებიდან შეიქმნება. „Булат“-ი „T-64“-ის ღრმა მოდერნიზაციას წარმოადგენს, მას შეუძლია 70 კმ/სთ სიჩქარე განავითაროს. ტანკი აღჭურვილია 125 მმ ქვემეხით, რომლის ლულიდან შესაძლებელია მართვადი რაკეტების გაშვება, მას ცეცხლის მართვის თანამედროვე კომპლექსი და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებისგან გაძლიერებული დაცვა გააჩნია.

## ბრიტანულ ავიამზიდს ინტერნეტით ყიდიან



**ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე გაჩნდა განცხადება ავიამზიდ „Invincible“-ის („დაუმარცხებელი“) გაყიდვის შესახებ.** „ხომალდი ფლოტის შემადგენლობაში 1980 წელს შევიდა, 1982 წელს მონაწილეობდა ბრიტანეთის არმიის ოპერაციაში ფოლკლენდის კუნძულებზე, 2005 წელს ის ფლოტის შემადგენლობიდან გაიყვანეს“, — ნათქვამია განცხადებაში. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა „ABC“-ის განუცხადა, რომ მისი უწყება ყველა წინადადებას განიხილავს, თუმცა ხომალდს, სავარაუდოდ, ჯართად გაყიდიან.

## მოლდოვურ თვითმფრინავებს არავინ ყიდულობს



**მოლდოვამ ჯერჯერობით ვერ იპოვა იმ 6 „МиГ-29“-ის მყიდველები, მას სსრკ-ის დაშლის შემდეგ რომ დარჩა. მათ რემონტს 27 მილიონი დოლარი სჭირდება, მოლდოვის სამხედრო ბიუჯეტი კი სულ 30 მილიონია.** ახალ წლამდე თავდაცვის უწყება მოაწყობს აუქციონს, რათა თვითმფრინავები თუნდაც ჯართად გაყიდოს. ეს ბოლო თვითმფრინავებია სსრკ-ის შავი ზღვის ფლოტის 86-ე გამანადგურებელთა პოლკის 33 „МиГ-29“-დან, ერთი მათგანი დნესტრისპირეთის კონფლიქტის დროს ჩამოაგდეს, ერთიც რუმინეთს გადაეცა, 4 „МиГ“-ი 1995-ში მოლდოველებმა იემენში გაყიდეს, 21 თვითმფრინავი კი ამერიკელებმა შეიძინეს.

# რა ელოდებათ ამერიკელ სამხედროებს კორეაში?

**წინა ნომერში ჩვენ განვიხილეთ კორეაში ომის დაწყების შესაძლებლობა და ბრძოლის ველზე მოვლენების განვითარების ვარიანტები; იმ პუბლიკაციაში ძირითადი ყურადღება ჩრდილოელების შეტევით პოტენციალსა და ორი მხარის ავიაციის შედარებას დაეთმო. დღეს ჩვენ შევეცდებით, დავადგინოთ, რა სირთულეებს შეიძლება წააწყდეს აშშ ამ ომის დაწყების შემთხვევაში.**



დღეს სამხრეთ კორეაში დისლოცირებულ ამერიკულ დაჯგუფებას (1 დივიზია, 1 საარმიო ავიაციის ბრიგადა და საჰაერო ძალების 4 ესკადრილია) შემდეგი შეიარაღება გააჩნია: **100-მდე ტანკი, მსუბუქი ჯავშანტექნიკის 250-მდე ერთეული, 50-მდე საარტილერიო სისტემა, 100-მდე საბრძოლო თვითმფრინავი** (ბოლო ორი კვირის განმავლობაში ძველ „A-10A“-ებს, სასწრაფო წესით, მოდერნიზებული მოიერიშეებით, „A-10C Thunderbolt II“-ებით ცვლიდნენ). **ამასთანავე, იაპონიაში განლაგებულია საზღვაო ქვეითთა მე-3 დივიზია და 100-მდე გამანადგურებელი, ხოლო ჰავაის კუნძულებზე — 25-ე მსუბუქ ქვეითთა დივიზია** (მისი გადასროლას კორეაში, სავარაუდოდ, რამდენიმე კვირა დასჭირდება) **და ეროვნული გვარდიის ერთი ესკადრილია (18 „F-15“).** ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ **კონფლიქტის საწყის სტადიაში კორეის ნაპირების სიახლოვეს იქნება მინიმუმ 1 ავიამზიდი (50-მდე თვითმფრინავი).** ეს ძალები სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება იმისთვის, რომ სამხრეთკორეულ ავიაციასთან ერთად ჰაერში ეფექტურად იმოქმედონ, თუმცა **სახმელეთო კომპონენტი აშკარად არასაკმარისია ჩრდილოეთ კორეის არმიასთან სრულმასშტაბიანი ომის საწარმოებლად, განსაკუთრებით თუ სამხრეთელები ომის საწყის ეტაპზე შედრკებიან, ისე, როგორც ეს 1950-ში მოხდა.**

განვიხილოთ ყველაზე ცუდი სცენარი ჩრდილოელებისთვის. დავუშვათ, რომ მათი წინსვლის მცდელობა ჩაიშალა და მოკავშირეები შეტევითი ოპერაციების ჩატარებას აპირებენ. ექსპერტების შეფასებები განსხვავდება, თუმცა ყველა თანხმდება, რომ წარმატების მიღწევისთვის ამერიკელებს კორეაში ასეულათასობით სამხედროს გადასროლა დასჭირდება; **დღეს აშშ-ის საუკეთესო შენაერთები ავღანეთსა და ერაყში იმყოფებიან, პრობლემები ცოცხალ ძალასთან დაკავშირებით უკვე დღეს არსებობს და კორეისთვის დამატებით 300-400 ათასი მომზადებული ჯარისკაცის მოძებნა ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნება. შესაბამისად, ვაშინგტონი შეიძლება იძულებული გახდეს კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანოს და რაღაც ფორმით მაინც კვლავ სავალდებულო სამხედრო სამსახური აღადგინოს, რაც შტატებში უკიდურესად ნეგატიურ რეაქციას გამოიწვევს.**



თეორიულად დავუშვათ, რომ ეს პრობლემაც მოიხსნა და ვნახოთ, რა თავისებურებები ახასიათებს სავარაუდო საბრძოლო მოქმედებების თეატრს.

ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიის 75% ბუნებრივ თავდაცვით ზღუდეებს, მთებს უკავია. ამასთანავე, ქვეყნის ხელისუფლება, ყოველთვის აცნობიერებდა, რომ მოწინააღმდეგეს, ნებისმიერ შემთხვევაში, ჰაერში უპირატესობა ექნება და 50-იან წლებში, ომის დასრულებისთანავე შეუდგა საფორტიფიკაციო ნაგებობების, ბუნკერებისა და სპეციალური გვირაბების მშენებლობის პროგრამას, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ათეულობით მეტრის სიღრმეზე (ხანდახან 100 მეტრამდე) გაჭრილია უამრავი გვირაბი, საკმარისად ფართო საიმისოდ, რომ მათი მეშვეობით მსხვილი ქვედანაყოფები და ჯავშანტექნიკა (!) გადაადგილდებოდეს. **50-წლიანი მუშაობისა და იაფი მუშახელის დიდი მასების გამოყენების შედეგად ჩრდილოეთ კორეაში ასეთი მიწისქვეშა ობიექტების უზარმაზარი ქსელი შეიქმნა: 8236 მიწისქვეშა ობიექტი და გვირაბების 547 კილომეტრი** (ეს, რაც ცნობილია).

აღსანიშნავია რელიეფის გონივრული გამოყენებაც — გასასვლელები ამ გვირაბებიდან ავიაციისთვის „მკვდარ ზონებში“ მდებარეობს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, **მიწისქვეშა საცავებში 1,2 მილიონი ტონა სურსათი, 1,46 ტონა საწვავი და 1,67 მილიონი ტონა ტყვია-წამალი ინახება. 180** (საორიენტაციოდ) **ქარხნის საწარმო სიმძლავრეების ნაწილი ასევე მიწისქვეშ არის განლაგებული, მათ შორისაა 17 საარტილერიო, 5 სატანკო, 5 სარაკეტო ქარხანა და სხვ.** ექსპერტების შეფასებით, ამ ქარხნებს წელიწადში შეუძლიათ აწარმოონ **200 ათასი „AK“, 3000 ქვემეხი, 150 ტანკი, 400 ჯავშანტრანსპორტიორი** (შეფასებები რაკეტებ- ▶

# წელს რეკორდულად ბევრი იარაღი გაიყიდა

**მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მთავრობებს სამხედრო ბიუჯეტების შემცირებისკენ უბიძგებს, 2010 წლის სტატისტიკა ნათლად აჩვენებს, რომ მსოფლიოში გამალებული შეიარაღების პროცესი გრძელდება, მეტიც, ხარჯები ამ მხრივ რეკორდულ მაჩვენებლებს აღწევს.**



**2010 წელი, შეიარაღების ექსპორტის მოცულობის თვალსაზრისით, ნამდვილად გამორჩეული გამოდგა. სულ 74,7 მილიარდი დოლარის შეიარაღება გაიყიდა; ეს 2007-2009 წლების მაჩვენებლებზე 25 მილიარდით მეტია.**

**ყველაზე დიდი მოთხოვნა თვითმფრინავებზე დაფიქსირდა** (26,9 მილიარდი; 36%), **მეორე ადგილზეა** ჯავშანტექნიკა (11,2 მილიარდი; 15%), **მესამეზე** — ვერტმფრენები (8,95 მილიარდი; 12%), **მეოთხეზე** — სამხედრო ხომალდები (7,2 მილიარდი; 9,7%), **მეხუთეზე** — საჰაერო თავდაცვის სისტემები (4,5 მილიარდი; 6,1%). შემდეგ მოდის სარაკეტო-საარტილერიო შეიარაღება (4 მილიარდი; 5,3%) და უპილოტო საფრენი აპარატები (1,3 მილიარდი; 1,8%); შეიარაღების სხვა კატეგორიებზე ჯამში 10,6 მილიარდი (14,2%) მოდის.

**თუ ამ მონაცემებს შეიარაღების ტიპების მიხედვით დავახარისხებთ, ვნახავთ, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა** (13,1 მილიარდი დოლარი) **მრავალფუნქციურ გამანადგურებლებზეა, აგრეთვე, მრავალმიზნობრივ ვერტმფრენებზე** (6,5 მილიარდი), **ძირითად საბრძოლო ტანკებზე** (5,8 მილიარდი) **და საზენიტო-სარაკეტო სისტემებზე** (4,4 მილიარდი). უნდა აღინიშნოს, რომ **შეკვეთების 90% აზიის ქვეყნებზე მოდის.**

წლევანდელი მონაცემები შეჯამებული ჯერჯერობით არ არის, თუმცა 2009-ში სამხედრო ხარჯები მსოფლიოში ყველაზე მეტად (8,9%-ით) სწორედ აზიაში გაიზარდა. მთლიანად მსოფლიოში კი ბოლო ათწლეულში შესაბამისი მაჩვენებელი 49%-ით გაიზარდა. წლიდან წლამდე იზრდება შეიარაღების ექსპორტიც. ამას ორი მთავარი მიზეზი განაპირობებს: **ერთის მხრივ, ამ შესყიდვებით არასტაბილურ რეგიონებში მდებარე ქვეყნები საკუთარი** ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ თან დაკავშირებით ერთმანეთისგან ძლიერ განსხვავდება). ყურადღება მივაქციოთ ერთ ფაქტს: **ბოლო დროს აშშ-სა და ბრიტანეთში სწრაფად, ერთი მეორეს მიყოლებით, იქმნება დიდი სიმძლავრის საავიაციო ბომბები, რომლებიც ბუნკერების განადგურებაზეა ორიენტირებული. ნუთუ საქმე მხოლოდ ისაა, რომ თალიბები დროდადრო მიწისქვეშა გამოქვაბულებში იმალებიან? თუ ამ ბომბების შემქმნელები შესაძლო აზიურ პერსპექტივასაც ითვალისწინებენ?**

კიდევ ერთი ფაქტი გვირაბებთან დაკავშირებით: სამხრეთ კორეის არმია თავის ტერიტორიაზე პერმანენტულად პოულობს და ანადგურებს გასასვლელებს გვირაბებიდან, რომელსაც ჩრდილოელები საზღვრის ქვეშ თხრიან. სავარაუდოდ, ამ გვირაბებით გადამწყვეტ მომენტში ჩრდილოელების სპეცრაზმებმა უნდა ისარგებლონ, რათა საზღვარზე მყოფი სამხრეთელების ზურგში აღმოჩნდნენ.

კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც ფხენიანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, სანაპირო ზოლის დაცვაა. **მოკავშირეთა უპირატესობა ზღვაზე თითქმის აბსოლუტურია, თუმცა ამ შემთხვევაშიც ბუნება ჩრდილოელთა მხარეზეა: სანაპირო ზოლი მეტწილად მთაგორიანია, რაც საზღვაო დესანტის მიერ ტექნიკის გამოყენებას სათუოს ხდის. ამასთანავე, სიღრმეები მცირეა, ხოლო ფარვატერები — მეტწილად რთული, რაც ნაღმების გამოყენებისთვის თითქმის იდეალურ პირობებს ქმნის.**

ეს ერთგვარი ჩაკეტილი წრეა: ხომალდები გადმოსხმის ზონასთან მიახლოებას ვერ შეძლებენ, ვიდრე არ მოხდება ნაპირზე განლაგებული სარაკეტო და საარტილერიო ბატარეების ჩახშობა, ხოლო მათი საარტილერიო მხარდაჭერა სხვა ხომალდების მიერ გართულებული იქნება ნაღმების გამო, ავიაციის მოქმედებას კი პრობლემებს შეუქმნიან საჰაერო თავდაცვის კომპლექსები სანაპირო ბატარეების გარშემო და ისევ და ისევ რელიეფი, რადგან ბატარეების დიდი ნაწილი სხვადასხვა ბუნებრივ თუ ხელოვნურ გამოქვაბულებსა და ხევებშია განლაგებული; რასაკვირველია, გადაუჭრელი პრობლემები არ არსებობს, თუმცა, საზღვაო დესანტების გადმოსხმის შემთხვევაში, ამერიკულ სარდლობას საკმაოდ რთული ამოცანების გადაწყვეტა მოუწევს.

**ჩრდილოეთ კორეის მილიონიან არმიას და 4 მილიონ რეზერვისტს წარმატებული ბრძოლის ბევრად მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე „თალიბანის" 5-40 ათას მებრძოლს, რომლებთანაც ომს აშშ-ის სამხედრო მანქანა, აგერ უკვე 9 წელია, აწარმოებს.** უნდა აღინიშნოს, რომ **ჩრდილოეთ კორეის ჯარისკაცები გამოირჩევიან მაღალი დისციპლინით, ზოგადად კი სამხედროებს აღმოსავლეთ აზიიდან კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი თვისება აქვთ: დანაკარგები, მათ შორის მძიმე, პრაქტიკულად არ აისახება პირადი შემადგენლობის საბრძოლო განწყობასა და ბრძოლისუნარიანობაზე; ეს ამერიკელებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს როგორც იაპონიასთან, ისე ჩრდილოეთ ვიეტნამთან ომის დროს.**



ჩრდილოკორეელ სამხედროებს ფანატიზმიც ახასიათებთ. ორი მაგალითი: როდესაც 1996 წელს მათი წყალქვეშა ნავი სამხრეთ კორეის ტერიტორიულ წყლებში მწყობრიდან გამოვიდა, ეკიპაჟის 11 წევრმა თავი მოიკლა, დანარჩენებმა კი ბორტზე ასულ სამხრეთელების სპეცრაზმს ნამდვილი სასაკლაო მოუწყეს. ანალოგიურ ვითარებაში 1998 წელს ეკიპაჟის ყველა წევრმა თავი მოიკლა.

**იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოკავშირეები მოახერხებენ ჩრდილოეთ კორეის არმიის დამარცხებას და ფხენიანისკენ წაწევას, მათ პარტიზანებთან გამუდმებულ ბრძოლაში ჩაბმა მოუწევთ. ჩასაფრებები, ნაღმები, სნაიპერები...** (ჩრდილოეთ კორეა ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც სნაიპერების ათი ბრიგადაა ჩამოყალიბებული, ასეთი ტიპის შენაერთები მსოფლიოში სხვას არავის ჰყავს). **დღეს ამერიკული საზოგადოება მძიმედ განიცდის, როდესაც ავღანეთში თვეში 50 ამერიკელი სამხედრო იღუპება, რამდენად მზად არის ის იმისთვის, რომ ასეთი მსხვერპლი ყოველდღიურად გაიღოს?** არადა, დანაკარგები, ალბათ, უფრო დიდი იქნება. ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, **ომის პირველ სამ თვეში 52 ათასიდან 80 ათასამდე ამერიკელი დაიღუპება.**



სავარაუდოდ, ამერიკული სარდლობა მაქსიმალურად მოერიდება თავისი ქვეითების მასშტაბურ ჩართვას სახმელეთო ოპერაციებში და ამ მხრივ მთავარ როლს სამხრეთკორეელებს დააკისრებს (რამდენად „გაქაჩავენ" მოკავშირეები, სხვა საკითხია), თავად კი, ძირითადად, საავიაციო და სარაკეტო იერიშებით შემოიფარგლება და შეეცდება, მათივე ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ, ჩრდილოეთ კორეა „ქვის ხანაში ჩაბომბონ". აქ გარკვეული პრობლემა შეიძლება აეროდრომების გამო შეიქმნას, თუ იაპონია შესაძლებლობას არ მისცემს პენტაგონს თავისი აეროდრომები გამოიყენოს, ხოლო ჩრდილოკორეელები სამხრეთის აეროდრომებზე წარმატებული სარაკეტო იერიშების მიტანას თუ შეძლებენ.

**თუ ხმელეთზე კრიტიკული სიტუაცია შეიქმნება, ალბათ, არც ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენება უნდა გამოვრიცხოთ.**

დღეს ეს წარმოუდგენელი ჩანს, თუმცა... **რაც მთავარია, არავინ იცის, როგორ ჩაერევა ამ კონფლიქტში ჩინეთი;** 50-იანებში, მაშინ, როდესაც ამერიკელები გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იდგნენ, ომში ჩინელი ,,მოხალისეების" უზარმაზარი მასები ჩაერთნენ და ყველა ჭკუადმყოფელი ადამიანი ვაშინგტონში მიხვდა, რომ ამ ომის მოგება შეუძლებელი იყო. **პეკინის რეაქცია შეიძლება ძალზე მკვეთრი იყოს.**

ალბათ, შტატებში არავის სურს, საკუთარი გამოცდილებით დაადასტუროს ბრიტანელი ფელდმარშლის, ბერნარდ ლოუ მონტგომერის „მეორე წესის" ჭეშმარიტება: **„არასოდეს გაგზავნოთ ქვეითები ჩინეთში საბრძოლველად", რომელიც „პირველ წესთან" ერთად, „არასოდეს გაილაშქროთ მოსკოვზე", მოკლე და ერთობ ირონიული ფორმულირების მიუხედავად, ანგლო-ამერიკული სამხედრო აზრის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს.**

◀ **უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებას ცდილობენ; მეორეს მხრივ, მწარმოებელი ქვეყნები** (აშშ, რუსეთი, ევროკავშირის ლიდერები) **შეიარაღების გაყიდვის გაზრდაში საკუთარი ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთ საშუალებას ხედავენ და ყველანაირად ცდილობენ, აზიელმა პარტნიორებმა სულ უფრო თანამედროვე და, შესაბამისად, ძვირი იარაღი შეიძინონ.**

**აზია წყნარი-ოკეანის რეგიონში გამალებული შეიარაღების პროცესი მიმდინარეობს. ერთგვარი შეჯიბრში, სადაც ლიდერები ჩინეთი და ინდოეთი არიან, სხვა ქვეყნებიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ საკუთარი თავდაცვითი პოტენციალის გაზრდას.** აქ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება ანტონ ჩეხოვის ცნობილი ციტატა გავიხსენოთ: „თუ პირველ აქტში კედელზე თოფი კიდია, ბოლო აქტში ის აუცილებლად გაისვრის" და ისიც აღვნიშნოთ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ,,კედლებზე" უკვე იმდენი თოფი კიდია, რომ ზოგიერთ ადგილას საკუთრივ კედელი აღარ ჩანს. თუმცა ,,ბოლო აქტზე" საუბარი შეიძლება ჯერჯერობით ნაადრევი იყოს.

რით არის გამოწვეული ასეთი დიდი, 25-მილიარდიანი ნახტომი 2010 წლის მაჩვენებლებში? შეიარაღების მსოფლიო ბაზრის ანალიზი, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება უფრო რთული იყოს, ვიდრე საფონდო ბაზრის ანალიზი, რადგან მასზე ზეგავლენას უამრავი ფაქტორი ახდენს. თუმცა, თუ ბოლო წლების მონაცემებს გადავხედავთ, ვნახავთ, **რომ 2003-07 წლების დინამიური და მდგრადი ზრდის შემდეგ ბაზარი ორი წლით თითქოსდა „გაიყინა", 2007 წელს 48,5 მილიარდი დოლარის შეიარაღება გაიყიდა, 2008-ში — 49,1, ხოლო 2009-ში — 50,2 მილიარდის.** საქმე ისაა, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირველი ტალღის გამო, მყიდველები იძულებული გახდნენ, სიფრთხილე გამოეჩინათ და შეიარაღების პროგრამების განხორციელება 1-2 წლით ,,დაემუხრუჭებინათ".



ამავე წლებში ფართოდ გავრცელდა შეიარაღების პარტიებზე უარის თქმა იმის გამო, რომ ის თითქოსდა უხარისხოა. **ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სასამართლო პროცესები კონტრაქტების გადახედვის ან ტენდერების არასწორი ჩატარების გამო.** როდესაც 2010-ში ეკონომიკურმა კონიუქტურამ მყიდველებს შესაძლებლობა მისცა, ცოტათი „ამოესუნთქათ", შესყიდვები გაგრძელდა. ამ მხრივ, 2010 წლის მაჩვენებლების ფარდობითი სიდიდე იმითაცაა განპირობებული, რომ შეძენილ იქნა ის იარაღი, რომლის ყიდვა 2008-09 წლებში გარკვეული დროით გადაიდო.

შედეგად ბაზარზე საკმაოდ საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. ექსპერტების აზრი ორად გაიყო. ნაწილი ვარაუდობს, რომ სიტუაცია ძველ კალაპოტს დაუბრუნდება, **2011 წელს შეიარაღების ექსპორტის მოცულობა 2003-07 წლების ზრდის დინამიკის შესაბამისი იქნება და 62-63 მილიარდ დოლარს მიაღწევს,** (დღეისთვის ხელმოწერილი კონტრაქტების მიხედვით, ეს მართლაც ასეა); **შემდეგ წლებში კი, მინიმუმ 2015 წლამდე, ისევ თანდათანობითი, ევოლუციური ზრდა გაგრძელდება.** თუმცა ექსპერტების მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ წლევანდელი „ბიძგი" უკვალოდ არ ჩაივლის და ის იმპორტიორ ქვეყნებს, უპირველესად, აღმოსავლეთ აზიაში შეიარაღების პროგრამების გადახედვისკენ და გაფართოებისკენ უბიძგებს. შესაბამისად, **2013-14 წლებისთვის შეიძლება კიდევ ერთი „დიდი ნახტომი" გაკეთდეს და ზრდის დინამიკამ განსხვავებული, მეტად არასტაბილური ხასიათი შეიძინოს.**

საინტერესოა, რომ ასეთი „ნახტომები" იარაღის წარმოებასა და იმპორტ-ექსპორტში ორივე მსოფლიო ომის წინარე პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი.

მოამზადა
**გიორგი გიგიბერიამ**

## გამონათქვამები



**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**

ამერიკელ დიპლომატებს მოსაზრებების გამოთქმის უფლება აქვთ, მაგრამ სხვა საკითხია, როდესაც მოსაზრებები საჯარო ხდება. ეს ყველაფერი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე აისახება.

*interfax.ru*



**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**

რუსეთი იძულებული იქნება, გაზარდოს საკუთარი ბირთვული პოტენციალი, თუ აშშ ამ წლის ბოლომდე არ მოახდენს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ხელშეკრულების რატიფიცირებას. ეს ჩვენი არჩევანი არ არის, არ გვინდა, რომ ამგვარად მოხდეს. ჩვენ ვამბობთ, რომ, თუ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ, ბირთვულ პოტენციალს გავზრდით.

*CNN*



**სერგეი ლავროვი,**
**რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი:**

ძველ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბარი შეუძლებელია.

*mid.ru*



**სერჟ სარქსიანი,**
**სომხეთის პრეზიდენტი:**

აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტა არ სურს, მის ერთადერთ მიზანს სომხეთის მაქსიმალურად დაზარალება წარმოადგენს. თუკი აზერბაიჯანი სამხედრო აგრესიას მიმართავს, სომხეთს სხვა არჩევანი აღარ ექნება და მთიან ყარაბაღს დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებს.

*salamnews.org*



**დონალდ ტუსკი,**
**პოლონეთის პრემიერ-მინისტრი:**

დიდი პაუზის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტის ასეთი დონის ვიზიტი პირველია, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლონეთსა და რუსეთს შორის ყინული ლღვება, თუმცა ურთიერთობებში სირთულეებიც შეინიშნება.

*„პირველი"*



**ჯულიან ასანჟი,**
**ვებ-საიტ WikiLeaks-ის დამფუძნებელი:**

ამ არქივების გადახედვის შემდეგ პირველი, რაც გავიფიქრე ის იყო, რომ ამ მასალებში გასარკვევად რამდენიმე წელია საჭირო. ყოველდღიურად თითო ტომიც რომ წაიკითხოთ, 7 წელი მაინც დაგჭირდებათ. თუმცა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰილარი კლინტონი გაეროში აშშ-ის დიპლომატების წინაშე ჯაშუშურ ამოცანებს სახავდა, რაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ან ეროვნული უშიშროების სააგენტოს საქმეა. ამ ადამიანებს დიპლომატიური ხელშეუხებლობა აქვთ, თუმცა, ფაქტობრივად, დიპლომატები არ არიან. კლინტონმა დიპლომატებისთვის დადგენილი წესების დარღვევა გადაწყვიტა და მათგან (მათ შორის ახალგაზრდა თანამშრომლებისგან) ჯაშუშები შექმნა.

*rusrep.ru*



**მაჰმუდ აბასი,**
**პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:**

არ შემიძლია, არარსებული ავტონომიის პრეზიდენტად დავრჩე.

*Reuters*



**ჰილარი კლინტონი,**
**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:**

სახელმწიფო მდივნის პოსტი ჩემს კარიერაში ბოლო საფეხური იქნება და მომავალში არ ვაპირებ სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობას.

*„The Daily Telegraph"*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# აფეთქების გენია



**„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი“ — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მაყურებელს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.**



ფილმის ავტორი მარინა ჩუბკინა

მას რუსული სპეცრაზმის მამას უწოდებენ. იგი დივერსიული მოქმედებების უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი იყო. ფრანკომ და ჰიტლერმა პირადად გასცეს მისი განადგურების ბრძანებები, მაგრამ ისინი არ შესრულებულა. მან 100 წლამდე იცოცხლა. მისი სახელი რამდენიმე ნაღმსა და ლომის თანავარსკვლავედის ერთ-ერთ ვარსკვლავს უწოდეს. მის გამოცდილებას იყენებენ სპეცდანიშნულების ჯგუფი „ალფა“, პალესტინელი ბოევიკები და ისრაელის კომანდოსები.
მაშ, ვინ არის იგი — ადამიანი თუ მითი?

დასასრული. დასაწყისი იხ. №42-44

თავიდან დივერსიულ ომში იყენებდნენ იმ ესპანელი პარტიზანების გამოცდილებასაც, რომლებიც საბჭოთა კავშირში რესპუბლიკური არმიის დამარცხების შემდეგ გამოიქცნენ.



ალექსანდრე დიუკოვი, ისტორიკოსი, სტარინოვის შვილთაშვილი:

ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ ბევრი ესპანელი ემიგრანტი ცხოვრობდა. ვინაიდან ისინი ემიგრანტები იყვნენ, ჯარში მათი გაწვევა არავის ეხალისებოდა. ამიტომ, ორი გზა ჰქონდათ: ერთი, რომ ემსახურათ განსაკუთრებული დანიშნულების განცალკევებულ მსროლელთა ბრიგადაში, სადაც ამზადებდნენ დივერსიულ კადრებს, ხოლო მეორე გზა იყო სტარინოვის რაზმები, რომლებშიც ის ესპანელებს უპრობლემოდ ღებულობდა.

მოწინააღმდეგის აფეთქებული მანქანების რაოდენობა ასეულობით განისაზღვრებოდა, დახოცილი ჯარისკაცების რაოდენობა — ათასობით. ერთი წარმატებულად ჩადებული ნაღმის ეფექტურობა მრავალჯერ აჭარბებდა საავიაციო თავდასხმას, თანაც გაცილებით ნაკლები დანახარჯების პირობებში. **ყოველ დაღუპულ დივერსანტზე მტრის ასობით და ათასობის განადგურებული ჯარისკაცი მოდიოდა. საქმეში კვლავ გამოიყენეს ტროას ცხენის პრინციპი.**



დივერსანტები აყენებდნენ ტექნიკის ხელოვნურად დამზადებულ ბუტაფორიებს, გერმანელების მიერ ჭურვების სროლის პროვოცირებას ახდენდნენ და მოწინააღმდეგის ცეცხლსასროლ წერტილებს ადგენდნენ. მათ მოახერხეს მიუდგომელი ხიდის აფეთქება ლიანდაგებზე მოძრავი ხელით სამართავი ურიკისა და მასზე მიმაგრებული გერმანელების ფიტულებით. როგორც წესი, დღის ამ მონაკვეთში გერმანელები შემოვლას აწარმოებდნენ.

**ერთ-ერთი შემოვლის შემდეგ მებრძოლებმა იპოვეს მოკლული გერმანელი ოფიცრის რვეული, რომელიც მოლეკულებისა და ატომების უცნაური ნახაზებით იყო სავსე. სტარინოვმა რვეული მოსკოვს გადასცა.**



მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი

ეს რვეული, ზოგიერთ სხვა მსგავს მასალასთან ერთად, რაც სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის, ფრონტის ხაზიდანაც შეგროვდა, გახდა საფუძველი იმისთვის, რომ იმ პერიოდის სამხედრო-სამეცნიერო ხელმძღვანელობას გაეკეთებინა დასკვნა: ჰიტლერული გერმანიაც და, სხვათა შორის, იმხანად საბჭოთა კავშირის მოკავშირე ბრიტანეთიც და ამერიკის შეერთებული შტატებიც, სამხედრო უწყების ხელმძღვანელობით, საგნობრივად იყვნენ დაკავებულნი ატომური იარაღის შექმნის მცდელობით.



პარტიზანულმა ომმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მხოლოდ 1943 წელს მიაღწია იმ მასშტაბებს, რომელიც 30-იან წლებში აღინიშნებოდა. სწორედ 1943 წლის ზაფხულში შევიდა ძალაში სალიანდაგო ომის სახელგანთქმული გეგმაც, რომელსაც მთლიანად უნდა გაენადგურებინა მოწინააღმდეგის კომუნიკაციები. შესაბამისად, ასევე სრულად განადგურდებოდა მოწინააღმდეგისთვის დამატებითი ძალების მიღების, შეიარაღების შევსებისა და უკან დახევის შესაძლებლობებიც.



**სალიანდაგო ომის გეგმის მიხედვით, უკრაინისა და ბელორუსიის პარტიზანებს 85-დან 90-ათასამდე ლიანდაგი უნდა აეფეთქებინათ, რითაც სრულად განადგურდებოდა სარკინიგზო გზავნილები გერმანელთათვის.**

სტარინოვს ეს გეგმა არ მოსწონდა. იგი ამტკიცებდა, რომ გერმანელების ზურგში ოთხ მილიონამდე ლიანდაგი იყო. **ეს კი იმდენად ბევრი იყო, რომ გარკვეულ ნაწილს გადასადნობად გერმანიაშიც კი აგზავნიდნენ.** სუსტი ასაფეთქებელი, რომლითაც ძირითადად იყვნენ აღჭურვილნი პარტიზანები, ლიანდაგის მწყობრიდან გამოსაყვანად ყოველთვის ვერ გამოდგებოდა. მას საამისოდ, უბრალოდ, სიმძლავრე არ ჰყოფნიდა. თუ ლიანდაგი მაინც დაზიანდებოდა, გერმანელები საკმაოდ სწრაფად ახერხებდნენ.



**ამ ლოგიკით, სტარინოვი ლიანდაგების აფეთქების გეგმას არ ემხრობოდა და ხელმძღვანელობას სანაცვლოდ საკუთარ გეგმას — ორთქლმავლების აფეთქებას სთავაზობდა.**

იმხანად ორთქლმავალი გერმანელებისთვის არც მეტი, არც ნაკლები, ოქროს ტოლფასი იყო.

**მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**

მთავარი ეშელონების გარღვევა იყო. თუ მოხერხდებოდა გარღვევა ისე, რომ ამავე დროს მწყობრიდან გამოსულიყო გზის პრობლემური მონაკვეთი ან სარკინიგზო ხიდი, ეს უკვე შეიძლებოდა გათანაბრებოდა ნაკვეთზე, სადაც მთელი დივიზია მოქმედებდა, წითელი არმიის რეალურ, წონად გამარჯვებას.



სტარინოვის თვალთახედვა პარტიზანული მოძრაობის უკრაინულ შტაბში მოიწონეს. შედეგები მარტივი სტატისტიკიდანაც თვალნათლივ ჩანდა. **1942 წელს უკრაინელმა პარტიზანებმა 202 მატარებელი ააფეთქეს. 1943 წლის მხოლოდ პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით, აფეთქებული მატარებლების რაოდენობა უკვე 500-ს აჭარბებდა. იმავე წლის მეორე ნახევარში იმავე მაჩვენებელმა სამ ათასს მიაღწია. იმ სალიანდაგო ომის ნაცვლად, რომლის პირობებში გერმანიას დიდად არ შეშლია ხელი, თავისი ჯარები საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ ორგანიზებულად გაეყვანა, ომი ლიანდაგებზე გაჩაღდა და ეს გერმანელთათვის ზურგში გახსნილ ნამდვილ მეორე ფრონტად იქცა.**



1944 წლის აგვისტოში პოლკოვნიკი სტარინოვი იუგოსლავიაში საბჭოთა სამხედრო მისიის შტაბის ხელმძღვანელად დანიშნეს. იუგოსლავიაში რუსებს ისე ეგებებოდნენ, როგორც თავიანთ სისხლსა და ხორცს. ყველაზე პოპულარული ანდაზა იყო „ზეცაში — ღმერთი და მიწაზე — რუსეთი“. სტარინოვს არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა იუგოსლაველ ლიდერთან იოსებ ბროს ტიტოსთან.

**„მე აღფრთოვანებული ვარ წითელი არმიით, მაგრამ რუსეთში პარტიზანული მოძრაობა რომ დროულად ორგანიზებულიყო, ომის დამთავრება ჯერ კიდევ 1943 წელს იქნებოდა შესაძლებელი“,** — ეუბნებოდა **მარშალი ტიტო** სტარინოვს.

გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ სტარინოვის ომი კიდევ რამდენიმე წელს გრძელდებოდა. ის დასავლეთ უკრაინის ტყეებში დანაღმულ ხაფანგებში აფეთქებდა ბანდერელებს.

**ალექსანდრე დიუკოვი, ისტორიკოსი, ი. სტარინოვის შვილთაშვილი:**

შემუშავდა სარკინიგზო ობიექტების დაცვის სქემა, რომლის დროსაც რომელიღაც გარკვეული ობიექტის აფეთქების მცდელობისას ადამიანი თავად ფეთქდებოდა და, ბუნებრივია, ეს არ ახდენდა ზეგავლენას უკრაინის ამბოხებულთა არმიასთან ბრძოლაზე, თუმცა ამით დანაკარგები მინიმალური იყო, ბრძოლა კი — მართლაც მასშტაბური იყო.

მშვიდობიან პერიოდში სტარინოვს იმის აღდგენა მოუხდა, რაც თავის დროზე მისი ხელით განადგურდა. გარდა სარკინიგზო გზებისა და მაგისტრალების სარემონტო სამუშაოებისა, დაკავებული იყო გერმანიასა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩადებული ნაღმების გაუვნებელყოფით.



**70-80-იან წლებში პროფესორი სტარინოვი თავის ცოდნასა და გამოცდილებას სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აკადემიის მსმენელებს უზიარებდა. მისი მონაწილეობით შემუშავდა ქაბულში ამინას სასახლის აღების ოპერაცია და სხვა მრავალი აქცია,** რომელთა თაობაზეც უახლოეს მომავალში ჩვენ, სავარაუდოდ, ვერაფერს შევიტყობთ.

**მაქსიმ ტოკარევი, ისტორიკოსი:**

მისი უამრავი დასკვნა მომავალში გამართლდა. პროგნოზი იმის თაობაზე, რომ 21-ე საუკუნეში დივერსიები — ტერორიზმი ათასგვარი ასაფეთქებელი ტექნოლოგიის გამოყენებით — ფართო გავრცელებას ჰპოვებდა, სამწუხაროდ, პრაქტიკაში უკვე არაერთხელ დადასტურდა, ისევე, როგორც დადასტურდა სტარინოვის მუდმივი დასკვნა იმის თაობაზე, რომ მხოლოდ კვალიფიციური ადამიანები მოახერხებენ წარმატებით და შედეგიანად გაუწიონ წინააღმდეგობა ამგვარ დივერსიებს.



**P.S. სტარინოვმა მონაწილეობა მიიღო რუსეთისა და ესპანეთის სამოქალაქო ომებში, 1939-1940 წლების საბჭოთა-ფინეთის ომში, დიდ სამამულო ომში, ბანდერელთა ფორმირებების ლიკვიდაციაში დასავლეთ უკრაინაში. ლენინის ორდენის ორგზის კავალერი, წითელი დროშის ორდენის ხუთგზის კავალერი, გერმანიის, ესპანეთის, იუგოსლავიის, პოლონეთისა და სხვა მრავალი ქვეყნის 30-მდე ჯილდოს მფლობელი, რუსული სპეცნაზის კერპი ილია სტარინოვი იყო საბჭოთა არმიის ერთადერთი ოფიცერი, რომელმაც პოლკოვნიკის წოდება 62 წლის განმავლობაში ატარა. იგი, სულ მცირე, ოცჯერ წარადგინეს საბჭოთა კავშირისა და რუსეთის გმირის წოდებაზე, მაგრამ მას ეს წოდება მაინც არ მიანიჭეს.**



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აბუ აბასი – მთავარი შუამავალი ტერორისტებსა და ხელისუფლებებს შორის

**აბუ აბასი 1948 წელს სირიაში, პალესტინელი ლტოლვილების ბანაკში, დაიბადა. მისი მშობლები ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ტირადან გაიქცნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ აბუ აბასმა დამასკოს უნივერსიტეტის არაბული ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩააბარა, მაგრამ ძალიან მალე მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა — 1976 წელს პალესტინის პირველი ტერორისტული დაჯგუფების „პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის“ (პგსფ) რიგებში მოხვდა.**





ირანის საგარეო საქმეთა მინისტრთან საიდ ალ-საჰაფთან

ეს პალესტინური მოძრაობის ისტორიაში განსაკუთრებული პერიოდი იყო. ისრაელმა რამდენიმე არაბული ქვეყნის ერთობლივი შემოტევა მოიგერია. სულ უფრო მეტი პალესტინელი ლიდერი იჯერებდა, რომ, მიუხედავად საბჭოთა კავშირის მხრიდან აქტიური ფინანსური და სამხედრო-ტექნიკური დახმარებისა, ებრაული სახელმწიფოს ბრძოლის ველზე დამარცხება შეუძლებელი იქნებოდა. **სწორედ მაშინ ვადი ხადადმა, არაბმა ქრისტიანმა, ბეირუთის უნივერსიტეტის სტუდენტმა, მედიკოსმა პალესტინური რევოლუციის გამარჯვებისთვის ტერორის გამოყენების იდეა წამოაყენა.**

ამისთვის დააარსა თავის მეგობართან, ასევე არაბ ქრისტიან ჟორჟ ხაბაშთან ერთად „პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი“, რომლის რიგებშიც დაიწყო თავისი „სამხედრო გზა“ მრავალმა ცნობილმა საერთაშორისო ტერორისტმა, მათ შორის, აკოფ აკოფიანმა და რამირეს სანჩესმა.

ისრაელის წყაროების მონაცემებით, უკვე 60-იანი წლების დასასრულს აბუ აბასით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი დაინტერესდა. ამ დროისთვის „პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი“ უკვე ორ ფრაქციად — ჟორჟ ხაბაშისა და ახმად ჟიბრილას ნაწილებად იყო გახლეჩილი. აბუ აბასი კი 1971 წელს საბჭოთა კავშირში ჩავიდა და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე „მოსამზადებელი კურსი“ გაიარა. ნიშანდობლივია, რომ **თავად აბუ აბასი არასდროს მალავდა, რომ პროფესიონალი ტერორისტის ხელობას ეუფლებოდა.** ყურეში მეორე ომის დაწყებამდე მან აბსოლუტურად გახსნილად უამბო ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტს საკუთარი „სწავლის“ შესახებ. **კითხვაზე, რას სწავლობდა საბჭოთა კავშირში, აბასმა უპასუხა: „სტრატეგიას, ტაქტიკას, ხელმძღვანელობას, სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზებას. სამხედრო პრაქტიკა მეცა და ჩემს მეგობრებსაც უკვე გვქონდა, ამიტომ ნახევარი წლის მანძილზე პალესტინელ სამხედრო ოფიცრებს თეორიას გვასწავლიდნენ. ვსწავლობდით ნაცისტების ოკუპაციასთან ზურგში ბრძოლის საბჭოთა გამოცდილებას, უკრაინისა და ბელორუსიის პარტიზანების სტრატეგიას, მატარებლების აფეთქებას, სამხედრო ბაზებზე თავდასხმებს, კოლაბორაციონისტების განადგურებას.**

სამხედრო თვალსაზრისით პალესტინის სიტუაცია ბევრად განსხვავებულია, მაგრამ პოლიტიკისა და იდეოლოგიის თვალსაზრისით ეს სწავლება ძალიან გამომადგა“.

ამაში აბუ აბასი მართალი იყო — სწავლება ნამდვილად გამოადგა და 1976 წელს თავის მომხრეებთან ერთად უკვე საკუთარი ორგანიზაცია „პალესტინის განთავისუფლების ფრონტი“ (პგფ) შექმნა. მაშინვე დაამყარა კონტაქტები ერაყის სამხედრო დაზვერვასთან და როგორც ჩანს, ამ უკანასკნელის მფარველობით სადამ ჰუსეინის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე სარგებლობდა. **მსხვილი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორც წესი, „ბირთვების“ ცნობილი პრინციპით იქმნება. ერთმანეთთან კავშირების აფიშირება და ამით სპეცსამსახურებისთვის მუშაობის გაადვილება ტერორისტებს არაფერში სჭირდებათ. ამიტომ ახალი ორგანიზაციის შექმნა კადრში განხეთქილებაა, კადრს მიღმა კი — ტერორის ნამდვილი ორგანიზატორების გადამალვა.**

უკვე 70-იანი წლების შუა პერიოდიდან იასირ არაფატმა ტოტალური ძალისხმევა დახარჯა, რომ დასავლელი ტერორისტების თვალში თავისი ტერორისტული იმიჯი „ზომიერი“ პალესტინელი ლიდერის იერით ჩაენაცვლებინა და ოფიციალურ პოლიტიკაში პალესტინელი არაბების ლეგიტიმურ წარმომადგენლად ქცეულიყო. **ტერორზე პასუხისმგებლობას ის ზემოხსენებული ორგანიზაციები იღებდნენ, რომლებიც სინამდვილეში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სამხედრო ქვედანაყოფებს წარმოადგენდნენ. არაფატისგან მათ „შუალედური რგოლების“ მთელი ჯაჭვი აშორებდათ. ამიტომ, ყოველი კონკრეტული ტერაქტისას, პგფ-ს შეეძლო გამიჯნოდა მას, მაგრამ**





**სინამდვილეში არაფატის ფუნქციონერები თავად იყვნენ ტერაქტების ჩრდილოვანი ხელმძღვანელებიც და შუამავლის ფუნქციებსაც თავადვე ასრულებდნენ.** „ჩრდილოვანი დაქვემდებარებისა“ და „ბირთვების“ პრინციპი სრულად ვრცელდებოდა აბუ აბასზეც, რომელიც ფორმალურად თავისი დამოუკიდებელი ორგანიზაციის ლიდერად რჩებოდა, სინამდვილეში კი არაფატთან დაახლოებულ ერთ-ერთ პერსონად ითვლებოდა.

70-იანი წლების დასასრულს აბუ აბასმა ახლო აღმოსავლეთში ტერორის კამპანია წამოიწყო. პალესტინის განთავისუფლების ფრონტს ისრაელში საბრძოლო ქსელი არ ჰქონდა, ამიტომ, ძირითადად, ლიბანის ტერიტორიიდან მოქმედებდა. **1978 წელს აბუ აბასის ბოევიკებმა გაეროს ორმოცდაათამდე ჯარისკაცი შეიპყრეს, მაგრამ რამდენიმე საათში გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ისრაელში მძევლების აყვანა ამ ორგანიზაციისთვის ლამის ყოველდღიურ საქმედ იქცა. მათ გათავისუფლებას კი შემდეგ ამ მძევლების გარკვეული ნაწილიც ეწირებოდა და პოლიციელებიც.** 1979 წლის აგვისტოდან აბასმა ტერაქტების არატრადიციული სქემების რეალიზაცია დაიწყო. მისი ბოევიკები ცდილობდნენ, ისრაელში შეეღწიათ, მაგრამ ოპერაციისას ისრაელელებმა ტერორისტთაგან ერთ-ერთი მოკლეს, სამი კი დააპატიმრეს.

**1989 წლის ივლისში აბუ აბასის ბოევიკებმა კვლავ სცადეს ისრაელში შეღწევა, ამჯერად საჰაერო დირიჟაბლით, მაგრამ — ამჯერადაც უშედეგოდ. 1981 წლის მარტში მისივე ხელქვეითები ისრაელის ერთ-ერთ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაზე თავდასხმას მოტორიანი დელტაპლანებით ცდილობდნენ, კვლავაც უშედეგოდ — იძულებითი დაშვების შემდეგ ისინი დააპატიმრეს. იმავე წლის 16 აპრილს აბასის ბოევიკებმა კვლავ დირიჟაბლით მოსინჯეს ძალები, მაგრამ ისრაელის საზღვრის თავზე საჰაერო ბურთი ჩამოაგდეს და ტერორისტები დაიხოცნენ.**

მართალია, აბუ აბასმა 80-იანი წლების დასაწყისში ტერორისტულ საფუძვლებზე მოღვაწეობა გააფართოვა, მაგრამ 1982 წელს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა — ისრაელმა გადაწყვიტა, ლიბანის ტერიტორიაზე ფეხმოკიდებული პალესტინელი ტერორისტების ქმედებები ერთხელ და სამუდამოდ აღეკვეთა და იქ თავისი ჯარი შეიყვანა. **როგორც აღნიშნული სამხედრო ოპერაციის „მშვიდობა გალილეას“ მონაწილეები აღნიშნავდნენ, ლიბანის სამთავრობო ჯარებს ისრაელისთვის რაიმე წინააღმდეგობა არ გაუწევიათ — იბრძოდნენ მხოლოდ პალესტინელები. ბეირუთში ისრაელის ჯართან ერთ-ერთი ბრძოლისას თავად აბუ აბასიც დაიჭრა. მკურნალობისა და გამოჯანმრთელების შემდეგ პალესტინის განთავისუფლების ფრონტის ლიდერიცა და მისი „კოლეგებიც“ იძულებულნი გახდნენ, შტაბ-ბინისთვის ახალი ადგილი ეძებნათ, რადგან ბეირუთში დარჩენა უსაფრთხო აღარ იყო.**

სომხეთის განთავისუფლების საიდუმლო სომხური არმიის ლიდერი აკოფ აკოფიანი ათონში გადასახლდა, აბუ ნიდალი — კვიპროსში (ტრუდოსის მთებში მისი საწვრთნელი ბანაკები იყო განლაგებული). აბუ აბასმა ახალი შტაბი ჯერ დამასკოში მოაწყო, 1983 წელს კი პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ოფისთან ახლოს ტუნისში გადავიდა. ერთ წელიწადში იგი ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრიც გახდა.

1985 წლის შემოდგომის მოვლენებმა მისი ბედი შეცვალა. **7 ოქტომბერს აბუ აბასის ბოევიკებმა იტალიური ლაინერი „აკილე ლაურო“ ჩაიგდეს ხელში. ეს აბუ აბასის „სამსახურებრივ კარიერაში“ ყველაზე დიდი ტერაქტი იყო.**

როგორც თავად ირწმუნებოდა, ბოევიკები ისრაელისკენ მიმავალ გემზე ამ ქვეყანაში შეღწევის მიზნით ავიდნენ, მაგრამ ერთ-ერთმა მგზავრმა მათ კაიუტებში იარაღის არსენალი აღმოაჩინა და „ბიჭები იძულებულნი გახდნენ, გემი კონტროლზე აეყვანათ“. სწორედ ეს ვერსია დაედო საფუძვლად ფილმს „შიშის კრუიზი“. მდიდრული ლაინერის 450 მგზავრი ტერორისტთა მძევალი გახდა და, თუ ისრაელი ციხეებიდან 50-მდე „პოლიტპატიმარს“, ანუ ტერორისტს არ გაათავისუფლებდა, აბუ აბასის ხალხი გემის აფეთქებით იმუქრებოდა.

ყველაფერი კარგად შემუშავებული სქემის მიხედვით ვითარდებოდა: არაფატი განზე გადგა და „შუამავლად“ აბუ აბასი წარადგინა. ეს უკანასკნელიც ენერგიულად შეუდგა საქმეს. რომში გემზე შტურმის მიტანა ვერ გარისკეს და ტერორისტებთან მოლაპარაკებებს მიანიჭეს უპირატესობა. **გარკვეული შეთანხმება შედგა კიდეც, მაგრამ პირველივე გათავისუფლებული მძევლის მონათხრობმა ტერორისტების მიერ მძევლების შეურაცხყოფის შესახებ ყველაფერი შეცვალა.**

უფრო მეტიც, გაირკვა, რომ გემზე უკვე მოკლეს 69 წლის ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული ამერიკელი ლიონ კლინგჰოფერი მხოლოდ იმისთვის, რომ ებრაული წარმომავლობის იყო. გვამი წყალში გადააგდეს. **ამასობაში სპეცსამსახურებმა ხელში ჩაიგდეს სატელეფონო საუბარი, რომლიდანაც გაირკვა, რომ არაფატთან დაახლოებული „შუამავალი“, აბუ აბასი გემის გატაცების საქმეს თავად ედგა სათავეში.**

აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებმა ეგვიპტური ავიალაინერი, რომელშიც აბუ აბასთან ერთად ოთხი ტერორისტი და არაფატის პოლიტიკური მრჩეველი ხანი ალ-ჰასანი ისხდნენ, აიძულა სიცილიაზე, ნატოს ბაზაზე, დამჯდარიყო. მაშინვე გამოჩნდნენ ქვედანაყოფ „დელტას“ მებრძოლებიც, რომლებიც ეგვიპტურ თვითმფრინავზე შტურმის მიტანას აპირებდნენ, მაგრამ საქმეში იტალიის ხელისუფლება ჩაერია. **ოფიციალური ვერსიით, რომს ტერაქტთან აბუ აბასის კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ ჰქონდა, არაოფიციალურით კი — შურისძიების ეშინოდა.**

ასე იყო თუ ისე, **იტალიის ხელისუფლებამ აშშ-ს აბუ აბასის დაპატიმრების ნება არ მისცა.**

იგი უპრობლემოდ გადაფრინდა რომიდან იუგოსლავიაში, იქიდან კი — ტუნისში. **ცოტა ხანში იტალიაში მისი დამნაშავეობის დამადასტურებელი მასალები გამოქვეყნდა და აბუ აბასს დაუსწრებლად მიუსაჯეს ხუთმაგი სამუდამო პატიმრობა.**

ამ დროს დამნაშავე უკვე ერაყში იყო; იქ გახლდათ აბუ ნიდალიც. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერაყის სამხრეთ რაიონებში მათ რამდენიმე საწვრთნელი ბანაკიც ჰქონდათ და საკუთარი „ბოინგიც“, რომელზეც თვითმფრინავის გატაცების დეტალებს ხვეწდნენ.

90-იანი წლებიდან მდგომარეობა კვლავ მკვეთრად შეიცვალა — საბჭოთა კავშირმა პალესტინურ რევოლუციას ზურგი აქცია და იასირ არაფატი უკვე ვაშინგტონთან შეეცადა დიალოგის წარმოებას. **1990 წელს აბუ აბასი შეეცადა, მშვიდობიანი პროცესი დაწყებამდევე ჩაეშალა. თელ-ავივის პლაჟზე, სადაც უდიდესი სასტუმროები და აშშ-ის საელჩო იყო განლაგებული, ტერორისტები კატერებით აპირებდნენ შეტევას, მაგრამ გზა აებნათ და ნაპირს საჭიროზე უფრო სამხრეთით მიადგნენ, უკაცრიელ ადგილას, სადაც ისრაელის ჯარმა საქმეს წარმატებით გაართვა თავი. მართალია ხმაურიანი აქცია ვერ გამოვიდა, მაგრამ აბუ აბასმა მოლაპარაკებები მაინც ჩაშალა. ამის შემდეგ კი მთლიანად გადაერთო ტერორისტების, მათ შორის თვითმკვლელების, მომზადებაზე, ვიდრე 2003 წელს ერაყში ამერიკელებმა არ შეიპყრეს. იგი მალევე გარდაიცვალა პატიმრობაში.**

გვერდები მოამზადა **მაია სვიანაძემ**

8 – 14 დეკემბერი, 2010 წელი. №45 (88)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# საყდარი საყდრისა

## ქვემო სვანეთი



გარდაფხაძეების კოშკი სოფ. თეკალში

**რაკი ჩოლურის თემი სოფელ საყდრიდან იწყება, ჩვენ კი ეს საზღვარი გადმოვლახეთ, არათუ საინტერესო, აუცილებელიც კია მისი ქვეთემების გამოყოფა, რადგან ამას სულ მალე გარკვეული მნიშვნელობა მიეცემა ჩვენს თხრობაში. ჩოლური იყოფა ქვემო, შუა და ზემო ჩოლურებად. ქვემოში შედის სოფლები: საყდარი, დურაში, ბულეში და ჭველიერი; შუაში: თეკალი, ტვიბი, მუწდი; ზედაში: მამი, ლეუშერი, ფანაგა და ჭველფი.**



საყდრის „წმ.გიორგი“



ერთ-ერთი საწინამძღვრო ჯვარი



სოლოვნის ძისა და სასულიერო პირის ფრესკა საკურთხევლის გვერდით

სოფელ საყდარს ეს სახელი მის ტერიტორიაზე მდებარე ერთი საინტერესო ეკლესიის გამო დაერქვა გვიან, ადრე კი, მგონი, არშე ერქვა და მთელი ჩოლურის ცენტრად ითვლებოდა. წმიდა გიორგის სახელობის ეს ეკლესია (ზომები 12,7X7,7 მ) სოფლის თავში, ერთ ტყიან ბორცვზე დგას და მწვანეში ჩაფრენილი თეთრი გედის შთაბეჭდილებას ახდენს შორიდან.

როგორი ქვითაა ნაგები ტაძარი, ძნელი გასარკვევია, რადგან გარედანაც და შიგნიდანაც კირითაა შელესილი, მაგრამ კედლების სისქე კი ნამდვილად შთამბეჭდავია — 120 სმ. მიუხედავად ამისა, ბზარების გამო, საყდარი რკინის სამპირ სალტეში ჩაუსვამთ. აქ ყოველ შაბათს ამოდის და წირავს ცაგარელი მღვდელი გიორგი კვირიკაშვილი. ამ ტაძრის აშენებასთან დაკავშირებით ჩოლურში ასეთი ლეგენდაა გავრცელებული:

**თემის უძველესი წმ. გიორგის ტაძარი, თურმე, შუა ჩოლურის სოფელ ლათორაშთან ერთად დანგრეულა. ქვემო და ზემო ჩოლურს ცილობა გახდომიათ იმაზე თუ სად უნდა აშენებულიყო ლათორაშის წმ. გიორგის შემცვლელი საყდარი. ბოლოს ასეთი უცნაური გადაწყვეტილება მიუღიათ: ნაეკლესიარის შემორჩენილ კედელს აქეთ-იქიდან უნდა მიწოლოდნენ და საითაც გადაიქცეოდა, ის მხარე დარჩებოდა გამარჯვებული. კედლისაგან აღმოსავლეთით ქვემოურემი დამდგარან, დასავლეთით — ზემოურები და მისწოლიან. ეს ძიძგილაობა, თურმე, კარგა ხანს გაგრძელებულა, სანამ ერთი ქვემოური კაცი არ გამოქცეულა აღმოსავლეთიდან, კედელს არ დატაკებია და დასავლეთით, ქვემოურების მხარეზე არ გადაუწვენია. ზემოურებს ეს კაცი იქვე გამოუხანჯლავთ, მაგრამ რაღას გააწყობდნენ — სიტყვა სიტყვა იყო და გამარჯვება ქვემოურებს დარჩენიათ. მართალია, ქვემოურები ცხედრით ბრუნდებოდნენ თავიანთ მხარეში, მაგრამ გამარჯვების მაუწყებლად მაინც მიიმღეროდნენ, ზემოურებს ცხედარი არ მიჰყავდათ, მაგრამ მაინც ზარ-გოდებით ბრუნდებოდნენ, თურმე.**

ლეგენდას თარიღი არასდროს არა აქვს და ამდენად ძნელი დასადგენია, ეს ამბავი, თუკი მართლა მოხდა, როდის მოხდა.

ჩვენი ცნობილი ხელოვნებათმცოდნეები და მათ შორის გიორგი ჩუბინაშვილიც კონკრეტულად ტაძარზე არას ამბობენ, მაგრამ საყდრის საკურთხევლისწინა ორ დიდ, ჭედურ ჯვარს X-XI საუკუნეებით ათარიღებენ. მათ მხედველობაში აქვთ „ტახტზე მჯდარი ღვთისმშობელი ყრმა იესოთი“, „ქვეითი წმ. გიორგი“ და ჯვრების კიდევ ორი სხვა კომპოზიცია. გიორგი ჩუბინაშვილი ამ საკურთხევლისწინა ჯვრების ზოგიერთ ჭედურობას ერთ-ერთ უძველეს ნიმუშებად მიიჩნევს. იგი განსაკუთრებით გამოარჩევს ორ ცხენოსან წმინდა გიორგის და ორ ცხენოსან წმინდა თევდორეს ჭედურ ფირფიტებს. გრაფინია უვაროვა შესრულების დახვეწილი მანერით პირველი ჯვრის ოთხ ცხენოსან წმინდა გიორგის ფირფიტას ამჯობინებს და ამბობს, რომ ჩვენს წინაშეა არა უბრალოდ მტრის განმგმირავი მხედარი, არამედ, საერთოდ, რომის ტრიუმფატორი წმ. გიორგიო.

ამ ფირფიტებიდან გამომდინარე, თითქოს, ეკლესია X-XI საუკუნეებისა უნდა იყოს, მაგრამ სხვა მოსაზრება ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილს. და აი, რატომ: დავიწყოთ იმით, რომ მან პირველი დიდი ჯვრის წარწერა ასე წაიკითხა: **„წმიდაო, გიორგი, შეიწყალე არშე ხევისა აზნაურნი, ყოველნი შემომწირველნი“.** წმ. ექვთიმეს გამოუკვლევია, რომ სოფელ საყდრის მახლობლად მართლაც ყოფილა ადგილი აშარეში და წარწერაში სწორედ აშარეშის ხევი უნდა ეწეროსო. მაგრამ აქ მთავარი სულ სხვა რამაა: ხევის აზნაურები აშკარად გვიანდელი მოვლენა და გამოთქმაა და X-XI საუკუნეებისათვის იგი უცხოა. ერთი ხევის ეს აზნაურები უფრო XV საუკუნის ვარგებს ჰგვანან. ექვთიმე თაყაიშვილს, მარი ბროსეს კვალდაკვალ, წაკითხული აქვს ამავე ჯვრის კიდევ ორი წარწერა, რომლებშიც ოქრომჭედლები **ზვიად ლაშხიშვილი** და ვინმე **მიქაელი** იხსენებიან. აქაც პიროვნების ვინაობის გამოხატვის ფორმა „ლაშხიშვილი ზვიადი“ არ შეიძლება XI საუკუნისა იყოს. ამ ეპოქისათვის „ლაშხიშვილი“ უცხოა, უნდა იყოს „ზვიადი, ძე ლაშხისი (ან ლაშხისაი).“ ეს ჩვენი მოსაზრებაა, მაგრამ, ალბათ ექვთიმეც ასე ფიქრობდა, როცა საკურთხევლისწინა დიდ ჭედურ ჯვრებს XIV-XV საუკუნეებით ათარიღებდა (სულ სხვა საქმეა, თუ ამ ჯვრის ზოგიერთი ჭედური ფირფიტა ადრინდელი ნამუშევარია და ჯვარში ჩააკერეს).

სხვათაშორის, იგივე უნდა ითქვას თავად ტაძრის ხუროთმოძღვრულ ნიშნებზე (ორი კარის გარე და შიდა ფორმები, საკურთხევლის აფსიდი და სხვ.), რომლებითაც იგი, თითქოს XIII-XIV საუკუნეებს უფრო გვაგონებს. კიდევ უფრო გვიანდელი — XIV-XV საუკუნეებისა უნდა იყოს ტაძრის მხატვრობა, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი პრიმიტულია. ტაძრის კამარებსა და კედლებზე კარგად არის შემონახული მაცხოვრის, ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის, მთავარანგელოზების, წმ. გიორგის და სხვა წმინდანების პორტრეტები, ნათლისღების, გოლგოთის გზისა და ჯვარცმის სიუჟეტები.

საყდრის ჩრდილოეთ კედელზე, საკურთხევლის გვერდით ორი პიროვნებაა გამოხატული. წინ სამღვდელოების წარმომადგენელია, რომელსაც საკურთხევლიდან გამოწვდილი უფლის მარჯვენა აკურთხებს. სამღვდელო პირს ხელთ უპყრია ეტრატი, რომელზეც ექვთიმე თაყაიშვილს თითქოს ორი სიტყვა ამოუკითხავს: **„დაიდვა ტაძარი...“** მის უკან დგას უბრალო კაბით შემოსილი, ბატკნისქუდიანი კაცი ვედრების პოზით და წარწერით **„სოლოვონის ძესა ვარდანას შეუდარეს** (უნდა იყოს შეუნდნეს) **ღმერთმან“**. აშკარაა, რომ ეს კაცი ხუროთმოძღვარი, ან უფრო მხატვარია. მდიდრულ სამოსში გამოსახული ქტიტორები — ერთი სამღვდელო და 4 საერო პირი — დასავლეთ კედელზე, კარის აქეთ-იქით არიან წარმოდგენილნი. მარცხნიდან პირველი გამოსახულების განმარტება ასეთია: **„ამ სალტრისა დეკანოსა ზოსიმეს შეუნდნეს ღმერთმან“.** მეორე და მესამე პიროვნების სიახლოვეს წარწერები აღარ ჩანს, მეოთხესა და მეხუთესთან კი იმდაგვარი გაუმართავი ქართულითაა შესრულებული წარწერა და სიტყვებიც ისე აბდა-უბდაა გაფანტული, რომ თვით ექვთიმე თაყაიშვილს გაუჭირდა მისი ზუსტად დალაგება. მაქსიმალური მცდელობის შემდეგ ტექსტი შეიძლება ასე იქნას წაკითხული: **„...გრიგოლსა და ფარდალასა** (ვინცა) **ამისა საღდრისა ზედა დია მოიჭირავეს, ღმერთმან შეუნდნეს და ვინცა ბძანოს შენდობა, შეუნდნეს მასაცა. შეუნდვნენ ღმერთმან“.** ოთხი საერო პირიდან, რომელთაც მდიდრული კაბები და სკუფიის ქუდები მოსავთ, სამი შავწვეროსანია, მეოთხე უწვერულვაშოა და ესე იგი ჭაბუკია. რომელი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები არიან ისინი, დაუდგენელია.

ქვემო ჩოლორში სხვა საგულისხმო ძეგლი არ დგას და ჩვენც გეზი შუა ჩოლორისკენ გვიჭირავს, სადაც სოფელ თეკალში უნდა დავბანაკდეთ. ამ დღეს კიდევ ორი ძეგლის ნახვას ვახერხებთ. თავდაპირველად სოფელ ტვიბის ბოლოში, მდინარე ცხამრიელის მარჯვენა სანაპიროზე მშენებარე ეკლესიას ვათვალიერებთ. მას ამ მხარეში ჩვენი მასპინძელი ჯოყოლა ჩეგიანი აგებს. ახალი საყდარი ტვიბის უძველესი ეკლესიის „სამების“ საძირკველზე შენდება, თუმცა შენდება მთლად სწორი გამოთქმა არ არის, რადგან საყდარი უკვე აგებული და გადახურულია. ამჟამად მიმდინარეობს ქვის კანკელის ამოყვანა და შიდა კედლების შელესვა. ტვიბელ უხუცესებს ახსოვთ, რომ უძველესი ნასაყდრალის კედლების ფრაგმენტები ფიქალისა იყო და ამიტომ ახალი ეკლესიაც ფიქალით აშენდა. აქა-იქ, კუთხეებში სიმაგრისათვის და კედლებში სილამაზისათვის, ჩაფენილია შირიმის ქვა. შირიმისავე იქნება კანკელი.

ეს ადგილი თავისებური ცენტრის ასოციაციას ბადებს, რადგან ეკლესიიდან სამხრეთით, 50 მეტრში, მოზრდილი კოშკის ნანგრევებია შემორჩენილი. ახლომახლო კიდევ ერთი კოშკია, ოღონდ გაცილებით უკეთ შემონახული. ეს არის სოფელ თეკალის გარდაფხაძეების ციხე-კოშკი. კოშკი, რომელსაც მხოლოდ ქონგურების ნაწილი აქვს მორღვეული, შუაწელში რკინის სალტითაა შეკრული და გამაგრებული. იგი სიმაღლეში 13-14 მეტრია. სამწუხაროდ, მაჩუბისაგან ბევრი აღარაფერია დარჩენილი.

ბინდდება...

სოფელში ცხენისწყლის ხმა აღწევს. აქა-იქ ძაღლი ყეფს...

ხვალ არანაკლებ საინტერესო მოგზაურობა გველის...

**ბელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**





დეკანოზ ზოსიმესა და ქტიტორების ფრესკები დასავლეთ კედელზე კარის ორსავე მხარეს

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №41-44

**შირვანელი, შეიჭრა რა ერთ-ერთ სახლში, ორ თურქს გადააწყდა, რომლებმაც იარაღის შეყენება ვერ მოასწრეს, რუსმა ჯარისკაცებმა ერთი მათგანის მოკვლა მოასწრო, მეორემ კი თავად გაუყარა მას ხანჯალი ფერდში. ამ დროს მოვარდა ახალგაზრდა თურქი ქალი, რომელმაც ხმლით კიდევ ერთი ძლიერი ჭრილობა მიაყენა შირვანელს. ჯარისკაცმა შეძლო მისი დასახიჩრება, მაგრამ თავადაც წაიქცა. მეგობრებმა ის ცოცხალი იპოვეს და ჭრილობა შეუხვიეს.**



**ერთ-ერთ მეჩეთში ოთხასამდე კაცი დაიწვა. ახალციხეში ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო.**

სანამ ქალაქის ამ ნაწილში სისხლის ნიაღვრები მოდიოდა, სწრაფად ხდებოდა ჩრდილოეთი ნაწილის გამაგრება. მოულოდნელად ხანძარი საწინააღმდეგო მხარეს გაძლიერდა, მოიცვა ეკლესიის მიდამო. ცეცხლი მესანგრეთა მთელ ნამუშევარს ემუქრებოდა. აქ კი, ყველას საუბედუროდ, ეკლესიის შენობაში საფანტის საწყობი იყო მოთავსებული. შვიდი თურქი ცდილობდა მისთვის ცეცხლის წაკიდებას. ეს რომ მოეხერხებინათ, ერევნელთა ბატალიონი ჰაერში ავარდებოდა. საბედნიეროდ, პატრულმა დროზე შეამჩნია ისინი და ხიშტებით განგმირა ფანატიკოსები. ქვის კედელმა, რომელიც ეკლესიას სასაფლაოსგან ყოფდა, ცეცხლი შეაჩერა. თურქთა მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა.

**თურქთა ოთხი ბასტიონიდან სამი უკვე რუსებისა იყო. უნდა ითქვას, რომ, სანამ შირვანის პოლკი ნაბიჯ-ნაბიჯ ავიწროებდა მოწინააღმდეგეს ჩრდილოეთიდან, გაძლიერებული ხანძრის შუქზე ქალაქში არსებული საშინელი ანგარიშსწორების სურათი ჩანდა.** ებრაელთა კვარტლის მხრიდან აქ შეიყვანეს კიდევ ორი ასეული ეგერთა მეორე პოლკიდან პოდპოლკოვნიკ ნაზიმკის მეთაურობით. მათ კუთხის — ჩრდილო-დასავლეთის ბასტიონი (№4) დაიკავეს და ხელთ ოთხი ქვემეხი ჩაიგდეს. ამავე დროს, კათოლიკური ეკლესიიდან წამოსული ერევნის პოლკის ასეული ჩრდილო-აღმოსავლეთი ბასტიონისაკენ (№2) დაიძრა და ზურგიდან დაიპყრო.

უნდა ითქვას, რომ ამ იოლ წარმატებას ერევნელები შუმკოვს (ზუსტ მსროლელს კაზაკთა ქვემეხებიდან) უნდა უმადლოდნენ. თურქთა მიერ კოშკებიდან გაჩაღებული ცეცხლი ისეთი ძლიერი იყო, რომ დროდადრო არტილერისტები იძულებულნი იყვნენ, ქვებს ამოფარებოდნენ.

**სამი ბასტიონის დაკარგვის შემდეგ თურქებს ძალა აღარ შესწევდათ, გამაგრებულიყვნენ მოშორებულ კვარტლებში და უკანდახეულებს მთელი ყურადღება ციხესიმაგრის დაცვაზე გადაეტანათ.** ამ დროს ბრძოლის ადგილას გამოცხადებულმა კორპუსის შტაბის უფროსმა, ბარონმა ოსტენ-საკენმა გამონახა საშუალება, შეტევაზე ევროპული კვარტლის მხრიდან გადასულიყო, რათა დაეკავებინა მრისხანე კაია-დაგი.

პოლკოვნიკ რეუტის ბატალიონს ის პირადად გაუძღვა და გამაგრებულ კოშკთან მიიყვანა. მაგრამ კაია-დაგიდან ხმა არ ისმოდა. შტაბს-კაპიტან კორნაგოროვის მეთაურობით მის დასაზვერად ორმოცი კაცი გაგზავნეს, მაგრამ კოშკი ცარიელი დახვდათ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ფანატიკოსს, რომლებმაც წინააღმდეგობის გაწევა სცადა, თუმცა უშედეგოდ). კოშკში იპოვეს ხუთი ქვემეხი და იმავე წამს მიზანში ამოიღეს ციტადელი.

ამ მნიშვნელოვანი პუნქტის დაკარგვის შემდეგ თურქებმა სასწრაფოდ მიატოვეს ბოლო — აღმოსავლეთი ბასტიონი (№1) და გრაფმა სიმონიჩმა თავისი სამი ბატალიონით მთლიანად დაიკავა ქალაქის ეს ნაწილი. თურქების ხელში ქალაქის მეექვსედი ნაწილიღა რჩებოდა — ციხის კედლიდან აღმოსავლეთ სანგრამდე.

**ამ ბრძოლაში გამოიკვეთა ორმოცდამეერთე ეგერთა პოლკის მღვდლის, მამა სტეფანოზის ბრწყინვალე პიროვნება. ის წარმოშობით ბერძენი იყო, ქალაქ ადრიანოპოლიდან. მისი მაღალი ასკეტური შესახედაობა თურქებზეც კი ახდენდა შთაბეჭდილებას. მას ხედავდნენ ყველგან, სადაც კი ცეცხლის კონონადა იყო, სადაც მეტი ხალხი იხოცებოდა კვამლსა და ხანძარში. ჯვრით ხელში თავად მოუძღოდა წინ ჯარისკაცებს. ბევრი თურქი, განსაკუთრებით, დაჭრილები და ქალები, გადარჩენას მას უნდა უმადლოდნენ.** ჰყვებოდნენ, მაგალითად, რომ, მოესმა რა ერთი სახლიდან საშინელი არაადამიანური ყვრილი, შევარდა შიგ და დაინახა სასიკვდილოდ დაჭრილი ჯარისკაცი, როგორ ცდილობდა, ხიშტით დაეჭრა უიარაღო თურქის ქალი. სტეფანოზმა მშვიდად მოჰკიდა ჯარისკაცს ხელი და უთხრა: „თავი დაანებე, ის ქრისტიანია!“, ჯარისკაცმა შეხედა მას და იქვე სული განუტევა. მღვდელი მუხლებზე დაეშვა და ლოცვების კითხვა დაიწყო. რამდენიმე წუთში ამ ჯარისკაცს ისევ ხედავდნენ შემდეგ კოლონებში. ყველას გასაოცრად, ბრძოლიდან იგი საღსალამათი გამოვიდა, თუმცა მისი ტანსაცმელი, ჯვარი დაზიანებული იყო ტყვიებისგან.

**თხუთმეტი აგვისტოს ღამის ბრძოლა იყო იმ შემაზრზენ ბრძოლათაგანი, რომლებიც დიდხანს რჩება მეხსიერებაში.** მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა აგიჟებდა ჯარისკაცებს. ისინი განსაკუთრებით მკაცრად ექცეოდნენ რუს დეზერტირებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ახალციხის კედლებთან ცოტანი არ იყვნენ. ასეთებს თავად ასამართლებდნენ და პირდაპირ აალებული სახლების ცეცხლში ყრიდნენ.

შტურმის დამთავრების შემდეგ ებრაელთა კვარტლის ერთ-ერთ სახლში იპოვეს გაქცეული ფელდფებელების დასახიჩრებული გვამები. თურქებმა დახოცეს ისინი თუ თავად რუსებმა გამოუტანეს განაჩენი, არავინ იცოდა. მხოლოდ გამთენიის ხანს გახდა შესაძლებელი ქალაქიდან მოწინააღმდეგის გამოძევება. და თურქული რაზმები ციხესიმაგრეში ჩაიკეტნენ. გათენდა 16 აგვისტოც. ხანძარი ადგილ-ადგილ ისევ ბობოქრობდა. ახალციხეს კვამლი ასდიოდა, ყველგან ეყარა ქალაქის დამცველთა გვამები. **ბრძოლა ჩაწყნარდა, მაგრამ ახლა ათასობით თურქი მოხუცი, ქალი და ბავშვი რუსი ჯარისკაცებისკენ მირბოდა დახმარების სათხოვნელად. ისინიც შველოდნენ მათ ხანძრისგან თავის დაღწევასა და ბავშვების გადარჩენაში.**

**პოზიცია, რომელიც რუსებმა ქალაქსა და მის შემოგარენში დაიკავეს, იძლეოდა ციხესიმაგრის აღების საშუალებას. თურქთა მხრიდან ციხესიმაგრის დაცვის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და კიოს მუჰამედ-ფაშამ მზის ამოსვლამდე შემოუთვალა რუსებს, რომ ხუთი დღით დაემყარებინათ მშვიდობა.** პასკევიჩმა უპასუხა, რომ მოფიქრებისათვის მათ მხოლოდ ხუთ საათს აძლევდა, შემდეგ კი შტურმით აიღებდა ციხესიმაგრეს. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა მეორე შიკრიკი — ფაშა თანახმა იყო, ციხესიმაგრე დაეთმო, თუკი გარნიზონს თავისი იარაღითა და ქონებით უვნებლად გაუშვებდნენ.

პასკევიჩმა აწონ-დაწონა სიტუაცია, გაითვალისწინა რა, რომ კიდევ ერთ შეტაკებას უამრავი მსხვერპლი მოჰყვებოდა, ხოლო თურქთა წინადადების მიღებით კი ბრძოლის ბედი არ შეიცვლებოდა, თურქთა გაშვებაზე თანხმობა განაცხადა, ოღონდ დროშების, ქვემეხების, იარაღისა და ქონების გარეშე.

პირობებს ხელი მოეწერა და ციხესიმაგრის გასაღები რუსთა მთავარსარდალს გადაეცა.

**დილით, რვა საათზე, ქართველ გრენადერთა პოლკი მუსიკის თანხლებით ზეიმით შევიდა ციხესიმაგრეში და გეორგიევსკის დროშა ამაყად აფრიალდა იქ, სადაც თურქთა ორასორმოცდაათწლიანი ბატონობის განმავლობაში არასოდეს აღმართულა უცხოელთა დროშები.**

მხოლოდ მაშინ შევიდა პასკევიჩი ახალციხეში. ჯარები მას აღფრთოვანებული შეძახილებით ხვდებოდნენ. შირვანის პოლკმა შტურმის დროს მესამედი დაკარგა. პასკევიჩმა კეთილსინდისიერი და თავდადებული ბრძოლისთვის ჯარისკაცებს მადლობა გადაუხადა. მის შეკითხვაზე — **„ბევრნი დარჩით, ბიჭებო?“ — „ორ შტურმს მაინც ვეყოფით!“** — ამაყად უპასუხა ერთმა შირვანელმა.

**მოწინააღმდეგის დანაკარგი უზომოდ დიდი იყო. საკმარისია, ითქვას, რომ ოთხი ათასი თურქი არტილერისტიდან ცოცხალი მხოლოდ ორმოცდაათი გადარჩა. ასივე იანიჩარი დაიღუპა, ათას რვაასი ლაზიდან მოკლეს ათას სამასი; შტურმის დროს სამი ათასზე მეტი მცხოვრები დაიღუპა, მათ შორის — ასობით ქალი.**

**ამ ღირსსახსოვარ დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო რუსთა დანაკარგები: ოფიციალური მონაცემებით, მოკლული და დაჭრილი იყო სამოცდაორი ოფიცერი და ექვსასამდე დაბალჩინოსანი; შირვანის პოლკმა დაკარგა მესამედი...**

ასე ძვირად იქნა მოპოვებული მნიშვნელოვანი სიმაგრე აზიის თურქეთში.

„ახალციხის თორმეტსაათიანი შტურმის შემდეგ ფერფლადქცეული ქალაქიდან, — წერდა პასკევიჩი ხელმწიფეს, — **მაქვს ბედნიერება, თქვენს უდიდებულესობას, ბოლოს და ბოლოს, მოგილოცოთ მთელ აზიაში ცნობილი ქალაქის დაპყრობა“.**

ეს წერილი ხელმწიფესთან პოდპოლკოვნიკ იუდინსა და პოდპორუჩიკ მარკევიჩს გაატანეს.

იუდინმა ხელმწიფეს ვარნაში მიუსწრო. რამდენადაც მას უკვე ჰქონდა გეორგიევსკის ჯვარი, იმპერატორმა პოლკოვნიკის ჩინი უბოძა და წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა; მარკევიჩს — მომდევნო ჩინი და ვლადიმირის ორდენი ბაფთით.

**ამასთან, ხელმწიფემ წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენით დააჯილდოვა პასკევიჩი; ბრძანა, შირვანის პოლკისთვის ამიერიდან გრაფ პასკევიჩის სახელი ეწოდებინათ.**

მერვე პიონერულმა ბატალიონმა გეორგიევსკის დროშა მიიღო წარწერით: „ახალციხის აღებისთვის 1828 წელს“. ეს სახელოვანი დროშა ამჟამადაც ინახება კავკასიის მესანგრეთა პირველ ბატალიონში.

პოლკოვნიკმა ოვეჩნიკმა, შტაბს-კაპიტანმა რაზნატოვსკიმ და კაზაკთა ორივე ბატარეის მეთაურებმა — ზუბკოვმა და პოლიაკოვმა — მეოთხე ხარისხის გეორგიევსკის ჯვარი; ბურცევს კი გენერალ-მაიორის ჩინი მიენიჭა.

**პასკევიჩი სიტყვებს ვერ პოულობდა რუსი ჯარისკაცების მიმართ მადლიერების გამოსახატავად. მას ბევრი რამ ენახა თავისი სამხედრო მოღვაწეობის მანძილზე, მაგრამ მსგავს სიმამაცეს არასდროს შესწრებია. „თქვენს საქმეს შთამომავლობა არ დაივიწყებს. სახელი და დიდება თქვენ, გამარჯვებულნო!“ — მიმართა მან შტურმის შემდეგ ჯარისკაცებს.**

**ვასილი პოტო**

ხუთტომეული ნაშრომიდან

**„კავკასიის ომი“**

გაგრძელება შემდეგ ნომერში




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთორმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გინესის ახალი რეკორდსმენი

**21 წლის ჰეტისი წარმოშობით თურქია და ქალაქ კადირლიში ცხოვრობს მშობლებთან — იბრაჰიმთან და ხათუნთან ერთად. სიმაღლეში სულ რაღაც 70 სმ-ია, წონაში 6.8 კილოგრამი და, შესაბამისად, ჩვილ ბავშვს დიდად არ აღემატება. გინესის რეკორდების წიგნში ის ახლახან მსოფლიოს ყველაზე დაბალ ქალბატონად დაასახელეს. ერთადერთი პიროვნება, ვინც მას ჩამორჩება, არის ნეპალელი მამაკაცი ხაგენდრა ტაპა მაგარი, რომლის სიმაღლე 67 სმ-მდეა და, ცხადია, მყარად აქვს ფეხი მოკიდებული გინესში.**









გოგონას დედა ამბობს, რომ ბავშვი დაბადებისას 1600 გრამს იწონიდა და რაიმე პრობლემა განვითარებასთან დაკავშირებით არ ჰქონია. ჩვეულებრივად აიდგა ფეხი, დაიწყო ლაპარაკი, ითვისებდა ახალ მასალებს, უბრალოდ, თანატოლებთან შედარებით ძალიან ნელა იზრდებოდა. 4 წლიდან კი თითქმის არ გაზრდილა. ჰეტისს უფროსი ძმაც ჰყავს, რომელიც ნორმალური სიმაღლისაა. მშობლებმა გოგონა ბევრჯერ მიიყვანეს ექიმთან დიაგნოზის დასადგენად, მაგრამ ვერავინ ამბობდა, რა იყო მისი ტანმორჩილობის მიზეზი.

ჰეტისი შემოწმებას თითქმის ყოველ წელს გადიოდა. ექიმების ნაწილმა ივარაუდა, რომ პრობლემა ძვლებში იყო, რაც, თავის მხრივ, გამოიწვია მემკვიდრეობით ორივე მშობლისგან გადაცემულმა არასრულყოფილმა გენებმა. ჰეტისმა ამ დარღვევის გამო სამუშაოს მოძებნაც ვერ შეძლო. ის, ძირითადად, სახლშია და მშობლებს ეხმარება წვრილმან საქმიანობაში.

„მე ყოველთვის მქონდა იმედი, რომ ერთ დღეს მსოფლიო გამიცნობდა. პატარაობაში ვიტანჯებოდი, რადგან კლასელები მუდმივად დამცინოდნენ. ახლა კი ჩემი ზომის გამო პოპულარობა მოვიპოვე და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სიმაღლეც მომემატა. მე ღმერთმა შემქმნა ასეთი და არ მრცხვენია ჩემი გარეგნობის. დარწმუნებული ვარ, ერთ დღესაც გამოჩნდება ადამიანი, ვინც შემიყვარებს და ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდება“, — ამბობს ჰეტისი.

# ლინდოუს კაცი

**1984 წელს ორმა არქეოლოგმა მანჩესტერთან ახლოს, ინგლისის ჩრდილოეთით მდებარე ლინდოუს ჭაობის შესწავლისას გასაოცარი აღმოჩენა გააკეთა. ჭაობში ჩაფლული აღმოჩნდა ადამიანის სხეული, რომელიც დაახლოებით 2000 წლის უნდა ყოფილიყო.**



ნამარხი სიძველეები ადრეც და მას შემდეგაც არაერთხელ აღმოუჩენიათ მეცნიერებს, მაგრამ ლინდოუს კაცი აბსოლუტურად უჩვეულო გამონაკლისია — მიუხედავად ათასწლოვანი ასაკისა, მის სხეულზე შენარჩუნებული ჰქონდა კუნთები, თმა და შინაგანი ორგანოებიც კი. მეცნიერებმა ვერ მოისვენეს, სანამ აღმოჩენას მუცელში არ ჩახედეს და არ გაარკვიეს, რა ჭამა მან უკანასკნელ სადილზე.



ახლა ლინდოუს კაცი ბრიტანეთის მუზეუმში ეგვიპტელ მუმიებთან ერთად ინახება. რაც შეეხება მისი სხეულის უხრწნელობის საიდუმლოებას, ეს მთლიანად ლინდოუს ჭაობის დამსახურებაა — იქ მაღალი მჟავიანობისა და ჟანგბადის სიმცირის გამო ბაქტერიები ფაქტიურად ვერ სახლობენ.

# სან-ფრანცისკოდან ავსტრალიამდე პლასტმასის ბოთლებით

**პლასტიკატი მსოფლიო ეკოლოგიის დიდი პრობლემაა, ვინაიდან ის ფაქტიურად არ ექვემდებარება გადამუშავებას, დაწვა კი სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერებებით ჰაერის მნიშვნელოვან დაბინძურებას იწვევს.**



მხოლოდ ამერიკის მოსახლეობამ უკვე გამოიყენა 8.7 მილიარდი ბოთლი. მათი მეორადი გამოყენება, ფაქტობრივად, არ ხდება და ნაგვის სახით გროვდება მთელს დედამიწაზე. მეორადი გადამუშავების პრობლემის გადაწყვეტაზე ფიქრი დაიწყო დევიდ დე როტშილდმაც, ბრიტანელმა ბანკირმა და თავგადასავლე**ბის მაძიებელმა და საკმაოდ ეფექტურ მეთოდსაც მიაგნო — ბოთლებისგან ნამდვილი ნავი შექმნა.**

ნავი შედგება 12.500 უკვე გამოყენებული და გადაყრილი პლასტმასის ბოთლისგან. ბოთლების ერთ ნავად შესაკრავად გამოყენებულია სხვადასხვა ორგანული ნივთიერებები. წებოდ გამოყენებულია ქეშიუ – თხილის ერთ-ერთი სახეობა. ამ ნავით 4 თვე იცურეს დევიდმა და მისმა მეგობარმა სან ფრანცისკოდან ავსტრალიამდე. ნავის შემქმნელის მისიაა, შეცვალოს საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ ამ ბოთლების მეორადი გამოყენება შეუძლებელია.

# სვაზილენდის უცნაური კანონი

**მონარქმა გადაწყვიტა უძველეს ტრადიციებს დაბრუნებოდა და ქალებისთვის ქვედა საცვლის ჩაცმა კანონგარეშე ქმედებად გამოაცხადა. კანონის დამრღვევების საცვლები ჯარისკაცებს ქალებისთვის პირდაპირ ტანზე უნდა შემოეხიათ და ნაკუწებად ექციათ.**

სამწუხაროდ, აბსოლუტურად გაურკვეველი დარჩა კანონმდებლობაში საკითხი, თუ როგორ უნდა გამოავლინონ სამართალდამცავებმა „დამნაშავეები“ ქვეყანაში, სადაც 10 წელზე მეტი ასაკის ქალს მუხლს ზემოთ კაბის ჩაცმა, ასევე, კანონით ეკრძალება.



# ნარკოტიკი დეზომორფინი, ანუ «ნიანგი»

**არსებობს მორფინების ერთ-ერთი სახეობა, რომლის მოხმარებაც ადამიანს წელიწადზე ნაკლებ დროში ზომბად აქცევს. გასული საუკუნის 90-იან წლებში ამერიკაში სცადეს, მიეღოთ ახალი სახეობის მორფი, რომელსაც მეტი ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება ექნებოდა, მაგრამ ნარკოტიკულ დამოკიდებულებას არ გამოიწვევდა.**







მორფის მოლეკულური სტრუქტურის შეცვლის შედეგად, მეცნიერებმა მიიღეს ახალი, უკეთესი ფარმაკოლოგიური თვისებების მქონე პრეპარატი, რომელშიც შედიოდა დეზომორფინი და მეტადონი. ცხოველებზე გამოცდის შედეგად დადგინდა დეზომორფინის მორფინზე ბევრად სწრაფი და უკეთესი ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, მაგრამ მისი რეაგირება მხოლოდ 2-3 საათს გრძელდებოდა, რის გამოც დეზომორფინმა ვერ შეძლო მედიცინაში დამკვიდრება.

ამით დეზომორფინის ოფიციალური ,,მოღვაწეობა“ მთავრდება და იგი ნარკოტიკთა კატეგორიაში გადადის. დღესდღეობით მისი მცირე ფასისა და ძლიერი ნარკოტიკული თრობის გამო დეზომორფინი ჰეროინის შემდეგ ყველაზე პოპულარულ ნარკოტიკად ითვლება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ კოდეინი აფთიაქებში ხელმისაწვდომია, ხოლო მისი დეზომორფინად გარდაქმნა სახლის პირობებშიც არაა ძნელი.

ნარკოტიკულ სამყაროში იგი ცნობილია როგორც ,,ნიანგი“ და, თუ რატომ, ამას მისი მომხმარებლები ძალიან სწრაფად იწვნევენ ხოლმე საკუთარ ტყავზე: კატასტროფულად მოკლე პერიოდში — მოხმარებიდან 1-2 თვის განმავლობაში — ადამიანის სხეული ნიანგის დაგლეჯილს ემსგავსება. თავიდან კანი ხორკლიანი ხდება, შემდეგ კი ლპობას იწყებს და 5-6 თვეში ადამიანი ცოცხალ ,,ზომბად“ იქცევა, თანაც კიდურებდაკარგულ ზომბად.

ამ ნარკოტიკის მოთხოვნილებისგან თავის დაღწევა შეუძლებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში სიკვდილი გარდაუვალია. მისი გამოყენების შემთხვევაში სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა 1-დან 2 წლამდეა; ამასთან, სხვა ნარკოტიკებისგან განსხვავებით, იგი თრობიდან გამოსვლის შემდეგ მტანჯველ ტკივილს აყენებს მიმღებს და ყოველ ჯერზე მეტ დოზას საჭიროებს. ნარკოტიკი თავისი მოქმედების ბოლო სტადიაზე იწვევს ტვინის შეშუპებას, რაც ხდება კიდეც მიმღების სიკვდილის მიზეზი. ნარკომანისთვის, რომელიც ამ ნარკოტიკის მიღების შემდეგ მიმართავს სამედიცინო დაწესებულებებს, მკურნალობა (იგულისხმება დამპალი კიდურების სამედიცინო დამუშავების მცდელობა) ძალიან მტანჯველია, ვინაიდან ანესთეზიაში ძირითადად იყენებენ ნარკოტიკებს, დეზომორფინის მომხმარებლისთვის კი მედიცინის პრაქტიკაში გამოყენებული ნარკოტიკები ,,ბავშვური თამაშია“. სწორედ ამიტომ მათთვის ტკივილის გაყუჩების ყოველგვარი მცდელობა უშედეგოა.

# ნიბირუ – ღმერთების პლანეტა

**წარსულის საიდუმლოება, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ბურუსით იყო მოცული, ნელ-ნელა დღის სინათლეზე გამოდის. მაინც ვინ არიან ნიბირუელები?**

ნიბირუ მზის სისტემის მეათე პლანეტაა. ზოგი მას ფენიქსს ან მარდუკის პლანეტასაც უწოდებს. არავინ იცის, როდის შემოიჭრა მზის სისტემაში, მაგრამ გრავიტაციული ძალების ზეგავლენით ჩვენს თანამგზავრად იქცა.

ნიბირუ კიდევ ერთი მზეა, რომელიც ძალიან დიდი სიჩქარით — დედამიწაზე რამდენჯერმე სწრაფად მოძრაობს. ვინაიდან დედამიწაზე დიდია, მისი მიზიდულობის ძალაც დედამიწას აღემატება, ატმოსფერო კი უფრო დაბინდული და შეკრულია, ვიდრე დედამიწისა. წითელი პლანეტის ბრუნვა დაახლოებით 3600 წელი გრძელდება, მზის სისტემაში ყოველი შემოსვლისას კი უამრავი კატასტროფის მიზეზი ხდება. როგორც ზოგიერთი წყარო ირწმუნება, ბოლოს ნიბირუ ჩვენს სისტემას მაშინ ეწვია, როდესაც მოსე ეგვიპტიდან წასვლას ცდილობდა. ამბობენ, რომ მორიგ ვიზიტს 2011 წელს უნდა ველოდოთ. ეს კი დიდ გეოლოგიურ ცვლილებებს მოუტანს დედამიწას.





# უცნაური რიტუალები

**მსოფლიოში ამ დრომდეა შემორჩენილი უამრავი ტრადიცია და რიტუალი, რომელთა მნიშვნელობის გაგება სხვა კულტურის ადამიანისთვის ზოგჯერ ძნელი, უმეტესად კი შეუძლებელია.**





ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე ამ დრომდეა შემორჩენილი და საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს კბილების გაქლიბვის რიტუალი. ცერემონიას „მატატაჰ" ჰქვია, ხოლო იმ ადამიანს, ვისაც უქლიბავენ — სანგგინგი. გაქლიბვის საუკეთესო ასაკად 18 წელი ითვლება, ოღონდ ეს ქორწინებამდე უნდა მოხდეს. არიან ისეთებიც, რომლებიც გვიან გადიან აღნიშნულ პროცედურას, 60 წლის ასაკშიც კი. მაგრამ თუ ვინმე ისე გარდაიცვალა, რომ კბილები მოქლიბული არ აქვს, ჭირისუფალი ვალდებულია, გარდაცვლილს ჩაუტაროს რიტუალი.

ცერემონიამდე 3 დღის მანძილზე ადამიანი განცალკევებულია, ეძლევა ბრინჯის ფხვნილისა და სანელებლების ნაზავი, რითაც ტანი უნდა გაიწმინდოს. რიტუალიდან 3 დღის მანძილზე გაქლიბულკბილებიანს ჭამა არ შეუძლია, რადგანაც თვლიან, რომ კბილებმა, შესაძლოა, ცუდი ფორმა მიიღოს. ინდონეზიელები თვლიან, რომ ამ რიტუალით ადამიანს ყოველგვარი ეშმაკისეული სცილდება, უფრო ლამაზი და მომხიბლავი ხდება.

# ჰერმაფროდიტი დედა

**33 წლის მამაკაცი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ეძებდა თავის ბიოლოგიურ დედას, ალბათ, ყველაფერს წარმოიდგენდა, გარდა იმისა, რაც სინამდვილეში ელოდა. კანზასის შტატში 6-კვირიანი კვლევა-ძიების შემდეგ რიჩარდ ლორენსმა, როგორც იქნა, გაარკვია, რომ დედამისი 62 წლის წვერებიანი ჰერმაფროდიტი ვივიან ვილერია. ვივიანიცა და დედამისიც (რიჩარდის ბებია) დაავადებულნი არიან ჰერმაფროდიტიზმითა (ორსქესიანობა) და მაქციის სინდრომით, რაც ბავშვობის პერიოდიდანვე სახეზე ჭარბთმიანობით გამოიხატა.**

რიჩარდმა გადაწყვიტა, ამ დაავადების შესახებ მეტი ინფორმაცია მოეძია ინტერნეტით და კიდევ ერთ სიურპრიზს გადააწყდა — დედა საცირკო გამოსვლების დროს გადაღებულ სურათებში ამოიცნო. ბავშვობაში ვივიანის გამო მამამისს (რიჩარდის ბაბუას) რცხვენოდა და გამუდმებით ამცირებდა მას. გოგონა ოდნავ რომ წამოიზარდა, მამამ გადაწყვიტა, მისით ფული ეშოვა და სხვადასხვა შოუებში მონაწილეობას აიძულებდა. როცა ვივიანს საპირისპირო სქესთან უწევდა შეხვედრა, წვერს იპარსავდა, რათა უხერხული მდგომარეობისთვის აერიდებინა თავი. რიჩარდის მამა ცირკის მსახიობი იყო, რომელმაც ვაჟი დაბადებიდანვე მოაშორა დედას და სხვა შტატში გადაიყვანა საცხოვრებლად. ამან ისე იმოქმედა ვივიანზე, რომ გონებრივი აშლილობა დაემართა. მას შემდეგ ბევრჯერ სცადა შვილის პოვნა, მაგრამ უშედეგოდ. 1990 წელს ვივიანს დედა გარდაეცვალა და მანაც წვერი მოუშვა. მას შემდეგ არ გაუპარსავს და ახლა მისი წვერი 30 სმ-მდე აღწევს. „წვერის გარეშე თავს კარგად ვერ ვგრძნობ, წვერგაპარსული თითქოს მე აღარ ვარ", — ამბობს ვივიანი.

რაც შეეხება რიჩარდს, 7 წლის იყო, როდესაც მასწავლებლებმა მის სხეულზე შემთხვევით ძალადობის კვალი შენიშნეს და დაადგინეს, რომ მამა სცემდა. პოლიციის ჩარევით, მამა გაასამართლეს, ბიჭუნა კი ერთ-ერთმა ოჯახმა იშვილა და რიჩარდ კევინ რაიანი გახდა. დაქორწინებისას ცოლის გვარზე, ლორენსზე, გადავიდა. „რაც გინდა მოხდეს, მე მინდა დარჩენილი ცხოვრება დედის გვერდით გავატარო. ჩემი თავგადასავალი საოცარია, მილიონი წელი რომ მეცხოვრა, ასეთ რამეს მაინც ვერც წარმოვიდგენდი", — აცხადებს რიჩარდი.









# დეკორა – მოდური სტილი იაპონიაში

**დეკორა იაპონიაში ძალიან პოპულარული მოდური სტილია, რომლის მიმდევრებიც სამოსის ნათელი ფერებითა და უამრავი აქსესუარით...მთელი დანარჩენი მსოფლიოსაგან გამოირჩევიან.**

მთავარი ფერები თეთრი, ვარდისფერი და წითელია. ძირითადად, მარტივი ტანსაცმელი აცვიათ, მაგრამ ცდილობენ, გამოჩნდნენ რაც შეიძლება დეკორაციულები. ხშირად იცვამენ არაგაბარიტულ ფეხსაცმელსა და ძალიან მჭიდრო მაისურებს. რაც შეეხება აქსესუარებს, მათ შორისაა ყველაფერი, რაც ბავშვური, ბრჭყვილა და ვარდისფერია.









გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სიმპსონის ლეგენდარული სამაჯური გაიყიდა



**ძვირფასეულობა, რომელიც წარმოშობით ამერიკელ ჰერცოგინია უოლის სიმპსონს ეკუთვნოდა, Sotheby-ის აუქციონზე რეკორდულ ფასად — 8 მილიონ დოლარად გაიყიდა.**

აუქციონის ოც ლოტს შორის ყველაზე კაშკაშა 1952 წელს Cartier-ს დიზაინერული სახლის მიერ შექმნილი ონიქსითა და ბრილიანტის თვლებით მოოჭვილი ავაზას ფორმის სამაჯური იყო.

აუქციონზე, ასევე, წარმოდგენილი იყო ფლამინგოს ფორმის გულსაბნევი და სიგარების ჩასაწყობი კოლოფი, რომელზეც სიმპსონისა და მისი მეუღლის — მეფე ედვარდ VIII-ს მოგზაურობის მარშრუტია გამოსახული.

ედვარდ VIII დიდი ბრიტანეთში 1936 წელს სულ რამდენიმე თვის განმავლობაში მეფობდა. ინგლისის მთავრობა მას სიმპსონთან დაქორწინების ნებას არ რთავდა, რის გამოც ედვარდმა მეფობაზე უარი თქვა.

# იეროგლიფების სისტემის რეფორმა




**იაპონიის განათლების სამინისტრომ 30 წლის მანძილზე პირველად კანძის სისტემაში იეროგლიფების რაოდენობა შეცვალა. თავდაპირველ სისტემას, რომელიც 1945 სიმბოლოს შეიცავდა, ხუთი ელემენტი გამოაკლდა და 196 ახალი დაემატა.**

შედეგად, ნუსხა, რომელსაც იაპონელი სტუდენტები საშუალო სკოლებში სწავლობენ, 2136 სიმბოლოსგან შედგება. ამ ნუსხაში ცვლილებები ბოლოს 1981 წელს შევიდა. რეფორმის აუცილებლობას განათლების სამინისტრო ყოველდღიური ცხოვრების ცვლილებითა და ახალი ტერმინების საჭიროებით ხსნის. ერთ-ერთი ახალი სიმბოლო დეპრესიას აღნიშნავს და მისი მოხაზულობა 29 შტრიხს აერთიანებს.

# ინდოელმა მილიარდერმა 173 მ სიმაღლის სახლი აიშენა



**53 წლის ინდოელმა მილიარდერმა მუკეშ ამბანიმ, რომელიც სიმდიდრით მსოფლიოში მეოთხე ადამიანია, დიდი ხნის ოცნება აისრულა — მუმბაიში მსოფლიოს ყველაზე მაღალი სახლის — „ანტილიას" მშენებლობა დაასრულა.**

ყველაზე პომპეზური და მდიდრული სახლის მშენებლობა 7 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. „ანტილიას" სხვადასხვა სიმაღლის 27 სართული აქვს. კოშკში 160 ავტომობილისთვის გათვალისწინებული ავტოფარეხი, პირადი ავტოსერვისი, დაკიდული ბაღები, სავარჯიშო დარბაზი, კინოთეატრი, აუზი, საბანკეტო დარბაზი, ვერტმფრენის დასაფრენი სამი მოედანი და ამბანების ოჯახის რეზიდენციაა. თავიდან პროექტის ღირებულება 1-2 მილიონ დოლარად იყო შეფასებული, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერში 77 მილიონი დოლარი დაიხარჯა. სამაგიეროდ, დღეს ეს სახლი უძრავი ქონების ბაზარზე 1 მილიარდ დოლარად შეფასდა.

# ავღანეთის მიწა ოკუპანტთა ფეხქვეშ იწვის

**29 ნოემბერს ავღანეთში ადგილობრივმა პოლიციელმა ნატოს ექვსი ჯარისკაცი მოკლა და შვიდი დაჭრა. ინციდენტი აღმოსავლეთ პროვინციაში, ნანგანხარში, პაშირ აგომის ბაზაზე ადგილობრივი პოლიციის მოსამზადებელი პროცესისას მოხდა. კოალიციის სამხედრო მოსამსახურეებს წვრთნებისას ცეცხლი გაუხსნა ადამიანმა, რომელსაც ავღანეთის სასაზღვრო პოლიციელის ფორმა ეცვა. თავდამსხმელი საპასუხო ცეცხლით ადგილზევე გაანადგურეს.**



ალიანსის პრესსამსახური არ აკონკრეტებს, რა ეროვნებისანი იყვნენ დაღუპულები. მსოფლიო მასმედია კი აღნიშნავს, რომ დაზუსტებული არაა, მათი მკვლელი ნამდვილად პოლიციელი იყო თუ ბაზაზე შეპარული ბოევიკი.

უნდა აღინიშნოს, რომ **ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ავღანელმა პოლიციელებმა და სამხედროებმა ნატოს ჯარისკაცებს ესროლეს. მხოლოდ სამი ინციდენტის შედეგად რვა ბრიტანელი და ორი ამერიკელი დაიღუპა.**

ამგვარი თავგანწირული თავდახმის განმახორციელებელთა მოტივაცია სხვადასხვა იყო: ზოგიერთი მათგანი თალიბანის მომხრეები გახლდნენ და შაჰიდობისკენ მიისწრაფოდნენ, დანარჩენები კი დაღუპული ნათესავების გამო იძიებდნენ შურს.

**რაც შეეხება 29 ნოემბრის დახვრეტას, ისლამისტების საინფორმაციო საშუალებები ირწმუნებიან, რომ თავდამსხმელი სახელად იზათულა მიზანმიმართულად „გახდა მარიონეტული რეჟიმის პოლიციელი, რათა ნატოელ-ამერიკელი დამპყრობლების განადგურების საშუალება მისცემოდა".** საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა დამნაშავე თუ თალიბანის მხარდაჭერით, არც ამ წყაროებშია განმარტებული.

მოტივების მიუხედავად, **ამგვარი ეპიზოდები უმძიმეს ზეგავლენას ახდენს ნატოს კონტინგენტზე, რადგან თვალნათლივ მიანიშნებს, უპირველესად, იმ სიძულვილზე, რომლითაც არიან გარემოცულნი ოკუპანტები,** შემდეგ კი იმაზეც, რომ **მოკავშირეები უსაფრთხოდ თვით თავიანთ კარგად დაცულ ბაზებზეც ვერ იქნებიან.**

ყოველი ანალოგიური შემთხვევა ცალსახად ადასტურებს, რომ **ნატოს ბაზებზე დაშვებული თვით ყველაზე კარგად შემოწმებული კოლაბორაციონისტების ნდობაც კი არ შეიძლება.**

ამრიგად, მსგავს ტერორისტულ აქტებს კოლოსალური პროპაგანდისტული ეფექტი აქვს და სერიოზულად ვნებს მოწინააღმდეგის საბრძოლო შემართებას. **ამას ემატება შემთხვევათა მთელი ნუსხა, როდესაც ყარზაის პოლიციელები ან სამხედრო ფორმირებები „შეცდომით" ან „შემთხვევით" ცეცხლს უშენდნენ მეგობარ ნატოელებს.**

საბჭოთა კონტინგენტს ავღანელი კომუნისტების სახით, რომლებსაც გულწრფელად სჯეროდათ „აპრილის რევოლუციის", საიმედო დასაყრდენი ჰყავდათ, ნატოს ძალებს კი ამგვარად მხოლოდ ნარკობარონებსა და საკუთარი ქვეყნის ოკუპაციის პირადი გამდიდრებისა და კარიერული ზრდისთვის გამოყენების მსურველებზე თუ შეეძლოთ დაყრდნობა. მაგრამ ახლა თალიბებმა თითქმის ყველა პრობლემა გადაჭრეს როგორც ნარკოტიკების მწარმოებლებთან, ასევე ეროვნული უმცირესობების ლიდერებთან. **ახლა კოლაბორაციონისტული ფორმირებების მრავალი წევრი არა მხოლოდ მოხიბლულია წინააღმდეგობის ძალთა ბრძოლით, არამედ მზადაა, ესა თუ ის სამსახური გაუწიოს მათ.**

ნებისმიერ შემთხვევაში დღეს ნატო ავღანეთში მხოლოდ საკუთარ ბაზებს იცავს და კიდევ ნაციონალური უმცირესობების რამდენიმე წარმომადგენელს, რომლებმაც თავიანთი თემის წინაშე მიუტევებელი დანაშაულები ჩაიდინეს.

*segodnia.ru*

# აშშ-ში ბირთვული იარაღი მთვრალ სპეცაგენტებს დააქვთ

**ამერიკელი სპეცაგენტები, რომლებსაც ბირთვული იარაღი გადაჰქონდათ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დიდი რაოდენობით ალკოჰოლური სასმელის გამოყენებაში დაადანაშაულეს. საიდუმლო გართობა შემთხვევის წყალობით გამოაშკარავდა: სპირტიანი სასმელების მოყვარულები პოლიციამ ბარში დააკავა და, როგორც გაირკვა, ეს პირველი და ერთადერთი გამოაშკარავებული შემთხვევა არ არის.**

**როგორც გაირკვა, სპეცსამსახურის თანამშრომლებმა საიდუმლო მისიის შესრულებისას (ბირთვული იარაღის ტრანსპორტირებისას) იარაღით სავსე სატვირთო მანქანა დაცულ ავტოსადგომზე გააჩერეს, თავად კი ბარში შევიდნენ.**

კონკრეტულად რომელ ბარზეა საუბარი ან რა მიზეზით დააკავა პოლიციამ სპეციალური აგენტები, ფართო საზოგადოებისთვის არავის უთქვამს.

მომხდარ ინციდენტს შეიარაღების კონტროლის ასოციაციის დირექტორმა ყველანაირ ფარგლებს გამცდარი შემთხვევა უწოდა. **„ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამგვარი შემთხვევები, შესაძლოა, იმაზე ბევრად მეტი იყოს, ვიდრე ჩვენ გვგონია. აუცილებელია მეტი ყურადღების გამოჩენა, ანუ ბირთვული იარაღის გადატანათა რაოდენობის შემცირება"**, — განაცხადა აღშფოთებულმა ტომ კოლინამ.

მისივე თქმით, მაშინაც კი, თუ აგენტი მართავს სატვირთო მანქანას, რომელსაც საბრძოლო ქობინი გადააქვს და ამ დროს სავსებით ფხიზელია, მხოლოდ ის ფაქტიც ძალზე გამომწვევია, რომ მან წინა ღამე ბარის დახლთან გაატარა. **ამიერიდან აგენტებს ალკოჰოლის მიმართ ტესტირებას გაატარებენ, დავალებაზე წასვლამდე 10 საათის განმავლობაში კი ბოთლთან მიახლოებაც კი აეკრძალებათ.**

„თუ ბირთვული იარაღის ტრანსპორტირებაზე მომუშავეთაგან ვინმე, თუნდაც არა სამუშაო მოვალეობის შესრულების პერიოდში, ნასვამი აღმოჩნდება, ეს, შესაძლოა, მისი კომპრომეტირების ან შანტაჟირების მიზეზი გახდეს. ეს კი ძალზე სახიფათოა", — ამბობს კოლინა.

**ამერიკელი სამხედროების დაუდევრობა აშშ-ისთვის შესაძლოა უფრო სახიფათო იყოს, ვიდრე საგარეო საფრთხეები. გასულ თვეში აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების ფრენსის უორენის სახელობის ბაზაზე თითქმის მთელი საათის განმავლობაში სამხედროების კონტროლს 50 კონტინენტთაშორისი რაკეტა აღარ ექვემდებარებოდა.**

პენტაგონმა მხოლოდ ოთხდღიანი სამარისებური დუმილის შემდეგ განაცხადა, რომ ეს დივერსია არ იყო და ყველაფერი ელექტრომომარაგების პრობლემებს გადააბრალა. სამხედროების ამგვარმა ძუნწსიტყვაობამ განაპირობა საპარლამენტო გამოძიება **2007 წელს, როდესაც ბირთვული საბრძოლო ქობინებით დატვირთული ბომბდამშენი B-52 ჩრდილო დაკოტიდან აფრინდა და აშშ-ის გადაკვეთის შემდეგ სადღაც გაუჩინარდა.** ამ რაკეტებიდან თითოეული 150-კილოტონიანი იყო, ჰიროსიმაში ჩამოგდებული ატომური ბომბი კი — სულ რაღაც 20-კილოტონიანი.

**თექვსმეტი საგანგებო მდგომარეობა, როდესაც ბირთვული იარაღი და სასმელი წარმოუდგენლად ახლოსაა ერთმანეთთან, იმ საბრძოლო ქობინის დაკარგვა, რომელიც თვითმფრინავის ფრთის ქვეშიდან აშშ-ის მთელი ტერიტორიის გადავლით გაურკვეველი მიმართულებით მიფრინავს, ერთსაათიანი ბირთვული კრიზისი, როდესაც ამერიკის ბირთვული არსენალის მეცხრე ნაწილი მთლიანად უკონტროლოდაა და უკანასკნელი წლების მსგავსი შემთხვევების გრძელი ჯაჭვი ჯიუტად სვამს საკითხს: რა უფრო მეტად საშიშია ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვის — საგარეო მტრები თუ საკუთარი სამხედროების დაუდევრობა და ლოთობა?**

*newsru.com*



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვინ დგას «ვიკილიკსის» უკან?

**რას მალავს ჯულიან ასანჟი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული საიტის — „WIKILEAKS"-ის შემქმნელი? რომელი ძალები უმაგრებენ ზურგს მის „პროპაგანდისტულ მანქანას"?**
**— ამ კითხვებზე პასუხი დღეს ლამის მთელ მსოფლიოს აინტერესებს, მაგრამ თავად ასანჟის პიროვნებაზე ძალზე ცოტა რამაა ცნობილი.**



ჯულიან ასანჟი 1971 წელს ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ტაუნსვილში დაიბადა. დაწყებითი განათლება სახლში მიიღო, მისი ოჯახი, რომელიც მხოლოდ ორი წევრისგან — ჯულიანისა და დედამისისგან შედგებოდა, ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს.

14 წლისას საცხოვრებელი ადგილი უკვე 37-ჯერ ჰქონდა შეცვლილი. უფრო მეტიც, 11 წლისა, ფაქტობრივად, იძულებული გახდა, სახლიდან გაქცეულიყო, რადგან დედამისის მეგობარი კეთილშობილური სახელწოდების მქონე სექტის წევრი აღმოჩნდა და გადაწყვიტა ასანჟი სექტა „ოჯახის" ლიდერისთვის გადაეცა, ბავშვის ფსიქიკაზე კი ეს აუცილებლად მოახდენდა გავლენას.

**გაუპატიურებებთან ასანჟის კავშირი შვედეთის სასამართლოს ჯერ კიდევ გასარკვევი აქვს, მაგრამ კითხვაზე, შეეძლო თუ არა მას მსგავსი დანაშაულის ჩადენა, მისი ურთულესი ბავშვობის გათვალისწინებით, ფსიქოლოგთა უმეტესობა დადებით პასუხს იძლევა.**

ცოტა ხნის წინათ ასანჟი ლარი კინგის შოუს სტუმარი იყო, მას კი არ შეეძლო, ბრალდებების შესახებ კითხვა არ დაესვა. ასანჟმა უპასუხა, რომ ეს ძალზე ტრივიალური კითხვაა და გარკვეული პაუზის შემდეგ დასძინა, რომ კინგს ამ თემის წამოწევისა უნდა რცხვენოდეს. წამყვანმა დაუყოვნებლივ უპასუხა და განაცხადა, რომ გაუპატიურება სულაც არაა ტრივიალური და კითხვა შეუბრუნა — ბრალდება ტყუილია? დიახ, — უპასუხა ასანჟმა.

**16 წლის იყო, როდესაც კომპიუტერებით, უფრო სწორად, მათი გატეხვით დაინტერესდა. ინტერნეტ-ფსევდონიმად კეთილშობილი ლატაკის სახელი „მენდაქსი" დაირქვა,** მაგრამ მის ჰაკერულ კარიერაში, სასამართლო მოსმენებისგან განსხვავებით, კეთილშობილების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

1991 წელს 20 წლის ასანჟი კანადის სატელეკომუნიკაციო კომპანია „ნორტელის" ცენტრალურ სერვერზე შეღწევისთვის დააკავეს. რამდენიმე დაკითხვის შემდეგ მან თავი დამნაშავედ სცნო ბრალდების ოცდახუთივე პუნქტის მიხედვით. **წესით, 10 წლით უნდა გამოეკეტათ ციხეში, მაგრამ ასანჟმა ჯარიმით მოახერხა თავის დაღწევა. პირობითი სასჯელიც კი არ შეუფარდებიათ, რაც ძალზე უცნაურია. ამის შემდეგ ჯულიანი მელბურნის უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მაგრამ სწავლა მიატოვა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ სასწავლო პროცესის სპონსორები და, შესაბამისად, რეგულატორებიც სამხედროები იყვნენ.**

**2006 წელს ასანჟმა „ვიკილიკსი" დააარსა.** **იცოდა რა, რომ ძალზე „მგრძნობიარე" მასალებთან მოუწევდა საქმის დაჭერა, გადაწყვიტა, რომ მთავარი სერვერი ჟურნალისტებისადმი ლოიალური დამოკიდებულებით სახელგანთქმულ შვედეთში იქნებოდა.**

იმავე წლის დეკემბერში საიტზე გაჩნდა პირველი მასალა: **„სომალის ისლამური სასამართლოს გადაწყვეტილება სამთავრობო ჩინოვნიკთა სიკვდილით დასჯის შესახებ".** პორტალი ხაზს უსვამდა, რომ დოკუმენტი, შესაძლოა, არც იყოს ნამდვილი, მაგრამ ის აშშ-ის დაზვერვის სერიოზული წყაროდანაა მოპოვებული.

**ცხადია, ასანჟს არასდროს დაუსახელებია თავისი ინფორმატორები. ვიდრე „ვიკილიკსის" გვერდზე განთავსდება, ინფორმაცია პორტალის ყველა სერვერზე ერთდროულად დუბლირდება. ამდენად, კვალის მიგნება პრაქტიკულად შეუძლებელია და ინფორმატორებსაც მშვიდად სძინავთ.** მნიშვნელოვანია ადგილობრივი კანონების ნიუანსებიც. მაგალითად, შვედეთში ინტერნეტში ანონიმურობა კანონითაა გარანტირებული; ბელგიაში აკრძალულია სატელეფონო საუბრების მოსმენა და ამიტომ ინფორმაცია სიტყვიერად გადაიცემა.

**როგორც ჩანს, მთავარი მონაცემები, რომელთა წყალობითაც „ვიკილიკსი" ცნობილი გახდა, ასანჟს პირადად გადასცეს. გასაოცარი მხოლოდ ინფორმაცია კი არა, მისი გადაცემის მექანიზმებიცაა. ნებისმიერ მსხვილ სტრუქტურაში კონფიდენციალური ინფორმაციის კოპირება სისტემურ ადმინისტრატორს შეუმჩნეველი არ რჩება, უმეტესწილად კი ამის საშუალებას თავად სისტემა არ იძლევა.**

გაცილებით იოლადაა საქმე ნაბეჭდ დოკუმენტებთან დაკავშირებით. თუმცა მათზეც ხელი მხოლოდ ადამიანთა შეზღუდულ რაოდენობას მიუწვდება და, ვინაიდან ძალზე იოლი გასარკვევია, როდის, ვინ და როგორ გაიტანა მასალები, ცხადია, პუბლიკაციები ამ გზით არ ჩნდება. **ნიშანდობლივია ისიც, რომ, მიუხედავად პუბლიკაციების გამო უდიდესი უკმაყოფილებისა, თავად „ვიკილიკსის" წინააღმდეგ სასამართლოს არც ერთი სარჩელი არ მიუღია.**

**ზოგიერთი ექსპერტი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ ასანჟი მჭიდრო კავშირშია ისრაელის მოსადთან, რის დადასტურებადაც „ერაყულ დღიურებს" იშველიებს — ახლო აღმოსავლეთის შესახებ აშშ-ის საიდუმლო დოკუმენტებზე უცხოელთაგან ხელი მხოლოდ ისრაელის აგენტებს მიუწვდებათ.**

ამის ერთგვარი ახსნა ისაა, რომ ამგვარი სასამართლო პროცესი მოსარჩელესაც უსიამოვნებებს შეუქმნიდა. მან ან უნდა აღიაროს, რომ დოკუმენტი ნამდვილია და ამ შემთხვევაში ამის გახმაურება კარგს არაფერს უქადის ან უნდა დაამტკიცოს, რომ ის ყალბია, რაც, ასევე, ვერ ჩაითვლება გონივრულ ქცევად.

**ამ რაკურსში ძალზე საინტერესოა ამერიკელი ჩინოვნიკების განცხადებებიც, რომელთა თანახმადაც მათ „ვიკილიკსისთვის" ხელის ჩავლება კი სურთ, მაგრამ არ შეუძლიათ, რადგან ის შვედეთში — დამოუკიდებელ სახელმწიფოშია რეგისტრირებული, თუმცა ვიქტორ ბუტთან და ტაილანდთან მიმართებაში ამერიკის მართლმსაჯულება ამან ვერ შეაჩერა. კითხვაზე, რატომ აქვს ასანჟს მთელს მსოფლიოში თითქმის უპრობლემო მოგზაურობის საშუალება, ლოგიკური პასუხია, რომ მისი პუბლიკაციები გარკვეული წრეებისთვის მომგებიანია.** მაგალითად, პოლიტიკოსებისთვის თუმცა მეინსტრიმ-გმირები, როგორც წესი, მათგან თავს შორს იჭერენ და მათ შესახებ გაჟონილი ინფორმაციის საფუძველზე გრძელვადიანი პიარსტრატეგიის აგებას ამჯობინებენ. სამაგიეროდ სარგებლიანი არაა შედარებით დაბალრანგიანი „მოთამაშეების" ან სულაც ჩრდილში მდგომი ფიგურებისთვის, მაგალითად ლობისტებისთვის. **„ვიკილიკსის" პუბლიკაციებს შორის ხომ მსხვილი კომპანიების მამხილებელი მასალებიც ჩნდება.**

ერთ-ერთი ამგვარი შემთხვევა „მაიკროსოფტია". ასანჟმა გამოაქვეყნა დეტალები, თუ როგორ სთხოვა ბრიტანულმა MI-5-მა კომპიუტერულ გიგანტს კონფიდენციალური ინფორმაცია. ცოტა ხანში ქსელში გამოჩნდა ვინმე დენიელ შმიდტის სახელი. იგი მაიკროსოფტის ლობისტი იყო, რომელმაც თითქოსდა ეს ინფორმაცია მიაწოდა ასანჟს. აქცია ბიზნესის თავისებური ფარული რეკლამის სახით მუშაობდა, მაგრამ ინტერნეტში თავად შმიდტის მამხილებელმა ინფორმაციამაც გაჟონა — ლობისტის ნამდვილი გვარი დომშეიტ-ბერგი ყოფილა.

**ამგვარ ინფორმაციას რიგითი თანამშრომლისგან ასანჟი ვერასდროს მიიღებდა. „ვიკილიკსად" წოდებული მოვლენის მკვლევარები ირწმუნებიან, რომ ის ავსტრალიის დაზვერვაზე მუშაობს.**

**თავის დროზე ასანჟმა ეს თავადაც აღიარა:**

როდესაც შვედეთის სასამართლომ მას პირველად წაუყენა ბრალდება, ჟურნალისტმა განაცხადა, რომ მას მშობლიური დაზვერვის თანამშრომლები წინასწარ დაუკავშირდნენ და მოსალოდნელი სცენარის შესახებ აუწყეს.

ზოგიერთი ექსპერტი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ **ასანჟი მჭიდრო კავშირშია ისრაელის მოსადთან, რის დადასტურებადაც „ერაყულ დღიურებს" იშველიებს — ახლო აღმოსავლეთის შესახებ აშშ-ის საიდუმლო დოკუმენტებზე უცხოელთაგან ხელი მხოლოდ ისრაელის აგენტებს მიუწვდებათ.**




*inoforum.ru*

## ფესტივალი «გამყინვარება»



**ბელგიაში, ქალაქ ბრიუგეში, ყინულის სკულპტურების ფესტივალი „გამყინვარება" გაიმართა. მასში მონაწილეობის მისაღებად გამჭვირვალე ქანდაკებების 40-მდე ოსტატი ბელგიაში ჩინეთიდან, აშშ-დან, კანადიდან, ჰოლანდიიდან და შვედეთიდან ჩავიდნენ.**

უზარმაზარი ყინულის ნაჭრებიდან ზღაპრის პერსონაჟების, ცხოველების, ფრინველების, ცნობილი ადამიანების ფიგურები ან სასახლეები უნდა გამოეთალათ. ულამაზესი სანახაობა ბრიუგეს ვაგზლის მოედანზე 10 იანვრამდე დარჩება. აუცილებელი მოთხოვნა იყო, რომ გამოფენაზე ცნობილი მულტფილმის „გამყინვარების" პერსონაჟები ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი, წლევანდელ ფესტივალს ხომ სწორედ მისი სახელი ეწოდა. სულ ფესტივალისთვის 300 ათასი კილოგრამი ყინული და 400 ტონა თოვლი დაიხარჯა. ბელგიაში ყინულისა და თოვლის ფესტივალი წელს უკვე მერვედ ტარდება.

## უნგრეთში კონკურსი «მის პლასტიკური ქირურგია» გაიმართება



**უნგრეთში მორიგი ნაციონალური კონკურსი „მის პლასტიკური ქირურგია" გაიმართა. მასში მონაწილეობის სურვილი 22-მა ადამიანმა გამოთქვა.**

ორგანიზატორთა განცხადებით, კონკურსში მონაწილეობის მიღება იმ ქალბატონებს შეეძლოთ, რომელთაც რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია აქვთ გაკეთებული, მაგალითად, ტუჩების დაბერვა, ცხვირის გასწორება, მკერდის გადიდება და ა.შ.

ქალბატონები კონკურსში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ მას შემდეგ იღებდნენ, რაც ჩატარებული პლასტიკური ოპერაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ჟიურის წარუდგენდნენ.

კონკურსის მსვლელობისას ჟიური, გოგონების გარეგნობის გარდა, ქირურგების შესრულებული სამუშაოს ხარისხსაც აფასებდა.

გამარჯვებული ალექსანდრა კოჩიში 2011 წლის იანვარში საერთაშორისო კონკურსში „მის პლასტიკური ქირურგია" მიიღებს მონაწილეობას.

## ახალშობილს სამიტი დაარქვეს



**ყაზახეთში, ასტანაში, 1-2 დეკემბერს გამართული ეუთოს სამიტის საპატივცემულოდ ახალშობილს სახელად სამიტი დაარქვეს. მოლდებეკოვების ოჯახში ბავშვისთვის სახელი, ტრადიციისამებრ, მისმა პაპამ და ბებიამ შეარჩიეს.** როგორც ამ ფაქტის კომენტირებისას საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავდნენ, უახლოეს მომავალში ყაზახეთში კიდევ ერთი ახალი სახელი გაჩნდება, ამჯერად გოგონებისთვის. აზიური თამაშების პატივსაცემად, რომელიც 2011 წლის იანვრის დასასრულისთვის აიღებს სტარტს ყაზახეთში, გოგონებს აზიადამს დაარქმევენ.

# პოეტური სამეული, ანუ «ტრიოლეტი»

**7 დეკემბერს დედაუნივერსიტეტში გამართულ საღამოზე პოეტურმა სამეულმა გაიბრწყინა — გიორგი არჩემაშვილი, ლევან ცალუღელაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი ლექსების პირველი ერთობლივი კრებულით წარსდგნენ პოეზიის მოყვარულთა წინაშე. „ტრიოლეტი“ ჰქვია ამ პატარა წიგნს, რომელიც თურმე 1999 წელს შექმნილა და 2010-ში გამოვიდა მზის სინათლეზე.**






გიორგი არჩემაშვილი — დაიბადა 1979 წლის 8 თებერვალს, თიანეთის რაიონში. 2001 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. წლების განმავლობაში ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. 2003 წელს გახდა პრესის ერთ-ერთი საუკეთესო ჟურნალისტი. გამოცემული აქვს ლექსების კრებული სახელწოდებით „ეთარგი“.

ლევან ცალუღელაშვილი — დაიბადა 1980 წლის 3 სექტემბერს, დაბა თიანეთში. 2002 წელს დაამთავრა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 1998 წლიდან მუშაობდა ჟურნალისტად სხვადასხვა გაზეთებში, აგრეთვე რადიო მაუწყებლობაში. ავტორი ლექსების კრებულისა „ნაბიჯი გრიგალთა გზაზე“.

მიხეილ თუმანიშვილი — დაიბადა 1979 წლის 14 სექტემბერს, ხაშურის რაიონში. 2001 წელს დაამთავრა პედაგოგიური უნივერსიტეტი. მისი შემოქმედება იბეჭდებოდა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. არის ლიტერატურული გაზეთის „მესამე ათასწლეულის“ დამფუძნებელი.

დიდი ხანი დასჭირვებია. მაჭრობა გაუვლია და დალვინებულა. დამჭაშნიკებელი დარწმუნდება, რომ დრომ „იმუშავა“ და განსაკუთრებული სურნელება შესძინა ახალგაზრდულ პოეტურ სტრიქონებს.

იტყვიან ამას კრიტიკოსები და სათანადოდაც შეაფასებენ.

პოეტური სამეული ჩვენი კოლეგები არიან, ჟურნალისტები. გიორგი არჩემაშვილი, ერთი ხანია, „საქართველო და მსოფლიოში“ იბეჭდება: ჩვენია, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. სამივე პოპულარული კალმებია ქართულ პრესაში, მკითხველი საზოგადოების სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილი.

არც პოეზიაში არიან ახალბედები.

განსაკუთრებულია ახალგაზრდული ლირიკა — სუბიექტურს გარიდებული პლანეტარულ სივრცეში:

**დროა, გავშალო ფრთები**
**დემონის,**
**მივენდო ჩემს სულს,**
**ცამდე აყვანილს.**
**დავამხო სივრცე**
**უვარდებონი**
**და დედამიწა —**
**ცოდვის აკვანი!**
(*გიორგი არჩემაშვილი, „დროა“*).

ისტორია მისთვის ის საშენი მასალაა, რომლითაც ახალი პირამიდები აიგება ძველის ნაფუძარზე:

**ჰოი,**
**ისიდა!**
**დააქციე კართაგენები,**
**ქართა სენებით მოტანილი**
**სევდა მარტივი,**
**გავიდა ღამე, მზე ლოცვაში**
**მონახსენები,**
**პირამიდიდან წამოდგება**
**რამზეს ლანდივით!..**
(*ლევან ცალუღელაშვილი, „ლოცვა“*).

ვერ ეტევა დედამიწაზე და ილტვის უსასრულობისკენ, მაგრამ დედამიწის გაზაფხულებაც ამათია:

**თუ დედამიწა ჯიუტად**
**გჩემობს,**
**ვით ღმერთს, სამყაროს**
**გადაბრუნებით,**
**შენია გზა და ოცნების**
**დემონს**
**არ მისცე დროთა**
**გაზაფხულები.**
(*მიხეილ თუმანიშვილი, უსათაურო*).

გალაკტიონის ქარი, რომელიც მწვერვალებს ედება, სამეულის ლექსებშიც ჩამოიქროლებს და პოეზიის მადლსა სცხებს ავტორებს, ახალ სახეებად და ახალ მუხტად ტრანსფორმირებული:

**ფარული ვნება პოეზიის**
**თეთრი პიკია,**
**როცა ქარები უჩვეულოს**
**ჰქმნიან**
**გობელენს.**
(*გიორგი არჩემაშვილი*).

**ეს ქარი სხვაა,**
**სხვა მხრის,**
**სხვა სულის,**
**თითქოს მშიერი,**
**თითქოს მაძღარი,**
**ნატერფალს მისდევს**
**ქერა ასულის,**
**ვით მირზას ფრონტზე**
**მძიმე მაზარა.**
(*ლევან ცალუღელაშვილი*).

**ახლა კარსმომდგარ**
**დიდ დასასრულს**
**ვერაფერს ეტყვი,**
**ქარმა გაშალა განთიადი,**
**როგორც მარაო...**
(*მიხეილ თუმანიშვილი*).

ერთი საათიც არ არის, რაც „ტრიოლეტს“ ვკითხულობ, რედაქციისთვის მორთმეულ სასიგნალო ეგზემპლარს, და ლამის ყოველი გვერდიდან ამობრწყინებული პოეტური მიგნებანი თვალს მტაცებს და მიზიდავს. მოულოდნელი ხედვა, მოულოდნელი რაკურსი, მოულოდნელი სახე, მდიდარი ლექსიკა და ძლიერი სტრიქონი. და ეს ყველაფერი, ამ პატარა წიგნში მძივებად აკინძული, ელოდება ჭეშმარიტ დამფასებელს, იმათ, ვინაც ქართული ლექსის ფასი იცის.

მკითხველსაც და პროფესიონალსაც.

ეს სახელდახელო წერილი კი მიიღონ კოლეგების მილოცვად და რწმენად იმისა, რომ დიდი წარმატებები პოეტურ სამეულს წინ აქვს.

**არმაზ სანებლიძე**


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

# საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო

საქინფორმი

www.saqinform.ge

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

საქართველო და მსოფლიო — ესტუმრეთ ჩვენს საიტს

http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net